


# გორნი



3

2025



აჭარის მხარეთა სახლი

ISSN 0134-3459



9 770134 345001

25003



# ჭოროხი

გამოცემის 67-ე წელი

გაიხსი-ივნისი

№3

2025 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
სანდრო გერიძე

სარედაქციო კოლეგია

|                 |                 |
|-----------------|-----------------|
| როინ აბუსელიძე  | ცისანა ანთაძე   |
| გენრი დოლიძე    | იაზა თანდილავა  |
| დავით თედორაძე  | ლალი კონცელიძე  |
| ჯემალ სურმანიძე | გურამ ფუტყარაძე |
| ბელა ქაბურია    | ვახტანგ ღლონტი  |
| თინა შიოშვილი   | მალხაზ ჩოხარაძე |

ტექნიკური რედაქტორი და  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
მალხაზ ფალავა

კორექტორი  
მაია ჯაფარიძე

სტილისტი  
გურანდა ნიჟარაძე

დაარსებულია 1958 წელს  
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2025

რედაქციის მისამართი:  
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21  
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი  
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



„**ჰოლონ**“  
ჰაბუში

ჟურნალი დაიბეჭდა  
სტამბა „კოლორ პრესში“.  
ქ. თბილისი, ა. ენუქიძის ქ., 5



## ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს  
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);  
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

## შინაარსი

### ჩოქა, ჟოქი

|                                                              |    |
|--------------------------------------------------------------|----|
| ნიაზ ზოსიძე – ნოველები .....                                 | 3  |
| სალომე გოგოლაძე – ლექსები .....                              | 15 |
| როინ რიჟვაძე – აზროვნების სინთეზი (ნაწყვეტი რომანიდან) ..... | 26 |
| ჯემალ სურმანიძე – ლექსები .....                              | 49 |
| თინათინ ქიქავა – ლექსები .....                               | 53 |
| სოფიო ჯინჭარაძე – ლექსები .....                              | 61 |

### ჩიტი, ჯუღისიტი

|                                                                                                 |    |
|-------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| შორენა მახაჭაძე – ერთი და მრავალი უიღბლო სიყვარულის ისტორია .....                               | 64 |
| ანანია ბროველი – საკუთრივ „ლურჯა ცხენების“ შესახებ .....                                        | 68 |
| უჩა ოქროპირიძე – პარალელური აზრები ს. ბერიძის ლექსების კრებულზე<br>„ნახვამდის, სანდროუკა“ ..... | 75 |

### ისტორიულ-წილწილური ქალი

|                                                      |    |
|------------------------------------------------------|----|
| მამია ფალავა – სპერული ჩანაწერები (გაგრძელება) ..... | 87 |
|------------------------------------------------------|----|

### წილი

|                                                                     |     |
|---------------------------------------------------------------------|-----|
| თინა შიოშვილი – აჭარული კოსმოგონია .....                            | 106 |
| ნოდარ ბასილაძე – ნიკო სამადაშვილი – ქართული პოეზიის ფიროსმანი ..... | 116 |





## ნიაზ ზოსიძე

### რა შავშავად მინდა წიგნი?!

– ბოლო-ბოლო როგორ მოგმართო, გელოდი გქვია, ველოდი თუ არველოდი?  
– მშობლები – გელოდიო, ნათესავ-მეზობლები – ველოდიო, „მეტრიკაში“ არველოდი მიწერია. სამივეზე მოგიბრუნდები და მოგისმენ.

– ჩემი წიგნები მოგიტანე, არველოდ ბაბუ.

სახეზე სინათლემოფენილი მომემარილა:

– იცი შენ, წერა-კითხვა არ ვიცი, ვერც ფულს ვცნობ. ისეთი ჟამი იდგა, ისეთ დროს მომიწია ფრთების აქნევა, სწავლისთვის ვის ეცალა? თურქი რომ წაშავდა და რუსი შემოშავდა, მაშინ ავიდგი ფეხი. ყელზე ძაფზე ასხმული, ხისგან გამოჩორკნილი ქართული ასოები მეკიდა, მარა... ცოტა რომ წამოვიზარდე, იმდენს ვმუშაობდი, ჩემი კისრის ოფლი ლამის წვიმად იქცა... დავრჩი ასე უწიგნო-უსწავლელი...

...ასე მგონია, დედომინაზე ყველაზე დიდი მგოსანი ჩვენებური შოთაა რუსთაველი. ჩვენებურიო, იმიტომ ვამბობ, რომ მისი და ჩემი ენა თითქმის ერთნაირია, ჩემიანია, ერთნაირად ვფლურტულებთ... უსწავლელი ვარ, მარა მეც შოთასავით თანასწორობას, ხელის შეშველებას, უფროს-უმცროსობას, სტუმარ-მასპინძლობას, მეგობრობას, სიყვარულს, კაი სიტყვას და კაი საქმეს ვიხვეწებ! წიგნი არ ვიცი, მის კითხვაში თავი არ დამიხრჩვია, მითხარ ერთი, რა შავქვად მინდა წიგნი?! უწიგნოდაც ვიცი ცოდვა-მადლი, როდის გაწვიმდება და როდის მზე გამოანათებს, როდის დავხნა, როდის დავთესო, როდის გავთოხნო, როდის გავმარგლო, როდის ჭიგო დავუსო, როდის ავდგე, როდის დავიძინო, როდის გავიცინო, როდის ვიტირო, როდის მხარში ამოვუდგე, როდის გავეცალო, ვიცი რომელი ბალახი და ფოთოლი რა სენს არჩენს, სახლი, ეზო-კარი, ბაღჩა-ბოსტანი, ყანა, ჭალა, სოფელი და ქვეყანა სუფთა და დაწკრილებული, სიყვარულით სავსე რომ უნდა მქონდეს, მაგას წიგნი უნდა?! მუქთა და უდარდელი პური რომ არ იჭმევა, წიგნმა მასწავლა?! წიგნიერია და დღემუდამ ვინცხა კანტის ფრაზები აკერია პირზე მიღმა ბუხუტის, მარა მთელი დღე გზაკვალარეულივით დაბორილობს, დღეში სამ ურემ სიაბდლე-შტერობას ამბობს, სიცილსა და ლაზღანდარობაში აღამებს...

...ნახევარი დედამინა სისხლის ნიაღვრით რომაა მორწყული, წიგნიერების მიერ ხომ არ არის ეგ ნაქნარი?! წიგნიერები რატომ ვერ აჩერებენ?!

ნიგნიერთა სხვა უსირცხვილობებს რა ჩამოთვლის?! ღვთის გულისთვის, მითხარ ერთი, შემთხვევით, ნიგნიერთა ბრძანებით ხომ არ ფრენენ ადამიანები ერთმანეთის ტყავს? მაგენის ბრძანებით ხომ არ ბომბავენ მძინარე ბავშვებს?! მე მაგას ქრისტე ღმერთმაც რომ მთხოვოს, ვერ ვიზამ!!!

რა შავქვად მინდა მასეთი ნიგნი?!

ნაკითხი, ნიგნიერი კაცი რომ სხვის ქუსლქვეშ ხოხავს, რა ჰქვია მაგას?!

ღმერთი რომ არ სწამს და მაინც პირფარს იწერს, რა ჰქვია მაგას?!

უღმერთო ლენინის ნიგნები რომ აქვთ ნაკითხი და სწავლულებად მოაქვთ თავი, რა ჰქვია მაგას?!

რა შავქვად მინდა მაგფერი ნიგნი?!

კედლის მოსართავად ლამაზყდიანი ნიგნები რომ ულაგიათ და შიგ არ იხედებიან, რა შავქვად მინდა მასეთი ნიგნი?! მაგფერ ნიგნიანებს იგერ ჩალის ზვინი არ სჯობს, რაცხა დანიშნულება მაინც აქვს... გულალალი კაცის ხელშია ნიგნი კაი, თვარა, უფმური კაცის ხელში ნიგნი ბოროტებად იქცევა! მაგფერი კაცის ტვინის და სულის წყობას ვინ გაიგებს?! სულ არ იცოდა გლეხმა წერა-კითხვა, მარა ვერ შექმნა შედევრები?! ხალხური ჰქვია ახლა ამ შედევრებს. გამოდგებოდა ვინმე შარაზე, შენ ჩემი ბატონი ხარ, გადმოაფრქვევდა ჰაერში ალალ ლექსს, მოისმენდა ერთი, მეორე, მესამე, მეათასე... სხვა ვინმე დაავლებდა ხელს ფანდურს, სალამურს, დოლს, გუდა სტვირს და აამღერებდა, აასიარულებდა, თაობიდან თაობას გადასცემდა... ხომ არ მიბრაზდები, ნიაზო, ამდენი რომ ვიქაქანე?

– როგორ გეკადრებათ, არველოდ ბაბუ, გულის კაცი ხართ და პირშაქრიანი. სანამ წავალ, მაგრად უნდა ჩაგეხუტოთ!

გულზე მოხვდა მოხუცს ჩემი ნათქვამი, სახე სიცხიანივით აუელვარდა:

– შენ გადაშენდი საცხა, შე ძალღატაკი, რაფერი ხუმრობა იცი ხანჯერ! ხეირიანად არ დამინახიხარ და მიდიხარ?! ხომ არ გინდა მაგ ცხვირპირი ჩაგიმსხვრიო, ადამიანიშვილი არ ხარ?! – მეზობლის ბიჭებს გასძახა: ამის გამშვების ჭკუაც ვატირე მე, მოით, ბიჭებო, გამაკოჭიეთ, შემაგდებინეთ სახლში და იბლანკალოს რამდენიც უნდა!

– კაი, ვრჩები, არველოდ ბაბუ!

თვალეებში ციმციმი ჩაუდგა: – ბიჭო, მივალო, რაფერ მითხარ? ჰა და ჰა, სიკვდილის პირში ვარ მიცემული, მერე გული არ გეტკინებოდა?

– ჯერ რაის სიკვდილია, რომელ სიკვდილზე მელაპარაკები?

– რომელზე და კარს უკან რომ მიცდის, იმაზე, ეგეც უნიგნოდ ვიცი! წამო სახლში მივიდეთ და თუ გინდა, შენს ბედ-ილბალს ხელის გულზე გადაგიშლი, ჰე, გამოადგი ფეხი!

ნელა, ზღაზვნით, ბანცალით, მაგრამ გამხნეებული წამიძღვა სახლისკენ...

\* \* \*

არავინ არ იცის ვისი საფლავია, ერთნი – იეზიდისო, მეორენი – ჰემშილისო, ზოგნი – ქურთის და ზოგნი კიდევ – ციგნისო... სოფელი არ ივიწყებს ამ საფლავს, სოფელი ახლაც პატრონობს და ყველა ქრისტიანულ და მუსლიმურ დღესასწაულზე ამ საფლავთანაც ჩერდება, აქაც ტოვებენ ნუგბარტკბილეულს... მეც მახსოვს ამ საფლავის გაჩენა...

მანამდე... ქაშუეთის ცენტრში ჩარდახიანი ურმებით, ათასნაირი ხიბაკით კალაიჯები გამოჩნდნენ... უდროოდ დანაოჭებული, მკერდგაღელილი კაცები, ზურგზე აკიდული ჭრლეთავშალში გამოხვეული, ჩვილბავშვიანი, ჭრელა-ჭრულით მორთული ქალები. კისერზე ჯაჭვჩაბმული დათვიც ამოიყვანეს. კომაკეთის სერზე ოთხ პალოზე კარვები დაამაგრეს, რაც თან ჰქონდათ შიგნით შეზიდეს,

ქალებმა თითი დაგვიქნიეს, კარავში არ შემოხვიდეთ, ბავშვებს მივაგორებთ, ცოტას მოვლამაზდებით და გამოვალთო... გამოვიდნენ, გაგვიღიმეს, გადაიკისკისეს, სამტროდ არ მოვსულვართ, ერთი-ორი წლით ჩვენს დობას და ძმობას ხომ შესძლებთო?..

ბავშვები პირდაღებული ვუცქერდით და ვუსმენდით სოფელში შემოსულ ფეხშიშველა, უსმელ-უჭმელ, კუჭმშიერ სიჭრელე-სიფერადეს, სიცილ-კისკისს, კაბის შრიალს, სამაჯურ-ყელსაბამთა ჟღარუნ-წკარუნს... ტანაშოლტილმა ქალმა შემომცინა: თქვენ მოსახმარებლად მოხვედით თუ სეირის საყურებლად? მოდით, საცხოვრებლის განყოფილებაში მოგვეხმარეთ და მერე დათვთან გათამაშებთო...

...ქალები კარდაკარ დადიოდნენ, უსასყიდლოდ წამლობდნენ და მარჩიელობდნენ. გასამრჯელოს თუ წააძლევდნენ, გამოართმევდნენ... კაცები ქვაბებს, კასრულებს, ტაფებს კალავდნენ და აბზინვარებდნენ, სჭედნენ ცხენის ნალებს, დანებს, ჯაჭვებს, ხაფანგებს... ბავშვები ღობე-ყორე-ყანა-ბაღჩა დაძვრებოდნენ და ზოგჯერ დანისპირზე ფეხშიშველად დგომას გვასწავლიდნენ. ჩვენ, ქაშუეთლები პირის გარმონზე „ციგნურს“ ვუვლიდით, ისინი დოლ-გარმონზე „განდაგანას“ აყობდნენ ფეხებსა და მხრებს...

– მაღლა ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მშველელი, გამჩენო, შეისმინე ჩვენი ლოცვა და ქაშუეთლებს ნუ მოაკლებ ხვავს და ბარაქას, – ხშირად დაგვლოცავდნენ ცრემლებით თვალებდანამული „ციგნის ქალები“ და სიმღერით იქარვებდნენ ნაღვლიან გულს...

მახსოვს, ერთ დღეს კალათაახუტებული ბებია ილლიაში ამოჩრილი შინმოქსოვილი ხალათით ესტუმრა „ციგნის კარავს“, მეც თან ვახლდი. ჩვენს დანახვაზე ქალმა თავშალი და კაბა გაისწორა, აცრემლებული თვალები მუშტებით მოისრისა და ბებიას შესჩივლა: გამშრალ ძუძუდან რძე არ გამოდის, ბავშვი კიდე ტირის და ჯინიანობსო... – ხვალდან ჩვენთან ატარე ეგ გასაზრდელი, ჩემი რძალი და სამეზობლოს მეძუძური ქალები მოაწოვებენ ძუძუს, მერე ფაფების ჭამასც დაიწყებსო, – დააწყნარა ბებია. „ციგნის ქალმა“ კარვიდან თავი გამოჰყო, ღრუბლებში მიმალულ მზისკენ აიხედა და შე საპყარო, რავა დამალულხარო, მიაწაღვლა, მერე ბებიას მოეხვია, ხვალ დილიდან საღამომდე თქვენებს ყანის მარგვლაში მივებმარები, ამ ბიჭს კიდევე შენ დაგიტოვებო.

– კი, ნენი, დავიტოვებ, აბა არ დავიტოვებ მაგ გასაზრდელს, მარა ერთ რამეს გეტყვი და არ გეწყინოს, შენ უქმრო ქალი ხარ და ნამეტანი წელის და ტრაკის ქნევით ნუ დადიხარ, გედერიია სოფლის კაცები.

– ბებო, კი, მარა, ასე შავი და ასე უშნო ვის რად ვუნდივარ?

– გეიგონე რაც გითხარ, ნენი, კუნაპეტ ღამეში კაცისთვის ყველა ქალი ულამაზესია. შენ კიდევე იმფერი სიარული იცი, მკვდარი თვალს გამოგაყოლებს, ჩემი კაციც გადელდა, მაგის ღიმილი სჯობს მთლად სოფლის ქალებსო...

ორი კვირის თავზე მე და ბებია მდულარე მჭადით და დაფნნილი ყველით ისევ ვესტუმრეთ კარავს. ბებია გვერდზე გაიყვანა ის „ციგანკა“ და ჩურჩულით უთხრა: – ღმერთმა სული ამომხადოს თუ გატყუებდე, სოფლის თავში რომ უშვილძირო კაცი ცხოვრობს, იმას უთხრეს, მივცეთ ფარა „ციგანკას“ და შვილს მოგყიდისო. ქვა შეაგდო იმან, ეს რა მითხარით, მაგი ძუძუზე ფეხის დადგმას ნიშნავს, ჩვილის წართმევას ღმერთი არ გვაპატიებსო!..

...ახლაც თვალწინ მიდგას დაჩოქილი და ბებიის მუხლებზე შემოხვეული ციგანკა:

– ბებო, შენი გულის ჭირიმე, ღმერთო, მზეო, ცაო, წყალო, ეს ჩემი ბოლო სათხოვარია, ბევრი დღე არ მაქვს დარჩენილი, აქ ამ სოფელში დამასაფლავეთ, ღმერთო, შენ გაუმარჯვე ჩემს ბიჭს!

ის ნაუბარი სამარადისოდ ჩამრჩა გულში... ის ნაუბარი და მერენდელიც: ეს დედამიწა გამჩენს მართო მდიდრებისთვის კი არ გაუჩენია, მთა, ბარი, ზღვები, ოკეანეები, მდინარეები ყველასია, ვინც

დადის, საუბრობს, ფიქრობს, ტირის, იცინის, გალობს, ცეკვავს, მღერის, დარდობს, სწუხს, სძულს, უყვარს, მართალია, მტყუანია, მდიდარია, უქონელია, მორწმუნეა თუ ურწმუნოა...

და... კუბოში რომ იწვა თვალეზგახელილი და გულზე ხელეზდაკრეფილი...

გამოსაჩენად ტირილისა მრცხვენოდა... ჩუმად ვტიროდი ჩემს ყურყუმელა ციგანს, იეზიდს, ჰემ-მშობს თუ ქურთს...

\* \* \*

დილიდან ამეკვიატა, რამდენ რამეს ინახავს და იმახსოვრებს ტვინი, არავინ იცის თავის ხვეულე-ბიდან რა დროს, რას გამოფენს, სადაც ყველა ამბავი, განცდა, ემოცია, ხმა და წამია შენახული-მეთქი.

ამ ჟამს, ბავშვივით მიამიტი და გულუბრყვილო შირინის შიშნარევი თვალეზი ამომიტივტივდა თვალწინ, მუნჯად რომ ჩამიარა, სოფლის გაღმა ფერდობის ბოლოს ჩაიკუნცხა და ყრუდ აკვნესდა.

– რა იყო შირინ ბაბუა, რა გჭირს? – თავს წავადექი.

– დილიდან უიღბლო დღე მაქვს, თითქმის პნკალი შემესო, ძალიან მტკივა.

– თუ კაცი ხარ, შენი დანა მათხოვე, რა გაკვნესებს კაცო, პნკალი ვის არ შესობია, – ფრჩხილებით რომ ვერ ამოვიღე, დანის წვერით კანი კარგად მოვფხიკე, თითს მოვუჭირე და სისხლის წვეთს ეკლის წვერიც ამოჰყვა, – კიდევ კაი ტრაკზე არ შეგერჭო ეგ ხინვი, – მხარზე ხელი მოვუთათინე მოხუცს.

– მაღლობა, აგაშენა ღმერთმა, მაინც უზრდელი და მწარენიანი ხარ. – ჯოხი მომიღერა შირინმა.

– შირინ ბაბუ, რატომ ერთ ადგილზე არ მოისვენებ, აღმა-დაღმა დაბანცალე, იცოდე, ერთი დღეც იქნება, სადმე გადაიჩეხები და ფეხებს გაფშოკავ!

– კი მითქვამს წაღან სიმართლე, მწარენიანი ხარ-მეთქი... ეჰ, ნეტავ, ერთხელ მაინც დილამდე უდარდელად დავიძინებდე და მერე თუნდაც სულ არ გავიღვიძებდე, სად მაქვს, შვილო, მოსასვენებელი და წელგასამართი?

ენაზე ვიკბინე, გამახსენდა, შირინს სახლ-კარი რომ არ ჰქონდა. სოფლის სასაფლაო ან ნაეკლესიარი იყო მისი სახლიც და სასახლაც, დაღლილ-დაქანცული საღამოს მოცელილივით რომ დავარდებოდა, მაქ რომ სიჩუმეა ის სიჩუმე მიყვარსო... კი ჰქონდა ვილაცის ძველი სახლის სარდაფში ბუნაგი, მაგრამ იქ იშვიათად შეივლიდა...

არადა, იმ ფერდობზე, რომლის ბოლოსაც ახლა იჯდა, ადრე თურმე შირინის წინაპრების სახლი იდგა და ის ადგილებიც მათი სახნავ-სათესი, საბალახო იყო... შირინის მამა ომიდან არ დაბრუნებულა, სოფლის თავმჯდომარემ შირინზე ფეხმძიმე ქვრივს მოტყუებით სამოსახლო, ეზო-კარი და ბაღჩა-ბოსტანი წაართვა, ხმა არ ამოიღო, თვარა შენი ქმრის გამო ციმბირი უკან დაგრჩებაო... მშობიარობას გადაჰყვა საწყალი ქალი და არსთგამრიგეს დაუტოვა შირინი... სოფელმა და შორეულმა ნათესავებმა გაზარდეს. რომ წამოზრდილა, თავმჯდომარისთვის უთქვამს, იცოდე სიკვდილის წინ მე მოგელანდებო!.. ომი ახალი დამთავრებული იყო, სოფელს სატვირთო მანქანა გადასცეს, იმ დღესვე საჭეს მიუჯდა თავმჯდომარე, აღმა-დაღმა აწრიალა, აღრიალა და იმ დღესვე მანქანიდან ხრამში გადაიჩეხა. პირდაღებულ ხრამში პირველი შირინმა ჩაირბინა და თავმჯდომარეს თვალეზი დაუხუჭა...

დაიგორგლა ეჭვის ძაფი, კეტივით კაცს ასე ადვილად რა მოკლავდა, ეტყობა, შირინმა გაუროფა თავი ქვითო... ნახევარმა სოფელმა კეთროვანივით დაუნყო ყურება, მეორე ნახევარი ჩუმ-ჩუმად ეთობდა... მერე იყო იმ თავმჯდომარის მთვრალმა ბიჭმა მდინარეზე ფიცრული ხიდის ნახევარი

გაიარა, ფეხი აუსხლტა და გადელეხულ მდინარეში ჩავარდა. პირველი შირინი გადაეშვა საშველად და ხრჩობა-წვალეებით ნაპირზე გამოათრია. მთლად სოფელი იქ შეგროვდა, არიქა, მუცელი გაუსინჯეთ გაბერილი არ იყოს, ფეხებით დაეკიდოთ თხმელაზეო. მაინც არაფერი არ ეშველა იმ საწყალს... ეჭვის ძაფი ისევ დაიგორგლა, ეტყობა, შირინმა გადაადგო წყალშიო... მეორენი ჩუმად კითხულობდნენ, მაშ რაღას გამოათრია წყლიდანო...

ერთხელაც, ისევ იმ ფერდობის ბოლოს შევხვდი შირინ-მათხოვარს.

– რას მოკუნტულხარ, შირინ ბაბუ, ნამტირალევი მეჩვენები.

– ამ ქვეყნიდან მწარე ბედზე მოფიქრალი კაცის სახელით გავდივარ, შვილო, ცხოვრებამ ათას-ნაირი ხაფანგი დამიგო, ჩემს სოფელზე და ჩემს ხალხზე აუგს მაინც ვერ ვიტყვი, როგორც შეეძლო ისე მომეთბო და მიმიხუტა... იცი შენ, ვინმემ ძალით, ფიცით, ხათრით, წყევლით თუ არ შემიყვანა, ისე სხვის სახლში ფეხის შემდგმელი არ ვარ. გუშინ, დაბლა სოფელში ჩემზე უფრო დამჭნარი და დამდნარი ქალი შემეხვეწა, პანა ხანს შემოდი ჩვენსას, პური გაგვიტეხეო. ნეტავ, არ შევსულიყავ. ნახევარი საათი არ იქნებოდა გასული, ოჯახის მთავარი კაცი აბუბუნდა:

– ჰე, ქალო, აჭამე რამე, ჩაი დააღვინე და გზა დაულოცე, აქ ხომ ვერ ჩავისახლებ!

დავავლე ჯოხს ხელი და გარეთ გამოვედი. ჭიშკართან მომადახა:

– მაღლობა მაინც თქვი, შე ოხერო, გაჭამე, გასვი, გამოგბესკვე!

– მაღლობა, გენაცვალე, უფალი გადაგიხდით სიკეთისთვის! – პასუხი რაც შემეძლო ხმამაღლა დავუბრუნე. ჩემთვის კი ვთქვი, ნეტა არ გაგეძლე და არ გაგეთბე, ჩემი მძორით მინა მაინც განოყიერდება, აი, შენი კი ააშმორებს-მეთქი...

...ის დღე იყო და არავინ იცის სად გაქრა შირინი, იმის შემდეგ ლანდიც არ მინახავს მისი...

## ჰაშორი

მასწავლებელმა კედელზე მენდელეევის ტაბულა რომ დაგვიკიდა და აგვიხსნა, რომელ გრაფაში რა ელემენტი იყო, დათამ გულდასმით მოისმინა, შემდეგ გამოაცხადა: აქიდან არცერთის მსწავლელი არ ვარ, მარტო „ჰაშ ორი ო“ მაინტერესებს, ჰაერი და წყალია მთავარი, დანარჩენი ყველა მჟავა და ნახშირწყლები შეისხით უკანო! იმ დღიდან დათას „ჰაშ ორი ო“ შევარქვით. მერე გრძელი გვეჩვენა, „ო“ გამოვაკელით და შეგვრჩა „ჰაშორი“...

ჰაშორი სწვალას გულს ვერ უდებდა, გაკვეთილები დიდად არ აინტერესებდა მაგრამ ენით ბუხრიდან გაავარვარებულ ნაკვერჩხალს გამოავდებდა.

მე უფრო მიწის ენა მესმის ვიდრე წიგნისო, იტყოდა ხშირად. ერთი ლექსი იცოდა, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ჩვენს სიცოცხლეზე ძვირფასი იცოდეთ, საქართველოაო“... პირველ კლასში რომ მოვიდა, დაბადების მოწმობა არ ჰქონდა, არ ვიცი როდის დავიბადე, დედაჩემი ამბობს, შენი გულისთვის პურის ცხობა გავაგდე, მარა რომელი წელი იყო არ მახსოვსო, მამას კი ეცოდინებოდა, მარა სა მყავას მამა, ადრე მომიკვდაო...

კი უთხრა მაშინ სკოლის დარაჯმა: ჰაშორო, დადუღებული და დამთავრებული თუ არ იყავ, დედაშენის მუცლიდან რაღას გამოდიოდი, ყოფილიყავ იქ, გამოეცხო დედაშენს პურებო... დათა ამ ნათქვამზე არ გაბრაზებულა, ხმამაღლა კი გადაიკისკისა. მასწავლებელს უთხრა, „მეტრიკა“ თუ გინდათ, გამიკეთეთო...

ბებიაჩემის გამო ჰაშორს ძალიან ვუყვარდი. აგერ ახლა მითხრა, კაი ნენეი გყავდა, იმის ძახილი ყურიდან არ ამომდის: ჩამეირბინე ერთ წამში, კეცს ცხელი პური მოვპარეო, ცქვიტად ჩავირბენდი, ჩავიხუტებდი მდულარე, ერბოიან პურს, სამზიარამდე მყოფნიდა, იქ არჩილას ყანიბოლოს, კიტრს



ჩავატქმამუნებდი, კიტრი თუ არ იყო, გორაზე გერონტის ბაღზე ავძვრებოდი და გამობესკვილი მივდიოდი სახლში. მეორე დღით რომ გამოვივლიდი, ბეზიაშენს დავუძახებდი და ეზოსკენ ყვითელყვითელ ვაშლებს დავუგორებდი. არ გახსოვს შენ მაი ამბები, შენ მაშინ წიგნში იყავ თავჩარგული... ერთ დღეს რა შემემთხვა, თუ გახსოვს, ნიაზო? – რომელზე მეუბნები-მეთქი, – მხრები ავიჩეჩე.

– მოვდივარ სკოლიდან სახლისკენ, შენ ხარ ჩემი ბატონი, სამზიარში ძროხის საზარელი ბლავილი მესმის, გადავახტი თავდაღმა თხილებისკენ, რას გხედავ, ბლის ძირში ენვერას ძროხა მშობიარობს. უჭირს, თვალებს აბრიალებს, იჭინთება, ბლავის, ფშინავს, ფშუკუნებს... გავაგდე ჩანთა, გევიხადე კოსტუმი, წავიკოტავე მკლავები, ჩავავლე ხელები საშოდან წამოსულ ხბოს ფეხებში და დაღმა დავქაჩე, ჭრელი ხბო გამოსისინდა გარეთ. კი ვიცოდი რა უნდა მექნა, სასწრაფოდ ცხვირის ნესტოები გავუწმინდე, კარგად ისუნთქოს-მეთქი, მერე გაღმა ყანაში ასიე ნენეს გავძახე, გამეიქეცი, ძროხამ ხბო მოიგო, ჭიპლარია გადასაჭრელი-მეთქი, მერე ავნიე სველი ხბო და ძროხას ცხვირწინ დავუდე, იმან კიდევ მადლიერების თვალები შემომაბრიალა და ხაოიანი ენით ხბოს ლოკვა დაუწყო...

ასიე ნენემ მლოცა და მლოცა, ღმერთმა დიდი ბიჭი გაგზარდოსო... კვირის თავზე კიდე, მწყევლა და მწყევლა.

– რატომ ჰაშორო, რა ქენ იმისთანა?

– რაგატკით ქვა გავუწუილე და ასიე ნენეს კაცს ყვერებში ვსტკლიცე, ძროხაზე უფრო საზარლად ბლაოდა საწყალი. სულ „იობთვაი მატოს“ იძახდა. კი არ მინდოდა, ვიფიქრე, ცოტას შევაშინებთქვა, მარა მრუდე ხელი მაქვს და რა ვქნა! ერთი თვის მერე შევრიგდით. – რაფერ ხარ-მეთქი და ხელები შემოვხვიე. – კარგად ვარ, ჰაშორო, მარა თავბრუ მეხვევა, ვმარხულობ კი იცი. – იმარხულე, ასიე ნენი, მარა, თუ მარტო ხარ და ვინმე ვერ გხედავს, ჭამე რამდენიც გინდა და რაც გინდა, ვინ დაგინახავს! – აგაშენა ღმერთმა, შვილო, კი ვქენი მასე, ახორში, სიბნელეში დავჯექ ბაგაზე და მჭადი-ყველი ჩავქუქნე, მარა მაისამ ფერდში რქა მატაკა, სხვა თუ ვერა, ღმერთი ხომ გხედავსო...

იცი შენ, წიგნის გარდა, ცოტ-ცოტა ყველაფერი მესმის, მთის, ბარის, ცის, მიწის, ცხოველის და ფრინველის, წვიმის, ქარის, ქარაშოტის, თოვლის, მეწყერის და ზვავის. ნისლების მიმოსვლით ტაროსის გამოცნობა შემიძლია, დაკვირვებული ვარ, ზამთარში ბევრი ყვავი თუ დამჩნავის, იმ წელს გაჭირვება იქნება, ბულბული როდის და რატომ გალობს, ისიც მესმის... მზესაც შენსავით ველაპარაკები.

– მზეს რაზე ელაპარაკები, ჰაშორო? – გადავფიჩინდი მე.

– ერთხელ, ბაღლობისას ვუთხარ, ღმერთთან შენ უფრო ახლოს ხარ და გადაეცი, მე ერთი კაცის სიცოცხლე არ მეყოფა, ის ათი წელი სკოლაში ტყუილა რომ დავდიოდი, სიბერეში მომიმატოს-მეთქი.

– რაო მზემ?

– გაეცინა, ინდაურივით გაიფხორა და ყველაზე მწველი სხივი უქუდო თავზე დამარჭო, მერე გაქრა, გადაიკარგა. ისეთი თხლიშინა წვიმა წამოვიდა, ვიფიქრე, დავილუპე-მეთქი. მზისმხარეს ავძახე, კაი, ნუ ბრაზდები, არ მინდა ის ათი წელი, რახან არ გემეტებათ, სხვას მიეცით-მეთქი. მალე ისევ გამოანათა. ვუსაყვედურე, რა იყო, რას გადაირიე, რას მოიღრუბლე-მეთქი? ჩამომძახა მზემ:

– ძნელი თხოვნები წერილობით უნდა გაუგზავნო ღმერთს!

– როგორ გავუგზავნო, ვის გამოვატანო, მზევ?

ახლა ის მწველი სხივი კლდეს მიუშვირა, მანიშნა, იქ დატოვეო!

– მერე, ჰაშორო?

– რა მერე, დავჯექ, დავწერე და კლდის ნაპრალში შევჩურთე.

– პასუხი მიიღე?

– პასუხი არ მოუწერია, მარა მზემ მითხრა, ღმერთი თანახმაა, მის ქეიფზე იაროს ჰაშორმაო. კაი, ნუ მალაპარაკებ, ნიაზო, აგერ ბაბუაჩემის სკივრიდან ხელნაწერი ლექსი ამოვიღე, ჩვენს ქაშუეთზეა, თამარ მეფე რომ სტუმრობდა ჩვენს სოფელს, იმაზე. შენზე კარგად ვინ მიხედავს ამას.

გამოვართვი ქალაღდი ჰაშორს და ჩავარაკრაკე:

„ქაშუეტს მობრძანდა თამარი  
კარჩხალს ნათელი მოჰფინა,  
– აქამდე რატომ არ მოველ,  
ეს რა ლამაზი ყოფილა...  
– თამარ ქალო ქალასაო,  
ქალო მზისა თვალასაო,  
კაბის კალთას დაგიკოცნით,  
ჩვენთან დარჩით ხვალაცაო!  
ვარდს გაგიშლით,  
შარბათს გასმევთ  
კომაკეთის სერზედაო,  
თავზე ფატას დაგახურავთ,  
ვიგალობებთ შენზედაო!“...

\* \* \*

გაქალარავებული, წელში გაღუნული აივანზე პირალმა იწვა და ამოქნარებდა. ჩემს დანახვაზე, წელგაკავებულმა ტანი ძლივს ასწია და ტახტზე წამოჯდა.

– ვაა, ეს ვინ მოსულა, მიწიდან ამოძვერი თუ ციდან ჩამოფრინდი? რავაა საქმეები თბილისში, როგორ შეეგუე სტუდენტობას, სწავლობ რამეს? რომელი საათია ახლა?

– თორმეტია, ბიჭიკო, კარგად ვარ, კარგად ვსწავლობ.

– რას სწავლობ?

– ბოლოს ლექტორი „მანონ ლესკოზე“ გვესაუბრა.

– არ მაქვს მაი წაკითხული, ვინ არის და რაზეა?

– სიყვარულზეა, ბიჭიკო ბაბუ, ბოლოს მოკვდა მანონი და მისმა შეყვარებულმა დე გრეიმ დანით გაუთხარა საფლავი.

– ნამეტანი გატყლარჭული ლაპარიკობ, ტვინი ხომ არ გადაგიბრუნეს თბილისში? ახლა რომელი საათია?

– პირველის ოცი წუთია, რა გჭირს, ბაბუ, სულ საათს რომ კითხულობ?

– წამალი უნდა დავლიო და არ გამომეპაროს. ხან ელენთა მანუხებს, ხან თირკმელი, ხან სკლეროზი, ხან წელი... ჩაი ახლა ეზოში, წალდით ქათამს თავი გააგდებინე და დედაბერს მიეც გასაპუტად!

– მეჩქარება, ბიჭიკო, მალე უნდა წავიდე!

– დღეს წასვლა-მოსვლა აღარაა შენი საქმე, ვერსადაც ვერ გაგიშვებ! იცი, რას გეტყვი? მაი პერანგი შარვალში ჩაიკალთავე, ქარმა არ დაგკრას და არ გაცივდე, მუცელიც გიჩანს, სირცხვილია!

სამზადიდან ციციწო გამომესარჩლა: – გადმოშვებული პერანგი მოდაშია ახლა, მუცელს აჩენს თუ კვერცხებს, შენი რა საქმეა? ცოტა მოიცადეთ, აგერ სახაჭაპურე ცომს შევავუნდავებ და მერე ქათამსაც ავაშიშხინებ კეცზე.

ბიჭიკომ თვალეები იქით-აქეთ მიმოაცეცა, მუხლზე ხელი დამადო და ხმადაბლა მეუბნება:

– ახლა ლენინია ყველაფერი – სინდისი, ნამუსი, კაცობა, რწმენა, მშობელი და მშობელზე ძვირფასი. ჩემს ახალგაზრდობაში კიდე, ღმერთი იყო ყველაფერი. ბოლშევიკებმა, რაის ღმერთიო, ლე-

ნინია ღმერთი და ღმერთზე მაღალიო. მაინც იცოდე, შვილო, ლოცვაზე და შრომაზე დიდი სიკეთე არ არსებობს, გამოსაჩენ-დასანახად თუ ვერა, ღამით მაინც ილოცე და მეორე დღის საქმე წარმატებული გექნება! გამიხსენებ, იცოდე!

– ბიჭიკო, მაგას ლექციები იქ, თბილისში აქვს მოწყენილი და აქაც უკითხავ? ერთი ის მაცოდინა, შავი ვარია ასე გამწარებით რატომ კაკანებს და მეტი არაფერი მინდა. – სამზარეულოდან გაგვაგონა ხმა ციციწილად.

– რატომ ციციწილად, მაგ ვარიამ მის ცხოვრებაში დღეს პირველი კვერცხი დადო და ნამეტანი გაუჭირდა, – ხველგარეული სიცილით გაეპასუხა წელთა სიმრავლით დაღარული ბიჭიკო.

– ბიჭიკო ბაბუ, გახსოვს რა მაღლი მოისხი, ახალთახალ ფეხსაცმელზე ნაკერი რომ გამერღვა და აბრეშუმის ძაფით დამიკერე?

– რა მაღლი ეგ არის! მაღლი და სიკეთე ის იყო, მიღმა ვანოს, ზამთარში სახლი რომ დაეწვა, მეზობლებმა სასწრაფოდ ორი სული ძროხა რომ დაუბეს, გასაზამთრებელი სიმინდი, ლობიო, კარტოფილი მიუტანეს და იმ ყიამეთში, ერთ თვეში ნასახლარზე სახლი დაუდგეს.

გუშინ ბიჭიკოს შვილთაშვილი შემხვდა, სასაფლაოზე გამოძევი, დღეს ბიჭიკო ბაბუა 122 წლის გახდებოდა, თითო ჭიქა წაეუქციოთო...

ღმერთმანი, კარგი რამეა გახსენება...

\* \* \*

მაგიდაზე დაწყობილ წიგნებს გადახედა და შემომცინა:

– რაზე წერ?

– ხან რაზე და ხან რაზე, უფრო საზღვარმიღმელ ქართველებზე, პატარ-პატარა ნოველებსაც ვწერ, იქნება ასე უფრო წავაკითხო ვინმეს, დიდი ნაწარმოებების კითხვის დრო სადღა აქვს მკითხველს.

– არის სულისთვის საჭირო და ისე წიგნები, შენ რომელს წერ?

არ ვიცოდი რა მეპასუხნა და... – არა, არა, სულისთვის სხვებისას ვკითხულობ...

თვალები მოჭუტა, მუხლზე დამეყრდნო, ნელ-ნელა წამოდგა და დათაფლული ღიმილით მითხრა:

– ნუ გეშინია, საჩხუბრად არ ვარ აღერლილი, შენი წიგნი წავიკითხე ფერეიდნელებზე და ძილიც დავკარგე და მოსვენებაც, დიდება შენდა გამჩენელო, მაგენი რა მაგარი ქართველები ყოფილან, ჩვენ რა გვჭირს?

– სანდალა ბაბუ, მგონი მოსვენებას ის უფრო გაკარგვინებს, ათ წუთში მეორე ღერ პაპიროსს ქაჩავ, არ შეიძლება ამდენის მონევა!

– ამას მონევა ჰქვია? ჩავისუნთქავ, ჩავა ფუტი მუცელში, მიმოათვალიერებს გულს და ფილტვებს, მობრუნდება უკან და ცხვირიდან ან პირიდან გამოშვება გარეთ.

– ე. ი. ტყუილა აფუჭებთ თუთუნს, ტყუილა აშავებთ გულს და აცხავებთ ფილტვებს...

– მაგ ჭკუის სწავლებას სჯობია სახლში შემოდი, სტუმარი ხარ მაინც.

– რაის სტუმარი ვარ, სანდალა ბაბუ.

– კაცი თუ ზღურბლგადაცილებულში დგას, იმ წამს სტუმარია ის შენთვის. მერე ვნახოთ როგორ გავუშინაურდებით ერთმანეთს. ამ ბოლო დროს ვერ ვაწყობ ქალაქელებთან საუბარს, არადა, ყველას ნასწავლი კაცის იერი აქვს. ისე, ხანი რაც უფრო მემატება, მალ-მალე სული წამძლევს, ძველი ამბების მოყოლა მინდება, მერე ვფიქრობ, ვის სცალია ჩემს მოსასმენად-მეთქი.

– მითხრეს, სანდალა სულ სახლშია შეკუჭულიო, მასე არ შეიძლება, ხანდახან გარეთ გამოდი, გაინძერი, გაიარ-გამოიარე!

– გუშინ აივანზე გავბარბაცდი, მიღმა მიხო იყო მოსული, ნარდმა ჩაგვითრია, მიხოს სულ მარ-  
სები მივყარე. წასვლისას ყურში ჩამყვირა, მოგაგებინეო! დავანყნარე, ნუ ბრაზობ, თხუთმეტ წელ-  
ინადში შენგან კაი მონარდეს დავაყენებ-მეთქი. ასე დავჩაჩუნო და ვარ, სიკვდილს ვეპოტინები  
ხელიდან რამდენიმე წუთი კიდევ წავართვა. წალან გითხარ, ქალაქელებთან მაინცდამაინც ვერ ვა-  
წყობ საუბარს-მეთქი. გასულ კვირას, ეზოში, ფუტკრის ახალ სკებს ვაფაჩინიკებდი. წყლის დასაღე-  
ვად შემოსულ, მხარ-ბეჭგაშლილ, ქალაქური იერის ბიჭს წავენუნუნე, ვნახოთ, ახალ სკაში ფუტკარი  
თუ შევა-მეთქი. გადაკვდა კინალამ სიცილით, რას არ შევა, მაი ზღაპრები ჩვილ ბავშვებს მოუყევით.  
შემდეგ ვუთხარ, სკასთან საგანგებოდ განვრთნილი ფუტკრები დალოდავენ, ათვალყურებენ ვინ  
რას საქმობს, მუქთახორებს ჰკლავენ და გარეთ ჰყრიან-მეთქი, რომ აუარებელი მტერი ჰყავს ფუტ-  
კარს, ფრინველები, მატლები, წვიმა-ქარიშხალი, ყოველ დღე ცხრა მთას იქით მიბზუიან სურნელო-  
ვანი ყვავილებისთვის, დეზებზე მტვერს აიცხობენ და დატვირთულები ბრუნდებიან უკან, ამ დროს  
წვიმა სიკვდილია მათთვის, ათასობით იღუპება... ამაზე ის ქალაქელი მთლად გადაირია, მაგარი  
მეზღაპრე იქნები, გამიმართლა რომ გაგიცანიო. მე ვუთხარი, დედამინა ტრიალებს და სულაც არაა  
გასაკვირი ჩვენი შეხვედრა-მეთქი. გამიბრაზდასავით, შენც გჯერა მაგ ტრიალისო? კი, მჯერა, ტრი-  
ალებს, აბა არ ტრიალებს-მეთქი? გადაიხარხარა, რატომ ტრიალებს, რას ეძებსო? მაგდენი აღარ  
ვიცი, რას ეძებს და რატომ ტრიალებს-თქვა. იმან კიდევ, აბა სულ იტრიალებსო? ალბათ-მეთქი...

შენც კაი ვინმე ხარ, ნიაზო, შემოიყოლე ლაპარაკი. შემოყევი ახლა სამზადში, წამეხმარე ცოტა,  
ლობიო მაქვს, მჭადსაც გავაფიცებ, თუ გიყვარს, ჩვილ ყველზე ერბოს დავამატებ და ტაფაზე ავა-  
შიშხინებ...

– სანდალა ბაბუ, კაცი არ ვიყო, შენს სიყვარულზე თუ არ დავწერო!

– ეჰჰ, სულ მაგას რატომ მახსენებ?! სხვა დრო იყო მაშინ, ჩემებიც და იმისიანებიც გადაირივნენ,  
ჩვენი მოყვრობა როგორ იქნება, მტრობა გვაქვს ერთმანეთში, სისხლი გვყოფსო. იმათიანები საცხა  
შორს გადასახლდნენ, ჩვენ ამ სოფელში გადმოვბარგდით...

...ის რომ ნაწნავებს გაშლიდა და აივნიდან გადმოფენდა, იმის ნახვა თავგზას მიბნევდა... მარტო  
მაგისთვის ღირდა გაჩენა... ძნელი ყოფილა სიშორე... ნეტავ, არ მენახა... ჰა და ჰა გავდივარ ამ  
წუთისოფლიდან, მაგრამ მალ-მალე ფიქრი მაინც გამივლის გულში, ისევ შემახვედრებს ბედისწე-  
რა-მეთქი...

\* \* \*

გაშტერებული ვუყურებდი, ყელში სიბრაზის ცრემლები მანვებოდა, ლამაზი კი თაფლა თვალე-  
ბით მიყურებდა და მემადლიერებოდა...

...სანამ ლამაზი ნამმოპკურებულ ბალახს მოძოვს, წყაროზე დარწყულდება, ცოტას წავუძინებ-  
მეთქი. ქშინვა-ფშუკუნზე გამელვიძა, ლამაზას ხაჭაპურის, მოხარშული კვერცხის, მსხლის, წიგნის  
(გივი კარბელაშვილის „მგზნებარებით ჩაფერფლილი გულები“) ჭამა, წყლის დაღევაც მოემთა-  
ვრებინა და კაკლის ჩრდილში ნებიერად იწვა. ტყუილს როგორ გკადრებთ, ყუაშემოჭმული პური  
ჩემთვის დაეტოვებინა... გაცოფებულმა, შენი ნადორობალი პური ვის რად უნდა-მეთქი, მეზობლის  
ცხვრებს გადავუგდე. გამახსენდა პურზე გაბრაზება არ შეიძლებოდა, უფროსების ნაბაძვით პუ-  
რის ლუკმა ან ფუნჩხი რომ დაგვივარდებოდა, ავილებდით, სულს შევუბერავდით, ვაკოცებდით და  
შევჭამდით... ძირს დაგდებული პური ავიღე, ხელი გადავუსვი, ლოყაზე მივიდე და ცხვრებს ჩემი  
ხელით ვაჭამე. თან ის გამახსენდა, დილით პურის ცხობისას, ბებიამ ასტამით ნაკვერცხლები რომ  
შეაჩინჩხარა და წაარაკრაკა:

„კაცი უჩემოდ ვერ გაძლებს,  
ვერც გლეხი ვერც დიდებული“.

ახალი საფიქრალი მაქვს, როგორ დავსაჯო ლამაზაი მსუნაგობისთვის, მაგრამ იმნამს ძროხაც და ჩემი თავიც შემეცოდა, მე და ჩემი კლასელები ხომ სკოლის შემდეგ ასოების წერას ლამაზას ზურგზე და მუცელზე ვსწავლობდით, ბედად, ნახშირი საძოვრებზე ყველგან ეყარა. იმ ნახშირით ხან რა ასოს ვაწერდით ლამაზას ფერდზე და ხან რას. დადიოდა ჩემი ლამაზაიც აღმა-დაღმა, გაღმა-გამოღმა წარწერით: ი, ა, ე, ო, უ... და... მერე და მერე ჩვენი სახელებით... ბებიის ხმაც ჩამესმა, მეწველ ლამაზას რომ ლოცავდა: „ხვავიანი გვიმყოფე ჩვენი ლამაზაი, დაუდგეს თვალი, ვინც გონჯი თვალთ შეხედოს, ასცილდეს ჭირი-უგვანობა, ვისი თვალიც ეცეს, იმის თვალი გამოითხაროს, ცურნეში რძე ჩაუდგეს, ლამაზი ფუჩიები დეეზარდოს“...

ლამაზას ყურზე წამოვუპარტყუნე და შუბლზე ვაკოცე, ახლა თანატოლებზე ვბრაზობ, სად არიან ამდენ ხანს, რატომ ვერ ხვდებიან რომ მშობი-მეთქი... ეჰჰ, ერთად რომ შემოვუსხდებოდით სახლიდან გამოტანებულ და კორდზე გაშლილ ნუგბარებს, არ ვიცოდით ვინ შეძლებული იყო და ვინ ღარიბი, ვისი ბევრი და ვისი ცოტა, ყველა მასპინძლები ვიყავით და გამვლელ-გამომვლელს ჩვენთან ჩამოჯდომას ვეხვეწებოდით...

მშობი, ძალიან მშობი... ჭრელ კაბაში აპებულებული ფეხზე წამომადგა თავს: – რა საწყლად იყურები, რა გჭირსო. – ფეხზე ბიცოლა, ლამაზამ საჭმელი შემიჭამა და წიგნიც მიაცოლა-მეთქი.

ძალიანაც კაი უქნია, მაგას ვენაცვალე, მთელი დღეა პირიდან არგამოსაშვებ ლექსებს აჭიკჭიკებ, კინაღამ მეც რომ დამაზებინებინე:

„ბიჭმა გოგო გაიტყუა  
ჩიტის ბუდითვინაო,  
ჩიტი ბუდეს რა უნდოდა?  
სულ სხვა რამითვინაო“...

...რაისთვის გაიტყუა ის გოგო, იმ ბიჭმა, მითხარ, აბა?

– მე რა ვიცი, ფეხზე ბიცოლა, რისთვის გაიტყუა.

– ჰოდა, თუ არ იცი, რას არაკრაკებ, დოუკვირდი ცოტა! მოი აგერ, ათასი რაცხა მაქვს წამოღებული, ჭამე, არ მოგერიდოს, ცოტა მანონიც არის დარჩენილი, დაასხი წყალი, გააჟანჟვალე და გოდოლუშვი ყანყრატოში, ლუკმა მუქთახორისთვისაა არამი, თვარა შენისთანებს გამჩენელი ლუკმას არ მოაკლებს!

მაშინ ვერაფერი ვერ ვუთხარი ფეხებს, ამდენი წლის შემდეგ, ნუხელ, შუალამე რომ გატყდა, სამადლობელი ცრემლები ჩამომეკიდა...

\* \* \*

ფეხის ხმამ და ჩურჩულმა გამაღვიძა: – ადექ, ნენი, შენი გულის ჭირიმე, შენ რომ გიყურებ ამ ყინვაში გულში ასი მზე ბრწყინდება, ადექ, გაასწორე მაი მიმოფუშული ლოგინი, აბა, ჰე, ნუ გეზარება!

საბნის ქვეშედან გამოვიჭყიტე, ბუხარში მოპარპალე ცეცხლს ვუყურე, ვუყურე, საბანი გვერდზე მოვიქნე და ფეხზე წამოვვარდი.

– ჩემო ჭუჭულო, მაგერ მოჭუჭკული ფარა, ჩუუტანე დაბლა დათას, არ შეევაჭრო, რასაც გეტყვის იმდენი მიეც, მაგიორში, ოთხი ცალი ჩხიკვი გამოართვი, ბევრი დაუჭერია მაგ ქუდბედიანს. ამეიტაი, შენი ჭირიმე და იმფერ ჭინჭრიბუხას მოვამზადებ, თითებს ჩააკნიტავ.



დათამ ფული არ მინდა, ბებიაშენს უთხარ, ოტკა რომ აქვს გადამალული, იმას ითხოვს ჩხიკვებშიო...

გულმონყალე და დიდსულოვანმა ბებიამ ალაღად და მიმზიდველად გაიღიმა, მალადეც მაგ სქელტრაკას, მარიფათები კი იცის, ჩუუტანე აი ოტკა და ჩაცეცხლოს.

ცოტა ხანში ოთახში დათა შემოვიდა:

– ამ ფეხებმა თავისით ამომიყვანა, თვარა სულ არ ვაპირებდი აქ ამოსვლას, თან ვიფიქრე, ამ ცერცემუტა-დაბნეულმა გზაში ბოთლი არ გატეხოს-მეთქი, – მე გადმომხედა. – ბარემ აქვე დავლევ, მეიტაი მაი წატე არაყი! – ბებიას შეაჭყირდა.

– აი გასაზრდელი მართლა უგერგილოა, თაროდან ჭიქას ვერ ჩამოიღებს, დანარჩენი ჭურჭელიც თუ არ წამოიმხო თავზე, მარა წატე და უხიაგი შენ ხარ, თუ კაია! ამაში, – ბოთლი გააფარულა, – გრამი შაქარი არ ურევია, შე ოხერო, სულ ღლაბუცის იშტაჰზე რაფერ ხარ, ტრაკი კალოსავით რომ გაგბრტყელებია!

ჭაჭამ პირი გამოხანხლა დათას, წამონითლდა, სუნთქვა შეეკრა, პურის ნატეხს ძლივს დასუნა და კეჟერა ფხლის მჟავე პირში ჩაიტენა...

ბებია მომიბრუნდა, რას აჩაჩულ-დაჩაჩულხარ, ჩაი საბძელში, ქათმებს კვერცხები მოპარე, იცოდე, ძევალი დატიე ბუჯერში, გატეხე და ამ ბადიაში ათქვლიფე, მე ამასობაში ჩხიკვებს გავბურდღავ.

ბებიამ ჩხიკვები მდულარე წყალში ჩაყო-ამოყო, გაბურდლა, განმინდა, შეტრუსა, ზოგი ხელით, ზოგიც დანით დაანაკუნა, ერბოიან ტაფაში ჩაანყო, ზემოდან მწვანე ხახვი დააყარა, მოთუშა, აპინკინებულ ხორცზე ათქვლეფილი კვერცხი დაასხა, შავი წინაკა და მარილი ურთო, კარგად აურია და კმაყოფილმა ჩაილაპარაკა, სკვინჩა, ჩხართვი და შაშვი მთლად კაია ჭინჭრიბუხიზა, მარა ესეც არ დეინუნებაო...

დათა შეესიტყვა: – შესახედავად კაია, მარა მთავარია გემოთი რაფერია, ნეტაი, თქვენ საქმე დაგლევიათ, მჟავე-მჟუფე, ოტკა და რა საჭიროა სხვა რამე! – მოზრდილი ჭიქით არაყი გადაყლურნა, ისევ წამონითლდა, ისევ შეეკრა სუნთქვა, ისევ მჟავე ჩაიტენა პირში...

ბებია გაუბრაზდა, მაგას რა გასვამს, აგერ ჭინჭრიბუხა გასინჯე, სვი, სვი და დვენახავ რაფერ ჩეივლი გზაზე!

დათა ამოსუნთქვისთანავე შეეპასუხა, რას იზამ, ყველა გზა არც სახლში მიგიყვანს და არც ტაძართან! შენ რა გზით აპირებ ანე სიარულს?

– ვარლამას ქუჩას ტაძართან რომ არ მიყავართ, მაგი ძველი ამბავია, ჩემი გზა კიდეც გამჩენელმა იცის საით წამიყვანს სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში. ღმერთი, რჯული, განზრახ ცუდი არც მითქვამს და არც მიქნია, ვინმეზე აუგი არ წამომცდენია, უნებური შეცოდებანი ათასი მექნება, არსთგამრიგე დამაყენებს კუთვნილ გზაზე! – ხმაათრთოლებით თქვა ბებიამ. მომეჩვენა მის თვალებში სიხარულის შუქი ჩანაცრდა.

დათამ ჭიქა დააპირქვა და ენაკვიმატობა გააგრძელა:

– ნუ გეშინია, ნენი, ჯოჯოხეთშიც რომ მოხვდე, ერთი მუგუზალი იქაც ბჟუტავს, იმას მიუჯექი და კი იქნები თბილად.

– დათავ, რაცხა ნამეტანი დამასე კბილი, ხომ არ გინდა შეშის ნაკოდით ჩაგიმტვრიო, უშნოდ არაცრაცებ მაგ ფულურო თავს, ადექ, ეიშალე წელში, დღის სინათლეზე ჩაი სახლში! – ჭოვ, – მე მომადახა, – ღამეს მოსვლა ავიწყდება თუ რა არი?!

სოფლის თავზე აღოღებული მზე უსხივოდ, გაუბედავად, უძალოდ ბჟუტავდა...

\* \* \*

გარეთ თოვს, სახლში ყირაზე გადავდივართ, ვტრიალებთ, ვბზრიალებთ, ვცეკვავთ, ერთმანეთს ვასკდებით... გადამიტრიალდა ფეხი და ამოვკოტრიალდი გულალმა...

– ადექი, გასაზრდელი, მოისვენე! რვაჯერ შვიდი არ იცი, რა გაცეკვებს? – ქოთქოთებს ბებია.

– გულვარდო, მაი, არც მე ვიცი, მარა, ვისზე ნაკლები ვარ? – იცინის გურამი.

– შენც ამათი ჭკუის ხარ!

ღუმელში შეშა ტკაცა-ტკუცით ბარბალებს. ბებიამ გაშანთებულ „სკოროდადან“ პური წამოაგდო, მის ადგილზე მოხარშული ქათამი ჩაამხო, ღუმელში შეაჩოჩა, კარი მიუხურა, ნათხიდან ყველი ამოიღო, მწნილს მიუდო, ბოთლით არაყი გააჟარჟღალა, სუფრაზე ჩადგა და მეზობელს ანიშნა, მოი, ჩასკდი, სადილი ვჭამოთო...

– წელი მტკივა, – მივაკნავლე ბებიას...

– მეიცაი, გურამავ, ერთ წამს, ვუსაშველო ამ გასაზრდელსო, ფანელის პერანგი კისრისკენ ამიკარნახა და არყით დამიწყო დაზელა, ნეკნები ელანუნებოდა. რომ დაამთავრა, ტრაკზე მომიტყაპუნა ხელი, მომცილდიო და ცხელი პური და ყველის წველა ჩამოგვირიგა პატარებს...

– ბაღნებო, გურამას ამბავი გითხრათ და გაცინოთ? – ჩაიკუსკუსა ბებიამ.

– კი, ბებო, – ავჟრიამულდით...

– მივიდა, აი ოხერი, ფერშალთან, ჩეიხადა შარვალი, მიუშვირა ზურგი და ეუბნება, ცნობა მინდა, რომ ტრაკი ბრიგადირის პანლურისგან მაქვს დაბეჭდილი. ხუთი წუთი შარვალჩახდილი იდგა, მერე ნიფხავი ამოიწია და შარვალი თოკით გაინასკვა...

დავიხოცეთ სიცილში, სუნთქვა შეგვეკრა, ველარ ვსუნთქავთ, ლუკმა სასულეში გადაგვცდა, ყლუპ-ყლუპ წყლით მოვსულიერდით...

მე ისევ ავფლიკვინდი, – ნენი, მტკივა წელი-მეთქი... – ნუ გამიმწარე ცხოვრება, მეც მტებს მუხლებში, თავი მტკივა, ძლივს ვეჩაჩუნები, აი გურამაი არ მოსულიყო, ლოგინში ვიქნებოდი ახლა. ადე, წადი, გურამავ, სახე თოვლით დაიზილე, ხელები და ყურები დაისრისე, ქალმა არ მიგიხდეს ოტკა-ნაყლაპი რომ ხარ, თვარა სარს გადაგამტრევს თავზე!

დედაჩემი შემოვიდა. – ამას რა ატირებსო, – ანიშნა ბებიას ჩემზე.

– კითხე ერთი, გაშხლართულა ძირს და იმდენი ხანია ტირის, რეიზა ტირის დაავინყდა...

მართლა აღარ მახსოვდა...

მერე ბავშვები გარეთ გავედით და ბლომად ვჭამეთ ახალი თოვლი...

სიტყვამცირე, სიტყვასწორი, შრომადაუზარელი, უშურველი ბებია, რომელიც ასაკში უფრო ლამაზდებოდა და კოხტავდებოდა, შეჭირხლულ ფანჯრიდან დამჭკნარ ხელს გვიმუშტავდა, ჭკუით იყავითო...

გაზაფხულზე, ბებიამ შავშურა მსხალთან მიმიყვანა, ჯერ „ზაკონი“ წამიკითხა, თუ რაფერ კაცად უნდა გავზრდილიყავ: – მომისმინე თვარა ცხვირ-პირ ამოგინაყავ და მთლად დაგჩქმიტავ! ღმერთი გიყვარდეს, შვილო, მაგი გიპატრონებს, მაგი ძალიან კაცთმოყვარეა, მარა ჩვენ არ ვართ ღვთისმოყვარე. ვინმეზე გლახა არ გეივლო გულში! ხანდახან მოდი ჩემს საფლაფზე. სიკვდილი რამე არ არი, კაცის ყველა ნაწილს შეავლებ ხელს, მარა სულს ხელს მიაკარებ?! მოდი, დაგინახავ, იცოდე! – მერე, მომბურჯგლა და გააგრძელა, – ერთი ყვავი შემომეჩვია ნამეტანი, ყოველ მეორე დღეს წინილას მიაფნიალებს. ჩემი ყვირილის მაგას არ ეშინია და საფრთხობელის. გამაშტეროს უნდა! დაჯდება საფრთხობელაზე და მელოდება როდის გამოვანიაქებ ჭუჭულებს. ე, მაღლა, იმ ტოტების გასაყარზე აქვს ბუდე. ადი, დაუშალე და გადმოყარე დაბლა, ნაშავდება და მევისვენებ...

ბებიის ლოცვით გულმიცემული მივბობდავ ტოტებგაბარჯლულ მსხალზე. ყურში ჩამესმის: ღმერთო გამჩენელო, სალ-სალამათი დამიბრუნე ჩემი ბოკვერიო...



# სადოძე გობოდუძე

## ანიმ

ანიე ლამაზი ქალია,  
ვერცხლის პანანინა საყურით,  
უბრწყინავს შავ-შავი თვალები,  
თვალები ყველაფრის ნატრული...  
ანიემ ისწავლა ყურანი,  
მეშვიდე სურიდან იგავი,  
ანიემ ახედა ალაჰს და  
ცას ძოვდა ქათქათა თიკანი..  
არა არს ყოველი შარადა,  
ნეკნებში მზე გასდის ლანდივით.  
ანიე, დედაა ავადა...  
შემოდგი ქურაზე სადილი...  
ჭრიჭინებს ხმას უწყობს მწუხრიდან,  
უფროთხის და ჭრელ საბანს იფარებს,  
ანიემ აკრიფა სუფრიდან,  
ჩრდილები დახრილი იფანის...  
თმის ჯაჭვებს მოიხვევს ყულფივით  
და თითქოს მაღალი ჭერიდან  
უყურებს თვალები სუფიის  
ნითური დაქნილი წვერითა...  
ანიე, სადა ხარ ?!... მამისგან  
არ იცის რა არის შვილობა,  
ანიემ ფარანჯა აისხა  
და თავშლით დამალა ჭრილობა...  
ლურჯ პეპლებს რომ ჰგავდა ტკივილი,  
მზე ფშვნიდა თითებით ხამანწკებს,  
ააწყდა სადაფის ლილივით  
ერთი დღე მიბმული ხალათზე...  
ჩიტებო, ნეტავი მიშვილოთ,

ხის ტოტზე გაეშლიდი ბუდეს მეც,  
 გამოდი ჩემიდან შიმშილო,  
 მუხლებზე დავინვენ სიცოცხლეს...  
 ნაცვრევზე მზემ გადიკისკისა,  
 ანიეც ბავშვია მზესავით...  
 აჩუქეს ლამაზი ქისითა,  
 თვალები გველივით მგესლავი...  
 დააკლეს ცივ მთვარეს ბატკანი,  
 ეზოში ნუშები ატირდნენ,  
 ანიეს სისხლივით დამტკბარი,  
 თორმეტი ზამთარი აკიდეს,  
 ქარს ეტყვის, მზეს ეტყვის, წვიმასაც  
 გრილ თითებს დაადებს აპრილი,  
 ქალია სიყვარულს იმარხავს,  
 წინაპრის ძველისძველ ხატივით...  
 ანიეეე, გაჰკივის უდაბნო...  
 თვალს ახელს მზე ზეცის ჩარდახზე  
 და როგორც ყვავილი უბრალო,  
 ქვისფერი მკლავებით ჩამარხეს.  
 დაკენკეს ჩიტებმა ატმები,  
 კაჭკაკებს ცა ფრთებით მიჰქონდათ,  
 აივსო ჭინჭებით ნატკენი...  
 დრო დევის ხახაში მიგორავს.  
 შეხვდები ხვალ ყურბან ბაირამს,  
 ბრინჯივით გაიბნა საღამო,  
 ანიე, აილე დაირა,  
 რომ სული სისხლივით დაღვარო.  
 ნალვერდალს გაახვევ თავშალში,  
 გაცვდა თუ სიცოცხლე გალიე,  
 და შენი დაშლილი ნაწნავი,  
 მიწამ შვა ანიე, ანიე...

### სახობბო ლემსი ჩემს თაშს

შენ, ცვილის პატარა თოჯინავ,  
 აჰა, შენ დღენი, თეთრი აქლემის ქარავნები...  
 აჰა, შენ ღამენი, პირღია გამოქვაბულნი...  
 აჰა, შენ წყევლა, იყავი და არც იყავ ადამიანი!..  
 დაჯექი და დაართე ფიქრის უსაშველო გორგალი.  
 სიცოცხლე გასალენი კალოა, ცხოვრება დასანთები თონე,  
 მოგშივა და ხორცი მოითალე, მოგწურდება და ცრემლი დალიე,  
 თურმე სულაც არ ვყოფილვარ ულამაზო!..

ეს სხეული, მხოლოდ დროებითი ნავსაყუდელია,  
 ეს ხელები, ათასჯერ დაღწნილი მსხმოიარე ტოტები,  
 ჩემი თიხის კელიაში ლექსებს ვაყვავებ,  
 გადმოვფენ ჩემი სულის მზისფერ აივანზე: ჟასმინის სურნელოვან ჩითილებს, თვალფახურა იებს,  
 მზისგულა გვირილებს და ველოდები, როდის ჩამოივლის ყვავილების მუშტარი.  
 ტანი მაქვს და ჩემი არაა, ფილტვი მაქვს და ჩემი არაა, გული მაქვს და, ისიც სხვისია!..  
 მაშ რაღა დამრჩა?!... სუუუულ-ეული ვარ, სუუუულ-იერი, სუუუულ-ველი ციდან გამონვდილ სუუუულ-ის  
 პურის მოშრიალე ყანას!  
 ნეტა ვიცოდე რანაირი ვარ?!..  
 ნეტავ თქვენ მაინც მითხრათ, რისთვის მოვედი ადამიანად, თუ მხოლოდ, თიხა ვარ და სიტყვად  
 ავმღერდი?!  
 კარგი რამე ხარ, თავო ჩემო, მაგრამ, უნდა ისწავლო, რომ არა მხოლოდ ტანჯვისათვის შეიქმენ  
 ადამიანად!..  
 გიყვარდეს სიცოცხლის მორაკრაკე ნაკადულები,  
 გიყვარდეს დილის მზის ამოსვლა!..  
 გიყვარდეს შხაპუნა წვიმა!..  
 გიყვარდეს უბრალო ქვა, და იმ ქვაზე დაფრენილი ჭიამაია!..  
 გიყვარდეს ის, რაც შენში უხილავ ენერგიად გებოძა ზენა არსიდან,  
 გიყვარდეს მიწა, დედაშენის ძვლებით ავსებული.  
 ან ხარ და ან იქნები!.. მხოლოდ ანმყოფ დასანერი ფურცელი, დანარჩენი პეპლის სიზმარია...  
 გამოდი შენი ტანიდან, გამოდი შენი ფიქრებიდან, გამოდი შენი მუცლიდან,  
 და დაინახავ. თუ რა ლამაზია სიცოცხლის შრილა ხე,  
 შენ უკვდავი ხარ ადამიანო, ხორცის სამოსელი მიწას მიაბარე, როგორც დედაშენის ნაქონი  
 გაცვეთილი კაბა.

### თოვლი მოსულა საქართველოში

თოვლი მოსულა საქართველოში, თოვლიო, ღმერთო!..  
 თეთრი სტიქარით შემოსილან მთები მაღალნი,  
 ყელმოღერებით ჩაუვლია ქალაქში თეთრონს,  
 დადევნებთან ყმანვილები აყალმაცალით.

ერთანმინდაში თოვლი ჰგავდა ჯვარნანერ ასულს,  
 შორს მთის გადაღმა მონაზვნები რეკავდნენ ზარებს,  
 ღმერთო მაღალო, უსამშობლო სიცოცხლე არ მსურს,  
 არ მსურს ვუცქერდე სხვისი მიწის გაპოხილ ჰაერს.

თოვლი მოსულა, ალბათ, სადღაც ბუხარიც ღუის,  
 ცაზე ამოდის მჭადისხელა ყვითელი მთვარე,  
 და გატიკნილი მოზვერივით სავსე აქვთ ცური,  
 ეხოებს თოვლით, ხეებს მხრები, კისრები ყანებს.

მელოდოს ლოდი, ქვის დუმილით საფლავზე დედის,  
მელოდოს სახლი, სხვენზე აკვნით, ფანჯრებზე ჭირხლით,  
ვინც ვერ დაბრუნდა, ამაშორე იმათი ხვედრი,  
ღმერთო, მჯილეზად მოვარდნილ თოვლს ტყვიებად ვიხლი.

იხაროს ჭერმა, სადაც ისმის ტირილი ჩვილის,  
ყველა ქართველი დამილოცე ქართული ჯიშის,  
თოვლი კი არა, რემა მოდის დამფრთხალი ირმის,  
არ შემიშინოთ, აკვანში წევს ლურჯთვალა ბიჭი.

### ანდერძი სამშობლოს

იქნებ შენამდე ვერ მოვალწიო, ჩემო სამშობლოვ, მტრედისთვალეზავ,  
გულგაგლეჯილი მნახონ საწოლში ჩემმა ლურჯთვალა ამორძალეზმა.  
იქნებ, დამმეწყროს სადმე გრიგალმა მთამ მომიღეროს რისხვით მუშტები,  
რომ ვერ გიხილო ჩემო წიქარავ თვალში ცრემლებად ამოუშრეტი.  
ქარმა წაიღოს ჩემი დაღალი, ციმციმ ატარონ ლურჯმა ტალღებმა,  
მერე გეტყვიან როგორ გმაღავდი, აფეთქებული ლექსის ნალმეზად.  
არ დაიჯერო, რომ დამავინწყდი გზები მიჭერენ ყელზე თოკივით,  
ეს შენ გეკუთვნის ხორცი სამიწე და სული მუდამ დაუოკები.  
იქნებ ეს ბოდვა ბოდვებად დარჩეს ან ღამეული სიზმრის კოშმარად,  
მეც მოვეფერო შენს ლამაზ ბაღებს, მეც გიგალობო ტკბილი ოსანა,  
თუ სადმე მნახო სისხლად დაღვრილი შენს მკერდზე მოვალ წითელ ყაყაჩოდ,  
თუკი ვერ მოგწვდეს ჩემი ძახილი, და ამღვრეულმა ჟამმა დამახრჩოს,  
არ დამივინყო, დედას გაფიცებ, შენ ჩემო მიწავ ქრისტესპერანგავ,  
ეს შენ გეკუთვნის ხორცი სამიწე აფეთქებული ლექსის კელაპტრად.

### თიკანი

ჩემი თეთრი თიკანი ტყეში დაკარგულიყო,  
მის ნალვერდალ ცრემლებზე ია ამოსულიყო,  
ხევში მოღრიალებდნენ მდინარეთა დელტები,  
და სტიკიოდა დედა მთას დახეთქილი კერტები,  
ჩემი თეთრი თიკანი, ვინმეს ხომ არ გინახავთ?  
შუბლზე მთვარის ნიშანი დაჰყოლია ინახათ,  
ნეკერს თუ გაკიკნიდა, ტყეში ქვათა ფერდებზე,  
იქნებ თვალი მოეკრა ვინმე მოცლილ მეთევზეს,  
ყელზე ზანზალაკები წკრიალებდნენ ქარდაქარ,  
და ვყვიროდი, საბრალოვ, პანანინავ, სადა ხარ?

თოვლი იდო ფერდობზე, ვით ქვისფერი კელია,  
მზე იხდიდა ხენდროსფერ კაბას არშიებიანს,  
ტაძარს ჰგავდა სამყარო, მორღვეული გუმბათით,  
მე ვიყავი საპყარი, გაპობილი გულამდის,  
იარებად მდიოდნენ თავანკარა ლექსები,  
ქარნი ლიტანიობდნენ, ჩემგნით ანაკვნესებნი,  
ჩემი თეთრი თიკანი, დაუნერულ ფურცლებზე  
ინვა ყელგამოჭრილი და ესვენა გულზე მზე.  
ღმერთო, შენ შეინირე, კაცთა ცოდვის ზვარაკად,  
ლექსი გადამირჩინე ცაში მისავალადა.

### თეთრი ცის აბონია

ანუბის, ლომები მოდიან,  
უდაბნოს მზისფერი თვალებით,  
მტვერია, ქარია, ლოდია,  
უკვალოდ გამქრალი ზმანება.  
მინიდან ცას სწვდება ოხვრა და  
ჰაერში სუნია ჰაშიშის,  
ლომებს მზე ტორებით მოჰყავდათ  
ცეცხლივით მწველი და საშიში.  
თვალეები გახლეჩილ ნუშს გიგავს,  
ტანი გაქვს ქვისფერი ნაკრძალი,  
ისეთი ცხელი და მრუში ხარ,  
მნებდები უთქმელად, კანკალით.  
გატყვია სხეულზე ნახმლევი,  
უდაბნოს მზისა და ქარების,  
შენ როცა ალაჰის სახელით,  
დამჭერი გულში და ნახვედი.  
ქარაფზე დგები და მაღლდები,  
მოგვები ანთებენ კელაპტარს,  
და შენი ზურმუხტის ბალები,  
ქალწულის მკერდივით ღელავს და,  
ცა როცა გახელდა საჰარის  
და ღამე ჩაიცვას პალმებმა,  
მთვარე, ვით ლომების ნადავლი,  
ცეცხლივით ჩაქრა და განელდა.  
სფინქსივით ისუნთქავს ცა ჰაერს,  
მუხლებში სიცივე დაუვლის,  
ნუ აფრთხოვთ მდუმარე საფლავებს,  
ლომები მოდიან ანუბის...



**რომ დავბრუნდები!..**

რომ დავბრუნდები, შენს წიაღში მიმიღებ ვინძლო?!...  
ასე დაღლილი მიმასვენე კაკლების ჩრდილში,  
შენ, ჩემო დედავ, ჩემო ხორცო და ჩემო ღვიძლო,  
მაგ თვალშეუდგამ სილამაზის გამხადე ღირსი.  
როცა მოვკვდები ნამეხარზე ამოვალ მუხად,  
იქ, სადაც სძინავს პაპაჩემის ხედგადგმულ ფესვებს,  
ო, გულო ჩემო, ერთხელ ისე ამოგაქუხა,  
მზე გავალვიძოთ ჩანაცრული, შამქორის ველზე.  
რომ დავბრუნდები, დაგიკოცნი ხარდნებზე მტევნებს,  
და ირემივით შევისუნთქავ დეკას და ღვიას,  
ღრუბლის ერკემლებს გადავდენი ციცაბო მთებზე,  
ცრემლებს შევუშრობ მინდორ-მინდორ ლურჯთვალა იას,  
მე რომ მაცხოვნო, შენი მკერდის წიაღში დამფალ,  
ვინ იცის როდის დამიძახებს აპრილში შაშვი,  
ჩამაცმევს მინა ათქვირებულ ტყემლების კაბას  
და მომიტაცებს ქარიშხალი უბელო რაშით,  
როცა მოგივალ, ისე როგორც უძლები შვილი,  
და როცა გავწყვეტ მოთმინების ბორკილს და ჯაჭვებს,  
თავისუფლება შეშლილივით დაიწყებს ყვირილს,  
შენს მიწას, როგორც უფლის კალთას ვემთხვევი სამჯერ.  
რომ დავბრუნდები, ფეხშიშველა დავირბენ მინდვრებს,  
არაგვის პირებს, ცეცხლმოდებულ იელის ბუჩქებს,  
რომ დავბრუნდები თეთრი ჩოხა ჩაიცვი იმ დღეს,  
და ბატკანივით მიმიხუტე მაგ დაჭრილ გულზე.

**მმიგრანტი**

ბებრის კალოზე მეძინა,  
თავქვეშ ქვის ლოდი მედო,  
ლამით მეხურა მერდინი,  
დილით – მცხუნვარე ერდო,  
ობიან ხმიადს მაჭმევდნენ,  
ცრემლში ნაზელს და დამბალს,  
ფეტვში ოქროს ვერ არჩევდნენ,  
ტყავში – მოთელილ ნაბადს,  
მხოლოდ სათქმელად გითხარით,  
მხოლოდ საოხად გულის,

ჩამომიკრიფე ცის ნამი,  
რომ მოვიშუშო წყლული,  
ბებრის კალოზე მეძინა,  
თავქვეშ ქვის ლოდი მედო,  
სული იმგვარად მეტკინა,  
შენ დაგიძახე ღმერთო!..

### მე ვარ ლილიტი!

ასეთი შემქმნეს ცეცხლისფერი თვალთა რკალებით,  
ვკრეფ თავთავების მწიფე ვნებებს მზეთა გვირისტით,  
ედემის კარებს მიკეტავენ ამორძალები,  
მე ვარ ლილიტი!..

გავიყოფთ ერთად წუხანდელი ღამის ტკივილებს,  
გახლეჩილ ვაშლებს შეესივნენ ბაღში მატლები,  
ნეტავ რად უთრთით სუსტი მხრები მტირალ ტირიფებს,  
მოგენატრები!..

გააღე ღმერთო, ცის სარკმელი, სამოთხის კარი,  
თავისუფლების მოყვარული თეთრი ჩიტი ვარ  
შენგან რა მრჩება, გვირილებით დაწნული ქნარი,  
და მე მივდივარ!..

გემშვიდობები, გზა მექნება შორი და გრძელი,  
გიტოვებ ათას მოგონებას და ცხელ თიბათვეს,  
სუნი მიმყვება აკაციის თეთრი ბაღების,  
მალე ინათებს!..

ტანზე დაგრჩება კვალი ჩემი ნაზი თითების,  
ჟღალა მზე და მეც მზესავით დამწვავს წარსული,  
შენი თვალების ცეცხლისფერი შუქით ვინთები,  
არ ვარ ავსული!..

ხან წვიმად მოვალ, ხან დავფერავ მინას ხავსისფრად,  
ხან სასთუმალთან დაგიჯდები მთვარედ ძილის წინ,  
როგორ გიყვარდა ჟღალი თმების ზღვას რომ ვარცხნიდა  
შენი ლილიტი!..

ჩვენ ერთ ხმიადად გავიყოფდით მწიფე აგვსიტოს,  
იცოდე, ადამ მიწისათვის თანასწორნი ვართ,  
მე თუ წავედი უჩემობამ არ გაგაგიჟოს, –  
აქ ნუ მოდიხარ!..

დამსხვრეული მტკივა მუხლები,  
ძუ აფთარივით ჯოჯოხეთურ ვუძლებ ტკივილებს,  
შენი ნეკნიდან ევა შექმნეს თურმე წუხელის  
ნუ დამივინყებ!..

## შეძებ

ვეტევით მცირე სენაკში ღმერთი და ჩემი ლექსები,  
ამ ქალაქს როგორ ვერ გავცდი, როგორ ვერაფრით ვერგვევი.  
სავსე ჭუჭყიან ურნებით, ბაზარი მოჰგავს გოლგოთას,  
დედას მიჰყვება ნუკრივით დაფეთებული გოგონა.  
სიტყვების აბლაბუდებით ვქსოვ ლექსის მზისფერ გობელინს,  
ხეები აყლაყუდები, ხელებგანვდილი ობლები.  
ქუჩაში სიცხე პარპალებს, ცხვება მზის გულზე ასფალტი,  
გზაჯვარედინზე გადადის მოხუცი ხელის კანკალით.  
ბრბო არენაზე გამოსულ ცხენების რბოლას მაგონებს,  
მიახრიგინებს, მიათრევს, დრო დაჟანგებულ ვაგონებს.  
მტრედები, თეთრი მტრედები, კენკავენ პურის ნამცეცებს,  
დავდივარ დავეხეტები, სიყვარულის ნამს დავეძებ.  
ვეძებ ღმერთს ადამიანში, ვეძებ უბრალო ყვავილში,  
ვეძებ ფოთოლთა შრიალში, სადაც ჩიტების ხმა ისმის,  
ვეძებ მათხოვრის თვალეში, ამოსულ ედელვაისში,  
ვეძებ ბავშვების კისკისში, წყაროს წყალივით ვეძებ.  
რადგან, იქ, სადაც ღმერთია ვიქნები ყოვლისშემძლე.

## შენამდე

ვერ მოვალნიე შენამდე ჩემო,  
(დალამებამდე რალა უკლია)  
მზე ჩადის, კაკლებს დატოვებს ჩერო,  
და ჩემი სულიც გავა მწუხრიდან.  
ნეტავ რა ფერის თვალეები გქონდა?!...  
ან მაცოდინა შენი ღიმილი,  
შენთვის ვისწავლე ლექსებით ლოცვა,  
შენთვის ვითმინე სულის კივილი.  
შემომეფლითა ვარდის პერანგი,  
ტანი ლერწამი ქარმა დალენა,  
ვერ მოვალნიე ჩემო, შენამდის,  
ვერ გაგიფინე თმები ალერდად,  
სადა ხარ, სხვათა თვალთა გიშრებში,  
ჩემს სანეტარო მზეებს ვეძებდი,  
ახლა, ძვირფასო ველარ მიშველი,  
ვერ გავეჩეცი დროის მეძებრებს,

მივდივარ, ვკეცავ აფრებს ფრთებივით,  
ცივი, ვარ, როგორც თოვლი დეკემბრის  
და მე სიკვდილთან ჯვარდანიერილი,  
სადმე, იმქვეყნად მაინც შეგხვდები.

რბ იქნებოდა!..

რა იქნებოდა დანარჩენი,  
იქნებ, ეს არის განაჩენი,  
იქნებ, ჯოჯოხეთს გადავრჩებით,  
რადგანაც უკვე ვნახეთ!..

ეს ღამეები გატეხილი,  
ჩემი ცხოვრების ქარტეხილი,  
წვიმით ნაწერი კატეხიზმო,  
ხეებს შრიალით არხევს.

ქუჩაში შიშველ მეძავივით,  
იხდის აგვისტო უკანასკნელ  
ფოთლის დახეულ კაბას,  
ხანდახან სევდა მეძალება,  
ალარ დამთავრდა ეს წამებაც,  
ვზივარ და ლექსებს ვლამბავ.

ჩვენ ვართ, გადაჭრილ თოკებივით,  
ჩვენ ვართ, გადახსნილ ძარღვებივით,  
ჩვენ ვართ, დაკარგულ ნავებივით,  
გზააბნეული მგზავრნი.

იქნებდა, ვინმემ გაგვიხსენოს,  
იქნებდა, ვინმემ დაგვიძახოს,  
„დროა, დაბრუნდეთ სახლში!..“

სანთჰია<sup>1</sup>

იქ, სადღაც შორს, ლურჯი მთების სამოთხეში,  
სიზმრის ზეწრებში გამომზარდეს ლექსის ძიძებმა,  
იქ, სადღაც შორს, თეთნვერა კაცმა გამოთალა ჩემი აკვანი...  
მიწის არტახით მიმაჯაჭვეს სამშობლოს ზეცას,

<sup>1</sup> სანთჰია – მოგზაურობა საკუთარ თავში.

თოვლის ფაფუკი წინდა ეცვათ ეზოში ხეებს,  
 დრო და დრო ჩემთან მოდიოდა ლამაზი ქალი –  
 ხმით სირინოზის მიმღეროდა გათენებამდე.  
 მასწავლა როგორ დამეთმინდა გადაყვლეფილი,  
 მუხლის ტკივილი, სულეთის მკვიდრთა გამოძახება დეკემბრის ღამეს  
 მასწავლა ენა ყველა სულდგმულის და მტრედის ფრთებზე ლოცვების წერა...  
 აი იები, აი მთები, აი წყარონი, ეს სულ შენია პანანინა,  
 კალთაში ვიტყე: სამოთხის ვაშლებს, თაფლიგულას,  
 მარწყვსა და ფშინას. წითლად ღუოდნენ კორჩიოტები გადაღმა კლდეზე.  
 ალადასტურის სუნი ჰქონდა აყალო მინას.  
 ბაირალივით ფრიალებდნენ თოვლის ზენრები...  
 ვაზის ჭიგოებს თვალებს ვუხვევ ჭადარა თმებით,  
 კლდეებზე ბუდე გაუშლიათ მკივანა ფრინველთ,  
 დევის მუხლებზე ამოფეთქა იელის ბუჩქმა,  
 დაბრმავდა სახლი, ნალიაში დადუმდა თავი.  
 წეროს ბუტივით ცალ ფეხზე დგას თივის ბულული.  
 ჩემი ნანატრი პატარძლობა ტყემლებს ერგუნათ,  
 ჩიტო, ბელურა შენ გიტოვებ რაც რამ მებადა...


### ქალი სარკვეში

ჩემო ძვირფასო მეგობარო, ყველაფერს გეტყვი,  
 ვერ ვმაღავ სახეს, თვალთა უპეს ღამე ნათენებს,  
 მიმაქროლებენ ბედაურნი ოქროსფერ ეტლით,  
 როგორც ათასი საუკუნის წინათ ქალდეველთ.  
 ო, რა ძნელია, რომ გარიდებ ცრემლის გუბეებს,  
 გამომელია ყველა გრიმი, ყველა გრიმასი,  
 ჩემო ძვირფასო მეგობარო, ვერ გამიგებენ,  
 როცა ვსველდები და შეშლილი ვცეკვავ წვიმაში,  
 ხო, მეშინია და გიტოვებ ამ სილამაზეს,  
 არ დამივიწყო აღუბლობას როცა მიცნობდი,  
 წლები ქურდები ჩემს ღიმილებს ისე მპარავენ,  
 თითქოს მომგლიჯეს გედის ყელზე ამეთვისტონი,  
 გადაირბინეს ბალახებმა თოთო ფეხებით,  
 დამრჩა ხელებზე რუკასავით ბედის ხაზები,  
 ბედნიერიც ვარ, უბედურიც ერთი შეხედვით,  
 ისეც იცინი?!... და რატომღაც არ მიბრაზდები,  
 აირეკლავენ ათინათებს ჩემი თვალები,  
 ხომ ლამაზი ვარ მეგობარო, არ დამიმალო,  
 მიფარფატებენ ჭრელი კაბით ციგნის ქალები  
 და იმღერიან ქუჩა-ქუჩა ნაცნობ „რომალოს“

შენ უკეთ იცი მეგობარო, რაც ვარ, ვინცა ვარ,  
ვერ შევეგუე ვერასოდეს ნილბის ტარებას,  
კვლავ შემიძლია სიყვარული, დედას ვფიცავარ,  
სანამ ეს თმები ნამქერებით დამეფარება,  
მაგრამ ჰე, წლები დაუნდობლად რატომ მირბიან,  
როგორც მინდორში გაქცეული ფური ირმები,  
ჩემზე უცნაურ აბდაუბდას ისევ იტყვიან,  
მაგრამ ვერაფერს გაიგებენ დანამდვილებით,  
ჩემო ძვირფასო მეგობარო, რას დაგიმაღავ,  
ზეცის თვალეში სარკესავით მოჩანს წარსული,  
მთვარე ღრუბლებში შერჩენილა როგორც სიგარა,  
და შენ ხარხარებ გაგიჟებით წრეგადასული,  
ვიჭერ ვარსვლავებს და ბადეს ვშლი სიტყვის მეთევზე,  
ვშლი ჩემს სახეზე წუხანდელი ცრემლების ტილოს,  
გაბზარულ სარკეს არასოდეს ვტოვებ კედელზე,  
ადიო, ჩაო, მეგობარო, გთხოვ, მაპატიო!..

\* \* \*

გზას ვეძებ შენამდე მოსასვლელს,  
მთებს თეთრი მანტია მოუსხამთ,  
მე შენი შეხებაც მომარჩენს.  
ვით წვიმა ხეს დიდხანს მოურწყავს,  
ვიღლები და ვწვები მიწაზე,  
გავა დრო, ბალახად ვიქცევით.  
და წყდება ცრემლები მზის ღაწვებს,  
როგორც ცას სათუთი ფიფქები,  
მე მინდა სადღაც შორს მიგყავდე,  
გხიბლავდეს შენ ჩემი სიცილი,  
და ასე უთქმელად გვიყვარდეს.  
წვიმა, რომ ეშვება ციმციმით,  
ბავშვივით ვუჯერებთ ოცნებებს,  
ძვირფასო, წლები არ მინდობენ,  
მე თუ ვერ მოვედი, მომძებნე,  
თეთრ თოვლზე ნაფეხურს გიტოვებ.  
ჩვენს მიწას გული აქვს დაჭრილი,  
მთვარე თავს მიაყრდნობს ხის ტოტებს,  
ნეტავი ვიცოდე სად მიდის?



# როინ რიქვაძე

## აზროვნების სინთეზი

(ნაწყვეტი რომანიდან)

ადამიანი ბიოქიმიური რობოტია,  
სული კი მისი დრაივერი.

### პროლოგი

1945 წლის 2 მაისს, ხარკოვის ცენტრალური ბულვარის შესასვლელთან განლაგებული, უკრაინის საოლქო შტაბის შენობის მეორე სართულზე სპეციალური დანიშნულების მზვერავთა ჯგუფის რადიოგრაფისტმა, ლეიტენანტმა ნიკოლოზ ვოლიანიკმა, 19 საათსა და 35 წუთზე საიდუმლო, პერსონალური გრიფით კოდირებული რადიოგრამა მიიღო. არსებული სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად ტელეფონით დაუყოვნებლივ გამოიძახა ადრესატი და მზვერავთა საიდუმლო სამსახურის უფროსს, პოლკოვნიკ ვლადიმერ შილოვს აცნობა. რადიოგრაფისტმა ათი წუთის შემდეგ რადიოგრამა პირადად ჩააბარა მზვერავთა რაზმის უფროსს, მაიორ როსტომ ზარიძეს, რომელიც ყოველთვის ცივი გონებით და პუნქტუალობით გამოირჩეოდა. ერთი კვირა გავიდა, რაც მაიორი მორიგი ოპერაციიდან დაბრუნდა და, ჩვეულებისამებრ, რეაბილიტაციას გა-

დიოდა, რაც ხანგრძლივ ძილში გამოიხატებოდა.

კაბინეტში დაბრუნებული რაზმის უფროსი მაგიდას მიუჯდა და პირადი კოდებით, მიღებული ინფორმაციის გაშიფრვა დაიწყო. არ გაკვირვებია მორიგი რადიოგრამა, რომელიც მომდევნო საიდუმლო დავალების მანიშნებელი იყო, მაგრამ გაშიფრვის შემდეგ გაუგებრობამ შეიპყრო, რადგან ტექსტში იყო ბრძანება, – 3 მაისს, დილით 9:00 საათზე, გამოცხადებულიყო კიევში გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე შავი ზღვის ოლქის სამხედრო შტაბში. ეს მისამართი მისთვის კარგად იყო ცნობილი, იქ საგანგებო სიტუაციების დროს უმაღლესი ეშელონის გენერალიტეტი მორიგი ოპერაციის დასაგეგმად იკრიბებოდა, მაგრამ გასაკვირი იყო, რომ ის მარტოდ გამოიძახეს, რაც ადრე არასდროს მომხდარა.

როსტომი სკამზე მოტრიალდა, მზერა მიაპყრო კედელზე ფოტოსურათივით



მიმაგრებულ ოთხკუთა ფორმის სარკეს და ნაღვლიანად შეხედა საკუთარ გამოსახულებას. მაიორი გრძნობდა, რომ გასულმა ომის წლებმა მასზე ძალიან მძიმე გავლენა მოახდინა, მაგრამ არ ეგონა, თუ სარკეც ასე მკაცრად დაუდასტურებდა. მწვანე თვალების გამჭოლი მზერით, სარკიდან თითქოს უცხო კაცი შემოსცქეროდა. ოდნავ კეხიან ცხვირს და წითურ, ფართო სახეს, ორი დღის გაუპარსავი წითური, შეჭალარავებული წვერი უფარავდა. საფეთქლების ირგვლივაც ჭალარა მოსძალებოდა და თხელი, უხეში თმაც უმეტესად შევერცხლოდა. თუმცა მეგობრები არწმუნებდნენ, ჭალარა შენს მაღალ და ზორობა ტანს ჯენტლმენურ იერს ანიჭებსო, მაგრამ განათლებით ფსიქოლოგს, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს კომპლიმენტი მხოლოდ მეგობრობას, გულთბილ გრძნობას გამოხატავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა მაიორი დიდ თანამდებობაზე არასდროს იყო ორიენტირებული და თან ყოველთვის ერიდებოდა მაღალი რანგის უფროსებთან ურთიერთობებს, სამხედრო შტაბის ჩინოვნიკების თვალში მაინც კონკურენტად მოიაზრებოდა. მაიორს ერთი ოპერაციაც არ ჩაუგდია, ექსტრემალურ სიტუაციაში ყოველთვის საუკეთესო გამოსავალს პოულობდა, საქმისათვის თავდადებული ადამიანი იყო, რამაც დიდი ავტორიტეტი მოუტანა მზვერავთა წრეში.

გასულ თვეში როსტომი საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო უკრაინის ფრონტის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის უფროსმა გრიგორი ნესვეტაევმა. მან ის საუკეთესო მსროლელთა სიაში შეიყვანა და სპეციალურ შეჯიბრში მონაწილეობა მიაღებინა. იქ მაიორი დარწმუნდა, რომ სადაზვერვო სამსახურში შემსრულებლის ფუნქციის უზრუნველყოფა უჭირდა. ახლაც, სახლიდან ორიათასი კილომეტრით დაშორებით, დაზვერვის სამსახურის მიერ დატოვებულ სხვისგან შეუმჩნეველ კვალში ამოტივტივდა აზრი, რომ დროა საკანცელარიო სამსახურისათვის დაეჭირა თადარიგი.

უცებ კარი კაკუნის გარეშე გაიღო და ზღრუბლზე მისი მეგობარი, საიდუმლო სამსახურის

უფროსი პოლკოვნიკი ვლადიმერ შილოვი გამოჩნდა.

– შეიძლება? – იკითხა შილოვმა.

როსტომ ზარიძე მოულოდნელობისაგან ერთხანს შეეცოცმანდა, ეჭვი შეეპარა, ომის მიწურულს, რადიოგრამა მეგობრული ხუმრობა ხომ არ იყოო, მაგრამ მზვერავის ცივი გონებით იგრძნო, რომ ძველი მეგობრის თვალები მას სიღრმეში უყურებდნენ.

– რა ხდება?

– უფროსობას თქვენი პირადი გამოცდილება სჭირდება, მეგობარო!

როსტომი წამით მიაჩერდა მაგიდაზე დადგმულ საფერფლეს, უცებ მისი ტვინი საოცარი სისწრაფით ამოქმედდა და აზროვნების სინთეზმა ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავება დაიწყო. შეძრწუნების უკან შიშის გრძნობაც შეერია. მარტოდ გამოძახება არასასიამოვნო მომენტი იყო და თანაც უაღრესად უცნაური, რადგან მას საიდუმლო სამსახურის უფროსისათვის უცნობი კოდებით აცნობეს ბრძანება, რაც დღემდე არასდროს ყოფილა.

– ახლა? – როგორც იქნა სათქმელს თავი მოაბა როსტომმა, – ახლა ხომ ომის წინა ხაზზე მე აღარაფერი მესაქმება?

როსტომი ფეხზე წამოდგა, ვლადიმერი მიუახლოვდა. ერთმანეთს უსიტყვოდ, გონებით და თვალებით, შეხედეს. მზვერავები კიდეც ერთხელ დარწმუნდნენ, რომ პროფესიული ნაკვალები იმდენად ღრმა იყო, ორივეს თვალებში ისახებოდა არაფერიც და ყველაფერიც.

– იმედი მაქვს, ომის მიწურულს ცუდი არაფერი მოხდება, – წარმოთქვა ვლადიმერმა ისე, თვალი არ მოუშორებია მეგობრისთვის.

მაიორმა უხმოდ გაიღიმა, ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო, პაპიროსს მოუკიდა, ბოლი ღრმად შეისუნთქა, რამდენიმე ღრმა ნაფაზი დაარტყა და მისთვის ჩვეული, დაბალი და პროფესიონალისთვის ყველაფრის მთქმელი ინტონაციით უპასუხა:

– ჰიტლერელები ჯერჯერობით არ ნებდებიან, ხომ იცი, სიკვდილამდე სიკვდილის დაჯერ-



ება მაინც ძნელია. ომის დასაგვირგვინებლად ბერლინის მისადგომებთან გაერთიანებული ჯარების დიდი ოპერაციები ტარდება, ჩვენ ვალს ვიხდით მომავლის წინაშე!

ვლადიმერმა სიმწრის გამომხატველი სახით გაიღიმა. თან დაჟინებით უყურებდა სარკეს, საიდანაც მაიორის გაყინული, წითური სახე მოჩანდა.

3 მაისს, დილაადრიანად, მანქანაში ჩაჯდომისას, მაიორმა ზეპირად იცოდა თავისი მარშრუტი და ისიც, რომ ისე გაივლიდა 310 კილომეტრს ხარკოვიდან კიევამდე, მას შტაბში დათქმულ დროზე ზუსტად ხუთი წუთით ადრე მიიყვანდა. ისევე როგორც მანქანის მძღოლმა – სერგეი ლიუბიმოვმა – რომელსაც საიდუმლო სამსახურში მუშაობის თვრამეტწლიანი გამოცდილება ჰქონდა. სერგეი ლიუბიმოვი არასდროს საუბრობდა თავის მგზავრებთან და არც ის უყვარდა, რომ რაიმეს ეკითხებოდნენ. მან ინსტრუქციის შესაბამისად წინასწარ იცოდა დრო, რომელ საათზე და სად უნდა მიეყვანა მგზავრი, რასაც დიდი სიზუსტით ასრულებდა.

სამხედრო „ვილისის“ ლია სამკუთხა სარკმელში მაისის დილის ნესტიანმა სუნმა შემოაღწია, როცა მანქანამ კიევში ენერგეტიკოსების მოედანზე ნახევარწრე მოხაზა, მარჯვნივ გადაუხვია და გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე სამსართულიანი სამხედრო შტაბის შენობისაკენ აიღო გეზი.

როსტომს თვალები დახუჭული ჰქონდა და ნახევრად მძინარე, მეხსიერებაში ომისგან ჩარჩენილ კრიტიკულ სიტუაციებს სურათებად ხედავდა.

შტაბის შესასვლელთან მანქანა მორიგე ოფიცერმა გააჩერა. მაიორმა თვალები გაახილა და კარგად ნაცნობ მორიგეს საბუთები გაუწოდა.

– არ არის საჭირო! – უპასუხა მორიგემ და რკინის ჭიშკარი გაუღო.

ზუსტად 8 საათზე და 55 წუთზე მანქანა შტაბის შესასვლელ კართან გაჩერდა. მაიორი მკვირცხლი მოძრაობით გადმოვიდა და კიბე ყოველი მეორე საფეხურის გამოტოვებით აირბინა.

შესასვლელში მორიგემ აუწყა, რომ გენერალი კაბინეტში ელოდებოდა.

მისაღებში არავინ დახვდებოდა. მაიორმა კაბინეტის კარზე დააკაკუნა და შეაღო. გენერალი მაგიდასთან იდგა, მარჯვნივ მჯდომ ორ ქალბატონს ესაუბრებოდა, ხოლო კუთხეში სარკესთან მდგარ მაგიდასთან სუსტი აღნაგობის ფორმიანი გოგონა საბეჭდო მანქანას უკაკუნებდა. მაიორმა უხერხულობა იგრძნო, ბოდიშის მოხდით უკან გამოსვლაც დააპირა, მაგრამ გენერალმა ხელით ანიშნა, შესულიყო. იგი მისკენ გაემართა. მაიორმა სამხედრო წესდების შესაბამისად დააპირა მისაღება, მაგრამ გენერალმა დაბალი და მკვეთრი ხმით გააწყვეტინა, მიუახლოვდა, ხელი მეგობრულად დაადო მხარზე და ქალბატონების გასაგონად წარმოთქვა: – ეს ოფიცერი ჩვენი საიდუმლო სამსახურის სიამაყეა.

შემდეგ ისევ მანდილოსნებს მიუბრუნდა და წარდგენის გარეშე აგრძნობინა, რომ ერთმანეთის მეგობრები თუ არა, დიდი ხნის ნაცნობები მაინც იყვნენ.

გენერალი გიორგი აირაპეტოვი ღვთისგან დაჯილდოებული დიდი ინტუიციისა და წინათგრძნობის ადამიანი იყო, გამჭრიახი გონებით გამოირჩეოდა. წესრიგი უყვარდა, – ყველაფერი თავის ადგილზე უნდა იყოს და ყველაფერი თავის დროზე უნდა დაიწყოს, – იცოდა თქმა, – შედეგის მომტანია მკაცრი გეგმა, რომელიც თანმიმდევრულად, თავიდან ბოლომდე ზუსტად უნდა შესრულდეს.

წესრიგისადმი ასეთი პედანტური გულმოდგინება, ალბათ, პასუხისმგებელი მეზრდოლი ოფიცრისათვის თანმდევი ხასიათის შედეგიც გახლდათ. გენერალი ოპერაციის დაგეგმვისას ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად შესრულების დროს მიიჩნევდა, მისი ხელმძღვანელობით ბევრი საიდუმლო ოპერაცია წარმატებით განხორციელებულა. ის ღამეებსაც ათენებდა. საკადრო პოლიტიკის სწორი და ეტაპობრივი წარმართვისათვის, კადრების შერჩევის პროცესი მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახლდათ. ბევრი პირადი საქმე გაუტარებია აზროვნების

სინთეზში. როგორც თვითონ ამბობდა, უმართლებდა ადამიანებში იმიტომ, რომ სხვა არჩევანი არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მის მიერ შერჩეული თითქმის ყველა კადრი პოტენციურად დიდი მომავლის მქონე იყო და არც ამჯერად ცდებოდა, როცა ამ საიდუმლო დავალების ერთ-ერთ შემსრულებლად როსტომ ზარიძე შეირჩა.

– კეთილი, მეგობრებო, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ! – კიდეც ერთხელ გაისმა გენერლის დაბალი, მკვეთრი ხმა, – ამ წუთიდან ჩვენი საუბარი იწერება და მოქმედებები საიდუმლო გრიფის დაცვით ხორციელდება!

სტენოგრაფისტმა გოგონამ მზადყოფნის ნიშნად ხმადაბლა ჩაახველა ისე, როგორც სჩვევიათ სუსტი აღნაგობის ახალგაზრდა უმცროს ლეიტენანტებს, რომლებიც საკუთარ მომავალზე შორს იყურებიან.

ქერათმიანმა, ოდნავ ჩასუქებულმა, ლოყებლაჟლაჟა საშუალო სიმაღლის სიმპათიურმა ქალბატონმა დაიწყო:

– ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია, რომ ფაშისტები ახალი იარაღის შესაქმნელად გასაიდუმლოებულ ლაბორატორიებში მეცნიერულ კვლევებს აწარმოებენ. არ გვაინტერესებს ატომური იარაღი, ჩვენი კვლევის მიმართულება ადამიანის ტვინია. ეს ატომური იარაღი არ არის, მაგრამ იგი ატომურ ენერგიაზე უფრო დამანგრეველი და ძლიერია. ჩვენი კვლევები დაკავშირებულია ადამიანის სამყაროს სიღრმისეულ კითხვებთან, მის ბუნებრიობასთან, წარმოშობასთან, თუ რა გვერგო მემკვიდრეობით წინაპრებისაგან. ჩვენი ქცევა როგორაა დამოკიდებული ჩვენს გენზე, როგორ შევიცნობთ სამყაროს და როგორ ვიცვლებით შეცნობის პროცესში. როგორ ვგრძნობთ ქიმიურ სინთეზში, როგორ წარმოიქმნება აზრი, როგორაა შემეცნება დაკავშირებული ჩვენი ტვინის ნერვულ უჯრედებთან და მათ მოლეკულებთან? ტვინი როგორ განსაზღვრავს ადამიანის რეაქციულ ქცევას. ამ საკითხებზე ვმუშაობთ ნეიროანატომიები, მოლეკულური გენეტიკის სპეციალისტები, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, მათემატიკოსები. ადამ-

იანის ტვინი, რომელიც ას მილიარდზე მეტი გამაღიზიანებელი და მამუხრუჭებელი ნეირონებისაგან შედგება, ჩვენთვის ცნობილი სამყაროს ურთულესი ობიექტია. მეცნიერების წინაშე ურთულესი ამოცანა დგას – გაიშიფროს საიდუმლოებით მოცულ ყველა მანქანას შორის ურთულესი: თუ როგორ წარმოიქმნება ნერვული უჯრედები, როგორ იზრდებიან და ვითარდებიან, როგორ აღწევენ ისეთ, ფუნქციურად სრულყოფილ, ორგანიზაციულ სისტემას, რომლებიც ჩვეულებრივ ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში მთელი სიცოცხლის განმავლობაში უშეცდომოდ მოქმედებენ.

– ყველა ჩვენი მეცნიერი, – კვლავ განაგრძო ქერათმიანმა, – პრაქტიკულ ცდებს ატარებს ცხოველებზე, შემდეგ ვკმნით აზროვნების სინთეზის თეორიულ მოდელს და ალბათობით ვვარაუდობთ ანალოგიური რეაქციების დროს ადამიანის ტვინის მიერ გაცემულ ამა თუ იმ ბრძანებების, როგორც წარმოშობის, ასევე რეაქციის მიზეზებს. ფაშისტები მეცნიერები კი თავიანთ საიდუმლო ლაბორატორიებში ცდებს ცხოველების გარდა, ცოცხალ ადამიანებზეც აწარმოებენ. მეცნიერთა ჯგუფს ნაცისტებისაგან დავალებული აქვთ, შეიმუშაონ პრაქტიკული ზემოქმედების ვაქცინა, აზროვნების სინთეზის კონტროლის იარაღი, რომლის საშუალებითაც ადამიანების ერთი ფენა გახდება მეორის მორჩილი. მათი მეცნიერული კვლევები, ცოცხალი ადამიანების ექსპერიმენტში გამოყენებისათვის ჰუმანური თვალსაზრისით ჩვენთვის დაუშვებელი და მიუღებელია, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით, გასაიდუმლოებული ლაბორატორიის ცდების ჩატარებისა და დაკვირვების ჟურნალები, მეცნიერულად დიდად ფასეულ ნაშრომს წარმოადგენს. სამეცნიერო-ტექნიკურ ანგარიშებში მოყვანილი მასალები ეყრდნობა ემპირიული გზით ცოდნის დაგროვებისა და გააზრების პროცესს.

– როგორც ვიცით, – ჩაერია მეორე ქალბატონი, რომელსაც ყოველი სიტყვის წარმოთქმისას საკმაოდ მგრძნობიარე პაუზები გამოუ-

დიოდა, ხრინწიანი ხმა კი აშკარად მეტყველებდა, რომ ძალიან ბევრს ენეოდა, – მაიორო, თქვენ ფლობთ გერმანულს, სპეციალობით ფსიქოლოგი ხართ და ისიც ცნობილია, ომამდე ინვალიდთა სარეაბილიტაციო სამსახურში ფსიქორეაბილიტოლოგად მუშაობდით...

– დიახ, ზუსტად ასეა. – მისდა უნებურად უეცრად წარმოთქვა მაიორმა და საკუთარ შეგრძნებებში სცადა გარკვევა.

– ჩვენი ვარაუდით, – განაგრძო ქალბატონმა, – ლაბორატორიის შენობაში, ცალკეულ ოთახებში განთავსებული ჰყავთ უამრავი ცდის პირი, და, რა თქმა უნდა, სამეცნიერო არქივთან ერთად, ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია ისინიც.

– დალახვროს ეშმაკმა, სადამდე მიყავს ავადმყოფ ტვინს ადამიანის აზროვნების სინთეზი! – თქვა გენერალმა ისე, რომ სიტყვა „აზროვნების სინთეზი“ განსაკუთრებულად გაგრძელებულად წარმოთქვა, – მათ ხომ კარგად ესმით, რაიხსტაგი აღებულია, რომ ომი უკვე წაგებული აქვთ?

მანდილოსნებმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს.

– თქვენ თავისუფალი ხართ, – მიმართა გენერალმა ქალბატონებს. ისინიც მყისვე წამოდგნენ და ჩქარი ნაბიჯებით დატოვეს კაბინეტი.

– დრო არ ითმენს, – განაგრძო გენერალმა აირაპეტოვმა, – ხომ გესმისთ, ეს ომი ამ სახით კი მთავრდება, მაგრამ მის მაგივრად ადამიანები ბრძოლას სხვა ფორმით, – სამყაროს ათვისება-გარდაქმნით, ტვინის მექანიზმით ინყებენ. როსტომ, ეს დავალება ამიტომაც განსაკუთრებულად გამორჩეული და საპასუხისმგებლოა. გამოგიტყდებით, მეც არ ვფლობ ამ ოპერაციის ყველა დეტალის საიდუმლოს. ახლა გაგაცნობთ კაპიტან იური ნეფიოდოვს, რომელიც ამ ოპერაციაში თქვენს მოადგილედ არის დამტკიცებული.

გენერალმა ტელეფონის ყურმილი აიღო და მბრძანებლური ტონით ჩასძახა: – სასწრაფოდ ექიმი ჩემთან გამოიძახეთ! – და ყურმილი დადო.

– გიორგი ანდრონიკეს ძევ, დარწმუნებული ხართ, რომ ამ კაცის ნდობა შეიძლება? – იკითხა ზარიძემ.

– სრულიად! ის განსაკუთრებულად კარგი პროფესიონალი ექიმა. ისე, არ დაგიმაღავთ, მე მაინც ვითხოვდი ამ ოპერაციისათვისაც ჯგუფის შერჩევა თქვენთვის დაგვეკისრებინა, მაგრამ ცენტრალური შტაბიდან დამტკიცებული ოპერაციის გეგმა მივიღეთ, რომლის ხელმძღვანელადაც თქვენ ხართ, ხოლო მოადგილედ – ნეფიოდოვი. როსტომ, ხომ იცო, ყველა ჯარისკაცი ბრძანებას ემორჩილება, მათ შორის, მეც!

მაიორს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს სწორედ ასე იქნებოდა. მისი ხელმძღვანელობით მტრის ზურგში ჩატარებულმა საიდუმლო ოპერაციებმა, საიდუმლო აგენტების სამყაროში მას კარგი მზვერავის სახელი გაუთქვა.

ერთი წუთიც არ გასულა, კარი გაიღო და ლიობში სუსტი აღნაგობის კაცი უპროპორციოდ გაიჭიმა, წამიერად შეჩერდა და მათკენ მიმავალმა, თვალის დახამხამებაში გაზეპირებული ფრაზები ინსტინქტურად ისე სუსტად, დაბალი ხმით მიაყარა, რომ მაიორმა მხოლოდ ბოლო სიტყვა გაიგონა.

– გაიცანით! – გენერალმა ახალშემოსული და მაიორი ზარიძე ჟესტით წარუდგინა ერთმანეთს და განაგრძო, – ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის საიდუმლო სამსახურების მზვერავთა ჯგუფებიც ცდილობენ ფაშისტების ლაბორატორიიდან საიდუმლო მასალების მოპოვებას, ამიტომაც უნდა იჩქაროთ. თქვენ და ექიმი დაუყოვნებლივ გაემგზავრებით აეროპორტში, იქ გაეცნობით ოპერაციის სრულ დეტალებს და შეხვედებით თანამონაწილეებს. მანქანა ეზოში გელოდებათ!

მაიორს არ გაკვირვებია, როცა შტაბიდან გამოსულებს, კვლავ სერგეი ლიუბიმოვი დახვდათ ეზოში.

– მანქანა მზად არის, მაიორო! – ლიმილი შეაგება ლიუბიმოვმა.

– მაშინ, ისევ შემიძლია წავუძინო, – ირონიით უპასუხა მაიორმა. სამივენი მანქანისაკენ გაემართნენ.

ოცი წუთის შემდეგ მანქანა კიევის სამხედრო აეროპორტთან იყო.

აეროპორტის შესასვლელთან მათთან მივიდა მორიგე ოფიცერი ორი ჯარისკაცის თანხლებით და სამხედრო წესის შესაბამისად ითხოვა, გაჰყოლოდნენ. მორიგე ოფიცერმა, გაუგებრად ხრინწიან რაციაში, რაღაც ჩასძახა, შემდეგ ისინი პირდაპირ აეროპორტის განაპირა პატარა შენობის წინ მიიყვანა და უკან გამობრუნდა.

მაიორმა გაკვირვება ვერ დამალა, როცა დაინახა, რომ შესასვლელ კართან თვით უკრაინის ფრონტის დაზვერვის საიდუმლო სამსახურის უფროსი, მისი თანაქალაქელი და მეგობარი, პოლკოვნიკი გრიგორი ნესვეტაევი იდგა.

პოლკოვნიკი გულთბილი მისალმების შემდეგ წინ წაუძღვა მოსულთ და ისინი შენობის გრძელ კორიდორში შევიდნენ.

– გრიშა, რა ხდება? ჯგუფის არც ერთ წევრს არ ვიცნობ და ოპერაციაც ბუნდოვნად მეჩვენება. ყველგან მაჩქარებენ, ხოლო შეკითხვას არავინ მაცლის, თქვენ მაინც გამარკვით!

– ვინ გითხრათ, რომ ყველას არ იცნობთ? – ეშმაკური მზერით უთხრა პოლკოვნიკმა.

როსტომი წამიერად შეყვონდა: – იური ნეფიოდოვი ახლახან ჩვენი გენერლის კაბინეტში გავიცანი, – თქვა მაიორმა და ექიმს შეხედა, რომელსაც სახეზე ბავშვური წყენა დაეტყო.

– აი, ხომ ხედავთ, თურმე იცნობთ!

– ამოღერღეთ, თქვენც რეზუსებით ნუ მელაპარაკებით!

– კარგი, კარგი! ოპერაციის მეკავშირედ ჩვენი თანაქალაქელი, ჩვენი მეგობარი ზორბეგ ზარქუა იქნება.

– ძალიან კარგი. – თითქოს მოლბა მაიორი.

მათ კორიდორის ნახევარი გაიარეს, პოლკოვნიკმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო, კარი გააღო და ოფიცრებს კაბინეტში შეუძღვა. ოთახში პოლკოვნიკმა ფარაჯაზე ლილები შეიხსნა, სეიფთან მივიდა და ციფრების კოდი აკრიფა.

– გუშინ მოსკოვიდან ოპერაცია „ალფა“-ს გეგმა ჩამომიტანეს, როსტომ, – მეგობრული ინტონაციით დაიწყო პოლკოვნიკმა. ექიმმა მათ თვალებში მონატრებული სიხარულის ციმციმი შენიშნა, – ოპერაციის ჩატარებაც ჩვენ დაგვაწაღეს.

მაგიდას სამივე მოხერხებულად მიუსხდა, რომელზეც ბერლინის რუკა იყო გაშლილი.

– დღეიდან საარმიო ჯგუფები ბერლინზე შეტევას იწყებენ. ქალაქი დაყოფილია საოკუპაციო ზონებად. ინგლისის, საფრანგეთის და აშშ-ს სპეცსამსახურები, ისევე როგორც ჩვენ, ფაშისტების სპეციალურ ლაბორატორიებს ეძებენ. ბერლინის ალებით ომი დამთავრდება, მაგრამ ეს არმიის საქმეა, – წამიერი პაუზის შემდეგ პოლკოვნიკმა განაგრძო, – ფაშისტები სამხედრო ტყვეებზე განუწყვეტელი ცდებით, ახალი საშუალებებით იარაღს ეძებენ, რომლითაც ცდილობენ ომის მიმდინარეობის პროცესის შეცვლას. ჩვენ გვაქვს დაუზუსტებელი ინფორმაცია და კოორდინატები, სადაც, სავარაუდოდ, საიდუმლო ქიმიური ლაბორატორია ფუნქციონირებდა. ჯარისკაცებისა და ტექნიკის გადაადგილება შეინიშნება ღამით, ტერიტორია დანალმულია, მედიკამენტების ბაზაც იქ უნდა იყოს. აღნიშნული მასალების მოსაპოვებლად ჩვენი აგენტები აქტიურად მუშაობენ და საკმაოდ დიდი დაფინანსებაა გათვალისწინებული, აგენტურის ქსელის მეშვეობით, მედიკამენტების შესასყიდად, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოა ყველაფერი. დრო კი არ ითმენს, ინფორმაციის სიზუსტეს შემოწმება სჭირდება. თქვენ მითითებულ კვადრატში უნდა შეაღწიოთ და დაადასტუროთ ინფორმაცია.

– ეგ უკვე გავიგე. ოპერაციას როდის ვინწყებთ? – შეეკითხა მაიორი.

– ამაღამ! – უპასუხა პოლკოვნიკმა.

მაიორმა როსტომ ზარიძემ საქალაღდე, რომელსაც გრიფი „სრულიად საიდუმლო“ ეწერა, გახსნა, ფურცლები ამოიღო და ყურადღებით ჩაათვალიერა.

– გრიგორი, ეს რა არის? რა უნდა გავაკეთოთ ასეთი მცირე ჯგუფით?

– მაგას ნუ დარდობთ! თქვენს ნიშანზე მთელი დივიზია მოცემული კვადრატისაკენ წამოვა მხარდასაჭერად. თუ საქმე მოითხოვს, არტილერიაც ჩაერთვება...

– აღარ შემიძლია, ეშმაკმა დალაზვროს, მაინცდამაინც უნდა მოგვკვდე, რომ თქვათ, ნეტა

მოგვესმინაო?! – გულწრფელად, სინანულით წარმოთქვა და ექიმს შეხედა.

ექიმს გაელიმა, მაიორს ხელიდან ფურცლები გამოართვა, ისე ზერელედ გადაავლო თვალი, თითქოს იცოდა, რა ეწერა და თქვა: – აი, ჰიტლერისათვის მის აჯანყებულ ოფიცრებს ბოლო რომ მოეღოთ, ეს უბედურება დიდი ხანია დამთავრებული იქნებოდა.

მეგობრებმა ერთმანეთს შეხედეს და გულიანად გაიცინეს.

– გამოგიტყდებით, თქვენმა პასუხმა განმაცვიფრა! – წყნარად, ღიმილით თქვა მაიორმა.

– „დანარჩენებიც აქ არიან?“ – ამოიკითხა მაიორის თვლებში პოლკოვნიკმა, თან ხელით ანიშნა, სიგარეტი მომეციო და მაგიდიდან წამოდგა.

მაიორმა სიგარეტი მიაწოდა, თვითონაც ამოიღო. წინ პოლკოვნიკი წავიდა. მაიორი და ექიმი მას უხმოდ გაყვნენ. ისინი მეზობელი ოთახის კარს მიადგნენ დერეფანში.

ოთახიდან ხმაური გამოდიოდა.

– ზორბეგმა ამათ თქვენს შესახებ იმდენჯერ მოუყვა, მგონი, უკვე გიცნობენ, – თქვა პოლკოვნიკმა და ოთახის კარი გამოაღო.

შესვლისთანავე სიჩუმე ჩამოვარდა, კართან ზურგით მჯდარი ზორბეგი შემობრუნდა, მკვირცხლი მოძრაობით მიეჭრა მაიორს და ძველი მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ. პოლკოვნიკი მაგიდისკენ გაემართა. მისალმების ნიშნად მთელი ოთახი ახმაურდა.

პოლკოვნიკმა ხელით ანიშნა, კმარაო, ახალმოყვანილნი დამხედურთ წარუდგინა. შემდეგ ყველა ერთად შემოუსხდა მაგიდას, რომელზეც გაზეთი ეფინა, ხოლო ზედ წყლის ასადულებელი და შავი პურის ორცხობილები ეწყო.

– ყველანი ოფიცრები ხართ? – იკითხა მაიორმა და სიგარეტის მოსაკიდებლად დაიხარა. ორმა სამხედრო ფორმიანმა ერთდროულად ააჩხაკუნა ასანთი.

– ყველანი! – უპასუხა უფრო ასაკოვანმა, რომელსაც ასანთის ღერი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა.

– გერმანულად ხომ ლაპარაკობთ?

– მე ვლაპარაკობ! გამნაღმელი ბრიგადიდან ვართ. კაპიტანი პეტრე ტოლკაჩიოვი ვარ. – უპასუხა ასაკოვანმა, – ჩემი კოლეგა უფროსი ლეიტენანტი ანატოლი შუისკი, – მიუთითა მეორე ასანთიანზე, – ესეც გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. ხოლო ეს – მზვერავი გამნაღმელები, – ხელი გაიწოდა ოფიცრებისკენ პოლკოვნიკმა, – ალექსეი ვოლკოვი და იგორ ნაიდენოვი, თავიანთი მეცნიერული ნაშრომებით მალე რიგგარეშე სამხედრო ჩინსაც მიიღებენ, მათ აზროვნების სინთეზის გაკონტროლება და კორექტირება შეუძლიათ, ასე რომ, ამ შემადგენლობით დიდ არმიასაც დავამარცხებთ!

მაიორი პოლკოვნიკს მიუბრუნდა და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით, ისე, სხვებს არ გაეგოთ, თქვა: – ძალიან დამამშვიდეთ, პოლკოვნიკო!

– მეც ეგ მინდოდა! – ხმადაბლა უპასუხა პოლკოვნიკმა, იქ მყოფთ გამოემშვიდობა და ოთახი დატოვა.

მაიორმა მაგიდაზე ბერლინის რუკა გაშალა, მზერა მიაპყრო, ისე დაიწყო, თითქოს საკუთარ თავს ეუბნებოდა:

– საომრად არ მივდივართ და არც აფეთქებებს ვგეგმავთ. ჩვენ მივდივართ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანის მოსაპოვებლად, სწორი ინფორმაცია გვჭირდება, ეს ზესაიდუმლო ინფორმაციაა და ამით საკუთარი მეცნიერების განვითარებაზე ვზრუნავთ. ამოცანა ასეთია: – ინფორმაციის დაზუსტება..., ამისათვის მტრის ცენტრში შეღწევაა საჭირო. თუ ის იქ აღმოჩნდება, სადაც ვეძებთ, იცოდეთ, ჩვენზე ნაკლები პროფესიონალები როდი იცავენ. – მაიორმა ყველას ფურცლები დაურიგა, დასძინა: – და რაც მთავარია, იცოდეთ, ჩვენ სამშობლოს დიდხანს კიდევ ვჭირდებით.

\* \* \*

თვითმფრინავი ბერლინის ბნელ ცაში, მალლა მიფრინავდა. ბომბების აფეთქებები, რაც განსაკუთრებული სიხშირით ამ დროს დაიწყო, დაგეგმილი ოპერაციის განხორციელების შემადგე-

ნელი ფაქტორი იყო. პილოტმა მთელი ჯგუფი წინასწარ ცნობილ კვადრატზე დაუშვა. პარაშუტისტები ბორცს მონყდნენ. მიწაზე ფეხისდადგმისთანავე, გერმანულ ფორმაში გადაცმული ელიტარული ჯგუფის წევრები, იმ ადგილს განერიდნენ, პარაშუტები დამარხეს, მდინარის ტყიან სანაპიროს შეაფარეს თავი. სამი კილომეტრი შეუჩერებლივ გაიარეს და შესასვენებელი ადგილი მოიწყეს.

მაიორმა ჯგუფის რადისტს, ზორბეგ ზარქუას უბრძანა:

– რაცია გამართე!

მაღე კიევში ცენტრალური სადაზვერვო შტაბის საიდუმლო რადიოსადგურმა „ალფა“-ს საიდუმლო კოდით პირველი რადიოგრამა მიიღო:

„მიწაზე დავეშვით. მუშაობას შევუდექით“.

ლამისა და დღის უსასრულო ჭიდილი რიჟრაჟზე განთიადის მორიგი გამარჯვებით დაიწყო, მაისის დილამ ვარდისფრად შეღება ცა და ბნელი კიდევ ერთხელ დაამარცხა ნათელმა. ასეთი იყო 1945 წლის 4 მაისის განთიადი, გერმანულ ფორმაში, გერმანული პარაშუტებით დაშვებულ მზვერავთა შვიდკაციან ელიტარულ ჯგუფს რომ მიეგება.

შვიდეულთაგან მხოლოდ ექიმს ჰქონდა დახუჭული თვალები. რიჟრაჟზე, სინათლის გამოჩენისთანავე, როსტომმა საათს დახედა:

– ექიმო, არ გძინავთ?

– მძინავს! – თითქმის ჩურჩულით უპასუხა იური ნეფიოდოვმა.

– მაშინ გაიღვიძეთ და მოემზადეთ! – იგივე ინტონაციით წარმოთქვა როსტომმა.

– ვითომ, რატომ? – იუმორნარევი ხმით გააგრძელა ექიმმა, მაგრამ როსტომს ყურადღება აღარ მიუქცევია და ყველას მიმართა:

– ახლა ნასაუზმებაც მოგვიხდება, არა, ამხანაგო ოფიცრებო? ოღონდ სიგარეტის გარეშე! – გაამკაცრა ტონი მაიორმა.

სიამოვნებით დათანხმდნენ და მზვერავის მშრალ საუზმეს მათარებში ჩასხმული თითო ყლუპი არაყი დააყოლეს.

ექიმი მაიორს რატომღაც განსაკუთრებული მზერით უყურებდა. ვილაცას აგონებდა, ვისაც

ომის პერიოდში, ან ომამდე სადმე შეხვედროდა, თითქოს ბავშვობის მეგობარს ამსგავსებდა და ვერ იხსენებდა. ნამიერ ფიქრებში წასულ ექიმს ეჭვიც კი გაუჩნდა, რომ, თითქოს კი არა, ისინი ნამდვილად ბავშვობის მეგობრები იყვნენ; თვალეში ბავშვური ხალისი ჩაუდგა, როსტომს შეხედა და ირონიულად, გერმანულად თქვა:

– გერმანული ფორმა გშენით, ნამდვილი არიელი ხართ!

ასეთი ხუმრობა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მაიორმა ხმადაბლა წაიბურღლუნა, – თქვენ გული და ნერვები არ გაქვთ?

– ექიმს ეგ არასდროს სჭირდება, მით უმეტეს, ომში!

– ომია, ომი! – მოკლედ უპასუხა ჩაფიქრებულმა მაიორმა.

ჯგუფმა გასასვლელად მომზადება დაიწყო, ხოლო ქალის ხასიათივით ცვალებადი უპროგნოზო ბერლინის ამინდი თანდათან ილუშებოდა და მდინარის ნაპირზე შეფენილი ტყე, ჯერ კიდევ ერთი საათის წინ რომ ბრწყინავდა, ახლა ჩამუქდა და ჩაინისლა.

როდესაც დაახლოებით ერთი კილომეტრი მიწაზე ხოხვით გაიარეს, მაიორმა კომპასი ამოიღო, შემდეგ რუკა გაშალა, ფარგლით გადაზომა, ოფიცრებს გადახედა და ჩურჩულით თქვა:

– მორჩა, მოვედით!

– აქ? – გაისმა ექიმის გაკვირვებული ხმა, რომელიც მაიორის მკაცრმა ხმამ გადაფარა.

მაიორმა ბრძანა, ფეხი არ მოეცვალათ. როსტომი კარგად ხვდებოდა, რომ ჯგუფის წევრები პროფესიონალები იყვნენ, მათ დაწვრილებითი ინსტრუქტაჟი ჰქონდათ გავლილი და თითოეულმა ზუსტად იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. ექიმის საქციელი და კითხვები კი აკვირვებდა, მაგრამ არაფერს ეუბნებოდა. თავისთვის ბრაზდებოდა გენერალზე, რატომ შეიყვანეს ამ ოპერაციაში გამოუცდელი ოფიცერი, თან მოადგილედ.

როსტომი კიდევ ერთხელ დააკვირდა რუკას, კმაყოფილმა, დურბინდით თვალი მოავლო არემარეს.

– არავითარი გასროლა! – თქვა ხმადაბლა მაიორმა. შემდეგ ჯგუფის წევრებს ჟესტიკულაციით უბრძანა და ისინი ისე ორგანიზებულად გადაჯგუფდნენ, თითქოს ნაცნობ ტერიტორიაზე ერთი და იმავე მოქმედების შესრულება დაზეპირებული ჰქონოდათ.

რუკაზე შერჩეული სტრატეგიული ადგილების მიხედვით ორ-ორმა ოფიცერმა განკუთვნილი სტრატეგიული წერტილები დაიკავეს და ისე მიიმალნენ, თითქოს ბუნებამ საკუთარი უკმარისობა შეივსო. თვითონ მაიორი კი ჯგუფის საპირისპირო მხარეს გაქრა.

\* \* \*

ჰაინრიხ ჰიმლერი საშუალო სიმაღლის კაცი იყო. არც განათლებით, არც ინტელექტით ბრწყინავდა და არც ლიდერის თვისებები გააჩნდა. მისი გავლენა ტოტალური სახელმწიფოს საიდუმლო სტრუქტურებში ვალტერ შელენბერგმა უზრუნველყო. მან სტრატეგიული აზროვნების უნარით და უტყუარი წინათგრძნობით საიდუმლო სისტემაში ერთ-ერთი გამოჩენილი მზვერავის სახელი დაიმკვიდრა, ხელმძღვანელობდა მესამე რაიხის სპეცსამსახურების ყველაზე მნიშვნელოვან ოპერაციებს. შელენბერგმა კავშირი დაამყარა პრინც ჰოჰენლოესთან, შემდეგ შვეციის წითელი ჯვრის ხელმძღვანელ გრაფ ბერნადოტთან. ამ კავშირებით იმპერიას მაქსიმალურდ გაუხანგრძლივა არსებობა.

ბრიგადენფიურერმა ვალტერ შელენბერგმა თავისი კომუნიკაბელურობითა და სანდომიანი ხასიათით, ასევე, მოახერხა დასავლეთის გავლენიან წრეებზე გასვლა, მაგრამ ზავის დადება შეუძლებელი აღმოჩნდა. გაბოროტებულმა ადოლფ ჰიტლერმა იტალიური ქალაქების აფეთქების საიდუმლო ბრძანება გასცა. ვალტერ შელენბერგს, როგორც კულტურულ ადამიანს, არ შეეძლო ამის დაშვება. ის კარლ ვოლფის მეშვეობით ალენ დალესს დაუკავშირდა, რომელიც ევროპაში ამერიკის რეზიდენტი იყო. ამერიკელებმა ვალტერ შელენბერგის დახმარებით,

განახორციელეს ოპერაცია „სან რაის კროსფორდ“-ი, რის შედეგადაც იტალია განადგურებას გადაურჩა.

მთელი ღამე ფიქრებში ჩაფლულ ვალტერ შელენბერგს, ნესტიანი შენობის მედიკამენტების სუნით გაჟღენთილ მაგიდის თავთან მდგარ გაქეპილ სავარძელში რომ იჯდა და გონებაში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან ბიზნესკავშირებს ალაგებდა, ლაბორატორიის გამგის, დოქტორ რობერტ ბუროტის შემოსვლა არც შეუნიშნავს.

შელენბერგი სავარძლიდან წამოდგა, კორიდორში გამავალი სარკმელი გამოაღო, ნელა გემრიელად გააბოლა. კორიდორს მიაჩერდა, სადაც მკრთალ შუქზე გერმანელი ოფიცრები საკუთარ ლანდებში ქაოსურად ირეოდნენ და კონტინენტებს მანქანებში უხმაუროდ ტვირთავდნენ. შემდეგ სარკმლის გვერდით მდგარი ცარიელი კარადის კარი გამოაღო, სადაც ტრადიციულად კონიაკი ეგულებოდა და მხრების აჩევით ისევ მიხურა.

– გაგიკვირდათ, რომ ცარიელია? – ჰკითხა რობერტმა.

ვალტერი სწრაფად შემობრუნდა.

– მეგონა, ლაბორატორიაში გეძინათ.

– მეძინა, მაგრამ პაციენტს წამალი უნდა გავუკეთო.

– ეს თემა უკვე დახურულია, ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ დააძინებდით, შეიძლება კიდევ ერთი ექსპერიმენტი ჩავარდნილად აღიაროთ და დაასრულოთ?

– კი, შეიძლება!

ვალტერ შელენბერგი რატომღაც დარწმუნდა, რომ პაციენტი მკვდარი იყო, მაგრამ დოქტორი მას ატყუებდა, ამიტომაც ვალმოხდით ხმადაბლა ჰკითხა:

– ის წამალი აღარ გაქვთ?

– აღარ მაქვს, ლაბორატორიაშიც ველარ ვამზადებ, ყველაფერი გაყიდეს და ყველა წაიყვანეს.

– ცოტა მოითმინეთ. ჩვენც მალე წავალთ აქედან!

– ჩემთვის სულერთია, სად წავალთ – ჩილეში, არგენტინაში თუ სხვაგან, ალბათ ისევ თქვენ-

ისტანბულის კონტროლირებად სისტემაში მომიწევს მუშაობა, – გაღიზიანებული ხმით უპასუხა დოქტორმა, – მაგრამ, მაინც როდის?

– შეფისაგან, ჰაინრიხ ჰიმლერისაგან, რადიოგრამას ველოდები, ალბათ ხვალ, უფრო სწორად, დღეს; ამ გამოქვაბულში ღამეში მოვედი, და მგონია, დიდი დროა გასული. – იუმორნარული ინტონაციით მიუგო ვალტერ შელენბერგმა.

რობერტ ბუროტი კი დარწმუნდა, რომ საკუთარი ინტონაციით ვალტერ შელენბერგზე გავლენა ვერ მოახდინა და ყურადღების გამძაფრებისათვის ხმადაბლა შეეკითხა:

– თურქებთან მოგვარდა?

– ჩვენ ამჟამად და ფორმულის პირველი ვარიანტი მივყიდეთ, მეტი არაფერი.

– ფული სრულად გადაიხადეს?

– კი, ოქროთი.

– ალბათ ეს ის ოქროა, ათათურქს ფრუნზემ რომ გადასცა. – თქვა დოქტორმა ძალიან სერიოზულად.

– რაზე ამბობთ, რობერტ? – გაკვირვებული სახის გამომეტყველებით მხრები აიწურა ვალტერ შელენბერგმა.

– თქვენ ჩემზე კარგად იცით ყველაფერი. ლენინმა რომ ათათურქს კაცი გაუგზავნა, სახელმწიფოს აყალიბებ და ჩვენი რევოლუციის იდეოლოგიას შემოუერთდით.

– ვიცი, ვიცი! მაშინ მას ჩემი საიდუმლო აგენტი ახლდა ბათუმში. მათ სარფის საზღვარზე ერთად ფარულად გადაიტანეს სამოცდათხუთმეტი ათასი ცალი შაშხანა და თხუთმეტი კილოგრამი უმაღლესი სინჯის ოქროს ზოდები.

– იცით, შემდეგ რა მოხდა?

– თურქები დაპირდნენ, კიო, საჩუქარი მიიღეს, მაგრამ პირობა არ შეუსრულეს, ჩვენდა საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში.

– კარგი, დანარჩენი, რა ხდება?

– ეს ბოლოა, და... ერთად წავალთ?

– როცა შესაბამისი დრო დადგება, – ხმადაბლა თქვა ექიმმა, – მაგრამ ესენი თუ მიგვიღებენ?

– ალბათ.

– არსად არ გვიღებენ და მაგათი იმედი რატომ გაქვთ?

– მაგათ ფული განსაკუთრებულად უყვართ.

ამ დროს კორიდორში ხმაური მოისმა, კაბინეტის კარი გაიღო და გერმანული ოფიცრის ფორმაში კოხტად ჩაცმული რობერტ ბუროტის ასისტენტი ფრაუ როზა შემოვიდა. ვალტერ შელენბერგისთვის როზას შემოსვლა ტვირთის მზადყოფნას ნიშნავდა. როზას კვალდაკვალ გერმანელი ოფიცრები შემოჰყვნენ.

ვალტერ შელენბერგი გრძელი მაგიდის თავში მდგარ ძველი, გაქეჩილი ტყავის სავარძელში მოღუშული ჩაჯდა. შემოსულნი ჩვეულებრისამებრ, არ მისაღმებიან. ისინი უხმოდ დასხდნენ მასიურ მაგიდასთან და შელენბერგს მიაჩერდნენ.

– ომი წაგებულია, ბატონებო, – დაიწყო ბრიგადენფიურერმა, – ჩვენი ხელმძღვანელობა იმ კაპიტალის გატანას გეგმავს, რომელიც...

და ფრაზა არ დაუმთავრებია, საუბარი ეგუენ დოლმანმა გააწყვეტინა, ალენ დალესის ძმის, ჯონ ფოსტერ დალესის ფინანსურმა მრჩეველმა.

– თქვენს ხელმძღვანელობას რომ ჩვენთვის დაეჯერებინა, დღეს ორმაგად წარმატებული და გამარჯვებულნი ვიქნებოდით, – დოლმანი მკაცრად მეტყველებდა, – დიდი ხნის წინ ჩვენ შევთავაზეთ, გვეთანამშრომლა მეცნიერებაში და საიდუმლო კვლევები ერთად გვენარმოებინა. შედეგად რუსების მოკავშირეები თქვენი მოკავშირეები იქნებოდნენ და ომის ბედიც სულ სხვანაირად გადაწყდებოდა!

– ბატონებო, აქ სრულად დია თათბირია, რადგან ყველა ჩვენგანი თვითონ დიდ საიდუმლოს ვფლობთ, – მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით თქვა ვალტერ შელენბერგმა, გვერდზე შეუმჩნევლად გაიხედა და გაჩუმდა.

ხანმოკლე სიჩუმე ვალტერ შელენბერგის მარჯვენა მხარეს მჯდომმა, ჰაინრიხ ჰიმლერის აგენტმა, ობერგრუპენფიურერმა კარლ ვოლფმა დაარღვია. შელენბერგმა იცოდა, რასაც იტყოდა ვოლფი.

– ბატონებო, – მიმართა მან იქ მყოფთ, – გერმანიის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ხელმძღვანელობამ ომის მიმდინარეობა რეალურად



შეაფასა და დამავალა ოტოსთან ერთად მოლაპარაკებები გამემართა ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის სპეცსამსახურებთან. მოლაპარაკების საგანი, როგორც თქვენთვის ცნობილია, იყო საიდუმლო დოკუმენტების არქივის ევაკუაცია, ჩვენს საიდუმლო ლაბორატორიებში სამედიცინო მიღწევებისა და სამეცნიერო პერსონალის უსაფრთხო ტერიტორიაზე გაყვანა, სამომავლო კვლევებისა და ბრძოლის გაგრძელების მიზნით. ფულადი სახსრების და სხვა სახის კაპიტალის შენახვის გარდა, ჩვენი მაღალი ეშელონის ოფიცრებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სპეცსამსახურებისაგან უსაფრთხოების გარანტიებს ვითხოვდით. რადგან სახელმწიფოებრიობის სტრატეგიული და თავდაცვის საიდუმლო ლაბორატორიებისათვის, ეს წინადადება არის აქტუალური, ხოლო ფინანსური კუთხით მსოფლიო საბანკო სისტემისათვის – მომგებიანი, მხარეებმა მივალწიეთ ამ ოპერაციის საიდუმლო თანხმობას. მართალია, ეს თანხმობა აღენ დალესთან დავაგვიანეთ, დავგვიანების მიზეზი კი ის არის, რომ ოპერაციის დაწყება დროში გაჭიანურდა...

– ეს უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე დუჩეს მოტაცება. – საუბარში ჩარევა სცადა ოტო სკორცენმა, მაგრამ კარლ ვოლფმა იგი მკაცრი მზერით შეაჩერა, თვითონ კი განაგრძო:

– კონტრაქტი კაბალურია, რადგან მის განხორციელებაში პარტნიორები ჩვენი კაპიტალის ნახევარს ითხოვენ. სამაგიეროდ, ჩვენ ავამოქმედებთ საკუთარ ბიზნესს, შევიძენთ აშშ-ის სამრეწველო კორპორაციის აქციების დიდ ნაწილს და, რაც მთავარია, თავისუფლებას!

– ხომ საიმედოა ეს ყველაფერი? – იკითხა ვალტერ შელენბერგმა.

– კონტრაქტის რისკი მინიმალურია, იმიტომ, რომ ამ კონტრაქტის განხორციელებით ჩვენი ახალი ფინანსური პარტნიორებიც დაინტერესდნენ, ისინი მზად არიან, ნეიტრალური შვეიცარიის ბანკებში ჩვენი კაპიტალი მათი სახელით შევიტანოთ, – კვლავ სცადა საუბარში ჩარევა ოტო სკორცენმა, მაგრამ ის კუშტი მზერით ისევ შეაჩერა კარლ ვოლფმა.

– ბატონებო, ეს კაპიტალის თვალსაზრისით, – ხმას აუწია კარლ ვოლფმა, – ყველაზე ძვირადღირებულ ფინანსურ გარიგებას წარმოადგენს. ოპერაცია დაწყებულია, მისი ბოლო ფაზა მალე უნდა განხორციელდეს, „სრულიად საიდუმლო“ ლაბორატორიის თანამშრომლები და მათი მეცნიერული კვლევის მასალები ჩვენს ახალ პარტნიორებს უნდა გადაეცეს.

– ფეგელაინი რას გვეტყვის? – იკითხა ვალტერ შელენბერგმა და მზერა მიაპყრო მაგიდის კუთხესთან მჯდომ სამოქალაქო კოსტიუმში გამოწყობილ, უფერული სახის კაცს, რომელსაც მსხვილ წარბებში ჩაფლული თვალები ისედაც პირქუშ სახეს უფრო სასტიკ გამომეტყველებას აძლევდა.

ჰიტლერის ცოლისძმა, ფეგელაინი, არც განძრეულა. თითქოს არაფერი გაუგონია, საუბარიც ისე დაიწყო, სახეზე ერთი ნაკვეთიც არ შეტოკებია. იგი რობოტს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს.

– პრობლემის ყოველგვარ პოლიტიკურ გადაწყვეტას ფიურერი კატეგორიულად უარყოფს. – თქვა მან.

– როგორ შეხვდნენ სამხედროები მის გეგმას? – ჰკითხა ვალტერ შელენბერგმა.

– ირონიულად. უცნაურია, მაგრამ სწორედ სამხედროები მივიდნენ ახლა იმ საბოლოო დასკვნამდე, რომ ომის დამთავრება შეუძლებელია პოლიტიკური გზების გარეშე.

– კაპიტულაცია? – იკითხა ვალტერ შელენბერგმა ჩაფიქრებით, – დაილაღნენ ბრძოლით?

– დიახ, ბატონებო! უკვე გადაწყვეტილია, რომ მალე, მესამე რაიხის კაპიტულაციის აქტზე გერმანიის სახელით გენერალ-ფელდმარშალი კაიტელი ხელს მოაწერს, შემდეგ კი მოლაპარაკებები...

– ეს დაზვერვის სამსახურის სუსტი მუშაობის ბრალია, – ჩაერია საუბარში რუდოლფ ილგენი, რომელიც ამერიკაში საკმაოდ დიდ ფინანსებს ფლობდა და ასევე კოორდინაციას უწევდა გერმანულ კაპიტალს, – თქვენ კარგად იცით, რომ ზოგიერთმა მაღალი რანგის ოფიცერმა დიდი ხა-

ნია საიდუმლოებების გაყიდვა პირადი ინტერესების გამო დაიწყო და კარგი კაპიტალიც დააგროვა. შემდეგ ამ კაპიტალით ისინი მონინალ-მდეგეთა ბანაკებში გადაბარდნენ.

– ჩვენი ბრძოლა გრძელდება, – უჩვეულო დაბალი ხმით თქვა ვალტერ შელენბერგმა, – ჩვენ ხელში ჩავიგდებთ მსოფლიო ბაზრებს და საბანკო სისტემებს, მაგრამ მხოლოდ მორალური სრულყოფილებით ხომ ვერ ცოცხლობს ადამიანი, თუმცა მხოლოდ პურიტაც არ არსებობს. მაშასადამე, ჩვენ გვსურს ჩვენი ხალხის ბედნიერება. მოდით და ეს ჩავთვალოთ პირველ ნაბიჯად იმ გზაზე, რომელიც მომავალში მორალურ სრულყოფამდე მიიყვანს ჩვენს არიულ რასას.

– ძალიან კარგია, მშვიდად იცხოვრო და იბრძოლო, – ეს ერთი და იგივეა? – იკითხა რუდოლფის ძმამ, მაქს ილგენერმა, იგი ბიზნესწრეებში და ჰაინრიხ ჰიმლერის საიდუმლო სამსახურში გავლენიანი ფიგურა იყო. ბოლო დროს კი, მათ შორის გამწვავებული ურთიერთობა გამოიკვეთა. ილგენერს უფროსობა სურდა, რასაც თითქმის აღარც მალავდა.

– მხოლოდ იმისათვის ვიბრძვით, რომ ჩვენთვის ცხოვრებისეული სივრცე უზრუნველვყოთ! – უპასუხა ვალტერ შელენბერგმა.

– თქვენ გაუწევთ კოორდინაციას ჩვენს ერთიან ბიზნესს? – გაკვირვებული ხმით წარმოთქვა მაქს ილგენერმა.

– აუცილებლად! – უპასუხა ბრიგადენფიურერმა ვალტერ შელენბერგმა.

– მაშასადამე, წინასწარ იცით, რა სურთ სავაჭრო-საფონდო ბირჟებს, მრუდი როდის მიდის მაღლა, როდის ეცემა, ან გამოცდილი ბროკერები საჭიროების შემთხვევაში, როგორ ათამაშებენ მას? და მიხვდებით, რაში ცდება იგი და რაში არა? – იუმორნარევი ინტონაციით თქვა მაქსმა, – თქვენ თავის დროზე იმასაც ვერ მიხვდით, რომ მარტინ ბორმანმაც გიღალატათ?

მაქს ილგენერის ინტონაციით გაღიზიანებული ვალტერ შელენბერგი ფეხზე წამოდგა და მისმა ღმუილისმაგვარმა ხმამ ჰაერი გაკვეთა:

– მე ადმირალი ვილჰელმ კანარისი დავაპატიმრე. მარტინ ბორმანის ღალატი, ჯერჯერობით,

ზუსტად არაა ცნობილი, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რა სურთ ბირჟის პატრონებს და მათ ხალხს! ხალხს, უწინარეს ყოვლისა, მორჩილება სურს, შემდეგ კარგი კერა, სახელი, საჭმელი, მანქანები, ზეიმები და კიდევ ვინ მოთვლის... – პატრონებს კი ამ ხალხის სამართავად ფული და საკუთარი ბედნიერების შესანარჩუნებლად – ომი! დიახ, თუ საჭიროა, ომები!

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

სიმყუდროვე ისევ ვალტერ შელენბერგმა დაარღვია. მაგრამ ახლა სულ სხვა, განსხვავებული, რბილი და ჩუმი ხმით წარმოთქვა, – გახსოვდეთ! ჩვენ აქ ღალატზე არ გვილაპარაკია. მხოლოდ სამშობლოს ხსნა-გადარჩენის გეგმებზე ვმსჯელობდით. ყველანი მანქანებში ჩასხედით. გეგმა „ექო“-ს შესაბამისად ვინყებთ მოქმედებას!

ეს გეგმა ყოველ მათგანს დაზეპირებული ჰქონდა, ასეთი ოპერაცია ჯგუფმა უკვე შვიდჯერ განახორციელა. ეს კი ბოლო იყო. არც ერთ მათგანს კითხვაც არ გასჩენია. უხმოდ წამოიშალნენ, ოთახი სწრაფად დატოვეს და თავიანთი ფუნქციების შესრულების თადარიგს შეუდგნენ. მხოლოდ რობერტ ბუროტი იჯდა სკამზე გაუნძრევლად.

– რადიოგრამას ველოდებო? მომაცყუეთ, ბატონო ბრიგადენფიურერ ვალტერ შელენბერგ? – საფერფლეზე თვალბმყინულმა, ნაწყენი ხმით წარმოთქვა დოქტორმა, – მე მინიმუმ დღე-ღამე მაინც მჭირდება შედეგის მისაღებად, მასზე დიდ იმედებს ვამყარებ!

– აქამდეც გქონდათ დრო, მაგრამ თქვენ მათი აზროვნების სინთეზში ვერ შევალნიეთ. თქვენი კვლევის რესურსები ამ ეტაპზე ამონურულია. ახლა კეთილი ინებეთ და მანქანაში ჩაჯექით. კიდევ გაძლევთ შანსს და კვლევები რომ გააგრძელოთ, სწორედ ამაში გეხმარებით, – გაისმა ვალტერ შელენბერგის მკაცრი ხმა, – მოემზადეთ და მანქანაში ჩაჯექით, როზა უკვე იქ არის!

– მე ვერსად წამოვალ და როზაც ჩემთან დარჩება!

– როზა უკვე მანქანაშია და თქვენ გელოდებო! – ტონი არ შეუცვლია ვალტერ შელენბერგს.

– როგორ, როზა უჩემოდ ნასვლაზე თანახმაა? ის ხომ ჩემი ერთადერთი მეგობარია, იმანაც გამწირა?

– კი არ გაგწირა, თქვენს გადარჩენაზე იზრუნა.

– წადით, მე ჩემს პაციენტთან დავრჩები.

– უნდა წამოხვიდეთ, რობერტ, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია.

– არა-მეთქი!

– თქვენ შეგიძლიათ არაფერი მითხრათ. მე კი გეუბნებით იმას, რასაც სხვებს არ ვეტყვოდი, ისინი სხვები არიან და მათ არა აქვთ ის, რაც ღმერთმა სხვებზე მეტად თქვენ გიბოძათ.

– მაინც, რა?

– ცოდნის ძალა, რომელიც წარმართავს თქვენს ქმედებებს.

– მით უმეტეს. ხომ ხვდებით, რომ კვლევის შედეგის მისაღებად პაციენტთან უნდა დავრჩე.

– რობერტ, თქვენ თუ უარს იტყვით და არ გამოგვეყვებით, ისინი დაეჭვდებიან, – ვალტერ შელენბერგმა მზერა დერეფნისაკენ მიაპყრო და განაგრძო, – იფიქრებენ, რომ ადამიანის სიცოცხლე უფრო მეტია, ვიდრე ნებისმიერი ჩვენი მიზანი...

– მაგრამ, ახალ ლაბორატორიაში მისი გადაყვანა შეუძლებელია, მგზავრობას ვერ აიტანს.

– სამწუხაროა! – შესძახა საუბრის გაგრძელებით შეწუხებულმა ვალტერ შელენბერგმა.

– მეც ვწუხვარ, – თავი რამდენჯერმე დაიქნია რობერტ ბუროტმა, – მაგრამ, იცით რა მაფიქრებს? ის საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის, ჩვენ ორივე ღმერთს ვეკუთვნივით, მაგრამ, თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ვინ განაგებს ადამიანის სიცოცხლეს და, საერთოდ, დედამიწაზე წესრიგს ვინ ამყარებს?

– თვით ადამიანი განაგებს ყველაფერს, და თუ რაიმეს ვერ აკეთებს, მაშინ იწყება სხვადასხვა მიზეზის ძეგნა. – პასუხი არ დააყოვნა გაბრაზებულმა ვალტერ შელენბერგმა.

– უკაცრავად, – მოკრძალებით თქვა რობერტ ბუროტმა, – რომ განაგოთ, უთუოდ უნდა გქონდეთ ზუსტი, საკმაოდ დიდვადიანი გეგმა;

ნება მიბოძეთ, გკითხოთ: როგორ უნდა განაგოს ადამიანმა, როცა არ შეუძლია შეადგინოს რაიმე გეგმა, თუნდაც, სასაცილოდ მოკლე დროით – ხუთი წლით, როგორც ეს თქვენს შემთხვევაშია. უფრო მეტიც: – ისიც კი არ უწყის, ხვალ რა მოვლის?!

– შემოქმედებითი საქმიანობა მუდამ ერთნაირად წარმატებული არ შეიძლება იყოს, ჰერ რობერტ. წარმატებულ და ნაყოფიერ დღეებს შორის გამოერევა ისეთიც, როდესაც აღმოაჩენ, რომ თვით ბუნებაა თქვენს წინააღმდეგ ამხედრებული.

– მართლაც! – ექიმი ვალტერ შელენბერგს დაჟინებით მიაჩერდა, – წარმოიდგინეთ, რომ თქვენი შემოქმედებით განაგებთ დღეებს, როგორც სხვებისთვის, ასევე საკუთარი თავისთვისაც, და როცა ეშხში და აზარტში შეხვედით, უცებ აღმოაჩენთ, რომ დაავადდით, – რობერტმა ბოროტად ჩაიცინა, თითქოს სიტყვა „დაავადების“ წარმოთქმამ სიამოვნება მიანიჭა, – და თქვენს გეგმასაც ბოლო მოეღება! საკუთარი დღეების გარდა აღარავისი განუხებთ. გული გიგრძნობთ, რომ თქვენს თავს რაღაც უბედურებაა. გარბიხართ ჯერ მეცნიერებთან, ექიმებთან, თუ საჭირო ხდება თალღით მარჩიელებთანაც, მაგრამ თავად იცით, რომ მათთან მისვლა სრულიად უაზროა. ბოლოს ყოველივე ტრაგიკულად მთავრდება: ის, ვისაც ცოტა ხნის წინ ეგონა, რომ სხვის დღეებსაც განვაგებო, კუბოში უდარდელად წევს. უარესიც შეიძლება მოხდეს, ერთ წარუმატებელ დღეს ფეხი დაგისხლტეთ, საფეთქელით დაეცეთ და დაიღუპოთ! ნუთუ მეტყვით, რომ საკუთარი ნებით? უფრო სწორი არ იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ვიღაც სხვა გეგმავს და განაგებს დღეებს?

ვალტერ შელენბერგი გულისყურით უსმენდა ექიმს დღეების განკარგვაზე, დაავადებასა და დაცემაზე მსჯელობას და გონებას საგანგაშო აზრები უღრღნიდა. ერთი წამით ინანა კიდევ, რომ ასეთი ავადმყოფი კაცი, თანაც ექიმი, მის სიაში მეცნიერთა შორის ყველაზე ძვირადღირებული იყო. ნერვები მაინც მოთოკა და ხმადაბლა უთხრა:

– მსხვერპლი არ იქნება. პაციენტი დაადინეთ და თან წაიყვანოთ. ხომ გჯერათ ჩემი? მე დაპირებას ყოველთვის ვასრულებ!

– თქვენ არ მოკლავთ, მაგრამ ისინი მოკლავენ!

– იმათ თუ მოკლეს, პასუხისმგებელი თქვენ იქნებით, რობერტ!

– მე... რატომ?

– იმიტომ, რომ მას თქვენს გამო მოკლავენ. განა ეს ასე არ არის?

– ეს მეცნიერებისათვის დიდი დანაკარგი იქნება. – კინალამ ენა დაება დოქტორს.

– თქვენ ცხოვრება სპექტაკლი ან კინო ხომ არ გგონიათ? ხომ არ გეჩვენებათ, რომ რეჟისორმა აგირჩიათ და მეცნიერის როლს თამაშობთ? – მოთმინებამ უღალატა ვალტერ შელენბერგს. იგი სიბრაზეს ველარ იოკებდა.

დრო არ ითმენდა, შელენბერგი ახლა მხოლოდ ერთს ფიქრობდა, როგორმე წაეყვანა, რადგან კონტრაქტის პირობებზე თანდართულ სიაში პირველ ნომრად დოქტორი რობერტ ბუროტი ეწერა, მისი ღირებულებაც საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენდა, და მის დაკარგვას ახალი პარტნიორები მოწონებით არ შეხვდებოდნენ.

ბრიგადენფიურერმა ვალტერ შელენბერგმა დოქტორის დუმილით ისარგებლა და ფსიქოლოგიური ზეწოლის მეთოდის შესაბამისად ახლა დაბალი ხმით განაგრძო, – თქვენ კვლევებს დამოუკიდებლად განაგრძობთ ახალ, კონკურენტუნარიან გარემოში, ახალ პარტნიორებს გაუზიარებთ საკუთარი კვლევების შედეგებს, ისინიც გაგიზიარებენ თავისას; რობერტ, ხომ იცით, კვლევების ზესაიდუმლო წარმოება ჩიხში შეგვიყვანა. მართალია, თქვენთვის, როგორც მეცნიერისთვის, უარყოფითი შედეგიც შედეგია, მაგრამ დრო უმონყალოდ მიჰქრის. საჭიროა სხვა ლაბორატორიებში მიღწეული კვლევის შედეგების მოპოვება, შესწავლა და გაანალიზება. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მოვლენათა განვითარების ზუსტი მეცნიერული პროგნოზის მეთოდოლოგია არ გავაჩნია. მგონია, რომ თუ

მოვლენა ერთმანეთისაგან აუცილებლობით გამომდინარეობს, ეს ამოცანის ამოხსნაა, რომელსაც მეცნიერება ტოვებს კანონზომიერების დასაფუძნებლად, მაშასადამე, რაღაც არ არის სწორი ჩვენს პროექტში, ამიტომაც შედეგს, რომელიც ამგვარად მიიღება, ჩემი აზრით, ვერ ექნება პირველობაზე პრეტენზია. ომის წაგების ერთ-ერთი მიზეზიც, ალბათ, ეს არის. მე, შეიძლება მოვლენებს სხვაგვარად ვუყურებდე, ვიდრე თქვენ, რობერტ, ალბათ თქვენი მსოფლმხედველობით მიზანი ამართლებს საშუალებას, მაგრამ თქვენ, როგორც მეცნიერი, საკუთარ კვლევებს ტესტს ვერ უტარებთ, ან, თუ უტარებთ, სუბიექტურად. რობერტ, ჩვენი შეცდომა იმაშია, რომ იდეოლოგიაში დავამკვიდრეთ სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნა. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის გარანტიებს გაძლევთ!

რობერტს ოფლმა დაასხა, სახე გაუხურდა, ეგონა ალი მოედო. პირველად ცხოვრებაში საშინელმა სირცხვილის გრძნობამ შეიპყრო, აზროვნების სინთეზმა ახალი ბრძანება გასცა და უხილავი, მძიმე ბორკილებით შეუკრა ფეხები, თითქოს განძრევა აუკრძალა. ის მხოლოდ ახლა, ამ წუთში მიხვდა, რომ მის ტვინში არსებულ მოქმედებათა განმსაზღვრელ დირექტივებს შორის სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. თვალეები დახუჭა და საფეთქლებზე ხელები მოიჭირა, ეამა.

– გგონიათ, ასე იოლად გადავიტან ყველაფერს? ისე ვარ გამოფიტული და პროგრამირებული, რომ ძალიან იოლად ვუყურებ სისხლს, ამ ჩემს უცნაურ და წარმოუდგენელ ხვედრს! შეიძლება წინასწარმა განსჯამ, თქვენთან და თქვენისთანებთან კამათმა შემაჩვია ასეთ სისხლის ფასად ღირებულ უჩვეულო ცხოვრებას, – უცებ ლაპარაკი შეწყვიტა რობერტმა, – მერე რაღაც გაახსენდა, შუბლზეც ძარღვები გამოეკვეთა, გაურკვეველი შიში შეიგრძნო, მაინც მოიკრიბა ძალა, სკამიდან ნელა წამოდგა და ვალტერ შელენბერგს უჩვეულო მზერა მიაპყრო.

– არა, არა! – ხმადაბლა წარმოთქვა თავისთვის, თან თავი რამდენიმეჯერ გააქნია, ისევ

დაჯდა, – შეუძლებელია, ეს შეუძლებელია! – ჩურჩულით წარმოთქვა.

უნდოდა ხმამაღლა ეყვირა, მაგრამ თავს დროზე მოერია. თვალები დახუჭა, ფიქრის გაგრძელების შეეშინდა. უცებ ახალი ძალით მოაწყდა მღვრიე ზვირთებად აზიდული ფიქრების ტალღები, დოქტორის აზროვნების სინთეზში ახალი, მისთვის უცნობი დირექტივები ამოქმედდა და აზრებმა უკუქცევის შემდეგ კვლავ მოქცევა დაიწყეს. ემოციებით ანთებული მრგვალი, თაფლისფერი თვალებიდან ლაზერის სხივებივით გამჭოლი მზერა რობერტმა ვალტერ შელენბერგისაკენ მიმართა, თვალი თვალში გაუყარა და ძალიან მშვიდად თქვა, ისე როგორც საკუთარ თავში ღრმად დარწმუნებულმა ადამიანმა:

– ინანებთ ვალტერ, ინანებთ!

სწორედ მაშინ, რობერტმა წამიერად შეიცნო, რომ გონებას ველარ აკონტროლებდა და გადაწყვიტა, წინააღმდეგობა აღარ გაენია იმ ბრძანებებისათვის, რომლის შესრულებაც ავტომატურ რეჟიმზე იყო ჩართული. მიხვდა, რომ ყველფერი დამთავრდა, თავის მართლებას არც აზრი ჰქონდა და აღარც სურდა ამის გაკეთება. ცრემლი მოიწმინდა, რომელიც უეცრად გადმოუგორდა და ელვისებური სისწრაფით რევოლვერის ლულა პირში ჩაიდო.

დოქტორი რობერტ ბუროტი ისეთ ლაბორატორიაში აღმოჩნდა, ოცნებაშიც რომ ვერ წარმოიდგენდა. თვითონ ადამიანებს გამჭოლად ხედავდა და სხეულის ყველა ორგანოს ფუნქციებს აკონტროლებდა. გრძნობდა, ადამიანის სხეულის სამართავ ცენტრში იჯდა და მართავდა კიდეც ბრძანებების მეშვეობით. ისიც აღმოაჩინა, მისი ბრძანებით ადამიანის სხეულს ახალგაზრდადაც გადააქცევდა. და ეს ყველაფერი ქიმიური ჩარევის გარეშე აზროვნების სინთეზში ხდებოდა. ეს ხომ რევოლუცია იყო მეცნიერებაში.

რობერტ ბუროტს ყველაფერი აერია ერთმანეთში, მეცნიერისთვის ეს უდიდესი მიღწევა იყო, მიხვდა, რომ მარადიული სიცოცხლის გასაღები იპოვა, მას ფრენაც შეეძლო. სწორედაც ფრენა

მოუნდა და საკუთარ სხეულს უბრძანა გაფრენა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ ეს სხეული ძალიან მძიმე იყო, მისი ორგანოები ქაოსურად გაბნეულიყო და ერთმანეთს ვერ უკავშირდებოდნენ. რადგან სხეულმა გაფრენის ბრძანება ვერ შეასრულა, უარი ტკივილით გამოხატა და რობერტმა საკუთარი სხეული შეიცნო, რომელიც სიმძიმის გამო უკუნეთ უფსკრულში მიაქანებდა.

ვალტერ შელენბერგი ვერაფერს მიხვდა, ანდა რას უნდა მიმხვდარიყო? გარედან ხმაური შემოესმა, შეკრთა და, საკუთარი წამიერი სისუსტე გაუკვირდა, იგრძნო, აღარ ჰქონდა რკინის ნერვები.

გასროლის მერე ოთახში დასადგურებული სიჩუმე კორიდორიდან შემოცვნილმა ოფიცრებმა დაარღვიეს. თუმცა, ნახულის შემდეგ არც ერთ მათგანს კითხვის დასმაც არ უცდია. უსიტყვოდ გაბრუნდნენ და ისევ თავიანთ მანქანებში ჩასხდნენ. ვალტერ შელენბერგიც ნელი ნაბიჯით გამოვიდა და კარლია მანქანისაკენ გაემართა, მაგრამ იქვე მდგომ ფრაუ როზას გამჭოლმა მზერამ თითქოს გამოაფხიზლა, გეზი იცვალა და მასთან ერთად მოტოციკლეტების უკან მდგარ მანქანაში ჩაჯდა. უსიტყვოდ შეხედა ქალს, მარცხენა ხელი სახეზე ჩამოისვა, შეეცადა სიმწრის ოფლი მოეშორებინა, ნაიარვეი ხაზებივით რომ დამჩნეოდა. შემდეგ წინმჯდომ ოფიცერს ხმადაბლა მიმართა: – წავედით!

\* \* \*

ღრო გადიოდა, ჩასაფრებული ჯგუფის საიდუმლოდ შეთანხმებულმა ხმამ კიდეც ერთხელ შეკრა საინფორმაციო წრე. მაიორმა საათს დახედა, დღის სამი იყო.

უცებ ტყის სიჩუმეში ფოთლები აპრილდა და ბუჩქებში პატარა კარის მსგავსი ღიობი გაიხსნა, საიდანაც ორი გერმანელი გამოვიდა, ტერიტორია ბინოკლებით დაათვალიერეს და ისე სწრაფად გაქრნენ, როგორც გამოჩნდნენ. შემდეგ ხმაურს ლიანდაგზე მბრუნავი რკინის ბორბლის ქრიალიც მოჰყვა, დაახლოებით ექვსი

მეტრის სიმაღლის ფერდობზე შეფენილი ბურქნარი შეირხა და ხეებთან ერთად გადაადგილება დაიწყო. ტერიტორიის სიღრმიდან მოტორების გრუხუნი მოისმა.

მაიორი გაღებული გვირაბის პირდაპირ აღმოჩნდა, გაინაბა და ბინოკლით სიღრმეში თვალთვალი განაგრძო.

– მანქანებში! – გაისმა გერმანული მბრძანებლური კილოთი.

იქ მყოფებმა სასწრაფოდ დაიკავეს ადგილები დაჯავშნილი მანქანების ძარაზე. ხმაურმა იმატა და გვირაბიდან გერმანული მოტოციკლი დიდი სიჩქარით გამოვიდა. მას მსუბუქი „ბიუიკი“ მოჰყვა და ერთი დაჯავშნილი მანქანა. ცოტა დაშორებით კი სამი სატვირთო მანქანა მოიჩქაროდა, რომლებსაც დახურულ ძარაზე დიდი წითელი ჯვარი ეხატათ. ბოლოს კიდევ ერთი დაჯავშნილი მანქანა გამოიჭრა და ტყის ბილიკიან გზას გაუყვა. მანქანები დიდი სისწრაფით მიჰქროდნენ, მალე მიიმალნენ, ისინი წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით გადაადგილდებოდნენ.

ხმაური მიწყდა. სიჩუმემ დაისადგურა. მაიორმა როსტომ ზარიძემ ჯგუფის წევრები მზვერავის ჟესტებით იხმო, რადისტს შენიღბულ ადგილზე მიუთითა და მშრალად უთხრა:

– ზორბეგ, თქვენ აქ დარჩებით!

რადისტმა სწრაფად დაიკავა პოზიცია.

დანარჩენებიც ხმაამოუღებლად გადაჯგუფდნენ.

პირველები, გამნალმელები – პეტრე ტოლკაჩიოვი და ანატოლი შუისკი, გაეშურნენ. პროფესიონალიზმით სახელგანთქმულები, დანალმვის ყველა ხერხს და მეთოდს ფლობდნენ, მედგრად, ჩქარი ნაბიჯებით მიიწევდნენ წინ. მათ ნელი, დინჯი ნაბიჯებით, ნელში ოდნავ მოხრილი ოფიცრები როსტომ ზარიძე, ალექსეი ვოლკოვი, იგორ ნაიდენოვი და იური ნეფიოდოვი მისდევდნენ კვალდაკვალ.

მალე იმ ადგილთან მივიდნენ, საიდანაც გერმენელების ჯგუფი მანქანებით გამოვიდა. მაიორმა არემარე კიდევ ერთხელ შეათვალიერა,

გამნალმელებს შეხედა, – შევდივართ! – წარმოთქვა, შემდეგ თითოთ ჰაერში ოთხკუთხედი მოხაზა და ბურქებისაკენ მიუთითა.

გამნალმელები ჯგუფს გამოეყვნენ და ლიობის შემონმება დაიწყეს, რომელიც კარის ზომის იყო. პეტრე ტოლკაჩიოვი ჩაიმუხლა, სწრაფი მოძრაობით მიწა დანით გამოთხარა, ასაფეთქებელი მექანიზმი მომართა და ბურქების სიღრმეში მომლოდინე თანამებრძოლებისაკენ ნელში მოხრილი გაიქცა.

აფეთქების მძლავრი ხმა გაისმა. მის ადგილზე ლიობმა ხახა დაალო. კვამლი და მტვერი რომ მიწაზე დაეშვა, მაიორი უმაღლესი ხერხისაკენ, დანარჩენებიც მიჰყვნენ. ხერხელთან მისულმა მაიორმა დაინახა, შესასვლელი ლიობის სიღრმეში დეფორმირებული უზარმაზარი რკინის გისოსებიანი კარით იყო ჩაკეტილი, რომელზეც აფეთქების ძალით გატეხილი და გაღუნული ბოქლომი ქანაობდა.

მაიორმა ავტომატის ჯერი მიუშვა, ბოქლომი დაიმსხვრა, ჩარჩო შეინჯღრა, კარი თავისით გაიღო და მაშინვე სისხლის, მედიკამენტების მძაფრი სუნი იგრძნო. სწრაფად გადააბიჯა სიბნელისაკენ მიმავალ კორიდორის ზღრუბლს. იგი ღია, ფართო სივრცისაკენ ისწრაფოდა, რომელსაც კორიდორის მაღალი ჭერი ქმნიდა. თუმცა, გვირაბის ბნელი სამყარო, სადაც იგი მოხვდა, სულაც არ იყო ისეთი, როგორსაც ელოდა.

გაოცებული მაიორი უცებ შეჩერდა.

ექიმმა მას გადახედა.

– როგორც ვხვდები, მაიორო, თქვენ არასოდეს დასწრებიხართ სავადმყოფოებში ქირურგიულ ოპერაციებს!

ჩაბნელებული დერეფანი, თეთრად შეღებილი შავლაქებიანი ჭერი და ჭუჭყიანი იატაკი ლიობიდან შემოსულ მკრთალ სინათლეზე პირქუშად გამოიყურებოდა.

მაიორმა ფარანი ანთო და ბნელ დერეფანში გაიხედა. მიხვდა, რომ სწორედ ასეთი სურათი დახვდებოდა. ეს იყო ფართო გვირაბი, ორივე მხარეს ქვედა თაროებზე მოთავსებული ნათურებით, რაც მოსამსახურე პერსონალს მოძრაობის საშუალებას აძლევდა.

– აქეთ, – თქვა ექიმმა, მკვეთრად მიტრიალდა მარჯვნივ და გაემართა ერთმანეთთან დაკავშირებული დერეფნებისაკენ. თვალი ნელა-ნელა ეჩვეოდა სიბნელეს. ექიმმა იგრძნო ლაბორატორიის ნაცნობი ატმოსფერო – ნესტიან, იოდიზირებულ ჰაერში საავადმყოფოს ტიპური წამლების სუნის, რაც ცხადყოფდა, რომ ლაბორატორია დიდი ხანია არსებობდა. ჭერზე დამაგრებული ვენტილატორებიდან ნესტი მძიმე წვეთებად ეშვებოდა იატაკზე, ზედმეტ სისველეს მატებდა ისედაც ალაგ-ალაგ დატბორილ დერეფანს.

საკუთარ ხმათა ექო ისმოდა დერეფანში, რომლის ერთ მხარესაც, ოთახებში საოპერაციო აპარატურით აღჭურვილი მაგიდები იყო განთავსებული.

მაიორმა ფეხის ძლიერი დარტყმით შეანგრია შემხვედრი ოთახის კარი.

– გესმით ჩემი! – იყვირა გერმანულად. ოთახი ცარიელი იყო.

ამ დროს კარის ჭრიალის ხმა გაისმა. კორიდორში კაცის ლანდი გამოჩნდა, რომელიც დერეფნის სიღრმისაკენ გაიქცა. მაიორი გაედევნა.

კიდევ ერთი ფეხის ხმა მოესმა უკნიდან და სირბილი შეანელა, გვერდით ექიმი დალანდა, წამიერად შენიშნა, რომ ექიმს სახე სიხარულით ჰქონდა გაბრწყინებული, ხოლო საჩვენებელი თითი სიბნელეში ქაოსურად მოძრავი ლანდისკენ ჰქონდა გაშვებული.

– ერთი მაინც არის და ის ცოცხლად უნდა ავიყვანოთ, – იყვირა ექიმმა და მაიორს წინ გაუსწრო.

დერეფნის ბოლოში გასასვლელი არსად იყო და ექიმს კმაყოფილების გრძნობა გაუჩნდა, ის ხომ მისი მომავალი მეცნიერული კვლევის ცოცხალი ცდის ობიექტს უყურებდა.

– არ გაინძრეთ! – ახლოს გაისმა მაიორის თავზარდამცემი ხმა.

ჩაკეტილი დერეფნის ბოლოში თეთრ პიჯამოთი შემოსილი მამაკაცი შედგა, ორივე ხელზე ბინტი ჰქონდა დახვეული, სკალპელი ეჭირა. სწრაფად შემოტრიალდა და ექიმს ჯიქურ შეხედა, მის თვალებში სიკვდილის შიში არ იკითხებოდა.

– არაფერს გავნებთ, სკალპელი დააგდეთ, ცოცხალი დარჩებით! ჩვენ ნაგიყვანთ! – ენის ბორძიკით, გერმანულად ისე ხმამაღლა იყვირა ექიმმა, რომ მაიორს კიდევ ერთხელ გაუკვირდა ამ სუსტი კაცის ეს თვისება.

– ტყუი! ისინი უკვე წავიდნენ! – კაცი გაშეშდა და მიაჩერდა. მისი უძრავი თვალები სიბნელეში ისე ელვარებდნენ, თითქოს მის ნაცვლად ფოსფორის ქვები ჰქონდა ჩაწყობილი.

ექიმმა ადრენალინის მოძალება იგრძნო, მაგრამ უკან დახევა არ შეიძლებოდა, როგორც გამოცდილი ნეიროქირურგი, მიხვდა, რომ თვითმკვლელობის საფრთხე იზრდებოდა.

– მოიცადეთ, – თქვა ნელა, – ყურადღებით მომისმინეთ!

შემდეგი სიტყვები ექიმმა ბგერათა ინტენსივობით, სიხშირის და ტემბრის ცვლადი ურთიერთკავშირებით, ერთნაირი ინტონაციით წარმოთქვა. ეს ტექსტი ზედმინევენით ჰქონდა დაზეპირებული, მას ლაბორატორიაში თეორიული მოდელის კვლევის დროს ხშირად იყენებდა.

– თქვენს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, დასვენება გჭირდებათ, არაფერზე იღარდოთ, მომენდეთ, გაგათავისუფლებთ ამ ექიმებისაგან, თქვენი მოძრაობა არ შეიძლება! – ამ საუბრით ის თანდათან მიუახლოვდა თეთრპიჯამოიან მამაკაცს და მოულოდნელად ეცა. უცებ მუცელში მწვავე სიმხურვალე იგრძნო. სიმწრისაგან ჩაიკეცა, სიბნელეში ხელები მუცელზე მოიჭირა, სისველე იგრძნო, მას ტკივილის გრძნობაც მოჰყვა და წაიქცა.

მაიორმა წამში გაიაზრა ვითარების საშინელება, ინსტინქტურად ეცა მათ, ზორბა ხელეებით მაღლა აიტაცა თეთრპიჯამოიანი მამაკაცი, იატაკზე დასცა და ზიზლით შეხედა თვალებში. სრულიად მოულოდნელად, განათებული ორი ძლიერი სხივი შემოხვდა, ისეთი, რომ წამიერად წაბარბაცდა კიდევ. მაიორმა ძალაუნებურად გამჭოლი მზერის შიშით შეიგრძნო.

ამ დროს მათკენ სირბილით მომავალი ალექსეი ვოლკოვი და იგორ ნაიდენოვი გამოჩნდნენ, ბეტონის იატაკზე დაგდებული კაცი თვალის

დახამხამებაში გათოკეს. ისინი ყურადღებით დააკვირდნენ მსხვერპლს სახეზე, რომელსაც თვალები დახუჭული ჰქონდა. იგორ ნაიდენოვმა თვალის ქუთუთო აუწია, ჩააცქერდა, თვალი ისევ დაუხუჭა და ალექსეი ვოლკოვს თავი დაუქნია. შემდეგ თეთრპიჯამოიანი მამაკაცი ხელში აიყვანეს და გასასვლელისაკენ გასწიეს.

როსტომ ზარიძემ, პეტრე ტოლკაჩოვმა და ანატოლი შუისკიმ ექიმი იური ნეფიოდოვიც გაიყვანეს.

ისინი მალე ეზოში, რადისტის გვერდით აღმოჩნდნენ, ექიმი ბალახზე დააწვინეს. იური ნეფიოდოვმა თვალები რამდენიმეჯერ დააფახულა. შიშისა და სინანულის ქარიშხალი მოაწვა, ყელი გაუშრა. ტანჯვა და ტკივილი, რომელმაც იგი ახლა შეიპყრო, სინანულის ყველა გრძნობად გაერთიანდა და ვიზუალურად, დახუჭული თვალებიდან გადმომდინარე ცრემლით გამოიხატა. თვალები ოდნავ გაახილა, მუცელზე დაიხედა: გერმანულ ფორმაზე სისხლის ლაქით გარშემორტყმული, სკალპელით შემოხაზული რკალი მუცლის მარჯვენა მხარეს ოდნავ ქვემოთ მოჩანდა. – ლეიძლია! სასტიკი დარტყმა იყო! – როგორც სამხედრო ქირურგს, კაპიტანს, მრავალჯერ აუხსნია ამ მიზეზით გამოწვეული საშინელი, მტანჯველი, უცაბედი სიკვდილის არსი. ათ წუთს იცოცხლებდა, სანამ ლეიძლი თავის ფუნქციას დაკარგავდა და შხამი შიგნიდან მთლიანად მოწამლავდა ორგანიზმს.

მაიორმა ბრძანებების გაცემა დაიწყო, რომელთა თანმიმდევრობაც განსაკუთრებულად გასაგებად მოეჩვენა ექიმ იური ნეფიოდოვს. მას არაფერს უბრძანებდნენ და უხერხულად გრძნობდა თავს. მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდოდა მაიორისადმი მეგობრული გრძნობა მაღლიერებით გამოეხატა. შეიგრძნო, ამის სათქმელად ფილტვებიდან ჰაერის ნაზმა ნაკადმა ყელი გამოიარა, მაგრამ ენა ვერ დაიმორჩილა. უცებ მის გონებაში კინოთეატრის ფართო ეკრანივით კაშკაშა, ფერადი ცისარტყელა აინთო, განათდა და დინება დაიწყო. ეს ყველაფერი თვალებდახუჭულმა დაინახა, აღმოაჩინა, რომ ასე უკეთესად ხედავდა და აღარც სურვილი

ჰქონდა გაეხილა თვალები, რადგან ახალის, დანახულის შეცნობაში ხელი შეეშლებოდა. შემდეგ ეკრანზე სლაიდებად ულამაზესმა პეიზაჟებმა და ნაცნობი ადამიანის სახეებმა დაიწყეს მონაცვლეობა. თვითონ კი კინოთეატრის ჩაბნელებული დარბაზიდან, მარტო და თან მწოლიარე, აკვირდებოდა ამ უცნაურობებს. მალე გონებაში აღმოაჩინა, რომ პეიზაჟები მისი სოფლის ეზოს სხვადასხვა ხედები იყო, სახეები კი მისი დიდი ოჯახის წევრები, მაგრამ მათ სახელებს, რატომღაც, ვერ იხსენებდა და რამდენადაც მეტს ცდილობდა მეხსიერება დაეძაბა, იმდენად შორდებოდა ჩაბნელებულ დარბაზს, მიიწევდა მაღლა ცისკენ და ამ ნათელ სურათებში ყველაფერი თეთრ კაშკაშა ფერში გადადიოდა.

ხუთიოდე კილომეტრი მზვერავთა ელიტარულმა ჯგუფმა მდუმარედ გაიარა და მონიშნულ კვადრატში გაჩერდა.

მაიორმა ჯგუფის რადისტს ზორბეგ ზარქუას ხმადაბლა მიმართა:

– რაცია გამართეთ!

მალე კიევში, ცენტრალური სადაზვერვო შტაბის საიდუმლო რადიოსადგურმა „ალფა“-ს საიდუმლო კოდით მეორე რადიოგრამა მიიღო:

– „ცდის პირი ცოცხალია, ექიმი დავკარგეთ. სახლში გელოდებით“.

შემდეგ მაიორმა რევილვერი ამოიღო, ხელი აღმართა და ცაში მაშხალამ გაიელვა, მისი ანარეკლი მდინარეში გაცურდა. ამ სიგნალზე დაიწყო ბერლინზე საერთო იერიში. „კატიუშების“ და ქვემეხების ზალპებისაგან თვალისმომჭრელად გასხივოსნდა მთელი არემარე. მძლავრი, მასიური საარტილერიო სროლების შემდეგ, ჰაერში დაიკლანა ათობით ფერადი რაკეტა, ქვეითებმა და ტანკებმა იერიშით გასწიეს წინ.

\* \* \*

ამ დროს, მიწისქვეშა საიდუმლო ლაბორატორიიდან გამოსული მანქანები ტყის გზაზე ხმაურით მიემართებოდნენ. მგზავრები ფარდაჩამოფარებული სარკმლებიდან გასცქეროდნენ ნაცნობ არემარეს და მწვანე, სწორ ზოლებად ნა-



ძვის რიგებს უკან ტოვებდნენ. თანდათანობით ხედი შეიცვალა, მინდორი გამოჩნდა. მინდორზე გზისპირი ქვებით იყო დაფარული და ქვებს შორის ტყის გაზაფხულის უცნობი ყვავილები ამოსულიყო. საათნახევრიანი მოგზაურობის შემდეგ პრივილეგირებული კასტის ესკორტმა სვლას უკლო, შლაგბაუმს მიადგა და გაჩერდა. ვალტერ შელენბერგს ამ ხნის განმავლობაში თვალები დახუჭული ჰქონდა და ხმას არ იღებდა. ესკორტის გაჩერებისთანავე თვალი გაახილა, გული დამძიმებული ჰქონდა, ფრაუ როზას შეხედა და გაკვირვებულმა იკითხა: – სად ვართ, როზა?

– მოვედით! – ხმამალა თქვა წინ მჯდომმა.

როზამ კი ხმადაბლა, ისე, რომ წინმჯდომებს არ გაეგონათ, ვალტერ შელენბერგს ჩასჩურჩულა, – აქ თქვენ ხართ მთავარი, გონს მოდით, ვალტერ!

საევაკუაციო ბანაკის შესასვლელთან საკონტროლო გამშვები პუნქტი ბერლინიდან ოთხმოცი კილომეტრის მოშორებით იყო განლაგებული და ზონაში მანქანებით შესასვლელი გზა ზოლებიანი შლაგბაუმით გადაეღობათ. შლაგბაუმთან ახლოს რამდენიმე ამერიკული სამხედრო მანქანა იყო ჩამწყრივებული, საიდანაც შეიარაღებული ჯარისკაცები რალაცას ჩასძახოდნენ რაციებში. ბანაკის ოფიცრები კი ყველაფერს ყურადღებით ადევნებდნენ თვალს. სამხედრო ფორმაში კოხტად გამოწყობილი, მკვეთრად გამოხატული აზიური იერსახის ერთ-ერთი ოფიცერი, რომელიც წარამარა საათზე იხედებოდა, ჯგუფს გამოეყო და მტკიცე, მოკლე ნაბიჯებით გაემართა შესასვლელთან გაჩერებული მანქანების ესკორტისაკენ.

ბრიგადენფიურერ ვალტერ შელენბერგის გამოცდილ მზერას ეს არ გამოპარვია და ისიც იაზრა, რომ ამ კაცს სამხედრო ფორმა ადრე არ უტარებია – „დილეტანტი“, – ხმამალა წარმოთქვა და საკუთარმა ხმამ თითქოს გამოაფხიზლა ფიქრებში ჩაფლული შელენბერგი.

– ხომ არაფერი გაკლიათ? – ინგლისურად ჰკითხა მანქანასთან მიახლოებულმა ოფიცერმა, რომელსაც წამში მეავტომატეები ამოუდგნენ გვერდში.

– ყველაფერი რიგზეა! – ყრუდ წარმოთქვა წინმჯდომმა.

ბრიგადენფიურერმა ფანჯარა ჩამოსწია და ოფიცერს ინგლისურად უთხრა:

– თქვენმა ებრაელმა ბაბუამ ამანათი გამომატანა!

– კარგ ამინდში, მთებში, ხმის ექო ყოველთვის კარგად ისმის! – პაროლითვე უპასუხა ოფიცერმა და აშკარა პატივისცემით შეხედა მგზავრებს, შემდეგ ანიშნა, დალოდებოდნენ, თვითონ კი საგუშაგოს კაბინაში შევიდა. ღია ფანჯრიდან კარგად ისმოდა ტელეფონით მისი საუბარი, ხოლო ესკორტთან, მანქანების გვერდით, ფეხმოუცვლელად იდგნენ ავტომატიანი რობოტი ჯარისკაცები.

ოფიცერი საუბრის დასრულებისთანავე საგუშაგოს კაბინიდან გამოვიდა, იქვე ახლოს მდგარ სამხედრო ჯიპთან მივიდა და სხარტი მოძრაობით მძღოლის გვერდით დაჯდა, გენერალს კი მხედრული წესით აჩვენა, გამომყევითო და ჯიპი ესკორტის წინ გზაზე გადმოიყვანა. შლაგბაუმი აინია, მანქანები გზას გაუდგნენ.

ესკორტი ტყიდან მალე გავიდა, ვალტერ შელენბერგმა მინდორზე დამწვარ, დამსხვრეულ, ჯართადქცეულ ტანკებს გააყოლა თვალი. ველი სანგრებით იყო გადათხრილი, მიწაყრილებზე ხის ჯოხებზე მიბმული წითელი ჯვრის დროშები უბრალოდ იყო ჩარჭობილი. გზად დაჭრილებით სავსე მანქანები მომრავლდნენ, სანევრები დამტვრეულ ტექნიკას აქეთ-იქეთ დაათრევდნენ, გზების სავალ ნაწილს ათავისუფლებდნენ. ქაოსურად დაჰქროდნენ მოტოციკლები და წითელი ჯვრის ჯავშანტრანსპორტიორები, რომლებიც გვერდის ავლით უსწრებდნენ ბრეჟნეტგადაფარებულ, ტექნიკით დატვირთულ, მოზოზინე შემადგენლობებს.

ესკორტის წინ მიმავალი სამხედრო ჯიპი გზიდან გადავიდა. ესკორტიც მას გაჰყვა. ოციოდე წუთის შემდეგ ესკორტი სამხედრო აეროპორტში შეგრიალდა და მრგვალი კარვის წინ გაჩერდა.

კარვის კარი წვერგაუპარსავმა, დაბალმა, მსუქანმა ჯარისკაცმა გააღო და ყველას გასაგონად ხმამალა დაიყვირა: – აქ მოეწყვეთ!

ჯიბიდან გადმოსული ოფიცერი ვალტერ შელენბერგთან მივიდა. შელენბერგს საკმაოდ დიდი ჩემოდანი ეკავა. ოფიცერს ყურადღება არ მიუქცევია ტვირთისათვის, არც სამხედრო წესის შესაბამისად მიუმართავს, ხელით ანიშნა, გაჰყოლოდნენ. ვალტერ შელენბერგს კვლავ გაუელვა: – „დილექტანტი!“ – მაგრამ ხმა აღარ გაუღია, მხოლოდ სინანულით შეხედა, უკმაყოფილოდ გააქნია თავი და ფრაუ როზასთან ერთად უსიტყვოდ გაჰყვა ოფიცერს.

კარვის უკან, ოდნავ მოშორებით, ნაძვების წრეში განთავსებული პატარა სახლები საგულდაგულოდ შეენილბათ.

– ნურაფრის გეფიქრებათ, – თქვა ოფიცერმა, – მოხერხებული ადგილია და არც დიდხანს მოგიწევთ ლოდინი! გვერდით სახლში მფრინავთა ჯგუფია განლაგებული. კავშირი გექნებათ მათთან! – ოფიცერი მალევე წავიდა.

პატარა სახლი, რომელშიც ვალტერ შელენბერგი და ფრაუ როზა შევიდნენ, ერთი ფარდით ორ ნაწილად გაყოფილი, დიდი ოთახი იყო. ერთ მხარეს, ღუმელზე ჯარისკაცული სამზარეულოს ალუმინის გამურული კომპლექტი ეწყო, მეორე მხარეს, ფანჯარასთან მაგიდა იყო მიდგმული სამი ტაბურეტი. ვალტერ შელენბერგმა ჩემოდანი ღუმელთან დადგა, როზას ხელი გამოსდო. ისინი ხმისამოუღებლად მიუსხდნენ მაგიდას. ფანჯარაში მაისის ნიაფი უბერავდა და ფარდას არხევდა.

– მაპატიეთ, თქვენს წყენინებას არ ვაპირებ. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად და მოულოდნელად მოხდა! – სიჩუმე ვალტერ შელენბერგმა დაარღვია.

– ეეჰ! – ამოიოხრა როზამ.

ვალტერ შელენბერგი მიხვდა, საუბრის გაგრძელება აღარ იყო საჭირო. წამოდგა, ღუმელთან მივიდა და ჩემოდანი გახსნა. წამიერად როზას გახედა. იგი გაუნძრევლად იდგა და ფანჯარაში იყურებოდა. ვალტერმა ჩემოდნიდან ნივთები ამოლაგა. პატარა სამგზავრო ჩანთა აიღო, დოკუმენტების დასტა ჩააწყო, ტანსაცმელი ყურადღებით შეარჩია, მუქი ყავისფერი კოსტიუმი

გვერდზე გადადო და ფარდას მოფარებული რამდენიმე წუთში სამოქალაქო ტანსაცმელში გამოეწყო.

– სულ სხვა ადამიანს ვხედავ! – ჩუმი აღფრთოვანებით წარმოთქვა როზამ და ბრიგადენფიურერის სახეზე გაკვირვება რომ წაიკითხა, დაღლილი ღიმილით განაგრძო: – მეც თქვენსავით ავტომატურად ვაკეთებ ყველაფერს და ნაკლებს ვლაპარაკობ.

ფრაუ როზაც სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. ძალიანაც შეენოდა.

– ტანსაცმელი სად ნახეთ? – გაიკვირვა ვალტერ შელენბერგმა.

– ხომ ხედავთ, ქალს გამოცდილი მზვერავის გაკვირვებაც შეუძლია.

– ნამდვილად გამაკვირვეთ, წუთუ ფორმის ქვეშ გეცვათ ეს კოსტუმი? – ჩაიდუდუნა და ტაბურეტზე კოხტად დაკეცილ ქალის გერმანულ ფორმაზე გადაიტანა მზერა.

– დიახ, ჩვენ ხომ უკვე მოქალაქეები ვართ! – კეკლუცად გაიღიმა როზამ.

გარედან ფეხის ხმა მოესმათ. ოთახში ისევ იმ ოფიცერმა შემოჰყო თავი, რომელმაც აქ მოიყვანა და დაიძახა:

– მოემზადეთ! მალე გავდივართ!

ეზოში გამოსულნი თვითმფრინავისკენ გაემართნენ. სამხედრო პილოტები მათ გერმანულად მიესალმნენ და კარი თავაზიანად გაუღეს.

გამცილებელი უკან გაბრუნდა. როზა თვითმფრინავში შევიდა, ვალტერ შელენბერგი კი პილოტებთან გაჩერდა.

ბრიგადენფიურერის გამოცდილ მზერას პილოტების ნერვიულობა არ გამოჰარვია. ისინი გაფრენას რატომღაც არ ჩქარობდნენ.

– მოსაწევი გაქვთ? – ჰკითხა ერთმა მათგანმა.

– აი, ინებეთ! – ვალტერ შელენბერგმა ოქროს პორტსიგარი გაუწოდა, – ველოდებით კიდევ ვინმეს?

– ერთ კაცს. ცენტრიდან გვიბრძანეს, ჯერ არ ჩანს, დრო კი მიდის! – აღელვებით უპასუხა პილოტმა. – ავიაცია, – ეს ზუსტი ანგარიშია. ომის

ხაზზე ფრენა კი მხოლოდ ღამით შეგვიძლია. რატომღაც ჩვენი არ ესმით ამ ჩინოვნიკებს! – თქვა გაბრაზებულმა პილოტმა.

ისინი სადაზვერვო თვითმფრინავის ღია კარიდან ჩამოშვებულ ტრაპთან იდგნენ და ფიქრებს მისცემოდნენ. ვალტერ შელენბერგმა მძიმედ ამოიოხრა, თვითმფრინავში შევიდა და როზას გვერდით დაჯდა. გარეთ საღამოს ბინდი დადგა. შელენბერგს ჩასთვლიმა. როზაც განაბულიყო.

როგორც იქნა, დაგვიანებული მგზავრი მოვიდა. იგი მტკიცე ნაბიჯებით ავიდა ტრაპზე და სალონში სკამზე დაეშვა. თვითმფრინავის ძრავაც ამუშავდა.

პილოტის კაბინის ღია კარიდან შტურმანმა გამოყო თავი და მთელი ხმით დაიყვირა, თითქოს ძრავის ხმის დაფარვა სურსო:

- ყველანი ადგილზე ხართ?
- ყველანი! – უპასუხა ახალმოსულმა.

კაბინის კარის თავზე მქრქალი ნათურა აინთო. ვალტერ შელენბერგმა თვალი გაახილა და დოქტორი იოზეფ მიულერი დაინახა. გერმანული სამხედრო ფორმის ნაცვლად მას თეთრ პერანგზე ტყავის საგაზაფხულო ქურთუკი ეცვა.

– დოქტორ მიულერ? ბრიგადენფიურერო, ეს ნამდვილად თქვენ ხართ?

– ჩემი ტანისამოსი არ მოგწონთ? დიახ, მიულერი ვარ, ბრიგადენფიურერი – აღარ. ბიზნესმენი ვარ. გასაგებია?

– რა?

– ბიზნესმენი-მეთქი. არ იცით, რომ ახალი ეპოქა გვინვეს და საპასუხოდ ჩვენც ახალ პროექტს ვინყებთ? სხვათაშორის, ახალ პროექტში თქვენთვისაც და ფრაუ როზასთვისაც ადგილი გათვალისწინებულია. ხომ ხედავთ, ერთი თვითმფრინავით მივფრინავთ.

გაიღიმა მიულერმა, ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო, სიგარა გააბოლა და შელენბერგსაც გაუწოდა.

– ნიკოტინი არც ისე მავნებელია, როგორც ამბობენ. მოწიეთ, ნერვებს ამშვიდებს.

თვითმფრინავი ხმაურით გაგორდა მინდორზე. სალონში მორყეული ლითონის სკამები აჭრიალდა. თვითმფრინავი მიწას მოწყდა და სიმაღლე აიღო.

\* \* \*

თვითმფრინავის აფრენიდან მეორე დღით, ლავრენტი ბერიას საიდუმლო ბრძანების შესაბამისად, ბერლინის ვაგზლის ბაქანზე უგანრიგო და უჩვეულო შემადგენლობის სპეციალური მატარებელი იდგა. იგი დასავლეთევროპული სტილის რამდენიმე ვაგონისაგან შედგებოდა. მგზავრები საბჭოთა არმიის სპეცსამსახურის თანამშრომლები იყვნენ, რომლებსაც გერმანიიდან საიდუმლო მასალები და მეცნიერული ნაშრომები გამოჰქონდათ.

მატარებელში მზვერავთა ელიტარული ჯგუფის ექვსი წევრი იმყოფებოდა. ცალკე ვაგონში მოთავსებულიყვნენ მაიორი როსტომ ზარიძე და ჯგუფის მეკავშირე ზორბეგ ზარქუა.

მაიორი დილიდანვე უცნაურმა სევდამ შეიპყრო. ყოველთვის დინჯი და აუჩქარებელი, ახლა გრძნობდა, რომ თავს ვერ აკონტროლებდა და ერთი სული ჰქონდა მატარებელი როდის დაიძვრებოდა.

„რა ხდება ჩემს თავს?“ – უკვირდა გამოცდილ ფსიქოლოგს და ცდილობდა გამოეცნო განწყობის გაუარესების მიზეზი.

მატარებელი დაიძრა. როსტომი და ზორბეგი დუმდნენ და ფანჯარაში იყურებოდნენ. მათ თვალწინ დანგრეული ქალაქის გარეუბანი ჩანდა, ცოტა ხნის შემდეგ ზუსტ მწკრივებად ჩარიგებული ფიჭვის ხშირი ტყე გამოჩნდა.

როსტომ ზარიძემ და ზორბეგ ზარქუამ ვაგონ-რესტორანში ისაძილეს. კუპეში დაბრუნებულიები ლოგინზე წამოწნენ. იმ დღეების მოვლენებით ძალიან აფორიაქებულები იყვნენ და ძილი არ ეკარებოდათ.

მალე მატარებელი ერთ პატარა სადგურზე გაჩერდა, მიმართულება იცვალა და აღმოსავლეთისაკენ აიღო გეზი.

ფიქრებში გართულ მაიორს ჩასთვლიმა, მაგრამ ვაგონის მორიგმა ხმაურიანმა შენელებამ გამოაფხიზლა, თვალები გაახილა, წამოჯდა და ზორბეგს უთხრა:

– იცი, მეგობარო, გაგიჟდები კაცი! მე ახლა ბრიგადენფიურერმა, ვალტერ შელენბერგმა გამაღვიძა, თითქოს მომკვდარიყო, სამსჯავროზე იმყოფებოდა და ნანობდა, ეს რამდენი სისულელე, ცოდვა-დანაშაული ჩამიდენიაო. ამ მომენტში თვითმფრინავის პილოტის კაბინაში ვიმყოფებოდი, თუმცა ამას რატომღაც მე მეუბნებოდა...

არაყით შეზარხოშებულმა ზორბეგმა გულიანად გაიცინა და მეგობარს მიმართა, – მიდი! ცოტა კიდევ წაუძინე, ეგება, ჰიტლერმაც ბოდიში მოგიხადოს. ოდნავ მაინც მოალბობს ჩვენს გულებს!

როსტომს გაეღიმა, არაფერი უთქვამს, ისევ წამოწვა და დაძინება სცადა.

მაიორი კარგა ხანს ასე იწვა და ვაგონის კართან დამაგრებულ მკრთალ, ყვითელ ნათურას მონუსხულივით თვალს ვერ აშორებდა. გრძნობდა, უნდა ამდგარიყო, კარი გამოეღო, სიგარეტის და მტვერის კორიანტელი გაეფანტა, სულს რომ უხუთავდა, მაგრამ ეზარებოდა, შემდეგ თითქმის ჩაძინებულს, კარის ჭრიალი შემოესმა.

– როსტომ, გძინავთ? – ხმა თითქოს ეუცნაურა, მაგრამ ვერ გაარკვია, კონკრეტულად ვინ უნდა ყოფილიყო.

თვალი გაახილა, მბჟუტავ შუქზე ძლივს დალანდა თეთრკოსტიუმიანი, მოფუსფუსე უცნობი ნაცნობი, რომელსაც არცის ბოთლი გაეხსნა და მაგიდაზე გაშლილ გაზეთზე შავ პურს ჭრიდა.

– ადექით, როსტომ! თითო ჭიქა დავლიოთ, დარდს გადააყოლებთ!

„ნეტავ, რა ხდება, რა მემართება? – გაუელვა როსტომს, – ამ კაცს აქ რა უნდა? თან თეთრი კოსტიუმი? ან, საიდან მეცნობა?“ – ცნობისწადილით, ზღაზნვით წამოდგა.

– მოდით, მოდით, დავლიოთ! ნახეთ, როგორ მოგეშვებათ ნალველი! – უთხრა თეთრკოსტიუმიანმა.

როსტომი მაგიდასთან ჩამოჯდა. უცნობმა არცის ბოთლი ალუმინის „კრუშკებში“ რიგრიგობით ჩააპირქვავა.

– გამარჯვებისათვის! – დაილოცა და გადაჰკრა. – მიირთვით, როსტომ! დღეიდან მე ვარ თქვენი მასპინძელი! – „კრუშკა“ მიანოდა.

გაოცებულმა როსტომმა უხმოდ დალია. სასმელმა თითქოს ცეცხლი მოუკიდა, სუნთქვა შეეკრა, და რომ ვერ ამოისუნთქა, თვალებზე ცრემლის ჩამოდენა იგრძნო...

როსტომი უჩვეულო მოვლენებს და საკუთარ გრძნობებს ანგარიშს ველარ უწევდა. დრო თითქოს გაჩერდა. გაჩერდა, თუ თავზურდამხვევი სისწრაფით გაექანა? სადღაც შორს, უსასრულობისაკენ გასხლტდა?

როსტომს მათკენ მიმავალი უცნობი ქალის ხმა მოესმა.

ცოტა ხნის შემდეგ, მათ კომპანიას უცნობი ქალი მიუახლოვდა. როსტომი ქალს უსიტყვოდ მიაჩერდა.

– ნება მომეცით, შემოგიერთდეთ, ამხანაგო მაიორო! – მიმართა ქალმა, რომლის თვალებშიც უზომო დაღლილობა ირეკლებოდა, ცდილობდა, სახეზე გაეღვებული, მოძალებული სევდა დაემაღა.

როსტომმა ეს მოულოდნელობა უცნაურად აღიქვა, იგრძნო თუ ეზმანა, რომ ვაგონში ბევრნი იყვნენ და მხიარულობდნენ. აკორდეონის ჰანგები ფრონტული სიმღერების მოტივზე ჟღერდა. ზოგიც ტიროდა. ვაგონის ბოლოდან თერთხალათიანი ქალების კისკისი ისმოდა.

როსტომი უხმოდ წამოდგა, ქალბატონს ანიშნა, დაჯექიო, თვითონ კი ქალებისაკენ გაემართა. მის მიახლოებისთანავე ქალები გაჩუმდნენ. მაიორმა თავი დამნაშავედ იგრძნო, უხერხულობისაგან ოფლად გაიღვარა და ტანზე სიმხურვალე მოეძალა.

როსტომი მათ აღარ გამოლაპარაკებია, გაცულა ამჯობინა და სვლა განაგრძო. იაზრა, როგორი ცნობისმოყვარეობით გააყოლეს მზერა ქალებმა.

– არაფერი გამოვა! – კვლავ მისწვდა როსტომს უცნობის ნაცნობი ხმა, – გთხოვთ, ჩაიცვათ!

გაკვირვებულმა შენიშნა, რომ იგი კვლავ თეთრკოსტიუმთან შორიახლო იდგა.

– კი, მაგრამ, მგონი, აქ რაღაც გაუგებრობაა, – მხრები აიჩეჩა და თქვა როსტომმა, – საკუთარი ხმა ვერ გაიგონა, დაიბნა.

– შესაძლებელია, ძვირფასო, – კვლავ მისწვდა უცნობის ნაცნობი ხმა მის სმენას. – ყველაფერი შესაძლებელია, ამას მალე გაიგებთ, აუცილებელია თქვენი წამოსვლა!

როსტომმა იგრძნო, რომ ვაგონში ყველას ყურადღება მიიქცია, შეკრებილნი მისჩერებოდნენ, თუმცა, რატომღაც დუმდნენ.

თეთრკოსტიუმის ტონი ახლა სანდოდ და იმედიანად ჟღერდა.

ათრთოლებული ხმით მიმართა:

– ერთი თხოვნა მაქვს!

თეთრკოსტიუმის თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

– მეგობარს გავაგებინებ, თუ შეიძლება!

– რასაკვირველია! მიბრძანდით!

როსტომი თავისი საწოლისაკენ გაემართა, ხალხის სიმრავლის გამო ვერაფერი გააჩნია. არ ეჭაჷნიკა ქალებისა და კაცების ქაოსური, ჩუმი მდუმარება. ისიც შენიშნა, მის მიახლოებას არავინ აქცევდა ყურადღებას. ვერც მეგობარი დაინახა. – „ნუთუ სძინავს?“ – გულდანყვეტილმა გაიფიქრა, – გადაწყვიტა, ზარქუა გაეღვიძებინა და ეს საოცარი ამბავი ემცნო.

ზარიძეს გაკვირვების უნარიც წაერთვა. მის საწოლზე სამხედრო საპარადო ფორმაში გამოწყობილი, მწოლიარე მაიორი დაინახა, რომელსაც ზორბეგი მკერდზე უხეშად აწვევდა ხელებით და თეთრხალათიანებს მუდართი შესთხოვდა დახმარებას. ნახულით გაოგნებული როსტომი ისევ მიუბრუნდა თეთრკოსტიუმის. უეცრად ვერცხლისფერი ბრჭყვიალა ფერით განათდა მთელი ვაგონი. თეთრი სინათლის სხივთა კონა მის ფეხებთან ფოკუსისებურად შეიკრიბა და ცისკენ მიმავალ ფართო ბილიკად იქცა. როსტომ ზარიძე მონატრებულ სახლში

დაბრუნების სიხარულიანი გრძნობით გაუყვა უჩვეულოდ განათებულ, ზევით, ზევით მიმავალ გზა-ბილიკს.

\* \* \*


დავალებიდან დაბრუნებული მზვერავთა ხუთეული, შტაბის თანამშრომლებთან ერთად გენერალმა აირაპეტოვმა კაბინეტში მიიღო. მაგიდის თავში მჯდომმა გენერალმა თათბირის წევრებს მიმართა, რომ აჩვენებს ცოცხალ ცდის პირს, რომელზეც ფაშისტები მონობის ექსპერიმენტებს ატარებდნენ.

გენერალი დინჯად წამოდგა, პორტსიგარიდან თამბაქოს ნამცეცი ამოიღო და მხარზე დაიღო. კაბინეტში სპეციალურად განცალკევებულ ცარიელ სავარძელთან მივიდა, დაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიღო. კაბინეტის კარი გაიღო და ორმა ჯარისკაცმა, ხელებდაბინტული ის კაცი შემოყვანეს, გვირაბიდან რომ მოიტაცეს. გენერალმა კოსტიუმიდან თამბაქოს ნამცეცის ჩამოსაფერთხად ხელი აამოძრავა. ამ დროს ადგილიდან მოწყდა ხელებდაბინტული კაცი, სწრაფად მიიჭრა გენერალთან და თამბაქოს ნამცეცი მოაშორა. შემდეგ ჩექმების წმენდაზე გადავიდა. გენერალმა ანიშნა და ჯარისკაცებმა კაცი კაბინეტიდან გაიყვანეს. გენერალი დაბრუნდა მაგიდის თავში, პროფესიული მზერა მოავლო თათბირის წევრებს.

– ამხანაგო ოფიცრებო! – ჩვეული, დაბალი ხმით თქვა გენერალმა, – ფაშისტები მონა ბიორობოტების შექმნაზე მუშაობდნენ. ქიმიური ზემოქმედების შედეგად ამ კაცის ტვინი მხოლოდ მონური აზროვნების ფუნქციებს ფლობს. ჩვენ გადავარჩინეთ კაცობრიობა, რომ ხელოვნურად არ შეექმნათ მონა-ბიორობოტები ერთი რასის მომსახურების მიზნით და ადამიანების ერთი ფენა მეორის მონა რომ არ ყოფილიყო სამუდამოდ.

#### პროლოგის დასასრული

დაბეჭდილია წიგნში: „აზროვნების სინთეზი“, გამომცემლობა „თეგი“, ბათუმი, 2016 წ.



# ტაძარ სურბანიძე

\* \* \*

გზის საჩვენებლად  
გემბანებს  
ელვარე მზერით  
უყურა,  
ბათუმი – ვისთვის  
ნაპირი, მანათობელი  
შუქურა.  
მეთევზე – ზღვასთან  
ბაასი,  
სიმშვიდის წვევა  
ჩურჩულთან,  
ნიჟარა გამორიყული,  
იქვე – „რვაფეხას“  
კუნჭულთან.  
მიყურადებით დროდადრო  
ტალღების რხევას  
გვაგონებს,  
ჯინივით გამომწყვდეული  
ვერ ფლობს  
ნამდვილის ძალ-ღონეს,  
აღელვებისას სხვის  
ნებას  
რომ არასოდეს  
არ მონებს,  
ზღვა ვერც  
კი წარმომედგინა  
თავისუფლების არმქონე.

\* \* \*

გვირაბს იქით  
თოვლია და  
გვირაბს აქეთ  
დარი,  
უთავსაფროდ შემოგვხვდა  
სურამელი ქალი.  
გასდიოდა მთაგრეხილს  
კოჭებს შუა  
წყალი,  
ისე გაუჩინარდა  
მშრალი ფიფქის  
ქნარი,  
ზამთარი არ  
მინახავს ჯერ  
ასეთი მხდალი.

\* \* \*

ტყემალი მარტში,  
როცა ლამაზ  
კვირტებს  
შეისხამს,  
აახამხამებს  
ბუტკოები  
თვალებს  
წყლიანებს,  
მაგონებს ყვავილს,  
სხივი რომ  
ვერ აამზიანებს.

\* \* \*

თოვლზე ვარდები –  
მეწამული სხივების  
კონა,  
დედის საფლავზე  
მონატრების  
ცრემლებად  
ჟონავს.

\* \* \*

ვერაფრით  
მომხვეჭელობის  
ვერ გადალახა  
სამანი,  
თვისას იკიდებს,  
სხვის ბოსტანს  
ხარბად  
შესცქერის მავანი.  
რის დამთესავი,  
ან სულაც  
რისი მიწაზე მომყვანი,  
აურჩევია გზა  
მრუდე,  
სხვისთვის ზიანის  
მომტანი  
(ეშმაკო, იმის  
სხეულში უფალი  
რატომ მოკალი).  
მე ვინ  
ვარ ვინმეს  
კაცობა, რომ  
შევაფასო გარედან,  
თავად ლუარსაბს  
მოჰგავს  
და იმისი  
ცოლი  
დარეჯანს.

\* \* \*

**შვილიშვილებს – ნიკოლასს და ლიზას**

გადაუღებ თოვაში  
აჭრილ რძეს  
ჰგავს მიდამო,  
თოვლი გაგვიჯიუტდა  
არ ჩამოდის  
ხიდანო.  
ლიზა ამბობს, –  
ენატრობდით, მოველოდით



ზღვიდანო,  
შემობრძანდა მარხილით  
ლაპლანდიის მხრიდანო.  
ნიკოლასი პირველად  
ჭვრეტს გაჩენის  
დღიდანო,  
შემოადნა ხელებში  
გუნდა ერთი  
ციდაო.  
თოვლის ბაბუ  
კარიკარ სულ  
ეჟვნებით ვლიდაო.

\* \* \*

თითქოს წვიმას  
შეეძლოს  
შეუცვალოს ზნე,  
ნიკოლასმა თავსხმისგან  
„შეიფარა“ მზე  
და ფურცელზე  
მნათობს  
შეუცვალა  
ფერი,  
თან უჩვენებს  
დისკოს  
ბებოს  
გულის ძგერით.

\* \* \*

აბუზლუნდა აზა,  
თაზომ გააბრაზა  
და უამბო  
ბავშვებს ბაბუკამ  
ანდაზა –  
ცხრა ძმისაგან  
თხილის გაყოფაზე  
ისე, რომ  
სმენაზე ამის  
და-ძმა  
მოლბა მყისვე.

# თინათინ ქიქავა

\* \* \*

სულ სხვა წასვლაა, წასვლა პოეტურად,  
იქ ხომ სხვა ფერი აქვს ალიონებს,  
მე რომ მოგინატრო რა აზრი აქვს,  
თუმცა ახლაც შენ გწერ ამ სტრიქონებს.

სულ სხვა წასვლაა, წასვლა პოეტურად,  
იქ ხომ სხვა ფერი აქვთ ალიონებს,  
მე როგორც სამოთხიდან განდევნილი,  
მოდის და ისევ შენ გიგალობებ.

სულ სხვა წასვლაა, წასვლა პოეტურად,  
სულ სხვა ფერები აქვთ ალიონებს,  
იცი? ეს ფიქრები თან მძიმეა,  
მაგრამ ალბათ აწივს იბატონებს.

სულ სხვა წასვლაა, წასვლა პოეტურად,  
იქ სხვა ფერები აქვთ ალიონებს,  
მე როგორც სამოთხიდან განდევნილი,  
ისევ შენ მოგიძღვნი ამ სტრიქონებს.

\* \* \*

ცოტაც მოითმინე ჩემო თავო,  
მალე ამოგიყვან უფსკრულიდან,  
მარტო ვერ შევძლებ და უფლით ვივლი,  
მეტი არაფერი მე არ მინდა.

ზოგჯერ ხელებიდან, რომ მეცლები,  
ისე მეშინია გაგიჟების, თუმცა

არა არც ეგ არ მაშინებს,  
ადგილს მეც მოვძებნი საგიჟეში.

მერე იქაც ვივლი ლექსის ეტლით,  
და მათ წავაკითხებ ფსიქიატრებს,  
სათქმელი არც იქ არ დამელევა,  
მერე გამოწერილ წამალს დავლევ.

მერე დამიწერენ ახალ რეცეპტს,  
მეტყვიან როგორ ინკურნები,  
არ იფიქროო მეტყვის მაგრამ,  
როგორ ავუხსნა, რომ ფიქრით ვთვრები.

ცოტაც მოითმინე ჩემო თავო,  
ბევრს მე არაფერს დაგპირდები,  
ნუ შეგაშინებს ნურაფერი,  
ნუ დაგაფრთხობს ფაქტი გაგიჟების.

ახლა ფსიქიატრი რეცეპტს დაწერს,  
სულ ცოტაც მოითმინე და გპირდები,  
შეურაცხადი თუ შერაცხადი,  
სადაცა ვარ მაინც იქ დავრჩები.

\* \* \*

ალბათ შენ წახვალ ჯვარცმოდან,  
მერე ზამთარი დადგება,  
ალბათ წახვალ და იტყვი,  
რომ არ ღირდა...

ვიცი, რომ წახვალ ჯვარცმოდან  
და მე მარგუნებ სამსჭვალებს,  
ვიცი ეკალიც მომელის,  
მაგრამ შიშით არ ვკანკალებ.

ალბათ შენ წახვალ ჯვარცმოდან  
და მერე შვილებს ეტყვი, რომ  
ეს ქალი პნკარად არ ღირდა  
შენ თვითონ რაღაცნაირი.

ალბათ შენ წახვალ ჯვარცმოდან,  
ხელებსაც ისე დაიბან,  
უბრალო ვარო იტყვი და  
უძარღვოდ შენსას გაიტან.

\* \* \*

დარდიც ქრება, როცა მართლა მართალი ხარ,  
უკუღმართებს არაფერი უმტკიცო,  
ძლიერი კი არასოდეს დანებდება,  
უმიზეზოდ, არც არავის უკბინო.

დარდიც ქრება, როცა მართლა მართალი ხარ,  
ღმერთთან, მაინც რა გამოლევს სათქმელებს,  
შენი დარდი და ტკივილი ღმერთმა იცის,  
რომ საუბრობთ ვერაფერი გახელებს.

\* \* \*

ამაყიო ჩემზე ამბობენ, არადა უბრალოდ თავი მიყვარს,  
ერთხელ მკაცრი ხარო ისიც მითხრეს, არადა ვაფასებ სამართლიანს,  
ამპარტავანიო გავიგონე, არადა ვისწავლე თავის ფასი,  
ვისაც არ ვუნდივარ არ მივდექ და ბოდიში თქვენ თუ არ შეგიყვარდით.

ამაყიო ჩემზე ამბობენ, არადა უბრალოდ თავს ვაფასებ,  
პირდაპირიო ესეც კი თქვეს, უბრალოდ ვერ ვიტან პირფერობებს,  
ესა ვარ რაცა ვარ, იცით სადაც თუ არ გსურთ გზასაც დაგილოცავთ,  
გიმრავლოთ ჩემნაირი ყეყეჩები, თქვენ უარესები არ გინახავთ.

\* \* \*

ცხოვრება ჭადრაკს ჰგავს, ვთამაშობთ ყოველ წამს,  
ცხოვრება ჭადრაკს ჰგავს, რა დალევს პაიკებს,  
ეს ჩვენ ვიკითხოთ ვინც ასე ვიშვით და  
ამ ვიშვიშს, მხოლოდ უფალი გაგვიგებს.

ცხოვრება თამაშს ჰგავს, რომელიც იცვლება,  
თამაშის რა გითხრათ სვლებს შევცვლით როგორც გვსურს,  
მაგრამ ისიც ვთქვათ თუ ღმერთმა ინება,  
ვერ შევცვლით ვერაფერს ქმნილება პაიკობს.

ცხოვრება ჭადრაკს ჰგავს, პაიკი ბევრია,  
ცხოვრება ჭადრაკს ჰგავს ვერ ვხედავ დედოფლებს,  
არც მეფე არ მოსჩანს სადაც არ წავედი,  
ეგ არაფერი უფალი ხომ მეფობს.

### რბ აზრი აქვს

რა აზრი აქვს უნანელად აღსარებას,  
ეჭვ რამდენჯერ შემრცხვენია სათქმელის,  
ეჭვ ვინ იცის ღამით გული ცოდვას ტირის,  
გამთენიას მივიწყებულს, ჩაფერფლილს.

რა აზრი აქვს უნანელად აღსარებას,  
ეჭვ რამდენი რამე დამრჩა სათქმელი,  
ყოველ ღამე ცოდვა-მადლის ჭიდილია,  
დილით ღმერთსაც ვერ გავუღე კარები.

რა აზრი აქვს უნანელად აღსარებას,  
ამ დროებას ვუყურებ და ვინ გაცდის,  
ვინ შეგანევს იმიერში მერე სიტყვას,  
გეშინია ამიერში ჩაქოლვის.

რა აზრი აქვს უნანელად აღსარებას,  
ეჭვ რამდენჯერ დამვიწყნია სათქმელი,  
დედამინა ცოდვა-მადლის ჭიდილია  
და შენდობას ადამისგან არ ველი.

\* \* \*

ზევსი სიყვარულს მიხსნიდა გუშინ,  
ბოლოს სიზმრისგან გამომეღვიძა,  
სანამ გამიქრა, ჩამიკრა გულში  
და იმის მერე ფიქრად გამიჩნდა.

ზევსი სიყვარულს მიხსნიდა გუშინ,  
განრისხებული ჰერა მეწვია,  
ყველა სათქმელი უკან დამრჩა  
და თითქოს შიშიც გადამავიწყდა.

ზევსი სიყვარულს მიხსნიდა გუშინ,  
ვერ მაშინებდა ვერაფრით რამე,  
სანამ ის ქალი არ შემეფეთა  
და გული ძალად არ გამიქვავეს.

\* \* \*

არაფერს ტოვებენ წმინდას,  
არც ფიქრს, არც აზრს, არც ნაბიჯს,  
შენი არ მოსწონთ და სხვისას,  
აქებენ ბოლო ხმაზე ბაძვით.

არაფერს ტოვებენ წმინდას,  
ყველაფერს გადაასხეს ლაფი,  
სათქმელი ბევრია, არ ღირს,  
მოდის დავანებოთ თავი,

მაგრამ როგორ გინდა ჩუმად,  
უყურო როგორ რყვნიან,  
ყველაფერს ღირებულს და წმინდას,  
რალაც სიბილწეში ცვლიან.

არაფერს ტოვებენ წმინდას,  
დგება განშორების ჟამი,  
რაც არ გსურთ არ განახოთ ღმერთმა,  
რაც გსურთ არ გგანახოთ წამით.

\* \* \*

გადაიკარი სახეზე ღიმილი,  
არავის ადარდებს შენ რა გედარდება,  
ყველა ფიქრი თუ სულის კივილია,  
არ გეგონოს ასე მხოლოდ შენთან ხდება.

გადაიკარი სახეზე ღიმილი,  
აქ ხალხი ახლა ნილაბს ეტანება,  
ყველა ფიქრი და ყველა შენი დარდი,  
ლამეს დაუტოვე სხვას არ ედარდება.

გადაიკარი სახეზე ღიმილი,  
მერე რეფრენებიც უფრო გეხმარება,  
შენი ცრემლი და შენი ტკივილი,  
იცოდე მხოლოდ ღმერთის გულს ეკარება.

### მწერლების სეზონი

მწერლებს სხვაგვარი სეზონი სჩვევიათ,  
ფერიც სხვაგვარი აქვთ მათ ღამეებს,  
ასეა ჩვენთან ადრე ღამდება,  
გრძელია ღამე გაუსაძლისი.

მწერლებს სხვაგვარი სეზონი სჩვევიათ,  
ასე ამბობდნენ ამას და ვიცი,  
ახლა რეჟინი თუ გადამარჩენს,  
თითქოს არავის ვენდობი იცის.

ღამემ ის იცის რაზეც არ ვყვები,  
ყველაზე მეტად ღამეს ვუყვარვარ,  
ზოგჯერ მგონია დავაგვიანე და  
რომ სულისთვის, არც კი მოვმცდარვარ.

მწერლებს სხვაგვარი სეზონი გვჩვევია,  
ჩვენთან ღამეებს ვარსკვლავით ვითვლით,  
შენც იმ ვარსკვლავზე გეძებ იმ დღეს,  
სულ არ მომწონდა, მაშინ დაისი.

სხვაგვარ ფერებში ვხედავთ სამყაროს,  
ჩვენთან სეზონი გაუსაძლისი,  
თითქოს სულისთვის არც კი მოვმცდარვარ,  
შენ არ მოხვალ და არც მე დაგიცდი.

### იქნებ

იქნებ, შენს შემდეგ არ უმართლებს,  
ჩემს გრძნობებს სხვასთან,  
იცი შენს მერე შეიცვალა ჩემთვის სამყარო,  
იქნებ შენს შემდეგ არ უმართლებს ჩემს გრძნობებს სხვასთან,  
თუ კი ჯვარი ხარ გოლგოთამდე უნდა გატარო.

იცი შენს მერე შეიცვალა, ყოველი წამი,  
რაც შენ არა ხარ მდორე გახდა თითქოს სამყარო,  
რაც ვერ გითხარი გულში რჩება აწ და მარადის,  
თუ კი ჯვარი ხარ გოლგოთამდე უნდა გატარო.

### როდესმე

როდესმე, ალბათ გამოვა მზე და  
ის დამიამებს ყველა ჭრილობას,  
როდესმე, ალბათ აღარ მოვყვები,  
როდის, რატომ და როგორ მტკიოდა.

როდესმე, ალბათ მეც დავწერ მასზე,  
ვინც ჩემთვის ეს მზე ამოიყვანა,  
როდესმე, მაგრამ ასე როდემდე,  
ვგრძნობ, რომ სხეული გადამელალა.

როდესმე, ალბათ შევძლებ ვიცინო  
და დავაბრუნო ჩემში ის ბავშვი,  
რომელსაც ასე ეძებენ ჩემში,  
მაგრამ მე ვგრძნობ, რომ საერთოდ ჩავექრი.

როდესმე, ალბათ შენც მოგიყვები,  
შენც მოგიყვები, როგორ მიყვარდი,  
მერე ამაზე, ალბათ ვიცინებთ,  
ჩემზე უფროსი, რომ შემიყვარდი.

როდესმე, ალბათ ზეცაც იღიმებს,  
აღარ იწვიმებს ზეციდან დარდი,  
როდესმე, მაგრამ ახლა ვიცი, რომ  
შეცდომას ვუშვებ, რომ შემიყვარდი.

### რომ არ ვწერდი

მე რომ არ ვწერდე დავხატავდი, ალბათ ფერებით,  
თუ დრომ მაცადა ფიქრში ისევ მოგეფერები,  
სულ რომ დამღალოს, ამ ფიქრებზე არ ვიტყვი უარს,  
თუ ჯვარცმა მელის, იმ ჯვართანაც მე თვითონ მოვალ.

მე რომ არ ვწერდე, დარდებს, ალბათ გავანდობ მოლბერტს.  
მაგრამ მე წერა ბავშვობიდან ფეხდაფეხ მომდევს,  
ლექსით გადმოვცემ ყველა სათქმელს, ყველა სატკივარს,  
ლექსის გარეშე მგონია, რომ მარტო კაცი ვარ.



მე რომ არ ვწერდე, ალბათ ასე ვერ გაგანდობდით,  
ჩემს იმ სათქმელებს, საუკუნოდ, რომ მომდევს უკან,  
როცა ვერ ვწერდი, მაშინ მხოლოდ იმას ვდარდობდი,  
ალარ მოდის-თქო, მეგონა რომ გამიწყრა მუზა.

### ჩიტი

ის ჩიტი ვარ ეკალ-ბარდზე თავს რომ იკლავს,  
სიკვდილამდე მღერის ისე, როგორც გედი,  
რას მოხვედი თუ კი, მაინც დაგკარგავდი,  
რა გინდოდა ჩემს გზაზე, რომ გადმოხვედი.

ახლა მჯერა, რომ კვდებიან იმედები,  
ახლა მჯერა, რომ თავს იკლავს თურმე გედი,  
ახლაც ისევ უნებურად მოგინატრე,

აქ კი დავრჩი, მაგრამ თვითონ სად წახვედი,  
რომ შემეძლოს გავაცოცხლებ იმ ჩიტუნას,  
გუშინ თავი ეკალ-ბარდებს, რომ შესწირა,  
მოგინატრო? თუმცა რატომ, რა უფლებით,  
შენ ხომ ახლა მხოლოდ ღმერთი გაბადია.



# სოფიო ჭინჭარაძე

\* \* \*

...მე წუხელ, სადღაც, ალბათ, თორმეტზე,  
სიზმრიდან ცხადში ეუცქერდი სიკვდილს...  
ჯაჭვები ება გახრწნილ კოჭებზე  
და წყალს ართმევდა სიცოცხლის წისქვილს...  
მე წუხელ ღამით ვიქეცი ფერფლად,  
ქარი მემოსა ნაცრისფერ ტანზე...  
ირგვლივ სიცოცხლეს სწირავდნენ მსხვერპლად,  
ურდულებს ხსნიდნენ ჩაკეტილ კარზე...  
მე წუხელ ღამით ვიხილე ელდა...  
ვიხილე ფერი სიკვდილის თვალის...  
იჯდა და ზიზლით თიხისგან ზელდა,  
ბედსა და ილბალს ფხიზლის და მთვრალის...  
მე წუხელ ღამით ვიგრძენი სუნი,  
მინის და ზეცის, ფერფლის და გვამის...  
ვხედავდი როგორ იწვოდნენ ცრუნი,  
გონება იქვე დაგკარგე ღამის...  
მე წუხელ ღამით, ჩემს ფერად გულში,  
ცრემლით დავახრჩვე ზიზლი და ვნება...  
მესმის ჩურჩული სიცოცხლის ყურში,  
მაგრამ დროდადრო მისი ხმაც წყდება...  
მე წუხელ ღამით ვიხილე სვაფი,  
იჯდა, ელოდა მშვიერი ლეშებს...  
ვიგრძენი როგორ მარწევდა ნავი,  
სატანა ნისლში ისვროდა კენჭებს...  
მე წუხელ ღამით ვიწვოდი ცეცხლში,  
მახრჩობდა ჩემი სხეულის სუნი...  
თეთრი სუდარა მეჭირა ხელში...  
ვყვიროდი... მაგრამ გარს მერტყა ყრუნი...

მე წუხელ ღამით ვიგრძენი მკვეთრად,  
რა ძვირფასია სიცოცხლის წამი...  
ის ღამე ჩემთვის გათენდა თეთრად...  
მაგრამ სიზმრიდან ვიგემე შხამი...

\* \* \*

ბავშვობა მეძახის – წამოდი... წამოდი...  
უცოდველ თვალებში ვხედავ ჩემს სილუეტს...  
მილიმის კარებთან... მეძახის... გამოდი...  
მპირდება თავიდან არ შემდგარ ბევრ დუეტს...  
მაცდურად მპირდება უდარდელ ღამეებს...  
ვარსკვლავებს მპირდება თვალებში დაკარგულს...  
უბრუნებს უმანკო ღიმილებს ბაგეებს...  
ვფიქრობ და აზრები მერევა დაქანცულს...  
უარით ვისტუმრებ ბავშვობის მირაჟებს...  
არ მინდა ეს გზები თავიდან ვიარო...  
პატივს ვცემ ჩემს განვლილ ცხოვრების გვირაბებს...  
არ მინდა განვლილი კვლავ გადავიარო...  
ვუყურებ სარკეში წარსულის ნაბიჯებს...  
ათასჯერ ჩაღწეულ ხიდეებს და იმედებს...  
სხეულზე ათასი დემონი მაბიჯებს...  
მერცხლები თვალებზე ბუდეებს იკეთებს...  
შემეშვი ბავშვობავ, ნუ დამდეგ... არ მინდა...  
არასდროს მჩვევია წარსულთან ნუნუნნი...  
მიიღო უარი და იქ ხმა გაკმინდა...  
უეცრად ვარდისფრად განათდა უკუნი...

\* \* \*

ქარი – ქარია... მე კიდევ მე ვარ...  
მაგრამ ორივეს სიგიჟე მოგვწონს...  
ტრიალ მინდორზე პირალმა ვწევარ,  
ციდან ვარსკვლავთა ჯარები მოთოვს...  
წამნამებს შორის ცრემლები ბუდობს,  
ტუჩის კუთხეში ცელქობს ღიმილი...  
სადღაც წყვდიადში ლანდები ჩხუბობს,  
ვერ დაიტია ღამემ ტკივილი....  
ქარი – ქარია, მე კიდევ მე ვარ...  
დრომ ჩამოსწყვიტა ფიქრებს საკინძე...

ქარივით გიჟი ფოთლებში ვდგევარ,  
და ამ ქაოსში ლექსიც ავკინძე...  
ქარი დამაცხრა ტუჩებზე ვნებით,  
წელზე მომხვია გრძნობით ხელები,  
ყურში ჩურჩულებს რაღაცას გზნებით,  
მაგრამ ჩამესმის მხოლოდ ბგერები...  
ქარი – ქარია... მე კიდევ მე ვარ...  
მომპარა ყველა საკინძის ღილი...  
შიშველი მკერდით ქაოსში ვდგევარ,  
დაღლილობისგან მერევა ძილი...  
ათას სიგიჟეს ჩავიდენ ხვალე,  
ათასჯერ ავყრი აბჯარს ცხოვრებას...  
აღბათ ქაოსიც მიწამებს მალე,  
არ ვიცი ვისგან ველი ცხონებას...  
მე – მე ვარ... მაგრამ ქარიც ქარია...  
მოპარულ ღილებს ვხედავ სხვის მკერდზე...  
გრძნობებმა ფიქრებს ხელი დარია,  
ქარსაც სცოდნია გადგომა გვერდზე...  
მიყვარს ყოველი სიგიჟის წამი...  
და არ მაშინებს მე განაჩენი....  
ბილიკზე გდია ღალატის გვამი,  
ღილები... ვნება... და დანარჩენი...  
ქარი – ქარია, მე კიდევ ქალი,  
თავქარიანი, ბუნებით გიჟი...  
არ ვცდილობ თოვლზე დავმალო კვალი,  
ჩემი ცხოვრების თავად ვარ გიდი...



## შორენა პახუაძე

### ერთი და მრავალი უიღლო სიყვარულის ისტორია

(შალვა კვასხვაძე, „ჩემი ხატიჯე“ და სხვა)

„ლექსები, ზოგადად სიყვარულზე იწერება“ (შალვა კვასხვაძე, „ჩემი ხატიჯე“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2024, გვ. 155; შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამომცემიდან, მიუთითებთ მხოლოდ გვერდებს) – ამბობს შალვა კვასხვაძის ლირიკული მოთხრობების ერთ-ერთი პერსონაჟი; დავამატებდი: არათუ ლექსები – პროზაც და საერთოდ, ასე მგონია, სიყვარულია ხელოვნების პირველმიზეზიცა და პირველსაწყისიც. ბარემ აქვე გავიხსენოთ „ადამიანის სულის ახალი კონტინენტის“ აღმომჩენი ზიგმუნდ ფროიდიც, რომელმაც აღიარა, რომ ხელოვნება მოჭარბებული სექსუალური ენერგიის ფანტაზიის სფეროში გადატანის შედეგი გახლავთ. არც ის დავივიწყოთ, რომ სიყვარულს უამრავნაირი გამოვლინება აქვს. პრინციპში ესეც აქსიომაა, მაგრამ შალვა კვასხვაძის კრებულში შესული ნაწარმოებების მთავარი მოტივი მაინც ქალ-ვაჟს შორის ურთიერთობებია: ხან – რთული, წინააღმდეგობრივი, ზოგჯერ – ჰარმონიულიც, ხან – იუმორით, ხან – თვითთრონიით, ხანაც – სარკაზმით დახა-



ტული. მოთხრობებისთვის ლირიკული შემთხვევით არ მიწოდებია: მათში ავტორის „მე“, მისი ყმანვლობისა თუ ცხოვრების შემდგომი პერიოდების სულიერი ძიებების, ვნებათაღელვის, გრძნობების, სიხარულიან თუ სევდიან დღეთა ანარეკლი ნათლად იკითხება. ალბათ, ამიტომაცაა ასეთი გულწრფელი, ზოგჯერ გულუბრყვილო, ნაივურიც კი ავტორის თხრობა. ეს არცაა გასაკვირი: კრებულში შესული პირ-

ველივე მოთხრობის „ჩემი ხატიჯე“ – (რომელიც, ვფიქრობ, გამოირჩევა სხვათაგან მხატვრული ღირსებით და სწორედ მისი სახელწოდებაა გამოტანილი კრებულის სათაურად) – მთავარი პერსონაჟები 19-20 წლისანი არიან, მაგრამ ნუ შევადარებთ მათ ოცდამეერთე საუკუნის ამავე ასაკის ახალგაზრდებს, რომელთა ცხოვრებისეული გამოცდილება, მენტალიტეტი, ადამიანებთან ურთიერთობის კულტურა, ციფრულ სამყაროზე დამოკიდებულება, მოჭარბებული და დაუხარისხებელი ინფორმაციის გავლენა – ამ თაობის აბსოლუტურად განსხვავებულ პროფილს ქმნის.

მაშინ კი, ინსტიტუტებში (იმ დროს საქართველოში მხოლოდ ერთი უნივერსიტეტი იყო თბილისში, ბათუმში კი – ერთი პედაგოგიკური) – ჯერ კიდევ ისწავლებოდა პარტიზტორია და მეცნიერული კომუნიზმი, ლექტორებიც თაბახის ფურცლებიდან კითხულობდნენ ლექციებს და არა – კომპიუტერიდან; ახალგაზრდები უფროსებს პატივს სცემდნენ და თავიანთი გრძნობების საქვეყნოდ გამოფენას ერიდებოდნენ, თან კუბოს კარამდე ერთგულობდნენ მათ, ვინცა „ერთხელ შეუყვარდეს“ (ხატიჯემ სამარეში ჩაიყოლა სატრფოსთან ერთად გადაღებული ფოტო, 74); სჯეროდათ რომანტიკული სიყვარულის, მზიან-ლიმილიანი ხვალისდელი დღის და გალაკტიონისა და შანდორ პეტეფის ლექსებით უხსნიდნენ ერთმანეთს სიყვარულს.

სწორედ ასეთია სიყვარულის ისტორიის დასაწყისი მოთხრობაში „ჩემი ხატიჯე“. ავტორი ხატავს პირველი გრძნობის განუმეორებლობას: როცა სატრფოს ღიმილი მთელ ქვეყნიერებას უცვლის სახეს – ცისარტყელას ფერებით ააციმციმებს, სიცოცხლის ხალისს გმატებს, ფრთებს გასხამს. ამიტომაც შეუძლიათ ნაილეს (იგივე – ხატიჯეს) დიდრონ თვალებს ირგვლივ ყველაფერს სხვა „სახე, ფერი და გემო“ მისცენ (30), ენამოსწრებულ ფილოლოგს „სიტყვები გაუქციოს“, მთელი ცხოვრება აგადევნოს „მიმზიდველი, ვნებიანი, ულამაზესი, უბრალო და გაუხარჯავი გრძნობებით სავსე“ (17) გოგონას ლანდი.

ავტორი გვარწმუნებს, რომ ახალგაზრდების გრძნობები გულწრფელია, უშუალო, წმინდა და ფაქიზი. თითქოს არაფერი ელოდება წინ მათ სიყვარულს, მაგრამ ხატიჯეს მამის ავადმყოფობამ და მისმა უგრძნობლობამ, თანაგანცდის უუნარობამ, ეგოისტურმა დაჟინებამ, რასაც დაემატა აჩიკოს უმოქმედობა, ინფანტილიზმი, ხატიჯეს სიყვარულს განაჩენი გამოუტანა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მამის ფსიქოლოგიური პორტრეტი მთლად დამაჯერებლად არ მეჩვენება: დასაწყისში ის დახატულია სიყვარულითა და სითბოთი სავსე ადამიანად, შვილის დაღუპვის გამო თავის მოკვლაც რომ სცადა და უც-

ხად, საფიცარი ხატიჯეს გრძნობების მიმართ ასეთ უსულგულობას და სისასტიკეს იჩენს, არც ოჯახის წევრების რჩევებს ითვალისწინებს, არც ქალიშვილის ჩამქრალი თვალების დანახვა და მისი გულწრფელი აღსარება აჩერებს, მოკლედ, თბილი და გამგებიანი მამიდან უცხად გარდაქმნება ეგოისტ და დესპოტ არსებად (რასაც ვერავითარი ავადმყოფობა ვერ გაამართლებს).

შალვა კვასხვაძის მოთხრობების პერსონაჟების სიყვარულის ისტორია მრავალგვარია, მაგრამ უმრავლესობას ნაღვლიან-უიღბლო, ზოგჯერ – კომიკური დასასრულიც აქვს, მიუხედავად იმისა, რომ დრო შეიცვალა: ბულვარში სეირნობისას სიყვარულის ახსნა ვირტუალურ სივრცეში ფოტოების თვალიერებითა და მონონებების ხარისხისა თუ რაოდენობის ანალიზით შეიცვალა, მაგალითად, ასე „ტრაგიკულად“ დამთავრდა „პერიფერიული საბიუჯეტო ორგანიზაციის“ ორმოცს გადაცილებული სიმპათიური, ლურჯთვალა, მელოტი ბერბიჭას – ზაზა სოფრომაძის ვერც კი დაწყებული სიყვარულის ისტორია: „ზაზამ თავის რამდენიმე კომენტარზე ლარისას შეფასება მოძებნა და სახტად დარჩა. მის ზევით და ქვევით, ყველა კომენტარს წითელი გულები ამშვენებდა, მისას კი – მხოლოდ ცისფერი ცერა თითი... ნაბოზვარი ქეთი დვალისშვილი რომ გაჯობებს, კი უნდა მოკაკვო თითი, ჩაღუნო თავი და გახვიდე სცენიდან“ („შუათითი“, 112). ავტორისეული ირონიამეპარული იუმორი ზუსტად გადმოსცემს იმ ატმოსფეროს, რომელიც სუფევს ერთ-ერთ ტიპურ პოსტსაბჭოთა პერიოდის დაწესებულებაში: სამუშაოზე მეტად თანამშრომლების პირადი ამბები რომ აინტერესებთ, „მუდამ მობილურში დაკარგულები“ (220) „ჰემოგლობინმატებული გულებით“ (104) რომ საზღვრავენ ურთიერთ სიმპათიების ხარისხს, შესვენებებზე ნისიად რომ ქეიფობენ, სელფებისა და ფოტოების გადაღება და მათი ფბ-ზე განთავსება განსაკუთრებულ რიტუალად რომ უქცევიათ, მოკლედ – თანამედროვე სინამდვილეა – ვირტუალური „ბეგრანდით“ – ეს სიტყვა მწერლისგან ვისესხე და მინდა გითხრათ,

რომ შალვა კვასხვაძის ტექსტები ენობრივადაც ნატურალურად ასახვენ იმ რეალობას, რომელზეც წერს: აქ შეხვედებით აჭარულ-გურული დიალექტების ნაზავს, რუსულ-ინგლისურ ბარბარიზმებს, გრამატიკულად არასწორ ფორმებს, რაც, ჩემი აზრით, ზუსტად გადმოსცემს იმ ენობრივ გარემოს, რომელშიც ცხოვრობენ მისი მოთხრობების პერსონაჟები.

შალვა კვასხვაძის ნაწარმოებები მოიცავენ საქართველოს ისტორიის ორ, მკვეთრად განსხვავებულ, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდს. ამ უკანასკნელში უკვე „ყველა თავის გადასარჩენად იბრძვის, დიდი თუ პატარა, და თან ისე, როგორც შეუძლია“ (72). უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტექსტებში კარგად აისახა ის ძირეული ცვლილებები, რომლებიც არა მარტო ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას, არამედ ქართველების მენტალიტეტს, ტრადიციულ ღირებულებებს შეეხო: თუკი ადრე ქალ-ვაჟი ქუჩაში ერთად ხელჩაკიდებული გავლას ერიდებოდა, შუამავლობით გარიგებულ გოგონასთან სიტყვის თქმასაც ვერ ბედავდა, „გათხოვილი ქალის ქორწილი“ (98) კი დიდი სირცხვილი იყო, ახლა 4-5-ჯერ განათხოვარი ქალები უფრო პერსპექტიულ საპატარძლოებად ითვლებიან („შუათითი“, „იყო და...“), ახლადგაცნობილ მარტოხელა კაცთან შუალამისას სტუმრობა აღარავის უკვირს („მონყვეტილი ყვავილი“), არც ცოლშვილიან კაცებთან/ან კაცების ფლირტია იშვიათი („ოჯახის ექიმი“, „ლაშა“), ერთი სიტყვით, მწერალი, მისთვის ჩვეული მანერით: ალაგ – იუმორით, ალაგ – ირონიით ან თვითირონიითაც კი, გვიჩვენებს, როგორ მიმდინარეობს ქართული საზოგადოების „გათავისუფლება“ ტრადიციული ფასეულობებისგან, როგორ ეცლება საფუძველი ოჯახის ინსტიტუტს. საინტერესოა, რომ ის არცერთ შემთხვევაში პირდაპირ არ გამოხატავს თავის დადებით თუ უარყოფით დამოკიდებულებას პერსონაჟებისა და მათი ქმედებების მიმართ, ამას თხრობის სტილით, ენობრივი მასალის შერჩევითა და ზოგჯერ – ქვეტექსტური მინიშვნეებით ახერხებს. ასე იხატება

თანამედროვე საზოგადოების კოლექტიური სურათი, რომელშიც რაინდობაც (დღევანდელი ტერმინ-ბარბარიზმით: ჯენტლმენობა) პაროდირებულია. ხელფასიდან ხელფასამდე თავის გატანის სურვილით შეპყრობილ, საცობებით, მგზავრებით გადატვირთული ტრანსპორტითა და გაძვირებული ფასებით სულშენუხებულ მოქალაქეს მხოლოდ თავისი ყოფითი წვრილმანებილა აწუხებს, ნაცრისფერ ფერებში ხედავს ყველაფერს: დაღლილსა და გამოფიტულს მხოლოდ სახლში მისვლა, განმარტოება და თავის სამყაროში ჩაძირვა უნდა, მაგრამ ზოგჯერ შემთხვევითობა მას „გმირად“ აქცევს (მოხუცი ქალბატონისთვის ავტობუსში ადგილის დათმობა უკვე გმირობად ითვლება!) და აიძულებს ჯენტლმენის როლი ბოლომდე ითამაშოს („ნამდვილი ჯენტლმენი“, 191). ავტორი ირონიის მოზრდილი დოზით სახალისოდ გადმოგვცემს ამ ძალად რაინდის ფათერაკიან თავგადასავალს. რა თქმა უნდა, როგორც გოდერძის „გმირობა“, ისე მისი „ფათერაკებიც“ პაროდირებულია.

შალვა კვასხვაძე მოთხრობებში, როგორც კრებულის რედაქტორი სანდრო ბერიძე ანოტაციაში აღნიშნავს, გულითადი იუმორით ხატავს პერსონაჟთა კოლორიტულ სახეებს: „მაღალ, ქერა, ძვალმსხვილ და ეშხიან“ (154), მაგრამ ენაკვიმატ გურანდაზე უიმედოდ შეყვარებულ რევაზიკოს, თავისივე მოგონილი ტყუილის ბადეში რომ გაეხვევა და მის სიყვარულსაც თვალსა და ხელს შუა მოსტაცებენ („ჩანჩხალოელი ბადრია“, 142), „ახალგაზრდობაშეფერებულ“, ბრიალა ნაბლისფერთვლებიან, ლაპარაკის საღერღელაშლილ ქალს „მარშრუტკიდან“ („უცხო ქალი“, 209), ტანდაბალ, მელოტ (თმებიც რომ წლებივით გაურბის), დინჯ, ოჯახის შექმნის სურვილითა და უიმედო სიყვარულის გრძნობით შეპყრობილ, „დროულად... აღმოსაჩენ“ მირზას („ქელები, მირზა და ხვალინდელი დღე“, 216). ყველანი ისინი უბრალო ადამიანები არიან, ზოგი – უფრო ჭკვიანი და სიმპათიურია, ზოგი – ნაკლებად, მაგრამ ყველას აერთიანებს სიყვარულის, ადამიანებისგან სიბოხსა და თანა-

გრძნობის მიღების სურვილი და კიდევ: ისინი ცდილობენ, რომ ტკივილები, წინააღმდეგობები, შავნალვლიანობაც კი ღიმილითა და იუმორით დაძლიონ: „ცხოვრებაც ხომ იმითაა მშვენიერი, რომ ყოველთვის გაძლევს იმის შანსს, ისეთი ნაბიჯები გადადგა, რომლებიც გაგაბედნიერებს, სიცოცხლის ხალისს შეგძენს და მეცხრე ცაზე აგიყვანს. მთავარია, ცოდვილ დედამიწას ძირფესვიანად არ მოწყდე და ღრუბლებში არ ჩაიკარგო“ (223).

როგორც ვნახეთ, შალვა კვასხვაძის კრებულში შესულ მოთხრობებში წარმოდგენილია ჩვენი ყოველდღიურობა, დაახლოებით ისეთი, როგორზეც წერდა ჩეხოვი – გარემომ შეჭამა

ადამიანიო. კრებულის ავტორიც გვაფრთხილებს: არ შევაჭმევინოთ რუტინულ ყოფას თავი, არ დავივიწყოთ, რომ ადამიანები ვართ და შეგვიძლია ჩვენი ბედი ჩვენვე გამოვჭედოთ, უფალმა იმთავითვე ჩადო ჩვენში ემოციები, რომლებიც სამყაროს ყველა არსებისაგან გამოგვარჩევს, ამიტომ ურთიერთგაგება, სიყვარული (თუნდაც – უიღბლო), გრძნობები (თუნდაც – გაუზიარებელი) – გვაძლებინებს ამ დედამიწაზე, გვავსებს ხვალისდელი, უფრო ლამაზი, მზიანი დილის იმედით და აფერადებს ჩვენს ნაცრისფერ ყოველდღიურობას – სწორედ ამ რწმენითაა უპირველესად მიმზიდველი და ღირებული შალვა კვასხვაძის მოთხრობათა კრებული.



## საქუთრივ „ლურჯა ცხენების“ შესახებ

რაზეა ან ვისზეა ლექსი? თემური წყობილების მორალურ ცვეთაზე, მაგრამ არა მის დასასრულზე; თემისა და პიროვნების ხელახალ შეხვედრაზე და მეორის სრულ დომინაციაზე პირველთან მიმართებაში; თემის უძლურებაზე, გააძევოს პიროვნება და ასეთი გაძევების სრულ უაზრობაზე; პოეტზე, როგორც მაღალ შემოქმედზე, რომელმაც თავისი შემოქმედებით – მივიდა, ნახა, გაიმარჯვა ზემოაღნიშნულ თემზე (გარემო); ლექსზე, როგორც ბუნების მარადიულ ძალაზე, რომლის დაბადება, მოვლინება საზოგადოებაში არსებული ძალების (ჯგუფური თუ ორგანიზაციული) ნებელობას ანულებს!

ლექსი, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის ნაწერი, მთლიანია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მისი, როგორც მთლიანის გააზრება. ასეთი გააზრება მოითხოვს თვით ტექსტისა და მისი სტრუქტურული ნაწილების (სიტყვა, შესიტყვება, სტრიქონი, სტროფი...) ნაკითხვა-გაგებას, შეგრძნებას, რათა მიღწეულ იქნას ნაწერის, როგორც მთლიანის აღქმა. გარდა ამისა, აუცილებელია დაკვირვება, – ლექსის ავტორი, ტექსტის რომელ ნაწილში ამბობს თავის მთავარ სათქმელს (ხშირად, არა ერთს), როგორ ახდენს იგი მკითხველის მომზადებას, მის შეყვანას შინაარსსა და ლოგიკაში...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსახილველ ლექსში, როგორც მთლიანში, რამდენიმე ადგილის ჩემუელ გააზრებას შევთავაზებ პატივცემულ მკითხველს, რაც უნდა დაგვეხმაროს ამ ლექსის შინაარსის სწორად წვდომა-გაგებაში, შემდეგ კი მივმართავ მისი ცალკეული ნაწილების ანალიზსაც.

უპირველეს ყოვლისა, ვიტყვი იმას, რომ შესიტყვება ლურჯა ცხენები სამჯერ არის მოხსენიებული ლექსში: 1) მესამე სტროფის ბოლო ორი სტრიქონი: „სიზმარიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!“; 2) მეხუთე სტროფის პირველი ორი სტრიქონი: „ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი, ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“; 3) მერვე სტროფის ბოლო ორი სტრიქონი: „როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი, ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“.

პირველი ვარიანტის ლურჯა ცხენები, ერთი შეხედვით, განსხვავდება დანარჩენი ორისგან – აქ ნახსენები ცხენები პოეტის ლურჯა ცხენებია, მასთან მიმართებაშია მოხსენიებული, – ჩემიო, ამბობს იგი. დანარჩენი ორი კი ბუნებაში არსებულ მოვლენებთან – ცეცხლისა და ზღვის ხეტიალთან, ზოგადად ბედის ტრიალთან მიმართებაში არის ნახსენები. საბოლოო ჯამში, ორი ტიპის ლურჯა ცხენებს ახსენებს პოეტი ლექსში – საკუთარს და იმ ცხენებს, რომლებიც ერთხელ ამოშვებული ჯინივით უკვე დაქრიან სამყაროში ბუნების ძალების (ცეცხლის ხეტიალი, ზღვის ხეტიალი, ბედის

ტრიალი) დარად და ცოტა უფრო ძლიერადაც – ჩქარი გრგვინვა-გრიალით. თუმცა, მიუხედავად ასეთი დასკვნისა, ლექსში გადმოცემული ლოგიკის თანახმად, პოეტის ლურჯა ცხენები, როგორც საკუთარი, გარკვეული დროის შემდეგ იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას, ვითარცა ბუნების ძალები; ანუ, ლექსი ეძღვნება ლურჯა ცხენებს, როგორც ბუნებაში დამოუკიდებლად არსებულ სამყაროსეულ ფენომენს.

მეორე საყურადღებო ადგილი ამ ლექსში, რომელიც უმნიშვნელოვანესია მისი, როგორც მთლიანის გასააზრებლად, არის ბოლო, მერვე სტროფის საწყისი ორი სტრიქონი: „მხოლოდ ნისლის თარეში, სამუდამო მხარეში, ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები...“ აქ პოეტი პირდაპირ ამბობს, რომ ნისლის თარეშს მხოლოდ სამუდამო მხარეში კი არ აქვს ადგილი, არამედ ზევითაც. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვა, ამავე პოეტის სიტყვებით, მისი სხვა ლექსიდან – „ჯვარს ეცვი, თუ გინდა! სამველი არ არის, არ არის, არ არის!“ რას ვგულისხმობ? იმას, რომ ზევითაც, საზოგადოებაში, მის ცალკეულ სოციალურ ჯგუფებში (ლოკალური გარემო), ამ შემთხვევაში სამწერლო გარემოში, ისეთივე მძიმე სიტუაციაა, როგორიც პოეტმა ქვევით „ნახა“ – ცივ სამარეში წოლა, სამუდამო მხარეში არსებული მწუხარება, ნისლის თარეში, მდუმარება და ა. შ.

ამ ბოლო სტროფში, რომელიც ერთი მთლიანი წინადადებაა, პოეტი შინაარსობრივად გვეუბნება შემდეგს: ვინაიდან სამველი არ არის, საჭიროა მაღალი დონის შემოქმედება, ისეთი ლურჯა ცხენები, რომლებიც ნებისმიერ ვითარებაში, თუნდაც ნისლის თარეში (ბუნდოვანებასა და გაუგებრობაში), სამუდამო მხარეში, რომელი მხარე ზევითაც არის და ქვევითაც, მოხეტიალე ცეცხლისა თუ ზღვის, ბედის ტრიალის დარად, ჩქარი გრგვინვა-გრიალით მუდმივად იქროლებენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წყევლით არიან შენაჩვენები. მოცემული სტროფის საზრისი ისაა, რომ ამ ცხენებს ვერაფერი შეაჩერებს – ვერც წუთისოფელი, ვერც კონკრეტული თემი (არაფორმალური თუ ორგანიზაციულად გაფორმებული გარემო), ვერც სამარე (პოეტის სიკვდილი), ვერც სამუდამო მხარე და ვერც სხვა რომელიმე ძალა თუ გარემოება. ლურჯა ცხენებისთვის წინააღმდეგობა-წინაღობა არ არსებობს, რითაც იგი, საყოველთაო გაგებით, ბარათაშვილის „მერანს“, მის სულისკვეთებას ენათესავება. მაგრამ, თუ ბარათაშვილთან პოეტი მერნის მხედარია და მას თავგანწირვით მიაქროლებს საკაცობრიო იდეალების აღსასრულებლად, აქ, ამ ლექსში, მერნების სულისჩამდგმელია ავტორი, იმ მერნებისა, რომლებიც, ავტორისავე რწმენით, ბუნების ძალების თვისებებით ხასიათდებიან და მათსავით მარადიულნი არიან.

რაზეა საუბარი?

იმაზე, რომ ლურჯა ცხენები 24 წლის პოეტის ლექსებია, მანამდე შექმნილი ლექსები!

24 წლის პოეტისა, რომელსაც, როგორც სხვა ათასებს, უსწრაფეს აღიარებაზე აქვს მოთხოვნა. საყოველთაო ცნობით და სამწუხაროდ, ეს, ამ ასაკში, იშვიათი გამოჩენისაა გარდა, ძნელი მისაღწევია. სწორედ ამ პიროვნულმა (ასაკით გამოხატულმა) სირთულემ და გარემოს (როგორც მიკრო, ისე მაკრო) მხრიდან მისი შემოქმედების აუღიარებლობამ ათქმევინა გაგულისებულ პოეტს ამ ლექსში: „სიზმარიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით, ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!“ ამ სიტყვების გამჟღერებელმა ახალგაზრდა პოეტმა ზუსტად იცის, რასაც ამბობს: მისია შესრულებულია, დასაწერი დაწერილია, სათქმელი ნათქვამია – ლურჯა ცხენები ბუნების სტიქიური ძალებია უკვე და ამავე ბუნებაში არსებული სხვა ძალების მსგავსად შეუჩერებლივ მოძრაობენ-დაჰქრიან; ლექსის ავტორი, იმ გარემოს, რომელსაც იგი ეკუთვნის, ფაქტიურად ეუბნება შემდეგს: არ აღიარების მიუხედავად, თქვენ ყველა იცნობთ ჩემს ლურჯა ცხენებს (ამ სახელწოდების ლექსსა და სხვა ლექსებსაც), მაგრამ ჩუმად ხართ, ხმას არ იღებთ, თითქოს არც არაფერი ხდებოდეს მნიშვნელოვანი, რაც მკლავს და მანადგურებს. მაგრამ ვიცი, ადრე თუ გვიან, თქვენ ყველას, ჩემთან, ან უკვე

უყურადღებობით განადგურებულთან და სამარეში მყოფთან, ჩემ ლექსებ ნაკითხულები და მათი მცოდნენი, თუმცა რეაქციის არმქონენი „...სიზმარიან ჩვენებით, ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!“ (ძველებიც აქ არიან და ახლებიც). სხვაგვარად, – სიზმრის მეშვეობით, უჩინრად მოგინდება ჩემთან, სამარეში მყოფთან მოსვლა, ჩემივე ლექსებით, იქ, სამუდამო მხარეში, აგონებს პოეტი გარემოს. თ. ბაბლუანის „უძინართა მზე“-ში არის ერთი ასეთი მომენტი – სამსახურიდან გაძევებული გელა ექიმი ქუჩიდან ხმამაღლა მიმართავს მისი, ან უკვე ყოფილი დამსაქმებელი სამედიცინო სამსახურის უფროსს: „...დრო მოვა (იგულისხმება ის დრო, როცა ექიმი კიბოს წამალს გამოიგონებს – ა. ბ.) და ჩემთან ახლო მოსვლა მოგენატრება, მაგრამ მოსასვლელი პირი არ გექნება...“-ო. ეს სიტყვები საკაცობრიო აღმოჩენასთან ახლოს მყოფი ექიმის სიტყვებია, რომლისაც, სამწუხაროდ, იმ მომენტში არავის სჯერა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა პოეტი ასე პირდაპირ არ მიმართავს თავისი შემოქმედების არამლიარებლებს და მიმართვის სრულიად სხვა ფორმას ირჩევს, ამ პოეტისა და ზემოხსენებული ექიმის შინაგანი განწყობა იგივეა – პროტესტი არამლიარებელი გარემოს მიმართ. ლექსის ავტორი იმ გარემოს, რომელსაც ეკუთვნის, შინაარსობრივად ეუბნება შემდეგს: ვერ გაუძლებთ ცთუნებას, არ წაიკითხოთ ჩემი ლექსები, არ ჩასწვდეთ მათ და რომ წაიკითხავთ, აუცილებლად მოგინდება ჩემთვის რაღაცის თქმა, შთაბეჭდილების გაზიარება, თუნდაც ახლოს მოსვლა, გამოლაპარაკება (როგორც „მემენტო მორი“ წაუკითხა ტერენტი გრანელმა წინამდებარე, განსახილველი ლექსის ავტორს), მაგრამ თქვენ ამას არ იზამთ, თავს არ გამოუტყდებით, არ იკადრებთ ცხადში, ასე არ მოიქცევით, ამიტომ „ჩემი ლურჯა ცხენებით“ სიზმრის მეშვეობით, უჩინრად შეეცდებით ჩემთან მოსვლას, როგორც სამუდამო მხარეში მყოფთან, სადაც ყველანი არიან – წინამორბედებიც და თანამედროვენიც.

ახლა ვნახოთ პირველი სტროფი:

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,  
ელვარებდა ნაპირი, სამუდამო მხარეში,  
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,  
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე“.

ამ სტროფში შემდეგი მომენტებია საინტერესო: ა) შედარება – სამუდამო მხარის ნაპირი ისე ელვარებდა, როგორც ამქვეყნიური (ყოველი მოკვდავისთვის იოლად დასანახი და აღსაქმელი) ნისლის ნამქერი, ჩამავალი მზის სხივებით ნაფერი; ბ) მეორე სტრიქონში ავტორი გვეუბნება, რომ მან სამუდამო მხარის მხოლოდ ნაპირი ნახა (არა თვით სამუდამო მხარე), რომელიც ელვარებდა; გ) ვინაიდან პოეტმა სამუდამო მხარის მხოლოდ ნაპირი ნახა და არა თვით ეს მხარე, სიტყვა შენაპირი ამ ნაპირის რაღაც ნაწილის (ფიზიკური) მნიშვნელობით უნდა ჰქონდეს მას გამოყენებული – კერძოდ, მასთან უშუალო მისასვლელის აზრით. ცნობილია, რომ ნაპირზე მოხვედრა მხოლოდ მის გარკვეულ მონაკვეთებზე მისვლა-მიდგომითაა შესაძლებელი. გავაგრძელებ მსჯელობას: სამუდამო მხარის მთელ დიდ, ნისლიან ნაპირზე საუბრისას, რომელსაც ჩამავალი მზის სხივები აელვარებს, პოეტი აზუსტებს, რომ „არ ჩანდა შენაპირი“-ო! ხაზგასმით: „არ ჩანდა...“-ო! ანუ, იმდენად დიდი ნისლი იყო მთელი სამუდამო მხარის ნაპირთან, ისე აელვარებდა მას (ნისლს) ჩამავალი მზე, რომ მცირე მისადგომ-მისასვლელიც კი არ სჩანდა. შესაბამისად, სიტყვა შენაპირი, რომელსაც არ იცნობს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ლექსის დაწერიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ შექმნილი), ამ შემთხვევაში, ავტორს ესმის, როგორც კინობითი ფორმა ნაპირის რაღაც ნაწილისა, ანუ მისადგომი. მაგალითად, როგორც ეს არის შენაკადი დედა მდინარისთვის, ანუ მთელის შემადგენელი რაღაც ნაწილი. ამიტომ, ლექსის ამ ნაწილის მიხედვით, ავტორმა სამუდამო მხარის

მხოლოდ ნაპირი დაინახა, ისიც იმდენად შორიდან, რომ მისადგომის დანახვაც ვერ შეძლო, ვინაიდან მთელ სანაპიროზე მოელვარე ნისლი იდგა.

ამ სტროფის მეოთხე სტრიქონი ასევე მნიშვნელოვანია ლექსის გასაგებად. აქ პოეტი ამბობს, რომ ვერ ნახა ვერაფერი, ცივი და მიუსაფარი მდუმარების გარეშე, რაც ნიშნავს იმას, რომ პოეტი თავიდანვე ძებნა-ძიების პროცესშია, მაგრამ ცივი და მიუსაფარი მდუმარების გარეშე ვერაფერს პოულობს, ვერაფერს აფიქსირებს. ვაკონკრეტებ: ეს ცივი და მიუსაფარი მდუმარება, რომლის გამოც პოეტმა ვერაფერი იხილა, მისი ლექსების არამღიარებლობის მდუმარებაა! სწორედ ამიტომ მიმართავს პოეტი ამ სიტყვების გამეორებას შემდეგი, მეორე სტროფის დასაწყისში:

„მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში,  
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!  
ცეცხლი არ კრთის თვალეშში, წევხარ ცივ სამარეში,  
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია“.

აქ, ამ სტროფის პირველი სტრიქონის საწყის ნაწილში, პოეტი იმეორებს წინა სტროფის ბოლო სტრიქონში მდუმარების შესახებ ნათქვამს და მას აზრობრივად ავითარებს-აზუსტებს სიტყვებით – „...და სიცივის თარეშში“, რითაც გვამცნობს: არამხოლოდ აუტანელი მდუმარებაა იმ გარემოში, რომელშიაც ვიმყოფები, არამედ ცივი მზერის საყოველთაოობაც, რომელი საყოველთაოობაც რაღაც უძრავი, თავისთვის მყოფი კი არაა, არამედ ისეთია, რომელიც დათარეშობს. სწორედ ამიტომაც სამუდამო მხარეში სიმწუხარე, რომელი მხარეც, პოეტისთვის, მხოლოდ ქვევით კი არ არის, არამედ ზევითაცაა. ყოველივე ამის (გარემოს) მხილველი პოეტის თვალეშში ცეცხლი აღარ კრთის და იგი, იეთიმ გურჯის ერთი ლექსის შესაბამისი სტრიქონის პერიფრაზს რომ მივმართო, – ცოცხლივ მკვდრეებში წერია.

როგორც დავინახეთ, პირველ ორ სტროფში პოეტმა გამოიყენა ორი სახის შესიტყვება: სამუდამო მხარე და ცივი სამარე. ცხადია, ისინი სხვადასხვა შინაარსის მატარებლები არიან. სამუდამო მხარე, როგორც შესიტყვება, უფრო ფართო შინაარსის მქონეა და იგი სამარემდე (ტემპერატურული რეჟიმის მიუხედავად) არ დაიყვანება. სამარე ძე-ხორციელის სამარადჟამო განსასვენებელი ადგილია, მაშინ როცა სამუდამო მხარე უფრო სულთა საუფლოს ასოციაციებს აღძრავს აქ. და ვინაიდან პოეტი ამქვეყნიური სულიერი სამყაროს (მხარე) წარმომადგენელია, თანაც, მისივე სიტყვებით, სამუდამო მხარე, როგორც სულების საუფლო, ქვევითაც არის და ზევითაც, იგი ახერხებს ზევით არსებულ გარემოზე სრული დომინაციის მოხდენას!

როგორ ახერხებს? სხვაგვარად, რა თქვა პოეტმა ამ სტროფის ბოლო სტრიქონში? სხეულს რომ არ უხარია ცივ სამარეში წოლა, ამის შესახებ ცოტა უფრო ვრცლად გვიყვება, მაგრამ სულსაც რომ არ უხარია, ამის თაობაზე – მოკლედ. „...და არც სულს უხარია“ ერთი ყველაზე ტევადი, აზრობრივად მრავალმნიშვნელოვანი სიტყვების ნაკრებია ამ ლექსში. რატომ? იმიტომ, რომ, იგი პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიძლება გავიგოთ და ირიბადაც. პირდაპირი მნიშვნელობით, პოეტის სულს სამარეში ნაადრევად ჩაწოლა არ უხარია, უპირველეს ყოვლისა, არა იმიტომ, რომ ცეცხლი ფიზიკურად აღარ კრთის მის თვალეშში (სიკვდილი), არამედ იმიტომ, რომ უხილავის დამნახველი ცეცხლი, მისი მანათობელი ალი ჩაქრა, ნანახ-განცდილის აღწერა-დაფიქსირების ფუნქცია გაუქმდა. შესაბამისად, აქ ადამიანის კი არა, არამედ პოეტის, თანაც ახალგაზრდა, ნიჭიერი, დიდი მომავლის მქონე პოეტის სიკვდილზეა საუბარი და ცხადია, ამაში სასიხარულო არაფერია.

ახლა ვნახოთ, თუ როგორია „...და არც სულს უხარია“-ს ირიბი გაგების არსი? ცხადია, ეს სიტყვები ისეა ნათქვამი, თითქოს რაღაც უნდა უხაროდეს კიდევ პოეტის სულს იმის გამო, რომ ცივ სამარეში წევს. რა უნდა უხაროდეს მას? ამ კითხვის ორი პასუხი შემდეგ (მესამე) სტროფშია:

„შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით  
 უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!  
 სიზმარიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით  
 ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!“

ვიდრე ამ სტროფის შინაარსობრივ მიმოხილვას შევთავაზებ პატივცემულ მკითხველს, მცირე სათქმელს ვიტყვი: თავიდან პოეტი სამუდამო მხარეზე ზოგადი სახით გვესაუბრება (მისი აღწერის გარეშე) და მხოლოდ ამის შემდეგ ახსენებს ცივ სამარეს, რომელზე მონაყოლიც შედარებით კონკრეტულია. იმავდროულად, ცივი სამარის პოეტისეული აღწერა, ყოფიერში ნანახ-განცდილის ასახვაა მხოლოდ. ამ ტიპის სიტუაციები ყველა მოკვდავს უნახავს გასვენება-დასაფლავებისას. ამ შემთხვევაში, პოეტის გრძნობა-განცდები ადამიანურია, უფრო დაზუსტებით – ამქვეყნიური. მაგრამ, ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ორივე ზემოაღნიშნული შესიტყვების მოხმობა ლექსში, პოეტს გარკვეული მიზნებისთვის სჭირდება, რათა სხვა, შემდეგი სათქმელი გაგვიხმოვანოს. რაზეა საუბარი? პასუხი: ლექსში პირდაპირ იკითხება (იგრძნობა), რომ სამუდამო მხარეზე საუბარი მას იმისათვის დასჭირდა, რომ მკითხველისთვის ეთქვა – „...ყველანი აქ არიან!“, ხოლო ცივ სამარეში ინდივიდუალური წოლით გვამცნო: „...და არც სულს უხარია“.

ჰოდა, რატომ უნდა უხაროდეს პოეტს ცივ სამარეში წოლა? იმიტომ, რომ მისივე ლექსების (პოეზიის) არამღიარებლების ტყესთან გატოლებული მასა მასთან მიესვენება, რაც აღიარების (ირიბი) ტოლფასია! საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენში, პოეტის აღიარება, უმრავლეს შემთხვევაში, მოხუცებულობისას ან გარდაცვალების შემდეგ ხდება, რაც არა მხოლოდ უდავო ფაქტია, არამედ უამრავი პოეტის შემოქმედებაში აქტიურად დაფიქსირებულიც.

როგორი ფორმით მიმართავს ამ სტროფში პოეტი მავანთ? ხმამაღალი, თან კატეგორიული ფორმით, – აუცილებლად მოესვენებით ჩემთანო! ვის შეიძლება მიმართავდეს პოეტი ასე, ან ამის რა საჭიროება წარმოექმნა, რომ ასე მიემართა მავანთათვის? აქ, რიგითი მკითხველი (საზოგადოდ ადამიანები, მოქალაქეები...), ცხადია, არ იგულისხმება, ეს გამორიცხულია. მაშ, ვინ? შეშლილი სახეების მქონენი, რომელ სახეთა სიმრავლეს პოეტს ჩონჩხიან ტყეებს აგონებს. სწორედ მათ გამო (და მათთან ერთად) რბიან, მიიჩქარიან უსულდგმულო დღეები.

ვის შეშლილ სახეებზე საუბრობს პოეტი? სავარაუდოდ, იმ თანამოკალმეების, ვინც მას პოეტად არ მიაჩნდა. მათ მიერ ლექსის წერაში გატარებული, ჩავლილი დღეები პოეტს უსულდგმულო, მსუბუქ (ფარფატა) დღეებად ეჩვენება და სწორედ ამიტომ რბიან ისინი (ამსუბუქებულები), მიიჩქარიან, რომ უკეთესი დროება რაც შეიძლება მალე მოიყვანონ, დააყენონ. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეების მქონენი, გაცნობილები ავტორის ლურჯა ცხენებს (ლექსები) მასთან მიესვენებიან, რაც ამ უკანასკნელს ახარებს, ვინაიდან ეს ფაქტი, როგორც უკვე ვთქვი, აღიარების ტოლფასია, თუნდაც იმ ქვეყნად მომხდარ-დაფიქსირებული.

გარდა ამისა, პოეტი აქვე აჟღერებს ამ ლექსის ერთ-ერთ უმთავრეს სიტყვებს – „ყველანი აქ არიან!“ ვინ ყველანი? ცხადია, არა ყველა იმ ქვეყნად გადაბარებული რიგითი თანამემამულე, არამედ მხოლოდ დიდი სულიერი (პოეტი) წინამორბედები. ამიტომ, ამ სტროფის ეს ბოლო სიტყვები ჩვეულებრივი, რიგითი სიტყვები როდია – ისინი პოეტის დიდ იმედს გამოხატავენ, გვიმხელენ: ა) მისი განდევილობა, ამქვეყნიური სულიერი სიმარტოვე (სხვასთან ერთად, გარემოს მხრიდან გამოწვეული ან გამწვავებული) სამარეში (თუნდაც ცივში) მთავრდება, ის მარტო აღარ არის, როგორც ზოგადად, ისე ზემოხსენებულ გარემოსთან მიმართებაში, ვინაიდან იგი ახლა მის დიდ წინამორბედებთან ერთადაა; ბ) „ყველანი აქ არიან“-ში პოეტის ის იმედიც გამოსჭვივის, რომ დიდი წინამორბედების გვერდით ყოფნა ერთგვარად სამსჯავროზე ყოფნაცაა, რომელ სამსჯავროზე ბნელ ხვეუ-

ლებში მყოფი, მძინარე ქიშკრები კი არ არკვევენ (აფასებენ) პოეზიის, როგორც სულიერი ცხოვრების სფეროს ერთი უმნიშვნელოვანესი ქვესფეროს ავ-კარგს, არამედ წინამორბედი დიდი პოეტები (რომელთაც არაერთხელ ახსენებს ავტორი თავის სხვა ლექსებში) და რომლებიც, განსახილველი ლექსის ავტორის რწმენით (საანალიზო სიტყვების ბოლოს ძახილის ნიშანია და მუქარის ინტონაცია იგრძნობა), ბუნებრივად და ობიექტურად განსჯიან ზემოთ აღნიშნული გარემოს ყველა ავტორის ლექსს, მათი პოეტურობის ხარისხს, წონას, სიდიდეს და სავარაუდოდ, იმასაც იტყვიან – ვინ ვინ არის! სწორედ ამასია სამუდამო მხარეში პოეტის „მოგზაურობის“ დედაზრი.

ახლა ვნახოთ მეოთხე სტროფი:

„იქქარიან ნამები, მე კი არ მენანება;  
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;  
გაქრა ვნება-ნამება – როგორც ღამის ზმანება,  
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში“.

პირველ ორ სტრიქონში პოეტი ამბობს, რომ დროის მძინარეობა, სიჩქარე მას არ ანაღვლებს, ვინაიდან იცის, რომ იგი უღმრთელობაა, რომ მას ცრემლით გულს ვერ მოუღებო, ვერ შეაჩერ-შეანელებ, ვერც ქროლვა-სრბოლაში გაჰყვები თვალცრემლიანი და არც იგი გაგიყოლებს ასეთს; როგორც შემოქმედი, ამ გზით მარადიულობას ვერ ეზიარები, ვინაიდან პოეტების მკვლელ გარემოს ძალუძს სულის ხმოვანებასავით ექო-ექოდ გააქროს ვნება-ნამება (ცხადია, უპირველეს ყოვლისა, პოეტური), წარმოქმნილი ლოცვის სიმხურვალეში. მიუხედავად ამისა, ლურჯა ცხენები, როგორც ბუნების ძალის მქონენი, მაინც განაგრძობენ ცეცხლივით ხეტიან ჩქარი გრგვინვა-გრილით (მეხუთე სტროფი), მაგრამ პიროვნულ, ფიზიკურ დონეზე, პოეტის წინ, ისევ და კვლავ, ყოველ ახალ ჯერზე, განსასვენები უყვავილო (აუღიარებლობა-დაუფასებლობა) სამარეა, როგორც უმკაცრესი რეალობა, რომელიც იმის შანსსაც კი არ უტოვებს მას, რომ იფიქროს – იქნებ ეს ყველაფერი სიზმარია. პოეტმა იცის, რომ მისი და გარემოს დაპირისპირება ლურჯა ცხენების გაჩენა-მოვლინების შემდეგაც გაგრძელდება და სწორედ ამიტომ ამბობს იგი მეხუთე სტროფში: „რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს? ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?“ პირველ სტრიქონში ისევ აუღიარებლობაზეა საუბარი და იგულისხმება ის, რომ ყოველ რიგით პოეტს თავისი სახე და სახელი აწუხებს-ანაღვლებს, მისი ხელოვნურად წინ წაწევა-დანინაურება და არა ის, თუ სადაა ნამდვილი პოეზია, ვისგან ისმის ხმა პოეტური. მეორე სტრიქონი უფრო მძიმეა: ლექსად ნათქვამ-ამოძახილის გაგების პრობლემა და უფრო მეტიც – თვით დამძახებლის, როგორც „განწირულის სულისკვეთების“ მქონე, ყვირილით ამომთქმელი პოეტის ფიზიკურად გაგონების პრობლემა. სწორედ ამიტომ აგრძელებს პოეტი: „ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში, სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიშკრებს!“ ანუ, იმდენად მძიმე გარემოა, როგორც საოცრებების უბე, რომელშიაც დიდ პოეტსაც კი ვერავინ ანუგეშებს, ვინაიდან „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით...“ დაფარულ ამ გარემოს ბნელი ხვეულები აქვს, სადაც გამოუცნობ ქიშკრებს სძინავთ, რომელი ქიშკრებიც, დროის გარკვეულ, შედარებით მცირე მონაკვეთში, მაღალი პოეტური ქმნილებებისა და მათი ავტორისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, როგორც პიროვნულ (ფიზიკურ), ისე შემოქმედებით დონეზე. დღესაც და ხვალეც! ყოველ ცისმარე დღეს!


ვის შეიძლება გულისხმობდეს პოეტი ქიშკრებში? სავარაუდოდ, – ტენდენციურ თანამოცალმეებს, ასეთივე ლიტერატურულ კრიტიკას, ლიტერატურისა და ლიტერატურული ცხოვრების სფეროს მმართველ სახელმწიფო მოხელეებს, თვით სახელმწიფოს, როგორც ასეთს და ა. შ., რომლებიც მისი შემოქმედების, მისივე ლექსების პოტენციური (და რეალური) არ ამღიარებლები არიან. უფრო სწორი

იქნება, თუ ვიტყვი: ა) ქიმერებში იგულისხმება 24 წლის ავტორის პირველპოეტობის არმცნობი, არამღიარებლბი; ბ) ქიმერებში იგულისხმება ყველა, ვინც ზემოთაა ჩამოთვლილი – რომელიმე რიგითი პოეტიდან დაწყებული სახელმწიფო მოხელით (ასევე პოეტი) დამთავრებული, რომლებიც, დროის გარკვეულ პერიოდში, ამა თუ იმ იერარქიულ საფეხურზე ხელოვნურად მოკალათებულნი ახდენენ აზრის ხელოვნურ (მექანიკურ) ფორმირებას ხელისუფლებისა და მისი მთავარი იდეოლოგიური ხაზის უზრუნველსაყოფად, სასარგებლოდ და მაღალი პოეზიის (ხელოვნება) საზიანოდ. სწორედ ამიტომ არიან ისინი უჩინარნი, მძინარენი, რომ რეალურ შემოქმედებასთან კავშირი არ აქვთ. ასეთების ადგილი ბნელ ხვეულებშია, სადაც ისინი მთვლემარე მდგომარეობაში არიან და მხოლოდ მაშინ აღვიძებს მათ სისტემა, როცა გარკვეული დავალებების მიღება-აღსრულება აუცილებელი.

„მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:  
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ლელდება!  
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით  
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება“.

აქ, მეშვიდე სტროფის პირველი სტრიქონის დასასრულს, პოეტს გამოყენებული აქვს ორწერტილი, რაც მკითხველს გარკვეული შედეგის მოლოდინს უჩენს. ეს შედეგი, უპირველეს ყოვლისა, მომდევნო სტრიქონშია. კითხვა: რა შედეგი მოჰყვა იმას, რომ შუქთა კამარა (ლურჯა ცხენების ფარდი შესიტყვება, შუქის მქონე ლექსების სხმული, კამარის შემკვრელი) ვერაფერმა დაფარა? ამის გასაგებად, მეორე სტრიქონში არსებული სიტყვა „ამარა“-ს ანალიზია საჭირო. ეს სიტყვა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ვილაც (ერთი ან მეტი პირი) მშრალ რიცხვების ამარაა დარჩენილი (დრო – ახლანდელი), რის გამოც იგი უდაბნოში ლელდება. ვინ დარჩა მშრალ რიცხვების ამარა და ვინ ლელდება? სავარაუდოდ, ისინი, ვისზეც პოეტმა ზემოთ თქვა – შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით ჩემთან მოესვენებითო. რატომ უნდა დარჩენილიყვნენ ისინი მშრალ რიცხვების ამარა? ან რა იგულისხმება მშრალ რიცხვებში? ვფიქრობ, იმ პოეტების ლექსების რიცხოვრივი რაოდენობა, რომელმა პოეტებმაც თავიანთი შემოქმედების მხოლოდ რაოდენობრივად გამოსახვა შეძლეს, ანუ ბევრი ლექსი დაწერეს, თუმცა ხარისხის (პოეზია) გარეშე. სწორედ ამიტომ, მომდევნო ორ სტრიქონში პოეტი ისევ იმეორებს ადრე ნათქვამს, მცირე აზრობრივი (თავიდან, მესამე სტროფში: რბიან, მიიჩქარიანო, ამბობს ავტორი, ანუ დინამიკაა მოცემული, რათა მასთან მიესვენონ, ხოლო ახლა, მეშვიდე სტროფში – ჩნდება და ქვესკნელდებაო, ვინაიდან უკვე მიესვენენ მასთან, რითაც აღიარეს იგი) ცვლილებით – „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება“. სხვაგვარად რომ ვთქვა, შეშლილი სახეების მქონეთა საპოეზიო მცდელობები, მათი შრომა პოეტს უნაყოფო საქმედ მიაჩნია, – უსულდგმულო დღეების გაჩენა-ჩაქვესკნელებად. სწორედ ამიტომ დარჩნენ ისინი მშრალ რიცხვების ამარა (ათასობით ლექსის ავტორი შეიძლება პოეტი არ იყოს), რაც თავადაც კარგად უწყიან და სწორედ ამიტომ ლელდებიან ისინი. სად ლელდებიან? უდაბნოში, ანუ უნაყოფო, მოუსავლიან, საქიმერო (ხელოვნურ) გარემოში. სწორედ ამიტომ, მეშვიდე სტროფში პოეტი იმეორებს უსულდგმულო დღეების ამბავ-ისტორიას და როგორც არა (აღარ) საჭიროს უმძაფრესად აცამტვერებს – გაჩენისთანავე აქვესკნელებს.

ლექსი „ლურჯა ცხენები“ 24 წლის გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ლექსია, პირადად მისი, როგორც პოეტის და მისივე შემოქმედების შესახებ არსებული ლექსი. იმავდროულად, ეს ლექსი ქართულ საზოგადოებაში არსებული ხელოვნური გამოვლინებებისადმი მიძღვნილი ლექსია, ასეთი გამოვლინებების ავტორების გასაგონად შექმნილი ლექსი, დროის მარადიულობის შესხენებაა მათთვის, რომელ მარადიულობასაც ჩქარი გრგვინვა-გრიალით მქროლავი ლურჯა ცხენები შერჩებიან მხოლოდ.



# ერა ოქროპირიძე

## პარალელური აზრები სანდრო ბერიძის ლექსების კრებულზე „ნახვამდის, სანდროუკა“

სანდრო ბერიძის აღნიშნულ კრებულს, ვეცდები მისგან გამოწვეული პარალელური აზრების მიხედვით განვიხილო. მაგრამ ერთს თავიდანვე ვიტყვით, რომ მისასაღმებელია ავტორის მცდელობა, ყოვლისმომცველ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ჭრილში განიხილოს საკუთარ თვალსაწიერში მოქცეულ-ხელდებული ყველა მოვლენა და პოეტური საფიქრალი. ამის თვალსაწიერო მაგალითია კრებულის დასაწყისად მიჩნეული მრავლისმეტყველი ლექსი-მანიფესტი „ჩემს გოგოს, ყველა დროის და ყველა სივრცის ბინადარ გოგოს...“ (ანუ პოეზიას – უ. ო.).

ლექსში „რვა პოეტი“, ის მათ ჩამოთვლის და მისებურად ახასიათებს. ესენია:

„პოეტი – ესთეტიკა,  
პოეტი – ემოცია,  
პოეტი – სიყვარული,  
პოეტი – გარდასახვა,  
პოეტი – ფანტაზია,  
პოეტი – სევდა,  
პოეტი – გაოცება“ –

მერვე მათგანს P.S.-ში მოიხსენიებს – „კომბინირებული პოეტი – გულგრილობა“. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათ წინ მიუძღვით მე-9 პოეტი – „პოეტი – ღვთაებრივთან წილნაყარი“, რომლის შესახებაც ილია ამბობს: „მე ერი მზრდის და ცა მნიშნავს, ზეციერი მიწიერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა...“.

ერთგან კი ამბობს:

„უფროსის კართან, უფრო სწორად, ღია კარებთან  
მოტივაციო მინი-იუბკიან მდივანთან ერთად,  
ცრუაქტიური პოზით ცნობილი და კონფორმიზმით გამაძლარი  
პოეტი დამხვდა,  
რომელსაც შუბლზე... კი არ ეწერა,  
შავ წარბებს შორის ნათლად ჰქონდა ამოტვიფრული:  
„როცა მე აქ ვარ, შენ რაღა გინდა?!“



შემდეგ კი იქვე გვანდის რეალიზმით გაჯერებულ პოეტურ შედეგს:

„იმ შენობაში,  
სულის სასახლედ რომ იწოდება,  
ხელის... (ფეხის)... უფალთა მიერ,  
დირექტივით თუ დეკლარაციით,  
შექმნილ-განვრთნილი, დანიშნული და განვეული,  
კომბინირებული პოეტ მწერლები,  
თეორიულად ყველაზე მეტად, (დაუნდობლადაც კი),  
უსატყვივრობით გაბექსნილი ფსევდო ლექსებით,  
ებრძოდნენ,  
თხრიდნენ  
და თითქოს სპობდნენ,  
სიყალბის ფესვებს, ფარსს და ფორმალიზმს,  
მაგრამ, რატომღაც, პრაქტიკულად ყველაზე მეტად,  
სამივე ერთად ყვავილობდა... ამ შენობაში“.

(თხრობით სავსე ლექსი, გვ. 36-37)

პოეტი ცდილობს თხრობა გააგრძელოს, მაგრამ თავად გრძნობს მის მიერვე შექმნილი სიურეალიზმის გამანადგურებელ ძალას და პირდაპირ ამბობს:

„ლექსი იქ გაქრა და გამეცალა,  
სადაც ამბავის მთხრობელივით თხრობა დავიწყე“. (გვ. 38)

ხოლო ლექსში „პირიქითა სახეები“ ასახულია უახლესი პერიოდის შემზარავი სურათები. აი, ისიც:

„როგორც რიყის ქვა, მდინარის ფსკერზე,  
ისე მარხია ძმათამკვლელ სისხლში,  
ცხრაას ოთხმოცდა  
თერთმეტი და ცამეტი წლის დედაქალაქი,  
დედაქალაქი – ნინა სახის უკანა სახით,  
დედაქალაქის პირიქითა დედაქალაქი,  
ბოლმით გაბექსნილ ქუჩებით და ეზო-კარებით,  
შურის უბნებით ფდა მოედნებით,  
დედაქალაქი – „გრაფობისთვის ერის დამკვლელთა“,  
კუდაბზიკა და ძველბიჭების დედაქალაქი,  
დედაქალაქი კლიჩებისა და ო ვიჩებისა,  
დედაქალაქი – ქურდებისა დაპარტკომებისა,  
დედაქალაქი – სვეტებისა და განაბებისა,  
დედაქალაქი – ქეშებისა და მამონებისა,  
დედაქალაქი – ელიტარულ საყვარლებისა,  
დედაქალაქი – პატიოსან მეძავეებისა,  
იმისტების და ამისტების დედაქალაქი,  
ჭამის, სმის და მონელების დედაქალაქი...“

ასე, აღიქვამს პოეტი სინამდვილეს და სწორედ ეს იყო და არის მთელი უბედურების სათავე; ნითელმა გარყვნილებამ გარყვნა ყველაფერი. ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელი, – და რით უნდა გამოისყიდონ ეს ცოდვა?

ან რა გრძნობამ უნდა გაუძღოს „უსინათლო გოგონას ლოცვას“ მომაკვდავი დედის გამო:

„მუხლზე დაჩოქილი გეაჯები,  
გლოვის უსინათლო დედოფალი,  
ღმერთო, არ მომიკლა დედაჩემი,  
ღმერთო, მის მაგიერ მე მომკალი“. (გვ. 69)

ნამდვილი გრძნობის სიღრმითა და სინაზიზმით არის აღბეჭდილი ლექსი „რეკვიემი (დედას)“, სადაც პოეტი ამბობს:

„დაჭრილი გული საგულიდან ამომივარდა,  
გატყდა იმედი, მოკიაფე და მოციმციმე,  
შენი გარდასვლის და არყოფნის სიმძიმის გარდა,  
ასატანია სააქაოს ყველა სიმძიმე“. (გვ. 72-73)

1992 წლის დასაწყისის აღწერაში კი ავტორი აღწევს სინამდვილის ადეკვატურ რეალობას, როდესაც ამბობს:

„ინვის თბილისი...  
ყორანივით დაფრინავს ქორი...  
„ძირს ჩაუშესკუ! ძირს ფაშისტი! ძირს დიქტატორი!“  
აყვირებს უგნურთ, რუსის ფარდას აფარებულნი...  
...ვაჭრობს თბილისი...  
სხვეწებიდან ამოდის ფუტი,  
მიმოსისინებს „მხედრიონი“,  
ვით რუხი გველი,  
„ა, ეს კაცი, დამაქცევარ ზვიადას კუდი“,  
უთითებს ჩემზე  
დამშეულ ბრბოს, მაძლარი მკვლეელი“. (გვ. 79)

ზოგიერთი ლექსის შინაარსმა ჩვენში წარმოშვა პარალელური აზრები, რომელთა მკითხველისათვის გაცნობა გაამრავალფეროვნებს და უფრო სრულყოფილს გახდის ზოგიერთ ჩვენს მოსაზრებათ და ავტორის თვალსაზრისთა ფონსაც უფრო შინაარსეულსა და გასაგებს გახდის. მაგალითად, ლექსში „პოემის თავფურცელი“ ნათქვამია:

„...ასტრალებს მოაქვთ მძიმე აურა,  
ზეცაში ყველა მღილი აცოცდა“ –

მე ასე გავაგრძელე –

უნამუსოდ და უსიყვარულოდ,  
ყველა რალაცას გადააცოცდა...  
ანდა – „მორალი გაცვდა და გადაფასდა,  
ფიქრს ისევ ცა აქვს დასაბამბავი“. –

აქ სიტყვა დასაბამბავი, იმათ ჯინაზე, ვისაც ომის გაგონებაზე ელეთ-მელეთი მოსდით, გადა-  
ვაკეთე სიტყვა დასაბომბავით, რადგან მეცნიერებაში ცნება დაბომბვა, რაღაც ძველისა და დრო-  
მოქმულის განადგურებასა და ახლისა და პროგრესულის წარმოშობასთანაა დაკავშირებული, რაც  
ბუნების ჩვეულებრივი კანონია. ხოლო მორჩილებაზე და მონობაზე ორიენტირებულთ, ყოველი ნი-  
ნააღმდეგობის გაგონებაზე ელეთ-მელეთი მოსდით და ისე იქცევიან, თითქოს არ გაეგონოთ, რომ  
წინააღმდეგობა პროგრესის საწინდარია. ლექსში „მისმინე ნოე!“, სადაც ნათქვამია:

„შიშველ ალვებს და შიშველ ტირიფებს,  
რაღა გახადონ კრძალვით ქარებმა.  
ლამის სამყარო შეიხვილიფეს,  
ყაჩაღებმა და ნაბოზარებმა“ (გვ. 93)

ასეთი განმარტება მივეცი, – ლამის, კი არა და უკვე შეიხვილიფეს... მიწის ამ აკოზს ახლავე თუ  
არ მოვხნავთ და მასზე უეჭველ სიკეთეს არ დავეთესავთ... ხოლო სიტყვებზე:

„...ერთი დღით ადრე ქვეყნის ახვრები,  
იმ კიდობანშიც მე შემასწრებენ“ –

მივანერე – ეს უკვე ვნახე... ბოლო სტროფებზე კი:

„მისმინე ნოე!... (გზა საჩემოა)  
ბარემ, ბოლომდე ჰქენი სიკეთე,  
მაგ კიდობანში მე არ შემოვალ,  
ოღონდაც შენ ამ საწყლებს მიხედე“.

– გამიგრძელება –

„რითაც სამყარო მეფისტოფელთა  
გადავსებულა კიდი-კიდემდე“.

ნამდვილია, – თანაც ადვილია... მიმინერია 96-ე გვერდზე, შემდეგ კი – 96-ე გვერდზე:

– „პოეზია, აზრის მოკვლაა და ახალ სამოსელში, ახალ ღვთის არსში გაცოცხლებაა, ზეშთაგონე-  
ბით კვდომა – სიცოცხლეა!“.

პოეტის მშვენიერ ალუზიას –

„მე გაქაფება უფერო მაშინებს  
ვიდრე ქაფებთან ომის წაგება“ (გვ. 97) –

ასე გამოვეხმაურე:

და თუ რას ნიშნავს ქაფებთან ომი,  
უნდა გაიგოს ამის გამგებმა!

ცხოვრების ავსულებით გავსებული ჭინკა გამოსჭვივის ლექსში „არისტოკრატი“, რომელშიც  
ზღვარგადასული ადამიანური სიბილწეა ასახული, მაგრამ ნამდვილად ადამიანური, მაგრამ ეს  
ხდება, ეს ვიცი, ხდება, გამოცდილებაც არის ამგვარი... მერე კი, სიკვდილს ნატრობ, სასომიხდილი  
საკუთარი უხამსობით.

„ბახუსს სირცხვილის გაექრო შიში,  
 ცეკვავდა იგი შუქზე ფერადი,  
 მე, სტუმართათვის პოეტი-გიჟი,  
 ვამბობდი ლექსებს და „ვუბერავდი“...  
 ვნებების ტბაში შევცურდი ნავით,  
 არ მცილდებოდა თვალი სოსანი  
 და მე თავხედმა, განზრახვით, ავით,  
 მოვწუსებ სახლის მანდილოსანი.  
 დაეგო ბანზე თავშალი ღამეს,  
 სივრცეში მთვარის სხივები ცრიდა...  
 ის გახელბა და ის სიამე  
 ღამის ნახევარ სიცოცხლედ ღირდა...“

და მეც მეტი რაღა დამრჩენოდა, იქვე მივანერე:

ეხ, სანდრო, სანდრო...  
 მაგრამ რაღა დროს!

სანდრო კი ასე ამთავრებს:

გვიან შემოსულს, კვლავ რომ ვროკავდი,  
 (მსგავსი სირეგვნე არ ვიცი თუ არს),  
 მადლეგრძელებდა „არისტოკრატი“,  
 როგორც სანდოს და სასურველ სტუმარს“. (გვ. 98-99)

„ვინ იყო ჭირი, ვინ იყო ჭორი,  
 რა საჭიროა ახლა მისნობა.  
 „ძირს ჩაუშესკუ!“, „ძირს დიქტატორი!“  
 ეძახდა სინდისს უსინდისობა“. –

მე დავამატე:

და ერთხელ იყო, მარტოკა მხოლოდ?!  
 შემოიჩვია მრავალგზისობა!...

და ბოლოს: –

„იყო ჯირითი ბლუსი და ყრუსი  
 და ცრემლი გულში ჩაპარებული...  
 ტკბებოდა რუსი, ტკბებოდა რუსი,  
 ღრუზინულ ზურგებს აფარებული“. (გვ. 100)

აი, სრულიად გაშიშვლებული ავსული ეპოქა და მისი რეალური აქტიორები... ნეტავ, სად უნდა წავიდნენ საქართველოდან ეს ბედშავი შეგნებული მოღალატენი?! და ყველაფერ ამაზე პასუხის მოუთხოვნელობის გამო, ამ გზას აგრძელებენ... კიდევ უფრო საშინელი ფსკერისკენ ორიენტირებული ქართველები... ალბათ გაკვირვებული იკითხავთ, ამაზე დაბლა დაცემა შესაძლებელია?! დიახ, შესაძლებელია და ამის უმაგალითო მაგალითები აჩვენა მაშინდელმა თბილისმა:

„თავადაც იყვნენ სოფლით ზიდულნი,  
თბილისში გოდრით ცამოზიდულნი“

მაგრამ რა ქნას, როდესაც შენთვისაც –

„ის ემეტება შენთვის რაც იყო,  
გუშინ რაც ერქვა, რის აბრაც იყო!...“

ვერ დავუჭერთ მხარს პოეტის აღქმას, რომ:

„გინცთან ჭიდილში, უგინცობა უფრო მხნედ არის...  
მივყავარ სურვილს სასაფლაოზე  
ერთ დროს პოეტი, უკვე გაფხდი ნაპოეტარი“. (გვ. 106)

რადგან ასე გვწამს –

„პოეტი ხომ პოეტობით მარადიულს ეზიარა,  
ნაპოეტარს ვერ გინოდებ – სხვამ ეს შეძლო, შენ კი არა!“

ამ სტროფს კი –

„სიკვდილ-სიცოცხლის შედგა ქორწილი,  
უცნაურს ღვრიან ხმებს ორკესტრები,  
ისე ვარ ახლა გულგამოცლილი,  
თითქოს საკუთარ ქელეხს ვესწრები“. –

ეს მათქმევინა:

„მივჩერებივარ რა ცას ვედრებით,  
სიკვდილ-სიცოცხლის ნიშას ვედრებით!

ხოლო სიტყვებზე –

„ღმერთი სიიდან,  
ხაზგადასმით ვიდრე ამომწერს“ –

მიმიწერია:

ღმერთი მის შვილებს ასე არ ექცევა!.. ხოლო ამავე ლექსის „მიყვარხარ – თუმცა“, სანდროუკას-  
თვის ასეთი განაჩენი გამომიტანია:

ძალიან გინდა, ვინმემ ვინმეს გადაგადაროს,  
ავი, პირქუში, მზიანეთში გადაგადაროს!“

მთელი ლექსი – „გაქცევებული ისტორიები“, ასე აღმიქვია:

„მარადის ღირსი სურათები, –  
მარადის ხედებიან, სულმნათები!“

ხოლო იქ, სადაც ბოზზეა საუბარი, მთელი შეგნებით მიმიწერია – „მადლის მქნელია, თავის შე-  
წირვით!.. ხოლო სტროფის შინაარსი – „რომლის გულმკერდზე სეირნობდა მთელი ქალაქი“ – ასე

განმიმარტავს: „ასეც უნდა ყოფილიყო!.. იგი დავით აღმაშენებლის მისტერიას ფიზიკურად ემსახურება, რადგანაც უყვარს სამყარო და ადამის პირმშო, რის გამოც იგი სამოთხიდან გამოაძევებს (გამო-ა-ძე-ვ-ე-ს), ანუ ღვთაებრივი სულიდან, მიწიერ სხეულად აქციებს... ოღონდ დაუტოვებს უსაზღვრო სიყვარულის, ანუ შეუნარჩუნეს ღმერთთან თანაზიარობის ნიჭი...“

ხოლო სტრქონებზე:

„მათ მიერ შექმნილ საოჯახო იმპერიაში,  
შემორემატათ ასმეშვიდე შთამომავალი“ –

აღმინიშნავს:

„– რა ბედი არის, რა მომავალი!!!“

პოეტის „სერიოზული ხუმრობა“ კი –

„სხვისი რა ვთქვა და...  
მე თუ მკითხავთ  
ეს პოეტესა,  
პოეტზე უფრო კარგი ნაშაა“ –

ასე აღმიქვამს და ასე გამოვხმაურებივარ ჩემებურად მეგობარს:

„ეჰ, სანდრო, სანდრო!  
ნაშა და ამ დროს?!  
არ ემონო შეითანებს!..  
იცი, რამდენს შეითავენ?..“

ხოლო ლექსი „ოხ, სიყვარულო“, ასე გამითავისებ-გამილალბებია და პოეტური პირდაპირობით, ჩემებურად გამოვხმაურებივარ:

„ჩემო სანდრო, სანდრი, სანდრე,  
გახდი, ბარემ, ალექსანდრე!  
ის ხომ იყო მექალთანე...  
ტრფობდა მსხმოიარე ტანებს, –  
მათაც ტრფიალების ცეცხლი  
საიქიოს გაატანეს...  
ამით რწმენა განუმტკიცეს,  
ერთგულებაც დაუმტკიცეს!  
– გელირსება, აბა, შენ ეს?  
ყველას ღმერთი ააშენებს...  
ვინაც იცის ყადრი მაღლის! –  
გასცემს და არ დაგამადლის...  
ალექსანდრე იმფერია,  
შექმნა ვნების იმპერია...  
შენც არ იბრძვი ამისათვის?!  
მარადიულ წამისათვის!..  
რა იმპერია ააგო, – და  
ქალებთან ომი წააგო!“ –

დაფიქრდი!!!

აქ შეჩერება შეიძლებოდა, მაგრამ ისეთ კარგ რამეებზე საუბრობ, თავს ვერ ვიკავებ... და ლექსი „აჭარელი“ აქ უნდა ჩავართო, რადგან იეთიმობაზე, ანუ მარტოობაზე საუბრობ:

„იეთიმობაში ზნეა, წყურვილი,  
არ აღსრულდება ბევრი სურვილი!..“

და აქვე ანაშხალზეც უნდა გითხრა, როცა ქედურ სასაუბროზე უქცევ:

„აღელნადები გაგინედლდა სული ბჟიორა,  
ფიშმანის აბლი  
ბარუთივით ღველფზე ყუნცულებს,  
ნახევარ-ომრი ანაშხალმა გაგიიოლა,  
ძველი დერდები დანდალოში მიაკუნცხულე“...

მე ასე გიპასუხებ:

„ჩვენი ფიქრები ამონაყარ-ანაშხალია...  
სიცოცხლისათვის უკვდავების წყაროს თვალია!“

და ისევ ვაგრძელებ...

„რა არგო თვალბასრს  
ბრმის ქველობამ, წყალობამ ყრუსმა?...  
ქრისტეს სახელით გვაბალახა, გვაძოვა რუსმა“. (120)

შენ იქვე აგრძელებ:

„რა საჭიროა  
დუმილი ან ენამჭევრობა,  
ყოველთვის ფეხზე გვიკიდებდა მხდალი ევროპა“...

და აი, ჩვენეული ადეკვატური გაგრძელება:

„ახლა მიირთვას, ქალბატონმა, რაშიც შეტოპა!“

აქ კი, სრულიად ვეთანხმები ბატონ სანდროს, რომ:

„ამდენი ფარსი, მე კი არა, ღმერთსაც დალლიდა.  
ახლა ასე ვარ... (მე ბოდიში)...  
გამაძლარ ბლენძებს,  
მინდა თავებზე გადმოვაფსა... ამ სიმაღლიდან“.  
(გვ. 121-122, ოლიგარქები)

ამათ შემხედვარე, ბევრს გაუჩნდებათ ამის სურვილი და შენაც –

„ვისაც რა ეკადრება,  
გაუფორმე კადრებად!“

მაგრამ ამით რამეს მიახვედრებ ამ გასიპულ ახვრებს?! – იტყვიან – „ეს რა ჟუჟუნა წვიმა მოსულაო“.

ბატონო სანდრო, ბევრჯერ დავაპირე გამომშვიდობება, მაგრამ ასე ადვილად ვერ შეგელევით და როცა ამობთ:

„ყვავ-ყორნებში ვით ვიბარდო,  
ტირილს ვითარ ვსახვიდე...  
დროა, ჩემო დიდო დარდო,  
მარილზე რომ ნახვიდე...  
...ღვთაებრივო, ბარათებო,  
მშვიდობით!“

– გიპასუხებ:

„თესლით სავსე ფერებია,  
მუცელი კი მსრუტავი,  
მათით იშვა სიცოცხლე და  
კიდევ ბევრი ყრუ თავიც...  
ყველა საამქვეყნო აზრის  
ძალით გამომპუტავი“.

ძალიან მომეწონა ბათუმური ბოჰემის ასეთი აღქმა:

„წვიმს ბათუმურად, თითქოსდა ღმერთს ზეცა გაეხა,  
ოთხმოცი წელი...  
სტუდენტობა... ექვსინის პონტო...  
ქერა ქალები და კაფე „რვაფხა“ –

რომელმაც ასეთი ასოციაცია ამიშალა:

„გრძელფეხებამ რომ დაიპყრო „ჰიბერნიენი“, –  
და თეთრ მუცელზე გადიოდა აქ ბედისწერა,  
მოსკოვიდან რომ გვიდგენდნენ ჩვენ სტანდარტს იგენის,  
ბოროტი თვალთ დაგვხაროდა ბოროტი ძერა...  
და მთელი ხმით რომ გვაბლავლებდნენ, (ზოგიერთს რწმენით), –  
„ლენინ, პარტია, კამუნიზმ!“  
მადლობა ღმერთს, ძლივს დამთავრდა მაგათი ერა!“

და ისევ ნიაშორი... ეს ლიტერატურული პერსონა თუ რეალური პიროვნება, ძალიან არაორაზროვნად მიუღებელი და გაუგებარი დარჩა ჩემთვის თავისი ქმედებებით და რაღაც პროვინციულს მიმსგავსებული გადაწყვეტილებებით... და, გთხოვ, არ გენყინოს, თუ ჩემს აზრს მის შესახებ პირდაპირ, შეულამაზებლად გადმოვცემ, რადგან ვფიქრობ, რომ შენ მას ხელოვნურად უკვალავ გზას „ამაღლებულისაკენ“, და შეიძლება ითქვას, ამით უკვდავებისკენაც. ამიტომ პირდაპირ გეტყვი:

„ამ ნიაშორის ცხელებამ,  
მეც კი შემყარა ხველება, –  
(მიუღებელმა რომ იცის)  
რაღაც ქალების ფანდია,  
უგულო, სიაფანდია...“



შენ გადყევი მატრადისს, –  
 უყვარს წაყვანა „პარადის“.  
 შენ შეგაყვარა თავი და  
 ვაზელინასთან წავიდა...  
 ყველაფრის შემწოვ-ვამპირი,  
 ვამპირის ტახტზე ავიდა...  
 გიხაროდეს რომ უფალმა,  
 ადვილად გიხსნა ავიდან!“

ბოდიშს გიხდი, თუ გული გატკინე და ჭაბუკობისას განცდილი ალალი გრძნობები შეგილახე, მაგრამ შენც ხომ იმიტომ წერ ყოველივე ამაზე, რომ ვინმე შემოგეხმიანოს და, როგორც შენ ამბობ, „განცდილი მარცხი“, ჩუმად მაინც შეგიფასოს, შენი განუქარვებელი სევდა გაიზიაროს... მე კი მაპატიე, რომ გაჩერება ვერ შევძელი!..

2011 წლის ტრიოლეტის სიტყვებს –

„როგორც უმიზნო ხეტიალში დრო გაფლანგული,  
 ეს ტრიოლეტიც, რა ხანია ძველმოდურია...  
 პარიზი, რომი,  
 ბუდაპეშტი  
 და ინსტანბული,  
 დასცინის ჰიჯაბს მინი კაბით თურქი ჰურია“,

რატომღაც ასეთი აზრები აღმიძრა:

„იქ ქართლ-კახეთი, აქეთ კიდე იმერ-გურია, –  
 გაშიშვლებისთვის ამზადებენ, თითქოს სწყურიათ,  
 რაც არ ელირსათ შაჰს და შაჰინშაჰთ,  
 უნდა მოასწრონ ახალ ფადიშაჰთ...“

უსათაურო ლექსმა 133-134 გვერდებზე კი, რომლის ერთ-ერთი სტროფია –

„...დასასრულივით  
 დასწყისიც წაჰყვა დაისებს,  
 ყოფნას არყოფნა ჩახვევია ცბიერ დობილად.  
 ვილაცა მღერის:  
 რა დრო იყო, რა სიხალისე“. (134)

ძალიან კარგია და უსიტყვოდ გასაგები:

„როდესაც მორალს  
 აღარ შერჩა თავად მორალი“ (135) –

ესეც –

„ვაი, სიცოცხლევ...  
 ფეხაკრეფით სიკვდილი მოდის,

ვუი სიკვდილო...

სიკვდილიც კი არ გინერია“. (138)

საქართველოსა და სომეხ-ქართველთა პრობლემები კი, ასე აქვს ახსნილ-დანახული პოეტს:

„...ვიცოდი კარგად  
საქმე ჩვენი იყო თუ რაში,  
არც რაი მქონდა სახარელი, არც საბადრონი,  
აბასთუმანში, ჩემს კერია აბასთუმანში,  
მე ვიყავ მდგური,  
ის კი იყო სახლის პატრონი.  
უდგას ნიადაგ  
გასაცემად ქართლოსს კარდლები,  
ხელეჩოსავით მუდამ მისკენ ითლის ჰაოსი,  
რას ვემართლები, სხვასა და სხვასას, რას ვემართლები,  
მე ვარ ჩემივე ამომთხრელი სასაფლაოსი“. (გვ. 140)

აი, ასე... რას იზამ? სიმართლეს ვერსად გაექცევი! – ვამბობ მეც... შემდეგ ლექსებს „ირმა სანი-კიძეს“ და „მომეც გაძლება“, რომ წაიკითხავ, არ უნდა გაგიკვირდეს ასეთი თქმა:

„ბრმად გამიგორე ბედის გორგალი,  
თუ ხარ მეგზე და თუ ხარ მეშარე.  
ან სხვისთვის სხვისი ტყვიით მომკალი,  
ან სიყვარულის ცეცხლით შემშალე!“ (143)

ან,

„არ დამაბრალე ყალბი ამბორი  
და არც ლალატი თუ არ დაგიტმო.  
რა ვქნა თვინიერ-მორჩილთა შორის  
მე ვერ ვიქნები სამაგალითო.  
...კაცი ვინაა უფლის ტარიგი,  
სატანაც ვიცი – ეკლის მთესავი.  
ვინც ძმობა ვერცხლით გაზომა, იგი  
სულსაც გაზომავს პროკრუსტესავით“...  
...ვერ შეიყვარა მსხვერპლმა მსტოვარი,  
ვერ შეიამქრა სალამომ დილა,  
ამ ქვეყნად ყველას მოსანონარი  
ჯერ არ თქმულა და არ დანერილა“. (გვ. 145-146)

ან კიდევ –

„...რალაც დასრულდა, რალაცა ჩაცხრა,  
ცას მოწყდა ცრემლი, თეთრი ლილილო,  
მე მირჩევნია თვალების დათხრა,  
ვიდრე უღმერთო ღმერთად გიხილო“. (გვ. 144)

ლექსში „ალი-ფაშა“, დიდ ზურაბთან გაჯიბრება მოინდომე. მაგრამ შენ ასე ამთავრებ ალი-ფაშას ტრაგედიის აღქმას:

„...ტყუილი-მართალი  
რაც არ უნდა გადააფასო,  
ლალატი, მაინც ლალატია  
მცირეც დიდია.  
მაინც რა ქენი, ალი-ფაშავ, აგვისსენ კაცო,  
ვის უღალატე,  
ღმერთი, რჯული, ვერ გაგვიგია!“. (გვ. 157)

ზურაბმა კი ასე თქვა:

„რაც არ უნდა ანათო,  
– ვერაფერი ბიჭობაა,  
მტერსაც რომ უღალატო!“

დანარჩენი კი მკითხველსა და მის უტყუარ მსჯავრს მივანდოთ...

და ისევ ბატონი სანდროს უკვდავი ბედისწერა, „ისევ ნიამორი“ (გვ. 169-170), მისთვის „თავკიდურის მორი“...

და დროა ბოლოსკენ წავიდეთ... მართლაც ძლივს გავაღწიეთ პოეზიის ეს რთული ტევრი, რომელშიც ავტორი წარმოჩნდა, როგორც იშვიათი პოლემისტი და მოაზროვნე, რთული ფილოსოფიური შეხედულებების აღმქმელ-გამგები და მკითხველთან გასაგებად მიმტანი, რასაც თავადაც კარგად გრძნობს და ამიტომაც 179-ე გვერდზე ალაღად გვეუბნება:

„ფერადი ფიქრის დაშლილა ტივი,  
ტახტია მპყრობელი არის დრო-ცხარი.  
ყველაფერია-ჩვეულებრივი,  
არაფერია – გასაოცარი“.


და კიდევ, რამდენიმე ამაღლებულთან წილნაყარი შტრიხი:

„არც შენ დაგტოვებს ბედი უენებელს,  
კვალდაკვალ მოგდევს ელდა უცები.  
სწორე ისინი გაგამტყუნებენ,  
ვისთვისაც გამჩენს შეეურჩები“... (გვ. 187) –

სრული სიმართლეა, გამჩენი მაინც ყველასთვის სინათლეა... თანაც ყოველის სურვილია, გამჩენთან მიგასწროს და შენი გამტყუნება ამ გზაზე, მათი აზრით, დანინაურებას ემსახურება, ანუ ავიწყდებათ, რომ უფლის თვალი ყველაფერს ხედავს და განაჩენიც მის ხელთაა. მაგრამ აქ სანდროუკაც ჭმშირიტების ვერმინვდომის სნეულებას განიცდის, როდესაც ამბობს:

„გაჩენის დღიდან, რბილი თუ მკაცრი,  
ხან – მხიარული, ხან – დარღუბალი,  
თავისუფლება!.. ყვიროდა კაცი  
და ხარხარებდა სადღაც უფალი“.. (გვ. 184)

ეს დაუშვებელი კი არა, შეუძლებელია, რადგან უფალი თავადაა თავისუფლება... და ღმერთის მიერ შექმნილ მის მაძიებელს, იგი არსდროს დასცინებს. ამ რწმენით ვამბობთ ჩვენაც ყოველთვის: „ჩენთან არს ღმერთი!“



## აპირა ფაღავე

### სპირული ჩანაწერები<sup>1</sup>

**ჩირქინი** გვაფიქრებინებს, რომ იგი ფონეტიკურად სახეცვლილი **ჭირხინი** ან **ჭრხინი**ა და თუ ასეა, ტოპონიმი თურქული ნამდვილად არ არის, უფრო ქართული გვგონია.

**ჭირხინ**//**ჭრხინ** ფუძეში შეიძლება გამოვყოთ **-ინ** სუფიქსი, რომელიც იგივე უნდა იყოს, რაც კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) მანარმოებელი სუფიქსია<sup>2</sup> (შდრ.: აჭრხინებს – **ჭრხინი**), **ჭრხინი** კი მასდარი უნდა იყოს ტოპონიმად ქცეული.

**ჭრხინს** განმარტავს სულხან-საბა: „შაშვთა და მისთანათა შეშინებულის წმიანობა“<sup>3</sup>.

**ჭრხინი** განმარტებულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“: „კუთხ. (იმერ. ლეჩხ.) კრუხის ხმიანობა, – კრიახი“<sup>4</sup>. შდრ.: მეგრული **ჭირხოლი**: ჭიკჭიკი, ჭრიახი, ჭახჭახი, კრიმანჭული<sup>5</sup>.

მეგრულში გვხვდება **ჭირხინი**ც, ნიშნავს **ჭიხვინი**, ხოლო **ჭირხინა** – ჭიხვინას, ხალისიანს ნიშნავს გადატანით<sup>6</sup>.

ვფიქრობთ, ჩვენი ვარაუდი სწორია, **ჩირქინი** (<\*ჭირხინი<ჭრხინი) ქართული/ქართველური ფუძეა ფონეტიკურად სახეცვლილი.

დედიგოზიდან ცენტრალური გზით ნამოვედით, რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ, მარცხნივ ჩავუხვით და ბახჩელში მივედით.

შუადღეა, ლოცვის დრო. მორწმუნე ბახჩელებს ახლა ჯამეში თუ ნახავს კაცი და დაელაპარაკება.

ძველად აქ ეკლესია ყოფილა, ადგილზე, რომელსაც **გაბან**//**კაბან** კვია.

ვფიქრობთ, ადგილობრივთა გამოთქმით **გაბან**//**კაბან** **კაპან**ის სახეცვლილი ფორმაა. **კაპანი** კიდევ ცნობილი ფუძეა ქართულში, რომელიც გეოგრაფიულ სახელადაც არის გამოყენებული:

<sup>1</sup> გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“ №2, 2025 წ.

<sup>2</sup> ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 236.

<sup>3</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949.

<sup>4</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.

<sup>5</sup> ალიო ქობალა, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

<sup>6</sup> იქვე.

**კაპნითავი, კაპანდიბი, კაპანი.** ერთხელ გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“: „მინდორი, ტყე, კაპანია“ (402,4.)<sup>7</sup>.

ადგილის სახელები უმეტესად არ „ახსოვთ“, სოფელში ძველი არაფერი იცინან. ამის მთავარი მიზეზი მოსახლეობის ცვლა უნდა იყოს: ძველი ბახჩელელები „ნავიდნენ“, ახალმა მოსახლეობამ დაიჭირა მათი ადგილი. ბუნებრივია, მათ არ იცინან ადგილის ძველი სახელები, არც – სოფლის მიკროტოპონიმია. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოსახლეობა წასულა თურქეთის სხვა რეგიონებში საცხოვრებლად...

სოფელს წყალი ჩამოუდის, ღელე, ვიკითხეთ, რა ქვიაო.

**ჩაი** (წყალი) ქვიაო, სხვა სახელი არ აქვსო.

– რა გვარები ცხოვრობენ სოფელში-მეთქი, ვკითხულობ.

**ლეილოლი,**

**ომეროლი,**

**გუგულარ,**

**ჭორუხლარ'** (მდრ.: ჭოროხები?).

პირველად შეგვხვდა „გვარი“ ჭოროხ' ფუძით. ოთხი გვარი დაგვისახელეს.

ჩემს კითხვაზე: კიდევ რა გვარები სახლობენ-მეთქი სოფელში, მიპასუხეს:

არიან, მაგრამ არ ვიცითო!

– ლია, სოფელში ხილი მრავალგვარი ჩანს, ჰკითხე, რა მეივა ხარობს ბახჩელში.

– ვაშლი, ვიშნე, კიზილჯული, ჰურმა, ჯევიზი,

– თუთლა ჯევიზ, – ჩამოთვალა ინფორმატორმა.

ვიშნა, აქ ვიშნე, მთელს ჭოროხის ხეობაში გვხვდება. ჩანს, რუსული ნასესხობაა თურქულში, – ვეუბნები ლიას.

– ლია, მოდი, სოფლის უბნებიც მოვიკითხოთ!

– **ლეილოლუ მაჰალესი,**

**ამაღ'** (ამახლარ) მაჰალესი,

**ქოსელერ',**

**ქელომერლერ მაჰალესი** (მდრ.: მელოტი ომერის უბანი),

**გაბან მაჰალესი.**

საინტერესოა, რომ უბნებს შეუნახავს „გვარების“ ხსოვნაც, ახლა რომ აღარ ახსოვთ: **ლეილოლუ, ამაღ'** (ამახლარ), **გაბან'**, **ქელომერები**.

**ქელომერი** კაცის მეტსახელია, მის ჩამომავლებს **ქელომერლერ'** უწოდეს, წარმოიშვა მეტსახელი გვარი.

კიდევ ერთი ადგილის სახელი გვითხრა ჩვენმა მთხრობელმა, რემზი არგუმ, – **ბობიდინ სირთი**.

– ბახჩელში ვინ ცხოვრობენ?

– ძველები ამბობდნენ, ბათუმიდან ვართ მოსული, ლაზებიო, – გვეუბნება რემზი.

ამ კუთხეში ლაზები მოულოდნელი არაა. ისტორიულად ხომ სპერი ლაზების ქვეყანაცაა. იქნებ, სულაც არ არიან რემზის წინაპრები მოსული სხვა კუთხიდან, სპერელები არიან ძველი.

საყურადღებო მასალები ჩავიწერეთ, ვფიქრობ, მთავარია, რომ სოფლის ძველი სახელწოდება ქართულია//ქართველურია, დასახლების ტიპიც იმეორებს მეზობელი ქართული ქვეყნების სოფლის დასახლებას, – უბნობრივ დაყოფას, სადაც უბანს ქმნის ერთი „გვარი“, უბნის მცხოვრებლები კიდევ ერთმანეთის განაყარი არიან და არა – მეზობლები, რაც მიანიშნებს, რომ უბანი პატრიარქალური ოჯახის სეგმენტაციის შედეგია.

ხეობას მაღლა ავუყევით, ბოლო სოფელი **გალმუთია**, ახლა – სალაჩურის უბანი. ხეობა შესართავიდან სათავემდე ოც კილომეტრზე მეტია.

სოფლის ტოპონიმებს ვკითხულობ:

**გალმუთ'**,

**სალაჩურ'**,

**ალირმათ'**,

**ოვანეს'**,

**კირკორ'**,

**გივენუთ'**,

**გილობ'**,

**მასერდაფ'**,

**სოფკარ'**,

<sup>7</sup> „ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1956.

ხელოთ'ი,  
ქირნიქ'(?).

ფილაჩორ',  
ფიდაჩორ',  
ქეთბორ',

ფილასქორ' – დაქანებული ადგილიაო, განმარტა მთხრობელმა,

გედერეშ',  
ქილისე დერე,  
ჰაფილანს'.

ჩორ<\*ჩურ' ისაგან წყლის აღმნიშვნელი ფუძეა.

უპირველესად სოფლის ორი გეოგრაფიული სახელი მაფიქრებს, შემდეგ – სხვებიც. ვცადოთ, იქნებ რამდენიმე სახელის ახსნა მაინც მოვახერხოთ.

**გალმუთი** ასე დანაწევრდება: **გალმ-უთ**'ი. **გალმ**<\***გალმა** ზმნიზედა დასდებია გეოგრაფიულ სახელს ფუძედ. **-უთ** სუფიქსი (-ოთ'თან ერთად) ნაკლებგავრცელებულია ტოპონიმებში<sup>8</sup>. „**-უთ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები ჩვენ ქართული წარმოებისად მიგვაჩნია. არის ზოგიერთი ტოპონიმის განსხვავებული ახსნის ცდაც...“<sup>9</sup>. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია თ. ზურაბიშვილის მოსაზრება, რომ „მრავლობითობის, კრებითობის აღმნიშვნელი ჩანს... **თ**'ს შემცველი ყველა ხმოვნიანი ვარიანტი, რომელიც გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გვესმის“<sup>10</sup>, რომ „ქართულში **-თ** მრავლობითისა და საერთოდ კრებითობის გამომხატველია; ამ ფუნქციითაა იგი გამოყენებული სახელებშიც... და ზმნებშიც“<sup>11</sup>.

სალაჩური სეგმენტირდება: **სა-ლაჩ-ურ**'ი, – **სა-ურ** თავსართ-ბოლოსართი, საძიებელია ლაჩ'

სახელური ფუძის მნიშვნელობა. **ლაჩ**'ი (იმერულიაო) განმარტებულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“: „ტკეჩი, საწნავი გიდლისა და კალათისა“<sup>12</sup>.

**სალაჩური** იქნებ ადგილია, სადაც ტკეჩს ამზადებენ.

ახლა სხვა სახელებსაც დავაკვირდეთ:

**აღირმათ**'ი – სეგმენტირდება: **აღირმა-თ**'ი, წარმოებით ქართული ჩანს.

**ოვანესი** – სომხურად გამოთქმული **იოანე**.

**კირკორი** – ფონეტიკურად სახეცვლილი **გრიგოლი** (გირგორი) უნდა იყოს.

**გივენუთ**' – სეგმენტირდება: **გივენ-უთ**. **-უთ** ქართული სუფიქსია. **გივინა** (\***>გივენი**) ანთროპონიმია ქართულ კულტურაში, **გივი**'ს ვარიანტი.

**გილობ**' – სეგმენტირდება: **გილობ-ხ**. ძველი წარმოების ტოპონიმი ჩანს. სხვადასხვა ხმოვნის თანხლებით **-ხ**' სუფიქსი განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია: აღნიშნავს **შვილს**<sup>13</sup>, **-ელ**, **-არ** სუფიქსების ბადალია და მიუთითებს სადაურობაზე: ქვეყანა **ტაო**, ტომის სახელი – **ტაოხი**, **ტაოელი**<sup>14</sup>. **ტაოხი**' ტაოს შვილია იგივე. ასე რომ **ხ**' სუფიქსს აქაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ურარტულში – **შვილი**.

**გილობხი გილოელი** უნდა იყოს.

**მასერდაფ**'(?).

**სოფკარ**' – სეგმენტირდება: **სოფ-კარ**'. ანალოგიური წარმოების ტოპონიმები მრავალი გვხვდება ტაოში, ზოგადად ჭოროხის ხეობაში<sup>15</sup>, ჩანს სპერშიც. **კარ**' ფუძიანი ტოპონიმები კომპოზიტებია, რომლის პირველი ნაწილია, მეტსახელი გვარი (ზოგჯერ ანთროპონიმიც). **კარი** კიდევ მნიშვნელობით იგივეა, რაც ეზო, კალო...<sup>16</sup>.

<sup>8</sup> თამარ ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, ქეხს, III, თბ., 1961, გვ. 141. შდრ.: მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის ტაოური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბ., 2024, გვ. 203; მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის კლარჯული დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბ., 2023, გვ. 150.

<sup>9</sup> შდრ.: მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის ტაოური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბ., 2024, გვ. 204.

<sup>10</sup> თამარ ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 142.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.

<sup>13</sup> И. И. Мещанинов, Грамматический строй Урартского языка, ч. 1, М.-Л., 1958, с. 27.

<sup>14</sup> პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თხზულებათა კრებული, ტ. II, თბ., 2009, გვ. 439, სქ. 1.

<sup>15</sup> მამია ფალავა, კარ' ფუძიანი ტოპონიმები კლარჯულში, XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, თბ., 2014, გვ. 72.

<sup>16</sup> მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის ტაოური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბ., 2024, გვ. 218-220.

**სოფკარი** იქნებ შემოკლებული **სოფილის კა-რია**, **სოფილი** კიდეც ანთროპონიმია<sup>17</sup>.

**სოფკარი** ქართული ტოპონიმია.

**ხელოთ'** – სეგმენტირდება: **ხელ-ოთ**. ნ. მარს-ოთ -ეთ'ის დიალექტურ ვარიანტად მიაჩნია. საერთოდ აღვნიშნავთ, რომ -ოთ იშვიათად გამოყენებული სუფიქსია ტოპონიმებში, თუმცა დასტურდება ტაოში<sup>18</sup>, აჭარაში: **წყაროთა**, **კალ-ოთა...**

**ხელოთი** იგივე **ხელეთი** უნდა იყოს. **ხელო//ხელა** კიდეც მამაკაცის სახელია<sup>19</sup>, დაცულია გვარებში **ხელაძე**, **ხელაშვილი**.

**ქირნიქ'**(?).

**ფილაჩორ'** – სეგმენტირდება: **ფილა-ჩორ**, შდრ.: **ფილას ხევი//ფილათ ხევი**.

**ფიდაჩორ'** – სეგმენტირდება: **ფიდა-ჩორ**, შდრ.: **ფიდას ხევი**.

**ქეთბორ'**(?).

**ფილასქორ'** – სეგმენტირდება: **ფილა-ს-ქო-რ'**. შეიძლება ვიფიქროთ, რომ **ფილა** ანთროპონი-მია<sup>20</sup>, **ქორი** კიდეც სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება სამწერლობო ქართულში, სამხრულ კილოებში, მეგრულსა და სვანურში:

**ქორი** – სახლი, ოთახი, ზემო სართული<sup>21</sup>.

**ქორი** – სახლზედ სახლი აგებული; ქორედ-ქორედი ოთხი-ხუთი სახლი სახლზედ შენებული<sup>22</sup>.

ტაოური: **ქორი** – შემოღობილი ადგილი ბოსელში წვრილფეხა საქონლის შესაყრელად<sup>23</sup>.

შავშური: **ქორი** – საბძელი<sup>24</sup>.

აჭარული: **ქორი** – სახლის ზედა სართული.

მეგრული: **ქორი** – სახლის ზედა სართული, ნაგებობა მაღლობზე<sup>25</sup>.

სვანური: **ქორ'** – სახლი, ოჯახი<sup>26</sup>.

**ქორ'**ის ამოსავალი მნიშვნელობა სახლთან უნდა იყოს კავშირში.

**ფილასქორი** ადგილია, სადაც **ფილას ქორი**, **ფილას სახლი** დგას.

**გედერეშ'** (<\*გედერიში? ე - ე>ე - ი'ს დისიმილაციით).

**ქილისე დერე** (შდრ.: ეკლესიის ხევი) – თურქულია.

**ჰაფილანს'**(?).

თუ მოყვანილი ტოპონიმებით ვიმსჯელებთ, საქმე გვაქვს ნარევ დასახლებასთან, სადაც ცხოვრობენ ქართველები, სომხები... თურქული ფენა შედარებით ახალია.

უბნების სახელები ჩაგვანერინეს:

**მესირდაფ'**(?).

**ცინაცორ'** (<\*წინაძორ', შდრ.: წინხევი//წინახხევი).

**ჰოქუთ'** – სეგმენტირდება: **ჰოქ-უთ**. -უთ სუფიქსის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

**გილოქ'** (<\*გილოს).

**ქალგუნს'**(<\*ქალგუნის?).

**დაფერ'**(?).

**მერა** – სწორი ადგილიაო. შდრ.: **მერე** (>მერა. ე - ე>ე - ა'ს პროგრესული დისიმილაციით).

**ყადიბალ'** – შდრ.: ყადი[ს] ბალი, გაფორმებით ტოპონიმი ქართულია. ანალოგიური წარმოების გეოგრაფიული სახელები ბევრი გვხვდება ჭოროხის ხეობაში.

**მაშქი**(?).

უბნების სახელები ყველა ძველი არაა, ახალია ზოგიერთი მათგანი. რამდენიმე უბნის სახელი ქართული გვგონია.

– ბარემ გვარებიც ჩაგვანერინონ, ვნახოთ, რა მდგომარეობაა, – ვეუბნები ლიას.

<sup>17</sup> ალექსანდრე ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

<sup>18</sup> ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 203.

<sup>19</sup> ალექსანდრე ლლონტი, დასახ. ნაშრ.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა, 5, თბ., 2001.

<sup>22</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.

<sup>23</sup> ფალავა, ცინცაძე, ბარამიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 491.

<sup>24</sup> მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის შავშური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბ., 2022, გვ. 603.

<sup>25</sup> ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

<sup>26</sup> ვარლამ თოფურიძე, მაქსიმე ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

ლიას თხოვნით გვკარნახობენ „გვარებს“:

**დალაშა**,

**დემირტაშ**,

**დურმაზ**,

**დოან** (<\*დოლან?),

**დუზერლი** (<\*დუზერლი) წარმომავლობის სახელი ჩანს. შდრ.: ყარსლი, ყირიმლი...

**ჯანიმოღლი**,

**ყადიოღლი**,

**ჰილანოღლი**.

დემირტაშ, დურმაზ, დოან (<\*დოლან?) ახალი გვარებია.

**დალაშა**, – მეტსახელს გვაგონებს გვარად-ქცეულს: შდრ.: ფალაზი (შავშეთი), ფესტილი (ტაო)...

**ჯანიმოღლი, ყადიოღლი, ჰილანოღლი -ოღლი** მანარმოებლიანი „გვარებია“ გავრცელებული ჭოროხის ხეობასა და ლაზეთში.

დავემშვიდობეთ ინფორმატორებს და დავტოვეთ სოფელი.

**ჩათაქქადაში** წავედით. სოფელი ზღვის დონიდან 1700 მეტრამდეა.

სოფლის მამასახლისი ფევეზი აქდარი გავიცანით, 70 წლის ჩათაქქაფელი.

კარგი მოსაუბრეა მამასახლისი.

ცვდილობთ, ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციები მოვიპოვოთ სოფელზე და სოფლელებზე. ჩამოვსხედით; მკითხეთო, რაც გინდათ, მუხტარმა.

– ვინ ცხოვრობს ამ სოფელში? (ლია თარგმნის).

– ვინ ვართ, არ ვიცით, იქნებ ქართველებიც ვართ!

„იქნებ ქართველები ვართ“, – მართლა ასე თქვა, ლია, თუ სასურველი მოგვესმა?

– არა, ბატონო მამია, „იქნებ ქართველები ვართო“ – ასე თქვა, თუ გსურთ, ხელახლა ვათქმევინებ.

– არა, არაა საჭირო, იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ვერ დავიჯერე...

– აქედან ერმენები რომ გაასახლეს, ლაზები მოვიდნენო აქ, – გვეუბნება ინფორმატორი.

ანალოგიურ ინფორმაციას სხვა სოფლებშიც ვპოულობთ. რატომ ფიქრობენ, რომ აქაური ძირეული მოსახლეობა ერმენები იყვნენ? ვინ „დაყარა“ ეს ცნობა სპერის სოფლებში? ანდაც, სად წავიდნენ ერმენები? რატომაა ლაზები მოსული, მაშინ როცა ისტორიულად სპერში, შუა სპერში მაინც, ლაზები აბორიგენებად ითვლებიან? კითხვები ბევრი ჩნდება, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს.

– ლია, მოდი, წყაროების სახელები მოკითხე, წყაროსთან ვზივართ და ბარემ ამით დავინწყით.

**ხოდუჩური**,

**სალაჩური**,

**ჩინაჩური**,

ერთმანეთის მიყოლებით ჩამოთვალა ბატონმა ფევეზიმ, თან განმარტა, **ჩური** წყალს ნიშნავსო ერმენთა ენაზე.

ჩამოთვლილი სახელები კომპოზიტებია, რომლის მეორე ელემენტიცაა **ჩურ** – წყალი: **ხოდუჩურ** – შდრ.: ხოდუს წყალი, **სალაჩურ** – სალას წყალი, **ჩინაჩურ** – ჩინას წყალი. კომპოზიტის პირველი ნაწილი შესაძლოა ანთროპონიმები იყოს.

ყოველგვარი მტკიცების გარეშე გამოვთქვამ მოსაზრებას:

**სალა** (//სალი) გვხვდება ქართველურ ანთროპონიმიაში, დადასტურებულია „ქართლის ცხოვრებაში“<sup>27</sup>, დაცულია გვარში – **სალაძე**.

**ჩინა** – დაცული გვარში **ჩინაშვილი**<sup>28</sup>.

**ხოდუ** – ამ ბგერწერით ანთროპონიმი არ ჩანს, გვხვდება ხოდინა (შდრ.: **ხოდუნა** – მოფერებითი ფორმა), დაუცავს გვარს **ხოდინაშვილი**<sup>29</sup>. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხადუ სოფელია აღმოსავლეთის მთაშიც. იქნებ, ხოდუნა<\*ხადუნა>საგან ნაწილობრივი ასიმილაციით. **ხოდი** სოფლის სახელად გვხვდება კლარჯეთში.

ფიქრობთ, ჰიდრონიმებში სომხური ელემენტის (**ჩურ**) გაგონებისას არ უნდა ავჩქარდეთ

<sup>27</sup> ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955 გვ. 372.

<sup>28</sup> ალექსანდრე ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

<sup>29</sup> იქვე.



და სომხურად არ უნდა გამოვაცხადოთ სახელი. ღირს მსჯელობა, კომპოზიციის პირველი ნაწილი იქნებ არაა სომხური...

– ფეეზი ბატონს ვკითხვით სოფლის გვარები, – ვთხოვ ლიას.

– სოფელში გვარი ბევრია:

**ალმემეთი,**

**იდრის ყაბილე,** შდრ.: იდრისის ჩამომავლობა (იდრისოვლი).

**თაფლარ'** შდრ.: თაფლები.

**ფაფლარ//ფაფოღლარ,** შდრ.: ფაფები.

**ჰემენლერ,** შდრ.: ჰემენები.

**ბალთალარ'**, შდრ.: ბალთები.

**ხასანლარ'**, შდრ.: ხასანები.

ჩათაქქაძეში მხოლოდ ერთ „გვარში“ აღდგება **ოღლი'** მანარმოებელი, – **ფოფოღლარ <\*ფოფოღლილარ** (შდრ.: ქართ. ფოფოღლები), სხვები – ადამიანის სახელის ან მეტსახელის მრავლობითის ფორმაა – **ლარ//ლერ** სუფიქსით ნანარმოები.

იშვიათი ნარმოების „გვარები“ დადასტურდა ჩათაქქაძეში...

– ყანაში, ბახჩაში რას დათესავთ? – ვეკითხები ფეეზის.

– **შექერ ფასოლიე** მოდის აქ, ძვირად ფასობს, 350 ლირა (დაახლოებით 35 ლარი – ავტ.) ღირსო.

დავინტერესდით შექერ ფასოლიეთი (შდრ.: შაქარა ლობიო), ქალაქში დაბრუნებულლებმა მოვიკითხეთ სურსათის მაღაზიაში, ძვირფასი ლობიოაო, გვიქვს, გვაჩვენეს კიდეც ტომრებით გასაყიდად გამოტანილი: თეთრი, წვრილი მარცვლებია.

– ზაზა, ვიყიდოთ ეს ნაქები ლობიო და წავიღოთ, ვნახოთ, რას აქებენ სპერელები.

– წავიღოთ, მეც დავინტერესდი შაქარა ლობიოთი, – მპასუხობს ზაზა.

– სახელი უცნაური აქვს, შექერ ფასოლიე, კაცო, გამიგონია შავშეთის ლობიო, მაჭახლის, ქონა ლობიოც გამიგონია, დედოფალაც გამიგონია, შექერ ფასოლიე პირველად მესმის, ჰოდა, წავიღოთ, დავაგემოვნოთ...

– ძველად აქ პური ითესებოდა, ბევრიც, ახლა აღარ ვთესავთ.

ითესებოდა **ჩავდარი** (ფეტვი), **ქერი**, **ბულდაჰ** (ხორბალი)...

სოფლის სანახებში განირჩევა ნაპურალი (ნაყანვარი – ზოგადად) ადგილები.

– ეს ჰარმანის (კალოს) ადგილია, შემდეგ აქ სახლები ავაშენეთ, – განაგრძობს თბრობას ფეეზი აქდარი.

სოფელში იციან სახვნელი იარაღები, გუთანი, ჯილა, იციან კევრი, თუმცა არ იციან ამ იარაღების ქართული სახელები...

– ლია, თხოვე, ბარემ ადგილის სახელების ჩავგანერინოს ფეეზი ბეიმ.

**ყიზილ ყაჰა** (შდრ.: წითელი კლდე),

**სალაჩურ დერესი** (შდრ.: სალაჩურის ხევი),

**ქოთარ სირთი,**

**ქილისე დერე** (შდრ.: ტაძრის ხევი. ანალოგიური ტოპონიმი გვხვდება ტაოშიც),

**დაისორი** (მეზრე).

ესაა, მეტი არ არის.

– სოფელს ხომ აქვს უბნები? უბნების სახელებიც გვითხარი!

– სოფლის უბნებს გვარების სახელები ქვია, – მოკლედ მოგვიჭრა მთხრობელმა.

სოფლის უბნებს გვარების სახელები ქვიაო, – საყურადღებო თანხვედრაა ტაოური თუ ქოროხის სხვა ქვეყნების სოფლის დასახლების სტრუქტურასთან.

სპერული სოფლის დასახლება იმეორებს ქოროხის სხვა ქვეყნების სოფლის დასახლების სტრუქტურას, რაც ზოგიერთი დასკვნის საშუალებას იძლევა. და რაც დასტურია იმისა, რომ სპერი ქოროხის ერთიანი კულტურული სივრცის ნაწილია...

დავღალეთ, თავიც შევანყინეთ ჩვენი კითხვებით ფეეზი აქდარს, იქნებ საქმესაც მოვწყვიტეთ, მოვაცდინეთ...

მადლობა, ბატონო ფეეზი, ჩვენთვის დაკარგული დროისათვის და ძვირფასი ინფორმაციისათვის. თუ არა თქვენი თანადგომა, ვერაფერს გავხვდებით, თქვენი და თქვენნაირების იმედით მოვედით ამ კუთხეში...

**დასკვნის მაგიერ:** ქოროხის დინების მარცხენა ხეობების სოფლები მოვიარეთ. ყველა სოფ-

ელი ზღვის დონიდან საკმაოდ მაღალი მთის კალთებზე გაშენებული, ზოგიერთი – 2000 მეტრზე და უფრო მეტზე, ზოგი ალპურ ზონაშიც. ვსწავლობთ სპერულ სოფლებს, აქაურთა ყოფას, ყოველდღიურობას, გვანტერესებს სოფლის წარსული, აქ მცხოვრები ადამიანების ვინაობა, გვარები, აქაური ადგილის სახელები, მდინარეები და ხეხეები. ერთი შეხედვით, სპერული სოფლის განაშენიანება ტაოურსა თუ კლარჯულს მოგვაგონებს: სოფელში სახლები ერთმანეთთან მიჯრითაა, დასახლება გვაროვნულია, უმეტესად მაინც, ერთი „გვარი“ ერთ უბანს ქმნის.

ყურადღებას იქცევს სპერული სახლი, – ორგვარი ქოხი ვნახეთ:

ერთნი ვერტიკალური განლაგებისაა:

I სართული – საქონლის სადგომი.

II სართული – საცხოვრებელი სახლი.

III სართული – საბძელი.

მეორენი ჰორიზონტალური განლაგებისაა, საკარმიდამოში ცალკე დგას ადამიანთა საცხოვრებელი, ცალკე – ჯარგვალური ტიპის შინაური ცხოველების სადგომი:

I სართული – მსხვილფეხა საქონლის სადგომი.

II სართული – წვრილფეხა საქონლის სადგომი.

III სართული – საბძელი.

ანალოგიური ვითარება დასტურდება ტაოურ სოფელშიც.

ქალბატონი თინა შიოშვილი სპერულ ფოლკლორში ხედავს ქართულ ფენას: მითი მარადიული გაზაფხულის შესახებ, შენახულია „იავნანას“ სახელი, დადასტურდა გამოცანები, რომელთაც პარალელები ეძებნება ქართულ სინამდვილეში, ამინდის მართვის რიტუალი, ნადი და ნადთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები... ყველაფერი ერთად მომავალში ძირითად ხაზებში მაინც სპერული ფოლკლორის რეკონსტრუქციის საშუალებას მოგვცემს, რაც საინტერესო ფურცელი იქნება მრავალფეროვანი ქართული ფოლკლორისა.

ბნელდებოდა, ისპირში რომ დაებრუნდით. ვივარდეთ უკვე ნაცნობ ლოკანტაში და სასტუმ-

როში მივედით. მოგვიანებით თავი მოვიყარეთ სასტუმროს ბარში, სტუმართა თავშეყრის ადგილის ფუნქციასაც რომ ასრულებს, ფინჯან ყავაზე ვსაუბრობდით დღევანდელი დღის შთაბეჭდილებებზე, ნახულ სოფლებზე და უკვე ნაცნობ სპერელებზე...

### 18 აგვისტო 2024 წლისა.

მზიანი დილა გათენდა ისპირში. ვისაუზმეთ, სადილისათვის საგზალი შევიძინეთ და სოფლებში წასასვლელად გავემზადეთ. მანქანაში ჩავსხედით.

– მამია, საით მივდივართ? – მეკითხება რამაზი.

– სადაც გუშინ არ ვყოფილვართ, – ვპასუხობ მე.

– მოდი, დღეს ჭოროხის მარჯვენა სანაპიროს ავუყვეთ, – ამბობს მალხაზი.

– აუყვეთ! – ეთანხმება ექსპედიცია.

ჩვენი ავტომობილი ქალაქს გაცდა და აღმართებს შეუდგა. გზები კარგია, როგორც უმეტეს სოფლებში, მონესრიგებული, ალაგ-ალაგ თუ შეგხვდება მოუასფალტებელი გზა.

– ჯერ მაღლა ავიდეთ, ხეობის ბოლო სოფელში, შემდეგ დავეშვათ დაბლა და რამდენსაც მოვასწრებთ, იმდენ სოფელში შევიდეთ, – ვამბობ მე.

მაღლა და მაღლა მივიწვეთ. სოფელი გამოჩნდა, 1785 მეტრზე ვართო ზღვის დონიდან, აცხადებს მალხაზი. ჩვენს წინ სოფელი ჩამლიყააა; ორთა მაჰალეში (მდრ.: შუა უბანი) გავჩერდით, ჯამესთან. ინფორმატორიც გამოჩნდა, ნეჯაილ შიმშეკი, მალე მისი მეუღლეც ჩაერთო საქმეში.

სოფელი მთის ფერდობზეა გაშენებული, მაღლა ალპური მდელოები ჩანს. თავად ჩალიყააა ძველი ყიშლაა, რამდენიმე მცირე დასახლებით.

– რას ეძახით-მეთქი მეზრას, ვიკითხე.

– მეზრა პატარა დასახლებააო, ქალბატონმა, პატარა ადგილიაო.

ასე იცის, ასეც განმარტა ინფორმატორმა.

**მეზრე** – საზაფხულო სამყოფელია, იგივეა, რაც ყიშლა<sup>30</sup>.

<sup>30</sup> შუშანა ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993. შდრ.: ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

ზამთრობით სოფელი იცლება. ხოჯა და ერთი-ორი ოჯახი რჩება. აქ რუსები იყვნენო ადრე, ამ მეჩეთში და მის გვერდით ცხოვრობდნენ, მეჩეთიც სამხედროებისათვის იყო, ასე გაგვიგონიაო.

აქ შეუსაბამობაა, თუ რუსები იყვნენ, სამხედრო მეჩეთი რატომ იყო? მუსულმანები იყვნენ რუსი სალდათები?

ჩანს, რუსმა ჯარისკაცებმა დაიჭირეს მეჩეთი და მეჩეთის გვერდითა სახლიც.

მეჩეთი ისტორიულიაო, ქალბატონმა, ნეჯაილის მეუღლემ.

– შეიძლება შევიდე მეჩეთში? – კითხულობს თემური.

– შედი, გასაღები კარებზეა, ნახე! – ნებას რთავს ნეჯაილი.

ძელსკამზე ვსხედვართ დანარჩენები, ქალბატონი „ლექციას გვიტარებს“, უფრო ჩვენს კითხვებს პასუხობს დაუზარებლად. გზადაგზა გაჩერდება, სამზარეულოში შეირბენს, კარამელს ვაკეთებ, არ ჩამენვასო, მეშინია, მორევა ჭირდებაო ხშირად, ბოდიშს გვიხდის. შუაღელეში ჩვენც ადგილობრივ, ძელი (დერლი) ხილს გეახლებით, ტყუილად არ ვცდებით...

– ადგილის სახელები გვითხარით, – ვთხოვთ ნეჯაილს (ლია გვშველის კონტაქტის დამყარებაში).

**ჩამლიქაია ჩაე**, – მდინარით დაიწყო ინფორმაცორმა. სოფელს პატარა ლელე ჩამოუდის.

**იმში** – სასაფლაოებია,

**ერომუდ ონუ**,

**ვანქის წინა**,

**დერინდერ აილა** (დერინ დერე? – ღრმა ხევი?),

**ჰერგერ აილასი**,

**მიშანს აილასი**,

**ბუნუთ დალი**,

**ფალანგაზ აილასი**,

**ილდიზ გოლი**,

**მუსურგუნ თეფე**,

**მუსურგუნ ქელლე** (თავი),

**მონჯალიქ** (შდრ.: მონჯიანი).

ვიდრე ჩვენ ადგილის სახელებს ვეცნობოდით, თემური ჯამიდან დაბრუნდა.

ჯამე ძველიაო, **1833** წელსააო აშენებული; ჯამეში ბევრი რამაა საინტერესო, განსაკუთრებით – ხეზე კვეთის ნიმუშებიო, თემურმა.

ვხედავთ, სოფლის ირგვლივ დაილება, სადაც ახლა ვიმყოფებით, სოფლის ცენტრში, მეზრაა ძველი. და რაც მთავარია, დასახელებული გეოგრაფიული სახელების უმეტესობა თურქულია, შესაბამისად – ახალი, გამონაკლისია მხოლოდ **ვანქის წინა**, რომელიც მნიშვნელობით უნდა იყოს **სახლის წინა**. კი ჟღერს ვანქი არაქართულად, მაგრამ სინტაგმის მეორე წევრი, – წინა, გვაფიქრებინებს, რომ სწორი იქნება **ვანის წინა**; ტოპონიმზე ზენოლის შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

– ძველი სახელები არ იცით? – ვკითხულობ.

– სხვა არ ვიცითო, ნეჯაილმა.

– კარგი, სოფელში რა გვარები ცხოვრობენ? ძველი გვარები გვანტერესებს უფრო.

**ბაირამოღლუ**,

**გოზუმღერ**, – შდრ.: გოზუმები,

**ფირთინალარ**, – შდრ.: ფირთინაები,

**ფოირაზლარ**, – შდრ.: ფოირაზები,

**თოთოშლარ**, შდრ.: თოთოშები.

ესაა სულ!

უკვე რამდენ სოფელში ვიყავით, ყველგან მოვიკითხეთ „გვარები“, საგრძნობლად მცირეა „ოღლი“ დაბოლოებიანი ქოხის სახელები. ამ სოფელშიც მრავლობითის ფორმები ჭარბობს, ოჯახის უფროსის სახელზე ან მეტსახელზე **-ლარ//ლერ** სუფიქსის დართვით მიღებული „გვარები“. ასეთი წარმოება აჭარასა და იმერეთში გავრცელებულ **-სან’//-ისან’** (შდრ.: იმერული -ისა-ნ-ებ-ი) დაბოლოებიან შტო-გვარის წარმოებას მოგვაგონებს<sup>31</sup>.

კარგი მოსაუბრეები არიან ნეჯაილი და მისი მეუღლე ქალბატონი (სახელი ვაკითხვინე ლიას, ვითომ ვერ გაიგონა), ცდილობენ, გვიპასუხონ

<sup>31</sup> იხ. შოთა ნიჭარაძე, დასახ. ნაშრ.; ივანე ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის. ქესს, ტ. III, თბ., 1963.

კითხვებზე. კითხვები კი ამ სიმაღლეზე ამოსულებს ბევრი გვაქვს:

თინას დღეს ბევრი რამ აინტერესებს, – საქონლის მოვლა, წველა, ბავშვის მოვლა თუ სააკვნო სიმღერები.

ნუგზარსაც აქვს კითხვები, მაგრამ ვინ აცლის, ამიტომაც დიქტოფონი ლიას შეაჩერა ხელში, ჩაინერე, რასაც ისაუბრებთ და შემდეგ ვთარგმნოთ, თავად ფოტოების გადაღება განაგრძო, თუმცა გადასაღებიც ბევრი არაფერია.

რამაზს დღეს წნევა აწუხებს...

ზაზა, ლია და გიული გვითარგმნიან, უფრო ლია აქტიურობს.

თემური, როგორც ვთქვი, გადაღებითაა დაკავებული, ჯამის ინტერიერი გადაიღო, კმაყოფილია.

მალხაზიც აქაა, ინერს მისთვის საინტერესოს.

ნეჯაილი მოგვითხრობს: აქ სომხებს უცხოვრიათ, **ჯოში** ქვია იმ ადგილს. მაღლა მათი დაილებია, სადაც კაკალი ნახეთ, იქ სომხების ნასახლარებია.

ესეც **ჰოზგიითია**, სომხების ადგილი...

ბაირამოლლუმ იყიდა ეს ადგილები, ზაფხულში მოვლენ, ზამთარს ქალაქში ატარებენ.

– თქვენ ზამთარში აქ რჩებით თუ მიდიხართ? – ვეკითხებით ნეჯაილს.

– ზამთარში აქ არ დავრჩები, თექირდალში, სტამბულის მახლობლადაა, მივდივარ.

ასეთია აქაური სოფლის ცხოვრება: მოსახლეობის დიდი ნაწილი ზაფხულობით ამოდის ხოლმე მშობლიურ კუთხეში, სხვა დროს ქალაქშია. შესაბამისად, მოშლილია აქაური ტრადიციული მეურნეობა: არც მეცხოველეობაა და აღარც ყანა ითესება, არც დაილებზე დაუდით პირუტყვი...

**ავჯიოდლუ,**

**ბაირამოლლუ,**

**გუზიმოდლუ,**

**სომუნ',**

ყველა სომეხია. ეს სახლებიც სომხებისაა. ძველად სომხები ღარიბები იყვნენ, უმეტესად

ხელოსნობდნენ. სახლები გაუკეთებიათ, გარედან დიდია, შიგ ერთი ოთახია...

საყურადღებო ამბები მოგვითხრო ნეჯაილმა.

მადლობის მეტი რა გვეთქმის, რაც იცოდა, მოგვითხრო, არც მის მეუღლეს დაუტოვებიათ არც ყურადღების მიღმა...

ორთამაჰალედან **ფონჯალი მაჰალეში** წავედით. ინფორმაციით, სირაქონაქლარს **16** მაჰალე აქვს (თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით სირაქონაქლარის სამამასახლისოში შემოდის **16** უბანი. ძველად თითოეული დამოუკიდებელი მცირე სოფელი იყო), ერთი ფონჯალია, ძველი **სუნისი**. ჰემშინიდან მოსული ჰემშინები ცხოვრობენო აქ.

გზად ორთამაჰალეზე ვფიქრობ. ორთამაჰალეებს არ ახსოვთ ადგილის ძველი სახელები, ძველად გვისახელებენ რეფორმამდელ თურქულ სახელებს, იმასაც გვეუბნებიან, რომ აქ ერმენები ცხოვრობდნენ, მათი ნასვლის შემდეგ მოვედითო ჩვენ. ორთამაჰალეში მოსახლეობის ცვლა რომ მომხდარა, ნათელია, ჯაჭვი ჩანყვეტილია წარსულსა და თანამედროვეობას შორის. „აქ ერმენები ცხოვრობდნენ“ ზოგადი განცხადებაა, სპერის ბევრ სოფელში რომ მოისმენ.

**ფონჯალ'**ის ძველი სახელი **სუნისია**. ეს უკანასკნელი აშკარად ქართული წარმოებისაა. მასში გამოიყოფა **-ის** სუფიქსი, რითაც იგი გვერდით დაუდგება ისეთ სახელებს, როგორიცაა, **რუისი, ურზნისი, კრწანისი...**

გზას მაღლა მივუყვებით, **ინჯირლი** მაჰალეში, ძველ **გამუთ**ში ავედით.

ლამაზი დასახლებაა, ხევის მარჯვენა ნაპირზე გაშენებული. სოფელში ვხედავთ ძველ და ახალ სახლებს. სახლები გვერდიგვერდ აუშენებიათ, როგორც სხვა სოფლებში. ჩანს ქუჩები თუ ქუჩაბანდები. ყანა-ბახჩებში მრავალი ხილია: მსხალი, ვაშლი, კაკალი, თუთა... ერთ სახლთან გავჩერდით. ფუნუს დაშარი, **64** წლის ინჯირელი, მოვიდა ჩვენთან სასაუბროდ. ფუნუსი მუდმივად აქ არ ცხოვრობს, არდადეგებზეა ჩამოსული, პროფესიით ინჟინერია, არქიტექტორი...

– ვინ ცხოვრობს ამ სოფელში? – ვკითხულობთ.

– ჩვენ ხორასნიდან ჩამოვედით. ჩვენი წინაპრები აქ დასახლდნენ, მათი ნათესავები ბათუმში წავიდნენ, იქ დასახლებულანო. შემდეგ წინაპართა გადაადგილების მარშრუტი დააზუსტა ფუნუსმა: ხორასნიდან ვანში გადავიდნენ, ვანიდან – გუმუშხანეში, იქედან დანანილდნენ, ნაწილი ბათუმში წავიდა, ნაწილიც აქ ამოვიდა. ჩვენ მეოთხე თაობა ვართ, ვინც აქ ვცხოვრობთო. წინათ სომხებს უცხოვრიათო აქ. და ბოლოს, ფუნუსმა დაამატა: ბათუმში წასული ჩვენი ნათესავები ქრისტიანები არიან, ჩვენ მუსულმანები ვართო...

ჩანს, ოთხი თაობის წინ (დაახლოებით 120 წლის წინ) ხორასანში ქრისტიანები ცხოვრობდნენ.

სახლის კედელზე აბრაა, – „ისტორიული აივანი“, ვკითხულობთ:

– რატომაა ისტორიული ეს აივანი?

– სახლს სქელი კედლები აქვს, ოთახი ზამთარში თბილია, ზაფხულში – გრილი.

– ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი“, კარგია, მაგრამ ვერ გავიგე, რაა ამაში ისტორიული.

სოფლის მოსახლეობის ნაწილი, 70% სომეხია, ჩვენ არ ვართ სომხები/ერმენები.

კარგა ხანს ვსაუბრობდით ფუნუსთან. ვიტყვი, რომ კარგი ინფორმატორია, ზოგადად განათლებული კაცი ჩანს მთხრობელი. ეტყობა, აინტერესებს სოფლის, ზოგადად კუთხის, ისტორია, თავისი წინაპრები, დაინტერესებულია სოფლის არქიტექტურით...

დავემშვიდობეთ სუნისელებს, დაბლა დავემვით, **ჯუჯე ბაღში**. აქ ძველი ეკლესიაა, სომხური, შემდეგ ჯამედ ქცეული. სასაფლაოების ღობის ჭიშკრის თავზე სომხური წარწერაა: „შეგვიწყალებდეთ ჩვენ, რომელნიც წარმავალი ნათესავი [ვართ]“. ეკლესია, ახლა ჯამე, რესტავრირებულია, კარგად მოვლილი. რამაზის აზრით, აქ მხოლოდ ეკლესია არ უნდა იყოს, იქნებ მონასტერია. ამის თქმის უფლებას ეკლესიის ეზოში სხვადასხვა შენობის არსებობა აძლევს.

ჯუჯე ბაღში სხვა ვერაფერი ვნახეთ, ვერც ინფორმატორი, დასახლების (ანდაც ეკლესიისა თუ მონასტრის) შესახებ რაიმე რომ მოეთხრო...

**დღის ბოლოს:** მალხაზის წინადადებით ჩვერელისაკენ წავედით. ჩვერელი ტაოშია, იუსუფელს ზემოთ. იქვე ციხეა, ჩვენი აზრით თუხარისის ციხე. მალხაზი ფილმს ასრულებს, ჰოდა კადრები სჭირდება, ასევე, ზაზას მოსაზრება თუხარისის ლოკალიზაციის შესახებ. საკმაო გზა გვაქვს გასავლელი. ცხელა. შენუხებული და დასიცხული ვართ ყველა. უარს როგორ ვიტყვით წასვლაზე, ფილმი ხომ ჭოროხის ხეობაში ჩვენი საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს...

სამოც კილომეტრზე მეტი გავიარეთ ისპირი-იუსუფელის გზაზე, ჩვერელს გაღმა, წყალსატევის პირზე გავჩერდით, თუხარისის ფონზე გადაიღეს კადრები. ზაზამ ისაუბრა თუხარისზე, სცადა, დაესაბუთებინა ჩვერელს ზემოთ მდგარი ბებერი ციხის თუხარისობა; მარჯვენდ გამოიყენა არსებული საისტორიო ლიტერატურა და ციხის შემოგარენის ტოპონიმია, რაც ცალსახად ამტკიცებს, რომ ეს ციხე თუხარისია, ძველი საქართველოს მნიშვნელოვანი ციხე. ბარემ ვიტყვი, რომ თუხარისის მდებარეობის შესახებ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვა მოსაზრებაც გამოითქვა. ვფიქრობ, ზაზას მსჯელობაა დასაბუთებული და მისაღები.

ზაზას შემდეგ ჩემი ჯერიც დადგა.

საუბარი იმით დავიწყე, რომ ჩვენს უკან მდგარი ციხე თუხარისია. აქაურობის დღევანდელი მხილველი ვერც წარმოიდგენს, რომ ამ ხელოვნური გუბურისა თუ ტბის ადგილას დიდი მდინარე, წყალუხვი ჭოროხი მიედინებოდა, რომელსაც ჩვენი წინაპრები სანაოსნოდაც იყენებდნენ. ძველი საისტორიო წყაროები გვამცნობენ, რომ თუხარისამდე ნავებით ამოჰქონდათ ტვირთი. შეიძლება ითქვას, თუხარისი სამდინარეო ნავსადგურიც ყოფილა ძველ დროში.

მომავალი ფილმის ორი ეპიზოდი გადავიღეთ და მანქანაში ჩავსხედით. რამაზს სძინავს, ქალები წუხან, ნუგზარი არაფერს ამბობს...

ადგილობრივი დროით რვა საათი იყო, სპერში რომ დავბრუნდით დასიცხულები და დაღლილები. რას ვიზამთ, ასეთია ველზე მუშაობა, დამლელი, მაგრამ – სასიამოვნო.

შევისვენეთ და ნაცნობ ლოკანტაში ჩავედით სავახშმოდ. დღეს მწერების შემოსევაა აქ, წუხს ყველა, ვწუხვართ ჩვენც. ნაჩქარევად ვივახშმეთ და სასტუმროში დავბრუნდით.

დღის ბოლოს სასტუმროს ბარში მოვიყარეთ თავი. ლიამ და გულმა ყავა მოგვართვეს, ბათუმური ყავა, თურქულს რომ ეძახიან მაგანნი და რომელსაც არაფერი აქვს საერთო თურქულ ყავასთან, ბარმენმა კიდეც – მინერალური წყალი ლიმონით... გვიანობამდე ვისაუბრეთ, შუალამის ნამაზის სალოცავად რომ მოიხმო ხოჯამ სპერელები, ჩვენ დასაძინებლად წავედით...

### 19 აგვისტო 2024 წლისა.

ფერისცვალება გათენდა. დილით ვისაუზმეთ, სახელდახელოდ გადავწყვიტეთ ერზრუმში წასვლა. გვაქვს ინფორმაცია, რომ ერზრუმის მუზეუმში თავმოყრილია ერზრუმის გუბერნიის სიძველეები, ბუნებრივია, აქვე გვეგულება სპერისაც.

140 კილომეტრია ისპირიდან ერზრუმამდე. გზა კარგია, მგზავრობას მხოლოდ მიხვეულ-მოხვეული გზები ართულებს, ამასთან, თუ გავითვალისწინებთ გადასავლელ სამ უღელტეხილს, ზეკარს, ნათელი გახდება ისპირი-ერზრუმის გზის სირთულე.

მანქანა გამართულია, ექსპედიციის წევრების განწყობა კარგია, სხვა რაღა გვინდა...

**ჩანართი:** ერზრუმში გამგზავრებამდე, ადგილობრივი დროით რვის ნახევარზე, მალხაზმა მომავალი ფილმისათვის ინტერვიუ მთხოვა. თემური, მე და მალხაზი მდინარის სანაპიროზე ჩავედით და სპერის ციხის ფონზე ვისაუბრე ჭოროხის ხეობაში გავრცელებული ქართული დიალექტების შესახებ, კერძოდ, ალვნიშნე: ჭოროხის ხეობა ერთიანი კულტურული სივრცეა, სადაც ისტორიულად რამდენიმე ქვეყანა ჩამოყალიბდა, – აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი – ბაიბურთითა და ბასიანით. ჭოროხის მკვიდრთა მეტყველებას სამხრული მეტყველება ვუნოდეთ. დღეს სამხრულ მეტყველებაში გამოვყოფთ აჭარულ, შავშურ, კლარჯულ და ტაოურ

დიალექტებს. დასაანანია, რომ სპერელებმა დაივიწყეს წინაპართა ენა და არაფერი ვიცით სპერული დიალექტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ შავშური, კლარჯული და ტაოური დიალექტები ნაწილობრივ არის მოღწეული, სხვაგვარად, ქართული არ ისმის მთელს შავშეთის ქვეყანაში, კლარჯეთსა და ტაოში, შესაბამისად, ქვეყნები პირობითად დავყავით მეთურქულე და მექართულე ნაწილებად; თუმცა არსებული მასალებით შესაძლებელი გახდა შავშური, კლარჯული და ტაოური დიალექტების რეკონსტრუქცია, შეიქმნა დასახელებული ქვეყნების ლინგვისტური პორტრეტი, თითოეული დიალექტი აღინერა ცალკე მონოგრაფიაში...

მექართულე შავშები, კლარჯები და ტაოელები ორენოვნები არიან, – ფლობენ წინაპართა ენას და თურქეთის ქვეყნის სახელმწიფო ენას; მათი მეტყველებისათვის დამახასიათებელია სამეტყველო კოდების შერევა. ერთ ამბავს გავიხსენებ: ჩვენი ექსპედიცია კარჩხალას ხეობაში მუშაობდა, ბაზგირეთელი მასპინძლების თანხლებით. მიძნაძორის ტაძრის ნანგრევები დავათვალიერეთ, მუშაობას რომ მოვრჩით, გადავწყვიტეთ, ადგილობრივებს გავსაუბრობოდი. ტაძრის ტერიტორიაზე დღეს ერთი მიძნაძორული ოჯახის ყანაა, სიმინდი და ლობიო უთესიათ. ჰოდა, ამ ყანის პატრონ ქალბატონს ვთხოვეთ, მოეთხორო, რაც იცოდა ტაძრის შესახებ.

– მე ქართული არ ვიციო, ქალბატონმა, სცადა ჩვენი მოშორება (ცნობისათვის: კარჩხალას ხეობაში დღეს ქართული არ ისმის).

– ჩვენ ვიცით თურქულიო, ბაზგირეთელებმა, ჩვენ ვუთარგმნითო სტუმრებს თქვენს ნათქვამს.

დაიწყო ქალბატონმა თურქულად თხრობა, ბაზგირეთელმა მუსტაფა უზუნმა ითავა თარჯიმნობა, სიტყვასიტყვით გვითარგმნის გაგონილს. მოულოდნელად მთხოველი ქართულზე გადავიდა, ისე რომ ვერც მიხვდა, ქართულად გააგრძელა თხრობა. ბუნებრივია, თარჯიმანი გაჩერდა, თარგმნა აღარ იყო საჭირო...

„ახლა ამას გონია თურქულად ლაპარაკობსო“, – გადმომილაპარაკა მუსტაფამ.

შენიშნა რა, აღარ თარგმნისო, ქალბატონმა უსაყვედურა მუსტაფას, რატომ არ თარგმნისო.

– რა ვუთარგმნო, ნენი, შენ ხომ ქართულად ლაპარაკობო, – ქართულად მიუგო მუსტაფამ.

ასეთი შემთხვევები ბევრი შეგვხვედრია ჭოროხის ხეობის ქართველებთან თუ მუჰაჯირთა შთამომავლებთან მუშაობის დროს. ინფორმატორი თხრობას დაიწყებდა ქართულად და უნებლიედ გადავიდოდა თურქულზე. ჩვენს თხოვნაზე, ქართულად გვითხარი, თურქული არ ვიცითო, გაკვირვებით შემოგვხედავდა, აბა რა ენაზე გელაპარაკებითო.

ჭოროხის ხეობა წინათ ნაოსნობისთვის გამოიყენებოდა, მენავეებს ნავეები თუხარისამდე ამოჰყავდათ; ბუნებრივია, აქ შეიქმნა ნაოსნობის ლექსიკა, რომელიც ნარევი იქნებოდა, ქართულაზური. უნდა ითქვას, რომ დღეს უმეტესად დავინწყებულია ნაოსნობის ქართული ლექსიკა, ძველი მენავეები თურქულად საუბრობენ, ტერმინოლოგიაც თურქული აქვთ, თუმცა მათ თურქულში ქართულიც გამოერევა ხოლმე...

საუბარში გავიარეთ სპერი-ერზრუმის გზა. ჩავედით ერზრუმში. მუზეუმი დაკეტილი დაგხვდა, ვერც ერზრუმის ციხე დავათვალიერეთ იმავე მიზეზით. ქალაქში გავიარეთ, ცოტა ხანს ვიხეტიალეთ და სპერისაკენ ავიღეთ გეზი. დღის ბოლოს მშვიდობით დავბრუნდით სპერში.

კარგად ვიმგზავრეთ, თუმცა მგზავრობამ დაგვღალა...

## 20 აგვისტო 2024 წლისა.

დილით ადრე ავდექით. რვა საათია და უკვე ცხელა. ვისაუზმეთ, საგზალი მოვიმარაგეთ და გზას დავადექით, ქალაქს გავცდით და აღმართებს შევედექით. პირველად **დურუქო**ში მივედით. საყურადღებო დასახლებაა, დაბის ტიპის, სახლები ერთმანეთის გვერდიგვერდაა აშენებული (ასეა, რაც ვნახეთ, ყველა სოფელში), მოსახლეობა ერთად ცხოვრობს, ერთადაა თავმოყრილი. ასე სახლდებოდნენ, ალბათ, კუთხის მდებარეობის გამო: სპერი განაპირა ქვეყანა იყო და, შესაბამისად, შიშიანობაც მეტი იყო, ვფიქრობთ,

ასეთი დასახლების მიზეზიც ეს უნდა იყოს, თუმცა სხვაც იქნებოდა.

72 წლის ჰასან (ჩვენებურად – ხასან, ქვემოთ მეც ამ ფორმას გამოვიყენებ) ჩალიქი გავიცანით, სოფლის ამბებიც მან მოგვითხრო.

– რა ქვია თქვენს სოფელს?

– ახლა **დურუქო**, ძველად **კომპური** ერქვა, **ხურელიც**.

– ვინ ცხოვრობს ამ სოფელში?

– ჩვენ საქართველოდან რიზეში მოვსულვართ, ოფში, იქედან აქ ამოვსულვართ. ჩვენს მოსვლამდე ამ სოფელში 7 ოჯახი ყოფილა, **იბიჯალ**ები, ახლა აღარავინაა.

ჭოროხის ქვეყნებში ბევრი გეტყვით, ჩვენი წინაპარი საქართველოდან მოსულაო. ვფიქრობთ, ამ ნათქვამში ისიც იფარება, რომ მისი წინაპრები ქართველები იყვნენ. ახლა მათმა შთამომავლებმა წინაპართა ენა არ იციან, მათ ხსოვნაში მთლიანადაა წაშლილი ქართველობის ხსოვნა. ენის დავინწყების, ლინგვისტური ასიმილაციის უპირველესი შედეგია ეს, – წარსულის დავინწყება. „საქართველოდან მოსულაო“ ჩვენი წინაპარი, ამ გამოთქმაში ჯერაც ინავლება ქართველობის ხსოვნა, ამ გამოთქმით მოუბარი ხაზს უსვამს თავის წარმომავლობას, თორემ იქნებ არსაიდან არაა მოსული, იგი აქაურია, აბორიგენი, ღერლი.

– და სად წავიდნენ იბიჯალები?

– წავიდნენ, არ ვიცი!

– ხასან ბატონო, ახლა რა გვარები ცხოვრობენ თქვენს სოფელში?

**მაქასლარ**,

**კლიჩ**,

**აქთაშლარ**,

**იმამოღლულარ**,

**ხოჯაოღლულარ**.

„გვარების“ წარმოება ტიპიურია, საკუთარ სახელს (მეტსახელს) მრავლობითობის სუფიქსი აქვს დამატებული, ოსმალურ „გვარსაც“: **მაქასლარ** (შდრ.: მაქასები), **აქთაშლარ** (შდრ.: აქთაშები), **იმამოღლულარ** (შდრ.: იმამოღლე-ბი), **ხოჯაოღლულარ** (ხოჯაოღლები), ამათგან განცალკევებით დგას **კლიჩ**ი.

ყურადღებას მივაქცევ სოფლის სახელებს **კომპური** და **ხურელი**.

**ხურელი** < \***ხვრელი** 'საგან, ვ>უ'ს დასაშვები ფონეტიკური გარდაქმნაა სამხრულ მეტყველებაში.

**კომპური** (ისმის პარალელური ფორმებიც: **ქომფურ**, **ქონფურ**) ასე სეგმენტირდება: **კომპ-ურ**. -**ურ** ცნობილი სუფიქსია ქართულში, საძიებელია **კომპ** სახელური ფუძის მნიშვნელობა.

თუ გავითვალისწინებთ -**ურ** სუფიქსის ფუნქციას ტოპონიმებში, მიუთითოს ადგილის ვისიმე კუთვნილებაზე (ადგილის წარმომავლობაზე კუთვნილების თვალსაზრისით: რომელიმე **დავლაური** დავლას' კუთვნილია, **კოჩიბაური** – კოჩიბას...<sup>32</sup>, მაშინ **კომპ** // **კომპა** ადამიანის სახელი ან მეტსახელი უნდა იყოს. ხომ არაა **კომპა** < \***კოპა** 'საგან მ'ს განვითარებით? **კოპა** დაცულია გვარებში **კოპაძე** (შდრ.: **კობაძე**), **კოპეშავიძე** // **კობეშავიძე**. ბუნებრივია კითხვა: ხომ არაა **კოპა** **კოპა**'ს ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი? **პ:პ** ხშულთა მონაცვლეობა კანონზომიერია.

სოფლის თავზე ქილისეს ნანგრევებიანო, სომხური ეკლესიის. ამ კუთხეში ქრისტიანობასთან დაკავშირებული ყველაფერი ერმენებთან ასოცირდება, სხვა ბევრ რამესთან ერთად. კედლის ნანგრევებიანო მხოლოდ დარჩენილი...

– სოფლის უბნები გვასწავლე, – ვთხოვთ ხასანს.

**ტაშლი** (შდრ.: ქვიანი),

**ზიფძილარ** 'ზიფძელარ' (შდრ.: **ზიფძები**), რომელიმე ძე'ზედაბოლოებული გვარის ვარიანტი ხომ არაა?),

**იმამგილარ** (შდრ.: **იმამგილები**),

**ჩალიქლარ** (შდრ.: **ჩალიქები**),

**დედეგილარ** (შდრ.: **დედეგილები**),

**ბასმალიქ** (შდრ.: **ბასმალები**),

**ქონფურ** // **ქომფურ** – ჩამოთვალა ინფორმატორმა.

ჩანს, აქაც უბნების სახელები იგივე „გვარები“, სხვაგვარად, კომპურიც გვარობრივი დასახლების ნიშნულია. რაც შეეხება, **ქონფურ** // **ქომფურ**'ს, იგი **კომპურის** ფონეტიკური ვარიანტია.

გულუხვია ჩვენი ინფორმატორი, ხეობის სოფლებს ჩამოთვლის და ყველა სომხურიანო, დასძენს. აი ეს „სომხური“ სოფლებიც:

**ქომფურ** (// **კომპურ** // **ქონფურ**),

**ქოშქუსურ**,

**ჩადასურ**,

**გოლბათ**,

**გაბუშურთ**,

**დიზანს**,

**ქოლგუთ**,

**შერისტანს**.

სხვები არ ვიცი, მაგრამ **ქომფურ**'ს (// **კომპურ** // **ქონფურ**), **გოლბათ**'ს, **გაბუშურთ**, **ქოლგუთ**'ს ქართულ სახელებად მივიჩნევთ.

**კომპურის** შესახებ უკვე ვისაუბრეთ!

მოდით, ვცადოთ სხვების ახსნაც.

**გოლბათ** სეგმენტირდება: **გოლბა-თ**;

-**თ** მარავალ გეოგრაფიულ სახელში დასტურდება და სიმრავლეზე, უფრო კრებითობაზე მიუთითებს. ჭოროხის ხეობაში -**თ** სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები ბევრია<sup>33</sup>. საძიებელია **გოლბა** სახელური ფუძის მნიშვნელობა. **გოლბა**, **გოლდა** ანთროპონიმია, დადასტურებული ქართულ კულტურაში (იხ. ლლონტი, 1986). **გოლბა**, **გოლდა**, **გოლბა** ერთი რიგის სახელები ჩანს.

**გაბუშურთ** ტოპონიმის სეგმენტირდება: **გაბუშ-ურ-თ**. საინტერესოა **გაბუშ** ფუძის მნიშვნელობა. აღვნიშნავთ, რომ დასტურდება ანთროპონიმები: **გაბუ**, **გაბუნა**<sup>34</sup>, **გაბრუში** (გვარში – **გაბრუშიძე**). ამავე რიგისა ჩანს **გაბუში**ც.

<sup>32</sup> მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის შავშური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბ., 2022, გვ. 225.

<sup>33</sup> მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის შავშური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბ., 2022, გვ. 217-219; მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის კლარჯული დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბ., 2023, გვ. 151-153; მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის ტაოური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი), თბ., 2024, გვ. 202-203.

<sup>34</sup> ალექსანდრე ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.



იქნებ, **გაბუში>\*გაბრუშ**’ს რ’ს განვითარებით. **გაბუშური**’ მეტსახელი გვარი ჩანს, იგი ანალოგს პოულობს ხევსურულთან, სადაც „-ურ სუფიქსი სახელ-გვარებს აწარმოებს: **ჩალხი – ჩალხური, ბუჩუკი – ბუჩუკური, არაბა – არაბული**...“<sup>35</sup>. ვფიქრობთ, ამავე რიგში უნდა განვიხილოთ **ბაიბურთი**, რომელიც სეგმენტირდება: **ბაიბ-ურ-თ**’ი. საძიებელია **ბაიბ**’ სახელური ფუძის მნიშვნელობა; იგი ადამიანის საკუთარი სახელი უნდა იყოს. აღვნიშნავთ, რომ დასტურდება საკუთარი სახელები **ბაიდა, ბაიდო**<sup>36</sup>.

**ქოლგუთ** დაიშლება: **ქოლგ-უთ**’. -უთ სუფიქსის შესახებ უკვე ვისაუბრეთ, ვიტყვით, რომ იგი ქართულია. საძიებელია **ქოლგ**’ ფუძის მნიშვნელობა. უტყუარია, რომ გეოგრაფიული სახელის ფუძე ქართული წარმოებისაა.

ხეობაში გაშენებული რვა სოფლის სახელიდან ოთხი ქართული ჩანს. ძნელი დასაჯერებელია, ერმენებს თავიანთი სოფლისათვის ქართული სახელი ეწოდებინათ.

– ლია, ვკითხვით ხასანს, რას თესავდნენ კომპურელები ძველად, ახლა რომ არაფერს თესვენ, ჩანს.

– პური ითესებოდა, ჭვავი, ლობია, ქართუ...

**ქართუ**’//**ქართო**’ კარტოფილის მნიშვნელობით ტაოში იხმარება, სპერშიც დადასტურდა.

– პურის ჯიშები ხომ არ იცით?

– **ქირიქ** (კილიანი ხორბალი), **თოფაში**, – თავთავი მრავალმარცვლიანია.

– ხილი რა მოდის ამ სოფელში?

– **არმუთ**’, **ელმა**...

– ადგილის სახელები მოვიკითხოთ, ოღონდ – ძველი, რეფორმამდელი მაინც თუ იციან, თორემ თანამედროვე გეოგრაფიული სახელები არაფერს გვეუბნება.

– ხასანი ჩაფიქრდა, შემდეგ დაიწყო:

**სივასლარ**’, შდრ.: სივასები.

**ერზუთლარ**’, შდრ.: ერზუთები.

**აოუთლერ**’, შდრ.: აოუთები (იქნებ – არნოუთები?).

**არმუთლერ**’, შდრ.: მსხლები (სხლობანი, სხალთა).

**მუნიას**’,

**ქაზინქ შაჟა**,

**ეჟნაფურ**’,

**ქაბაქ თეფე**,

**ფირთიქ**’,

**ხინდიმ**’,

**ალაჩ ქილისე**, შდრ.: ხის ეკლესია.

**დორდ ოუქ**’,

**ერდუდუმ ბაში**,

**თაშ ბაში**, შდრ.: კლდის თავი.

აშკარაა, რომ ადგილის ძველი სახელები არ იცის ინფორმაცორმა. დასახელებული გეოგრაფიული სახელები ახალი ჩანს, ვფიქრობ – რეფორმის შემდგომი<sup>37</sup>.

ყურადღება მიიქცია ერთმა ამბავმა: სოფელში ყეენობის მსგავსი დრამის შესახებ მოგვითხრობენ, „აქლემის თამაშს“ ვეძახითო, ქალბატონმა თინამ ჩაინერა, სხვა ამბით გაართულმა ბოლომდე ვერ მივაღწევნე ყური...

საინტერესო დარჩა ჩვენთვის სოფელი კომპური, კარგი ამბები შევკრიბეთ. ადგილის სახელების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ მიწაზე უწინ ქართველებს უცხოვრიათ, ვფიქრობთ, დღესაც ბევრი მათი ჩამომავალი ცხოვრობს.

კომპურის შემდეგ **ალაჩ ქილისეს** (შდრ.: ხის ტაძარი) სანახავად წავედით. გამცილებლებიც გვყავს დავუთ აქტაში (62 წლის) და ხასან ჩელიქი (72 წლის).

ეკლესია და მასთან ციხეც ზღვის დონიდან 2610 მეტრზეა, ალპურ ზონაში. ადგილზე მისულელებს კითხვა გაგვიჩნდა: ბუნებრივია, აქ მუდმივი მოსახლეობა არ/ვერ იქნებოდა, მაშინ რისთვის ააშენეს ეკლესია და ციხე ამ სიმაღლეზე?

<sup>35</sup> ალექსი ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 2023, გვ. 86.

<sup>36</sup> ილია მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები, თბ., 1990.

<sup>37</sup> 1959 წლიდან თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური ბრძანებით დაიწყო ძველი სახელების ახლით შეცვლა. სახელებისათვის გეოგრაფიულ პუნქტს ახალ ნიშანს ურჩევდნენ, იშვიათად ძველ სახელსაც ტოვებდნენ...

გზაში გამცილებელმა ერთი ამბავი მოგვითხრო, განსხვავებული ვერსიით მსგავსი ტაოშიც ჩავინერეთ:

„ერთ დღეს მღვდელმა რძალი გაუშვა წყალზე. წყაროზე მისულს წყალი გაყინული დახვდა. მღვდელს აცნობა რძალმა წყლის გაყინვის შესახებ. აქ აღარ იცხოვრებო, მღვდელმა, აიყარნენ და სხვაგან გადასახლდნენ“ – გვითხრა ხასან ჩელიქმა. ქალბატონი თინა მსგავს ამბავში „მარადიული გაზაფხულის“ მითოსს ხედავს<sup>38</sup>.

ციხე ფერდობზეა აშენებული, ეკლესია – გალავანს გარეთ, მინდორზე. შემორჩენილია ციხის გალავნის ნარჩენები და ეკლესიის ნანგრევები.

უპირველესად ციხის მოცულობა იქცევს მნახველის ყურადღებას. სიგანე 72 ნაბიჯია, სიგრძე – 95. უხეში ანგარიშით 6840 კვადრატული მეტრია. გალავნის კედლების სისქე 2 მეტრზე მეტია, ზოგიერთ ადგილას 3 მეტრამდე. ციხის ტერიტორიაზე რამდენიმე შენობის კვალი ჩანს, რომელთა კედლები დაუმუშავებელი ქვითა და დულაბითაა ნაშენი.

ციხის გალავნის კედლები მიწამდეა მორღვეული.

გალავნის კედლებში ჩანს კოშკების (8) კვალი.

აქაც ამოულწევიათ „არქეოლოგებს“, ალთუნი უძებნიათ, საკმაოდ ღრმა თხრილები გაუჭრიათ. არ ვიცით, იპოვეს თუ არა ხაზინა, გვარია-ნად კი გარჯილან.

ციხიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში დაილა, იქნებ ძველი ნასოფლარიც. ძველად ხომ სოფლები მაღლა, მთებში იყო გაშენებული, გვიან გადასახლდა სოფელი ხეობაში, ძველი სოფელი კი საზაფხულო სადგომად აქციეს.

ეკლესია, ის აღარ ქილისე, რომლის სახელსაც ეს ადგილი ატარებს, ციხის გალავანს გარეთაა. მთლიანად ნანგრევებადაა ქცეული ეკლესია, დღეს შეუძლებელია მისი მოცულობის ზუსტად განსაზღვრა, თუმცა ერთის თქმა შეიძლება:

აღარ ქილისა დიდი ნაგებობა უნდა ყოფილიყო დულაბითა და დაუმუშავებელი ქვით ნაგები.

ვათვალიერებთ გარემოს. სივრცე დიდია, ციხიდან ჩანს მთელი ხეობა. შეიძლება ითქვას, ციხე სტრატეგიულ ადგილასაა აშენებული, მისი მფლობელი კარგად აკონტროლებს შემოგარენს.

ბუნებრივი კითხვა გვებადება: აქ, მთის კალთებზე, ალპურ ზონაში, 2610 მეტრ სიმაღლეზე რატომ ააშენეს ციხე და განსაკუთრებით ეკლესია? კარგი, ციხეს სათვალთვლო, სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ ეკლესია? ვფიქრობთ, ჩვენს კითხვაზე თუ კითხვებზე პასუხი, ჩვენი მხლებლების მონათხრობშია. დავუთ აქტაშის თქმით, აქ საქარავნე გზა გადიოდა, ხასან ჩალიქმა დააზუსტა, აბრეშუმის გზაო. შესაძლებელია, ეს უსახელო ციხე მასპინძლობდა მექარავნეებს, შემდეგ კი აცილებდა მეზობელ ციხემდე. ეს ადგილი, სადაც დღეს ციხისა და ეკლესიის ნანგრევებია, წინათ გზაჯვარედინი უნდა ყოფილიყო, გზაგასაყარი, საიდანაც გზა მიდიოდა ერთის მხრივ ჭოროხის ხეობისაკენ, იქიდან კი – ჭოროხის სხვა ქვეყნებისაკენ; მეორეს მხრივ – ერზრუმისაკენ. მექარავნეების სამსახურში იყო ციხის გარეთ ეკლესიაც. ვფიქრობთ, ციხიდან ერთ კილომეტრში რომ დაილა, წინათ აქ სპერული სოფელი უნდა ყოფილიყო ქრისტიანი მოსახლეობით.

ციხის წინ ფერდობებზე დღესაც შეამჩნევს კაცი ძველი გზის ნაკვალევს...

მაღხაზმა და მე კარგა ხანს ვიარეთ ციხის წინ მთის ფერდობებზე, ძველი საქარავნე გზით ფერდობის მეორე მხარეს გადავედით, იქიდან გადავხედეთ ხეობას და სპერის სანახებს ზოგადად...

თემურმა გაღმა ფერდობებიდან გადაიღო ციხე...

ბევრი გამვლელ-გამომვლელი უნახავს ამ ციხეს საუკუნეების წინ, მრავალი სტუმარი მიუღია და გაუცხილებია, დღეს ჩვენ ვსტუმრობთ...

<sup>38</sup> თინა შიოშვილი, ისტორიული სამხრეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, III, ტაოური ფოლკლორი, ბათუმი, 2022, გვ. 95-100.

ეკლესიის წინ, მინდორზე, მთის წყარო მოჩქევს, ცივი და საამო. საგზალი დილით შევიძინეთ სპერის მაღაზიაში, ხასან ჩალიქს სახლში გამომცხვარი პური და საზამთრო წამოვღო. წყაროსთან გავშალეთ სუფრა და ვისადილეთ. ნარჩენები ავაღაგეთ და მანქანაში ჩავსხედით.

მზე ზენიტშია, მწველია მთის მზე. დღეს ვიკადრე და ქუდი/კეპი დავიხურე, ჯერაც არ მომრჩენია ხიხაძირის მზით მიღებული დამწვრობები...

შუადღე გადასული იყო, ციხიდან რომ წამოვედით. სოფელში ჩამოსულები დავემშვიდობეთ ჩვენს გამცილებლებს, – ხასან ჩალიქსა და დავუთ აქტაშს და მორიგ სოფელში წავედით.

სოფელი **ირმაქქოჲ**, ძველი – **ქოშქოსორი (კოშკისხევი?)** ხეობაშია გაშენებული. იგი ალვის ხეებითაა შემოზღუდული, სოფლის გარეთ ჩანს ყანები, უმეტესად ლობიო და კარტოფილი (ქართოლი) უთესიათ.

სპერის ლობიო თანამედროვე სპერელთა სავიზიტო ბარათია. ლობიო არც სარისაა (აჭარაში ხაშრის ლობიოს რომ ეძახიან), არც ძირა, პატარა სარებზეა მოხვეული, უფრო პატარებზე ჩვენთან პომიდვრისთვის რომ იყენებენ. უკვე აღვნიშნე, ძვირად ფასობსო თურქეთში აქაური თეთრი ლობიო, 350 ლირა ღირსო.

ქოჩან ხანიფი გემასპინძლობს, უფრო სოფლის შესახებ ცოდნას გვიზიარებს.

იზმირელი პროფესორები იკვლევდნენო ქოშქოსორსა და მიმდებარე დასახლებებს და დაარწმუნეს ხალხი, რომ ესენი სომხური სოფლებია, არადა მოსახლეობის სულ 7% სომეხი. სინამდვილეში აქ თურქები ცხოვრობენ. ჩვენს სოფელში, ქოშქოსორში სელჩუკებისდროინდელი არქიტექტურაა, თუმცა უკვე აღარცაა, ჩვენი წინაპრები წავიდნენ აქედან, ძველი სახლებიც დაინგრა. გაგვიგონია, აქ გურჯები იყვნენო ცოტა, ქურთები – არა. ჭოროხისპირებში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ ყივჩაღები, ჩვენ სელჩუკი თურქები ვართო.

იზმირელი პროფესორები იქნებ ირმაქქოჲს ძველ სახელზე – ქოშქოსორზე დაყრდნობით ას-

კვნიდნენ, რომ სომხური სოფელიაო. მართლაც, **ქოშქოსორ' სორ'** დაბოლოებიანი ტოპონიმია, ეს უკანასკნელი კი სომხურია და ხევს ნიშნავს, **ქოშქ'** (თ. Köşk) კიდეც – კოშკს.

ქოჩანის ნაამბობიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანია:

– რომ გადმოცემით აქ გურჯები ცხოვრობდნენ.

– რომ ჭოროხისპირებში ქართველებთან ერთად „ყივჩაღები“ ცხოვრობდნენ.

მეორე ინფორმაციაა, რომელმაც აქ ქართველების მოსახლეობა დაადასტურა, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ყივჩაღების ჭოროხის ხეობაში ცხოვრებას, ვფიქრობთ, წიგნის გზით გავრცელებული ინფორმაციაა. მხედველობაში გვაქვს კირზიოლლუს მოსაზრება, რომ შავშეთსა და მიმდებარე „ქვეყნებში“ ყივჩაღები ცხოვრობდნენო. მახსოვს, შავშეთში, მიქელეთში – მთის სოფელში გვითხრა ერთმა მთიბავმა – ჩვენ ყივჩაღები ვართო; საიდან ან რატომ იყო ყივჩაღი, არ იცოდა. სამაგიეროდ ამ მეთურქულ სოფლის მკვიდრმა იცოდა ბევრი ქართული სიტყვა, იცოდა ძველი ტოპონიმები, რომელთა უმეტესობა ქართულია... ყველაფერი აჩვენებდა, რომ მიქელეთი ქართული სოფელია, ხოლო მიქელეთელი „ყივჩაღი“ ძველი შავში – დღეს მშობლიურენადაკარგული.

თუ ასეა, როგორაა სოფლის აბორიგენი მოსახლეობა ყივჩაღი? ალბათ იმიტომ, რომ რამდენადაც ყივჩაღები თურქული მოდგმის ხალხია და რამდენადაც ისინი ჭოროხის ქვეყნების ძველი მოსახლეობაა, თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ყივჩაღების სამკვიდროს ყოფნა ბუნებრივია. მარტივად რომ ვთქვათ: ყივჩაღები თავიანთ სამშობლოში ცხოვრობენ, აქაური თურქებიც მშობლიურ კუთხეში ცხოვრობენ, თავიანთი ნათესავების სამკვიდროში. არავინ კითხულობს (ადგილობრივი მოსახლეობა გვყავს მხედველობაში) რატომაა ყივჩაღები ჭოროხის ხეობის მკვიდრი მოსახლეობა, რატომაა ჭოროხის ხეობაში გაშენებული ძველი ქართული

ქვეყნები მათი სამშობლო მაშინ, როდესაც ყივჩაღთა სამშობლო ჭოროხიდან შორს, ახლანდელი რუსეთის სტეპებშია.

მთავარი ისაა, რომ ჭოროხისპირებში „ყივჩაღებს“ ქართველებთან ერთად არ უცხოვრიათ და არც ჭოროხის ქვეყნებია მათი ისტორიული სამშობლო.

– ერმენები მუსულმანები იყვნენ თუ ქრისტიანები? – კითხულობს მალხაზი.

– ქრისტიანები!

– გურჯები?

– გურჯები გამუსლიმანდნენ, ერმენები – არა, – ამბობს ქოჩანი.

საყურადღებო ინფორმაციის მატარებელია ჩვენი მთხრობელი.

დიახ, ერმენები ქრისტიანები არიან, მაგრამ ყველა ქრისტიანი ერმენი არაა. ბევრი მათგანი სომხურ ეკლესიას შეფარებული ქართველია.

ქოჩანი იტყვის, აქ ერთი უბანი გვაქვს, ძველად **გაბუშურთ** ი ერქვა, ახლა – ქარიშართი ქვიაო.

მალა მთას რომ ვხედავთ, **იასამანი** ქვია.

ხევს სახელი არ აქვს.

ამ კლდეს კიდეც ურარტუს დროს როგორც ციხეს იყენებდნენო, ქოჩანმა.

სოფლის მიკროტოპონიმია არ იციან ინფორმატორებმა. ვფიქრობთ, სოფლის მოსახლეობა ახალია. სოფელში ისტორიული მეხსიერების ჯაჭვი განყვეტილია, რისი მთავარი მიზეზი სწორედ მოსახლეობის ცვლაა...

ყურადღებას იქცევს ორი გეოგრაფიული სახელი: **გაბუშურთ** ი და **იასამანი**.

**გაბუშურთ** ის შესახებ უკვე ვისაუბრეთ.

**იასამანი** მთის სახელია.

**იასამანი** მცენარეა, *Syringa vulgaris* L. მესხეთში **ლეილალს** ეძახიან<sup>39</sup>.

**იასამანი** ქართული სახელია.

სალამოს 6 საათი სრულდება. წინ საკმაო გზა გვიდევს. დროა, სპერში დავბრუნდეთ. ქალაქისაკენ მიმავლები მიკროავტობუსის უცნობმა მძღოლმა გაგვაჩერა, რალაც უნდა გაჩვენოთო,

უზბნება ტარიელს და ტელეფონი მიანოდა, თან დასძინა:

– დილით ბენზინგასამართზე დაგინახე, თქმა ვერ მოვასწარი, აქ ოქრო (უფრო – ხაზინა) თუ იქნებაო, – ჩვენთვის უცნობი ადგილის ფოტოს აჩვენებს.

– ეს რა არის? – კითხულობს გაკვირვებული ტარიელი.

– დაუბრუნე ტელეფონი და წავიდეთ, – გადაულაპარაკა ტარიელს ზაზამ.

– ამ სულელს ოქროსმადიებლები ვგონივართ, ვერაფრით იჯერებენ, ბათუმიდან რამდენიმე ასი კილომეტრი გამოვიარეთ, ამ მთის სოფლებში რალაც ამბების ჩასაწერად დავდივართ და განძს არ ვეძებთ. ეჭვით უყურებენ ჩვენს საქმიანობას.

ეჭვიანობაც იყო ერთი მიზეზი კომპურში ერთი ახალგაზრდა ქალის განიწმამებისა. სოფლის ცენტრში, ჯამის წინ ვისხედით ექსპედიციის წევრების ნაწილი (ნუგზარი და ზაზა ჩვენთან არ იყვნენ, თემური და გული კიდეც სოფლის ორლობებში გავიდნენ გადასაღებად და ადგილობრივებთან სასაუბროდ) და კომპურელებს ვესაუბრებოდით. ერთმანეთს კარგად გავუგეთ, საუბარიც აგვეწყო... ინფორმაცია გვექონდა, კომპური ქართული სოფელიაო. ადგილზე გვსურდა დაგვედგინა სოფლის მკვიდრთა ვინაობა. ჩვენს საუბარში ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად მოვიდა სტამბულის ისლამის უნივერსიტეტის მაგისტრანტი ვინმე აიშე და შემოგვიტია:

– ვინა ხართ და საიდან მოსულხართ, თუ გაქვთ აქ წერის ნებართვა?

– წიგნს ვწერთ სპერზე, – თავაზიანად უპასუხა ლიამ, – თან კონსულის ნებართვაც გვაქვს.

– მერე წიგნში დანერთ, რომ მასალები აქაა ჩაწერილი?

– დიახ, ამხელა გზა იმიტომ გამოვიარეთ, რომ თქვენი ამბები/ისტორიები ჩაგვენერა, თქვენს ცხოვრებას გავცნობოდით, წიგნშიც თქვენი სახელით შევიტანთ...

<sup>39</sup> ალექსანდრე მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, მცენარეთა სახელწოდებანი, თბ., 1991.

ამკარად არ მოენონა აიშეს ლიას აუღელვებელი საუბარი. გაბრაზებულმა ჩვენთან სასაუბროდ მოსულ მეზობლებს შეუტია, უფრო უბრძანა: ნუ აწერინებთ ყველაფერსო!

აიშემ სტუმარ-მასპინძლობის ყველა წესი დაარღვია: შეურაცხყოფა მოგვაყენა სოფლის სტუმრებს, შეურაცხყო მეზობლები, ასაკოვანი ხალხი, სიამოვნებით რომ გვიზიარებდნენ თავიანთ ცოდნას. უცნაური ის იყო, რომ აქ მყოფთაგან ვერავინ გააპროტესტა აიშეს საქციელი, არ მოენონათ კი.

ვისხედით და ვუსმენდით აიშეს შეგონებებს. ამასობაში ზაზა და ნუგზარი მოვიდნენ. ზაზამ აუხსნა აიშეს ჩვენი მოსვლის მიზეზი და მიზანიც. არ დანყნარდა აიშე, თავისას აგრძელებდა. როგორც ვთქვი, ჩვენი რიზელი კოლეგა, გულ მუქერემ ოთურქი ამ დროს ჩვენთან არ იყო, თემურ ტუნაძესთან ერთად მეზობელ შუკაში მუშაობდა. მოგვიანებით შეხვდა „აიშე გამარჯვებულს“, დანახვისთანავე ამოიცნო, ვინც იყო: აიშე ფეთოჯი ყოფილა, ფეთქულა გიულენის მიმდევარი... ადვილად მოგვაშორა გულმა არამკითხე. ბუნებრივია, ჩვენი საქმე არაა, ვინ ვისი მიმდევარია, არაა ეს ჩვენი განსასჯელი, მაგრამ აიშეს ქცევას გამართლება ვერ ექნება, უბრალოდ სტუმარს ასე არ ექცევიან. ბარემ აღვნიშნავ, რომ არც კომპურელებს ეშლებათ სტუმართან ურთიერთობა...

## 21 აგვისტო 2024 წლისა.

უკვე ერთი კვირა გავიდა, რაც სპერის სოფლებში დავდივართ და სპერს ვსწავლობთ. უპირველესად ქართულ კვალს ვეძებთ სპერის ყოფაში, – მეტყველებაში, ფოლკლორში, ეთნოლოგიაში, მატერიალურ კულტურაში.

ყურადღებას იქცევს, რომ დღემდე უმეტესად გვესმის: უწინ აქ ერმენები ცხოვრობდნენ, ისინი წავიდნენ, ჩვენ მოვედითო.

კითხვაზე, თქვენ რა ეროვნებისა ხართ?

გვპასუხობენ, – თურქებიო.

ერთ სოფელში გვითხრეს, „კავკასიელი თურქებიო“.

ბუნებრივია, გაგვიჩნდა კითხვა: რას გულისხმობენ „კავკასიელ თურქებში“, ერმენებში, თურქებში, ყიფჩაღში.

ხომ არაა თურქი ნახმარი ფართე მნიშვნელობით და აღნიშნავს როგორც ეროვნულ კუთვნილებას, ისე რელიგიას, – მუსულმანობას?

ანალოგიურად ერმენი აღნიშნავს როგორც სომეხს, ასევე სომხურ ეკლესიას შეფარებულ სხვა ერის წარმომადგენლებსაც, მათ შორის ქართველსაც...

რამდენიმე სოფელში გვითხრეს, რომ აქ, ჭოროხის ხეობაში, ყიფჩაღებთან ერთად გურჯებსაც უცხოვრიათ...

კითხვები ბევრი დაისვა, მომავალშიც დაისმება, შევეცდებით, ამ და სხვა კითხვებს გავცეთ პასუხი. ბუნებრივია, ზოგიერთი კითხვა პასუხგაუცემელი დარჩება, მომავალი გასცემს პასუხს.

კითხვის დასმაც კვლევის ნაწილია, დამსმელი თუ ვერ გასცემს პასუხს, სხვას დააფიქრებს...

დღეს ექსპედიციას მერაბ ხალვაშიც შემოუერთდა, ამ დილით ჩამოვიდა ირაკლი კორძაია-სთან ერთად. ირაკლი ტურიზმის ფაკულტეტის დეკანია ბათუმის უნივერსიტეტში. ხშირად შეხვედებით ახალგაზრდა დეკანს სტუდენტებთან ერთად ჭოროხის ხეობაში. გუშინ წარმატებით გაიარა უნივერსიტეტმა ავტორიზაცია და მერაბსაც შესაძლებლობა მიეცა, სპერში ჩამოსულიყო...

ჩვენი დროით შუადღის სამის ნახევარი იყო, **ახლათლში** რომ ავედით. იგი ხეობის ბოლო დასახლებაა. გვსურს, ზემოდან ჩამოვყვეთ და გავიცნოთ ხეობა და მასში გაშენებული სოფლები. გაღმიდან ვათვალიერებთ სოფელს: სახლები ერთადაა თავმოყრილი, დაბის ტიპის დასახლება უბნებადაა დაყოფილი, სოფლის გარეთაა სავარგულები და ბაღები.

ჯამესთან გავაჩერეთ მანქანა, ჩამოვედით, არავინ ჩანს.

ნუთუ არავინაა ახლათლში?

გული ორლობეში გაუჩინარდა, მალე მოამბესთან ერთად დაბრუნდა. ინფორმატორი ახალთლეღია, არდადეგების გასატარებლად ჩამოსულა სოფელში.

მოგვესალმა!

– რა ქვია თქვენს სოფელს? – ვკითხულობთ.

– **ახლათლი – პანტა** (ბანდასაც ამბობენო), მსხალი.

– კიდევ ერთი ქართული სიტყვა გავიგონეთ, ვეუბნები ლიას.

იგრძნო რა ჩვენი აღფრთოვანება **პანტის** გაგონებაზე, „ხილთა ქებას“ მოყვა მთხრობელი: ძალიან გემრიელიაო აქაური ხილი, ვაშლი მოგვართვა, არდასაწუნი...

სოფლის ძველი სახელია **დანზუთი**. თურქული სიტყვა უნდა იყოსო, არ ვიცი, რას უნდა ნიშნავდესო.

**დანზუთ'** სეგმენტირდება: **დანზ-უთ** (იქნებ **ტანძ-უთ?**). **-უთ** სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები სხვა სოფლებშიც შეგვხვდა. სახელი ქართული წარმოებისა ჩანს, **დანზ'//ტანძ'** სახელური ფუძის მნიშვნელობაც თუ გაირკვევა?! – ვამბობ ხმამაღლა. **ტანძ'** იგივე სახელური ფუძეა, **ტანძია**ში რომ გვაქვს.

– ამ ხეობაში გურჯები ცხოვრობენ?

– გურჯები აქ არ გამიგია, ჩვენს სოფელში თურქები ცხოვრობენ მხოლოდ, არც სომხები არიან ჩვენს ხეობაში!

– სოფლის უბნების სახელები გვითხარით! – ღია უთარგმნის ჩემს თხოვნას.

**თახთალ მაჰალე,**

**ქარში მაჰალე,**

**მერქეზ მაჰალე,**

ჩამოთვალა მურათმა.

თახთალის უბანში ორი გვარიაო: **თახთალ'** და **დალ'**.

– სოფლის ადგილებს, ყანას, ბახჩას, ხევს... სახელები ექნება, ჩაგვანერინოს, – ვეუბნები ლიას.

მურათმა დაასახელა რამდენიმე ტოპონიმი:

**ანჩირთ',**

**\*პარმანდუზი,**

**ქუშაქბაშ',**

**\*შორაქლარ'** – მარილიანს ნიშნავსო.

**\*პარმანდუზი** ქართული გამოთქმით **ხარმა-ნდუზია**, იგივეა, რაც **კალოს მინდორი**.

**\*შორაქლარ**, შდრ.: შორაქები, რალაცის ან ვილაცის სიმრავლეს აღნიშნავს.

– სოფელში რა გვარები ცხოვრობენ?

– მურათი ჩაფიქრდა, მცირე ხნის შემდეგ დაიწყო:

**ქარამანი,**

**ქაზანი,**

**თემირჯი,**

**დემირჯი,**

**ჟარარ** (<\*ჟარალ?),

**თახთალ',**

**დალ',**

**ჯეილან'**, – დაასრულა მურათმა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



## ტინა ჩიკვაძე

### აჭარული კოსმოგონია

ქართველთა უპირველესი სააზროვნო მოდელის უმნიშვნელოვანეს მემკვიდრეობას – მითოსურ ნარატივებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია. ქართული წარმართული პანთეონისა და მითოლოგიის განვითარება ძირითადად შეწყდა საქართველოში ქრისტიანობის მიღებასთან ერთად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზეპირმა ტრადიციამ მითები საკმაო რაოდენობით დაიცვა და შემოინახა. მათში ხშირად უძველესს, წარმართულს, მოგვიანო ხანის ქრისტიანული ელემენტებიც გადაეჯაჭვა და ახალი, ქრისტიანული მითოლოგია და დემონოლოგია ჩამოყალიბდა. ქართველთა არქაულ-რელიგიური და მითური წარმოდგენების შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს სხვადასხვა ქართველურ ტომებში მათ მეტ-ნაკლებად განსხვავებულ განვითარებას, თუმცა, უდავოს ხდის საერთო წარმოშობას და მტკიცე ერთობლიობას.

მითოლოგიური თქმულებები გვხვდება როგორც პროზის, ისე ლექსის ფორმით; ხშირია მათი პარალელური, ანუ შერეული, ფორმით არსებობაც. მითოსურ ზეპირსიტყვიერ ძეგლებს რიტუალური ხასიათი ჰქონდა; მითოპოეტურ ნიმუშებს ფერხულებში მღეროდნენ და, ბუნებრივია, ამგვარმა ტრადიციამაც შემოინახა და ჩვენს დრომდე მოიტანა ქართული მითების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა ყველაზე არქაული პლასტები დიდი დედის, ბუნების ღვთაების მრავალსახოვან კულტს უკავშირდება; ესენია მითები წყლის, კლდეების, ნადირთა მწყემსის, ადგილის დედისა და ადამიანთა ურთიერთობის შესახებ. ამგვარი თქმულებები ნადირობის, მეთევზეობის, უფრო გვიან კი მესაქონლეობის ინსტიტუტთანაა დაკავშირებული. დალისა და ბეთქილის ლექსები, თქმულებები ვეშაპზე, ხოგაის მინდიაზე, ხვთისშვილთა დევებთან ბრძოლის ამსახველი ლექს-სიმღერები და თქმულებანი ქართული მითოლოგიის მდიდარ მასალას წარმოადგენს.

მითოსი, როგორც მსოფლმხედველობითი ტექსტი, შეიცავს ფუნდამენტურ, არსებით წარმოდგენებს სამყაროზე, ადამიანზე, სამყაროში არსებულ საგნებზე თუ მოვლენებზე, მათ პირველქმნადობასა და დანიშნულებაზე; ამისდა მიხედვით, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ისევე როგორც სხვა ხალხთა ფოლკლორულ მემკვიდრეობაში, მითის რამდენიმე სახეობა არსებობს:

1. კოსმოგონური მითები, რომლებიც მოგვითხრობენ სამყაროს წარმოშობაზე;
2. ესქატოლოგიური მითები, რომლებიც მოგვითხრობენ სამყაროს დასასრულზე;

3. ნატურალური მითები, რომლებიც მოგვითხრობენ ბუნების ცალკეულ მოვლენათა შესახებ;

4. ეტიოლოგიური მითები, რომლებიც ხსნიან ამა თუ იმ მოვლენათა მიზეზებს. არსებითად ეს ჯგუფი ნატურალურ მითებს განეკუთვნება და შესაძლებელია, ცალკე არც გამოვყოთ.

ყველა განვითარებული მითოლოგიური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია კოსმოგონია – სამყაროს შექმნა. კოსმოგონიური მითები მითოლოგიის ჩამოყალიბების შედარებით გვიანდელ საფეხურზე იქმნებოდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ადრეულ ხანაში ადამიანის მიერ აღქმული სამყარო იმთავითვე კოსმიურ მასშტაბებს ვერ სწვდებოდა; ყოველი საზოგადოებისთვის კოსმოსი მისი ემპირიული ცოდნის ზრდისა და ცნობიერების განვითარების მიხედვით ფართოვდებოდა.

მსოფლიოს ხალხთა მითოსურ შემოქმედებაში ვხვდებით სამყაროს შექმნის მრავალფეროვან ვარიანტებს, მაგრამ წმინდა სახით კოსმოგონიური ამბავი არ დასტურდება არა მარტო ქართული მითოლოგიის დონეზე, რომელიც შორეული წარსულის კუთვნილებაა, არამედ კავკასიაში მოსახლე ხალხების მითოლოგიების ბევრად უფრო გვიანდელ საფეხურზეც არ ჩანს მითი-ამბავი, რომელშიც მოთხრობილი იქნებოდა, თუ როგორ წარმოიშვა სამყარო, რა ძალები ჩაერთვნენ მის შექმნაში და როგორი სახე მისცეს მას. ყველაფერი, რასაც მოგვითხრობენ კავკასიელები, უკვე შექმნილ სამყაროში ხდება; ამდენად, „კოსმოგონიური მითოსის არარსებობა კავკასიური მითოლოგიის ნიშნადაც შეიძლება მივიჩნიოთ“ (სიხარულიძე, 2006:231). აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველი მითოლოგიური ტექსტი არსებითად კოსმოგონიური ხასიათისაა – მოგვითხრობს ამბავს ან მთელი კოსმოსის, ან მისი რომელიმე ნაწილის შესაქმნეზე.

მითოსს სამყაროს შექმნისა და პირველი ადამიანის გაჩენის შესახებ, ანუ კოსმოგონიურ მითოსს, მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერება იცნობს. მონოთეისტთა რწმენა-წარმოდგენები ამ საკითხზე ბიბლიურ მონათხრობებს თანხვდება, თუმცა შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ფანატიზმი იქამდეც მიდიოდა, რომ შესაქმნის ზუსტ თარიღსაც კი ასახელებდნენ.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც გვხვდება ბიბლიური შესაქმნის გახალხურებული ვერსიები, რომლებიც გვიანდელია და აშკარად წიგნიერი წარმომავლობისაა.

როგორც სვანური მითოსური ნარატივი მოგვითხრობს, ღმერთმა ჯერ შექმნა ცა, შემდეგ მოავლინა ექვსდღიანი წვიმა და რამდენი წვეთიც წამოვიდა, იმდენი ანგელოზი გაჩნდა; მერე შექმნა მიწა და შემდეგ – ადამი და ევა; ისინი ჩასვა კიდობანში და მგელი მიუჩინა დარაჯად, თვითონ ზეცაში წავიდა. ზოგი ანგელოზი არ დაემორჩილა, ამიტომ ჩამოყარა მიწაზე და დემონებად აქცია. ერთ-ერთი მათგანი – ეშმაკი შეძვრა გველის ტყავში და აცდუნა ევა და ადამი. როცა ევა მშობიარობის ტკივილებით იტანჯებოდა, ადამს დაეხმარა ეშმაკი შემდეგი პირობით:

„– ყველა შენი მემკვიდრე ჩემს ხელში იქნება, სანამ დაუბადებელი არ დაიბადება და უკვდავი არ მოკვდება“.

ამგვარად გადავიდნენ ადამის ძენი ეშმაკის ხელში, მაგრამ ღმერთმა ქრისტე გააჩინა („დაუბადებელი“ და მოკვდავი) და ამით ეშმაკის ბატონობაც დაემხო (სიხარულიძე, 2006:232).

მითოლოგიური აზროვნების თანახმად, მიწა ეყრდნობა უზარმაზარ თევზს, წყალი ქვაზეა, ქვა კი ისევ წყალზე; იმის იქით გაშლილია შეუმეცნებელი სივრცე, რომლის შესახებაც, შემოქმედის ნებით, ადამიანურ გონებას არ შეუძლია იცოდეს რაიმე გარკვეული.

მრავალი მითოსური ნარატივის თანახმად, ღმერთის მიერ მიწისგან შექმნილი ადამიანი უსიცოცხლოდ იდო დიდხანს; ღმერთმა შთაბერა სული და ეს ქმნილება ნამდვილ ადამიანად აქცია. ღმერთმა გამოუცხადა ანგელოზებს, რომ მან მიწის ბატონი შექმნა და მათ უნდა თაყვანი ეცათ მისთვის. ერთმა ანგელოზმა თავისი ამალით უარი განაცხადა: „არ ეკადრებათ ნათლისგან შექმნილთ, ეთაყვანონ მიწისგან შექმნილს“-ო. მაშინ განრისხებულმა ღმერთმა ისინი ეშმაკებად აქცია და ქვესკნე-



ლში ჩაყარა; ამიტომაც არის, რომ განდევნილი ანგელოზები – ეშმაკები ემტერებიან ადამიანს. ამგვარი ნარატივები მოწმობენ, თუ როგორ იცვლება წიგნიერი წარმომავლობის სიუჟეტი, როდესაც განიცდის ფოლკლორიზაციას.

როგორც ზემოთ ითქვა, პირველადი კოსმოგონიური მითების კვალი ქართულსა და, ზოგადად, კავკასიურ მითოლოგიაში არ ჩანს, მაგრამ რელიგიურ-მითოლოგიურ შეხედულებებში ვლინდება წარმოდგენები ქვეყნიერების აგებულების შესახებ. სივრცის ორგანიზაციის ყველაზე ადრეული და მარტივი ფორმაა მისი დაყოფა „შინა“ და „გარე“ ნაწილებად.

როგორც მკვლევარი ქეთევან სიხარულიძე მიუთითებს, ოჯახის (ან უფრო მოზრდილი სოციალური ჯგუფის) განსახლება გარკვეულ ტერიტორიაზე თავისთავად ქმნიდა პირობას სივრცის ნაწილების დაპირისპირებისთვის. რამდენადაც უკვე არსებობდა დამორჩილებული მიწა (რომლის ერთ-ერთი ქართული სახელია „დაბა“), ე. ი. არსებობდა სხვა, აუთვისებელი სივრცეც, რომელიც გარეთ, „შინას“ მიღმა, იმყოფებოდა. დასახლების საფუძველს ცალკეულ ოჯახთა სახლ-კარი წარმოადგენდა თავისი ცენტრით (კერით) და მის გარშემო ორგანიზებული სივრცით (სახლი და ეზო-კარი). დასახლების უფრო მოზრდილი ფორმაა რამდენიმე ოჯახისგან შემდგარი ჯგუფური დასახლება, რომლის პარამეტრები იმეორებს ოჯახის სტრუქტურას, ოღონდ – უფრო დიდ ტერიტორიაზე; ხოლო როგორც ოჯახი, ისე ჯგუფური დასახლება, განფენილი იყო ჰორიზონტალურ სივრცეში. ანალოგიურად წარმოდგენდა ადამიანი ქვეყნიერების აგებულებასაც, რომელიც, მისი აზრით, ორად იყოფოდა: რაც აქ არის („შინაში“) და რაც იქ არის („გარეში“), ამიტომ ჰორიზონტალურად განლაგებული სამყაროს სტრუქტურულ ნაწილებს აღნიშნავდნენ ტერმინებით „სააქაო“ და „საიქიო“. უფრო გვიან ყალიბდება წარმოდგენები სამყაროს ვერტიკალურ ღერძზე განლაგების შესახებ და იგი სამ განზომილებაშია წარმოდგენილი: ზესკნელი, შუასკნელი და ქვესკნელი. ამგვარი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, ალბათ, ხელი შეუწყო საცხოვრებლის ცენტრის – კერის და მასთან დაკავშირებული ატრიბუტების და სახლის შიდა სივრცის ვერტიკალურმა განლაგებამ. მხედველობაში გვაქვს კერაზე ზემოდან ჩამოშვებული საკიდლიანი ჯაჭვი და გუმბათოვანი გადახურვის ცენტრში ერდო, რომელიც ორმაგი მნიშვნელობის ელემენტია: იგი ოთახის ცენტრში არსებული კერიდან ასული კვამლის გასასვლელია და ქერში დატანებული საშუქია (სიხარულიძე, 2006:233-234).

მითოსური აზროვნების თანახმად, სამივე სფეროს თავისი შესატყვისი ბინადრები ჰყავს, რაც გამოხატულია ე. წ. სიცოცხლის ხის, იგივე სამყაროს ღერძის, სიმბოლიკით.

მართალია, ქართულ მითოლოგიაში ვერ ვადასტურებთ კოსმოგონიურ მითოსს თავისი პირვანდელი სახით, მაგრამ შეგვიძლია, მოვიყვანოთ მისი ვარიაცია, რომელსაც სოფელსა და მის მტრულ ძალას შორის ბრძოლის სახე აქვს მიცემული. აქ ერთმანეთს უპირისპირდება წყალი და ხმელეთი, რომელთაგან პირველი ქაოსს განასახიერებს, მეორე – კოსმოსს. ამგვარი ნარატივის კლასიკური ნიმუშია უგარიტული ეპოსი ბაალის (ხმელეთის უფლის) და მისი ანტაგონისტის – იამის (ზღვის ურჩხულის) შესახებ. მათ შორის ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს და მას დასასრული არა აქვს: ხან ბაალი იმარჯვებს, ხან – იამი. ამ ბრძოლის ანალოგი შეიძლება ხმელეთზე ზღვის პერიოდულ და დაუსრულებელ მოქცევა-მიქცევაში დავინახოთ.

ქართულ მითოსში გველემშაპისა და ხარის ბრძოლა განასახიერებს ზღვის სტიქიისა (ქაოსის) და ხმელეთის (კოსმოსის) დასაბამიერ ბრძოლას. ამ ტიპის მითოსი საქართველოს ბევრ კუთხეშია გავრცელებული. მისი ზოგადი ფაბულა ამგვარია:

სოფლის მახლობელ ტბაში გველემშაპი ბინადრობს; პერიოდულად იგი ამოდის ტბიდან, თავს ესხმის სოფელს, სტაცებს საქონელს, ანადგურებს ნათესებს, აწიოკებს მოსახლეობას... ღამ-ღამობით სოფლის უჩინრად გველემშაპს კურატი (მოზვერი) ებრძვის, მაგრამ ამაოდ – სოფელში დასისხლიანე-

ბული და დაქანცული ბრუნდება. სოფელი დაუდარაჯდება ხარს და, როცა მიხვდება, თუ რისგან ემართება მას ეს ამბავი, რქებს აღმასით მოუჭედავენ და ასე გაუშვებენ გველეშაპთან საბრძოლველად. ხარი ეძგერება ზღვის ურჩხულს და მუცელს გაუფატრავს. ცოცხალმკვდარი გველეშაპი უკუიქცევა, გაქცეულს წყალი უკან გაყვება და ტბაც დაიცლება, ნატბევარ ადგილზე კი ხალხი დასახლდება.

გველეშაპი სხვა კვალსაც ტოვებს ლანდშაფტზე: იგი თავისი სხეულით მდინარის კალაპოტს გაიყვანს. გველეშაპისა და მისი ანტაგონისტის ბრძოლის მითოსი ყველგან ინარჩუნებს თავის თავდაპირველ კოსმოგონიურ ხასიათს, თუნდაც მასში გადმოცემული კონკრეტული ამბავი ერთ რომელიმე სოფელს ეხებოდეს. ამ შემთხვევაში, მითოლოგიური წარმოდგენის ძალით, სოფელი მთელი სამყაროს სახელით ფიგურირებს; სიტყვა „სოფელიც“ ხომ ამ ორმაგ, ერთმანეთში გარდამავალ, მნიშვნელობას შეიცავს.

გველეშაპისა და ხარის ბრძოლის კოსმოგონიური მითოსის ვარიანტებს ვხვდებით აჭარის მთიანეთში გავრცელებული თქმულების – „ბულ-გიოლის“ („ტბის ხარის“) სახით, რომელიც მრავალ ვარიანტად გვხვდება და არსებითად ტიპოლოგიურია ზემოთ განხილული გველეშაპისა და ხარის ბრძოლის მითოსისა. ამ თქმულების ერთ-ერთი ვარიანტი უკავშირდება სოფელ ვერნებსა და მისი შემოგარენის ტრაგედიას. მითის ფაბულა შემდეგია: მთის საძოვარზე წყლიდან (ტბიდან) ამოდის ხარი, რომელიც სოფლის ხარს ეჭედება და ასისხლიანებს. ხარის პატრონი შენიშნავს ამ მდგომარეობას და თავის ხარს რქებს მოუჭედავს, რისი მეოხებითაც სოფლის ხარმა დაამარცხა წყლის ბულა-ხარი, გაფატრა იგი; წყლის ხარმა ტბას მიაშურა და მისმა სისხლმა წითლად შელება ტბის წყალი. ამ დროს წყლიდან (ტბიდან) გამოვიდა გველეშაპი, სოფლისაკენ გამოექანა და შექმნა ხრამი, რომელიც „გველეშაპის ხრამად“ იწოდება.

„ბულ-გიოლის“ თქმულების ვარიანტებს იცნობს კლარჯეთის ზეპირსიტყვიერებაც (შიოშვილი, 2017:406).

ხალხური კოსმოგონიური მითოსი, იგივე „ხალხური შესაქმე“, ორი უმთავრესი საკითხის წარმოჩენას ცდილობს: 1. სამყაროს შექმნა და პირველი ადამიანების გაჩენა; 2. პირველი ადამიანების შეცოდება და უფლისმიერი სასჯელი.

შევეცდებით, აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული შესაქმის ნარატივთა შუქზე გავაანალიზოთ ხალხური კოსმოგონიის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი – სამყაროსა და პირველი ადამიანების შექმნა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნარატივთა დიდი უმეტესობა უკვე ლეგენდის სამოსელით გვხვდება.

ქვეყნიერებისა და ადამიანის გაჩენის საკითხი სამყაროს შეცნობი ერთ-ერთი ოდინდელი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია და, ბუნებრივია, ქართული ზეპირსიტყვიერების კოლექტიური ავტორი საუკუნეთა განმავლობაში მას გვერდს ვერ აუვლიდა. შესაქმის ლეგენდის ქართული ვარიანტები აშკარად სარგებლობს ბიბლიით, თუმცა, როგორც თავის დროზე მკვლევარმა ნოდარ შამანაძემ მიუთითა, ამ თეზაში ზოგიერთი კორექტივია შესატანი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ბიბლიის გაცნობამდეც ისწრაფვოდნენ ჩვენი წინაპრები სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობისაკენ და, ბუნებრივია, საკუთარი შეხედულებანიც გამოიმუშავეს, რისი კვალიც აშკარად შეიმჩნევა ქართულ ხალხურ კოსმოგონიურ ლეგენდათა ვარიანტებში.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერება იცნობს შესაქმის მითოსის ისეთ ვარიანტებს, რომლებშიც, ბიბლიური სიუჟეტისაგან განსხვავებით, უფალი დამოუკიდებლად კი არ მოქმედებს, არამედ სხვათა დახმარებას საჭიროებს. სვანური ლეგენდის თანახმად, სამყაროს მოწესრიგებაში, ღმერთთან ერთად, მონაწილეობენ სამოელი, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ლეგენდით სამოელს უფალ ღმერთზე მეტი ძალმოსილება კი გააჩნია და მასზე უფრო ჭკუამახვილადაც გამოიყურება (შამანაძე, 1973:18-20).

შემოქმედი ღმერთის, ანუ დემიურგის, სისუსტისა და სხვებზე დამოკიდებულების მოტივის შემცველია მოსე ჯანაშვილის მიერ საინგილოში ჩანერილი და 1912 წელს ჟურნალ „ნაკადულში“ (№10) გამოქვეყნებული შესაქმის მითი „როგორ გაჩნდა ქვეყანაზე მთები და ხევები“, რომლის მიხედვითაც, ღმერთს შეეშალა და დედამინა ცაზე დიდი გააჩინა. „არ მოერგო ცა დედამინას, ვერ ესარქველებოდა“; შეცდომა ეშმაკმა გამოასწორებინა, ურჩია:

„– მოუჭირე მინას შენი ძლიერი მკლავები და ცა ზარფუშვით დაეხურებაო“.

ღმერთმაც დაუფერა ეშმაკს, „მოუჭირა დედამინას მკლავები... ცა დაესარქვლა, მაგრამ მინა კი შეიზნიქა და აქა-იქ ამოიბურცა გორებად“ (ხ. ს., 1964:249).

ღვთაებათა იერარქიის, მათი სისუსტისა თუ ძლიერების პრობლემა ქართულ ფოლკლორში საფუძვლიანად განიხილა ივანე ჯავახიშვილმა ქართული ლეგენდის „იესო ქრისტე, ელია წინასწარმეტყველი და წმინდა გიორგი“ – მიხედვით და დაასკვნა, რომ ქრისტიანული რწმენით, ღმერთი-შემოქმედი ყველაზე მაღლა უნდა იდგეს, აქ კი უფროს-უმცროსობა სულ სხვანაირად არის დასურათებული; ღმერთი-შემოქმედი ისეთ შესაბრაღის მდგომარეობაშია, რომ მეცხვარისაგან ერთი ბატკანიც კი ვერ მიუღია სადილად; პირიქით იგი ემოქრება კიდეც ღმერთს:

„– ჩემი ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, აი ამ კომბლით თავს გაგიტეხავდიო!“

„ცხადია, მთავარ ღვთაებას მეცხვარე ასეთ თავხედობას ვერ გაუბედავდა“, – ასკვნის მკვლევარი და დასძენს, რომ მეცხვარისათვის ავტორიტეტი არის წმინდა გიორგი; მეორე ადგილზეა შემოქმედი ღმერთი, მესამეზე კი – ელია. ეს მოტივი დიდმა მეცნიერმა დაადასტურა სხვა თქმულებებშიც, რომელთა საფუძველზეც წმინდა გიორგისადმი ქართველი ხალხის განსაკუთრებული მონივნება და თაყვანისცემა იმით აიხსნება, რომ „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის წარმართობისდროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების – მთვარის ადგილი უკავია“ (ჯავახიშვილი, 1979:83-85.88).

შესაქმის მითის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი, როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიოს ყველა ხალხის, და მათ შორის ქართველთა, რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ადამიანის შექმნაა. მიწისაგან (თიხისაგან) ადამიანის გამოძერწვის მოტივს იცნობს ჯერ კიდევ შუმერული შესაქმის ლეგენდა: ღმერთებმა მეტოქე აბზუს სისხლში მოზილეს თიხა და შექმნეს ადამიანი. „გილგამეშიანში“ კი ენქიდუს შექმნა ასეა მოთხრობილი:

...მერმე განიბანა ხელნი არურუმ,  
თიხა მოზილა, ველად მოისროლა;  
ველად მოავლინა გმირი ენქიდუ,  
ველთა ნაშიერი ნინურთას ძალისა.  
(„გილგამეშიანი“, 1984:40)

თიხისაგან ადამიანის გამოძერწვის მოტივი გვხვდება ბიბლიაშიც: „გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“ (დაბ; 2, 7).

მიწისაგან ადამიანის გაჩენის მოტივი გვხვდება ე. წ. ნაკლებად განვითარებულ ხალხთა ფოლკლორულ შემოქმედებაშიც, რომელიც, ბუნებრივია, არც ბიბლიას იცნობს და არც შუმერულ ლეგენდებს და, ამდენად, თვითჩასახვის გზით არის შექმნილი.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ვითარებაა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, რომელზე დაკვირვებაც ცხადყოფს, რომ აღნიშნული მოტივი „ძირითადად გაფორმებულია ბიბლიის სიტყვიერი ქსოვილის მიხედვით, თუმცა ამ მოტივს ქართველობა გაცილებით ადრე იცნობდა, ვიდრე ბიბლია ითარგმნებოდა“ (შამანაძე, 1973:31). ამდენად, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ დამოუკიდებლად

არის შექმნილი სამყაროს შეცნობის მონადინე ჩვენი შორეული წინაპრების მიერ; თუმცა, ისიც დასაშვებია, რომ აღნიშნული მოტივი გაჩნდა ქართველთა და კავკასიელთა მონათესავე ტომების – ხურიტების და ურარტუელების – უშუალო მეზობლის – შუმერების ანალოგიითაც.

ქართული ხალხური მითებისა და ლეგენდების, და მათ შორის კოსმოგონიური ნარატივების, შესწავლას საინტერესო ნაშრომი უძღვნა მკვლევარმა ნოდარ შამანაძემ; მან გამოწვლილვით შეისწავლა საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული „ქვეყნიერების შექმნის“ მოტივის შემცველი ლეგენდები, თუმცა, სამწუხაროდ, მის მონოგრაფიაში ასახვა ვერ პოვა აჭარულმა მასალამ, ურომლისოდაც ამ პრობლემის მიმართ ქართველური ტომების ოდინდელი დამოკიდებულის წარმოჩენას, ჩვენი აზრით, თავისი ხიბლი და სპექტრის მნიშვნელოვანი ფერები აკლდება.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებული მითოსი სამყაროსა და პირველი ადამიანის შექმნის შესახებ საერთოქართული მითოსის რიგში განიხილება, თუმცა, საუკუნეთა განმავლობაში მისი სიუჟეტის ცალკეულ დეტალებზე მნიშვნელოვანი გავლენა, ბიბლიის გარდა, მოუხდენია მუსლიმთა წმინდა წიგნში – „ყურანში“ – მოთხრობილ ეპიზოდებსა და ე/წ „ჰადისებს“, ანუ ყურანის აპოკრიფებს, და ლეგენდურ სამოსელშიც გაუხვევია.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ კოსმოგონიურ მითოსზე დაკვირვება ცხადყოფს:

1. მასალათა ერთ ნაწილში ჯერ უფლის მიერ სამყაროს მოწესრიგებაზე, ანუ ქაოსის კოსმოსად გარდაქმნაზე, საუბარი, შემდეგ – ცისა და მიწის გაყოფაზე და ბოლოს – ადამიანის შექმნაზე. ლეგენდის ეს ვარიანტები, ბუნებრივია, ბიბლიურ თხრობას ეთანადება;

2. აჭარული შესაქმეს მითის მეორე ნაწილისათვის თხრობის დასაწყისშივე საინტერესოა დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენა, ანუ ადამიანის შექმნა. ამ რიგის მასალებში დედამიწა უკვე არსებობს, როცა უფალი ღმერთი იწყებს ადამიანის შექმნას;

3. აჭარული მითებისა და ლეგენდათა ერთი ნაწილი, რომელიც შუმერულ შესაქმესთან უფრო ახლოს დგას, სამყაროს პირველ საწყისად აღიარებს წყალს;

განვიხილოთ თვითოეული მათგანი, რომელთა ანალიზითაც ცხადი გახდება აჭარული კოსმოგონიური ნარატივების მნიშვნელობა და ადგილი საერთოქართულ ფოლკლორულ სპექტრში.

ქობულეთური შესაქმის მითი „როგორ შეიქმნა დუნია“ (ბსუნბიფა, საქმე №242:31-32) გვაუწყებს: „დუნია ბნელით იყო მოცული, ძირი არაფერზე ედგა და ზევით არაფერზე ეკიდა. გაუჩერებელი ქარი ქროდა, არავითარი სულდგმული იმ დროს არ იყო. იყო მხოლოდ ღმერთი – ერთი“.

მითის თანახმად, ღმერთმა ხუთ დღეში მოაწესრიგა ქაოსი და მეხუთე დღესვე შექმნა ადამიანი: „ღმერთმა ერთ მშვენიერ დღეს გაანათა ბნელით მოცული დუნია; მეორე დღეს მან ცა გამოჰყო მიწისაგან, ჩაღრმავებულ ადგილებში ზღვა ჩააყენა; მესამე დღეს ცას მოჰფინა ვარსკვლავები და მთვარე – ღამის მანათობელი, მერე – დღის მანათობელი მზე; მეოთხე დღეს ღმერთმა გამჩენელმა წყალში მოამრავლა თევზები და სხვა ცხოველები, შემდეგ გააჩინა ფრინველები და სხვა მრავალი ქვეწარმავლები; მეხუთე დღეს უთვალავი ნადირი გააჩინა, როგორც მტაცებლები, ასევე – უწყინარი ცხოველები და მათ საცხოვრებლად ტყე გააჩინა; ამავე დღეს, როცა მზე ეშვებოდა, დიდმა ღმერთმა ტალახიდან ადამიანი გააკეთა, ჩაუბერა სული და გააჩინა პირველი კაცი – ადამი. ადამს რომ ეძინა, გვერდიდან გამოუღო პირველი ქალი – ევა...“

ამ ვარიანტის მიხედვით, სრულიად ცხადია სამყაროს შექმნის მოტივის ბიბლიურთან თანხვედრა, თუმცა, ხალხური შესაქმისათვის ხუთი დღეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დემიურგს მოეწესრიგებინა ქაოსი და გაეჩინა ადამიანი. სხვა ვარიანტით, „ექვს დღე-ღამეზე გაჩნდა ყველაფერი სულიერი და უსულო“ (ბსუნბიფა, საქმე №133:12). ბიბლიის თანახმად, უფალმა ამ საქმეს შვიდი დღე მოაწოდო. ამ რიგის თქმულებები მრავლად არის აჭარის ფოლკლორში და, ასევე, მრავალი ვარიანტი მოიპოვება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

აჭარული კოსმოგონიური მითოსის დიდი ნაწილის თანახმად, როგორც აღვნიშნეთ, დედამინა უკვე შექმნილია, როცა ღმერთი ადამიანის გაჩენაზე იწყებს ფიქრს და წარმატებულადაც ახორციელებს. „ადემის გაჩენამდე 62 ათასი წელიწადის განმავლობაში დედამინა ცარიელი დარჩენილა. მერე გამჩენელმა ღმერთმა უბრძანა ანგელოზებს – „მელაიქებს“, წადით, ტალახი აიღეთ და ადამიანი გააკეთეთო“, – გვაუწყებს ეთერ ზოიძის მიერ 1981 წელს ქობულეთის რ-ნის სოფ. მუხაესტატეში თოფუზ ბათნიძისაგან ჩანერილი მითი „ადამიანის გაჩენა“ (იქვე, საქმე №240:37).

ეს მითი იმითაც არის საინტერესო, რომ დედამინისაგან ადამიანის შექმნას, ხალხური შესაქმნის მიხედვით, ზნეობრივი ასპექტი უდევს საფუძვლად: რაკი დედამინა ცარიელი იყო, ღმერთმა უბრძანა ანგელოზებს, ტალახი აეღოთ და ადამიანი გაეკეთებინათ, მაგრამ დედამინამ სასტიკი უარი განაცხადა, მინა არ მისცა ანგელოზებს და უარი ასე დაასაბუთა:

„– ცოდვიანი ადამიანები უნდა გაჩნდნენ და მერე ისევ მე უნდა მჯლავნონო“.

ღმერთმა მაინც შეასრულა განზრახვა, „ეზრაველი“ – სულის ამღები გააგზავნა და იმან ძალით აართვა; მხოლოდ უბრძანა: ერთი ადგილიდან ჯერ ეიღე წითელი, შავი კი თეთრი ალაგიდან ეიღეო. ერთი ადგილიდან რომ ეიღო, მაშინ ადამიანები ერთი ფორმისანი იქნებოდნენ“.

დედამინის მიერ უფალი ღმერთისადმი მინის მიცემაზე უარის მოტივს აჭარაში გავრცელებული შესაქმნის მითოსის მრავალი ვარიანტი იცნობს. ერთ-ერთი მათგანი (იქვე, საქმე №133:12-17), რომელიც ნ. ცქიტიშვილმა დააფიქსირა ხულოს რ-ნის სოფ. განახლებაში 1969 წელს 85 წლის მურად ბოლქვაძისაგან, მოგვითხრობს, რომ გამჩენელ ღმერთს სამჯერ უთხოვია მინა, მაგრამ დედამინამ „სამ ანგელოზს უარი გაუმცხადა, მეოთხე ანგელოზმა ძალდატანებით მოჭაჭვა შვიდ ალაგიდან მინა და იმიდან გააკეთეს“. აქვე ვეცნობით უფლის მოციქულთა ვინაობასაც: „სამ ანგელოზს, მინამ რო უარი უთხრა, ერქვა: ერთს – ჯებრაელი, მეორეს – მიქაელი, მესამეს – ისრაფილი, მეოთხეს, ძალდატანებით რო ასწია მინა – ლეზრაელი; თან, ეს არის სულის ამრთმეველი“.

შესაქმნის ლეგენდის ერთ-ერთი, შუახვევის რ-ნის სოფ. ბუთურაულში თემიზალ მამულაძისაგან 1970 წელს ი. აბულაძის მიერ ჩანერილი, ვარიანტის (ბსუნბიფა, საქმე №146:187-193) თანახმად, უფლის პირველი მოციქულს (ჯებრაილს) დედამინამ უთხრა: „– თუ ღმერთი გიყვარს, ნუ ამწევო“. ჯებრაილმაც ველარაფერი გააწყო; რაკი ღმერთი და მისი სიყვარული უხსენეს, ხელცარიელი გაბრუნდა. მეორე მოციქულიც (ლეზრაელი) ასევე დაანამუსა დედამინამ, მაგრამ ლეზრაელმა უთხრა: „– ღმერთიც მიყვარს და შენცნა წიგილოვო“. ლეზრაელი ასეც მოიქცა.

ამ რიგის მითოსურ ნარატივებს აშკარად ატყვიან პოლითეისტური სივრცის კვალი. მათში დემიურგს წინააღმდეგობას უწევს დედამინა, მინას არ აძლევს ადამიანის შესაქმნელად და ამ საკითხის მოგვარებაში უფალს სულთამხუთავის დახმარება სჭირდება.

მინისაგან (თიხისაგან) ადამიანის შექმნის მოტივს საფუძვლად უდევს ყველა ხალხის არქაული რწმენა-წარმოდგენები მინაზე, როგორც ქალურ საწყისზე (მარადიულ საშობზე), რომელიც მითოსურ ტრადიციათა უმეტესობის (ეგვიპტურის გამოკლებით) თანახმად, დაწყვილებულია ცასთან, რომელიც განასახიერებს მამაკაცურ საწყისს. აჭარის ფოლკლორში გავრცელებული შესაქმნის ლეგენდებშიც მინა გამოიყურება „დიდ დედად“, რომელიც გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს ზეცას – ამ შემთხვევაში გამჩენელ ღმერთს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედამინის უარი შემოქმედი ღმერთისათვის ადამიანის შესაქმნელი მინის მიცემაზე, ალბათ, მოგვიანებით, პირველქმნილი ცოდვისა და დედამინაზე დაღვრილი პირველი სისხლის გააზრებით არის მოტივირებული, მაგრამ, ამ შემთხვევაში ჩვენთვის უაღრესად საინტერესო ცნობას გვანვდის ქართული ფოლკლორის შემქმნელისა და საუკუნეთა მანძილზე მისი ღირსეული მატარებლის – კოლექტიური ავტორის – დამოკიდებულებაზე უფლის უზენაესი ქმნილების – ადამიანის დანიშნულებასა და მის ზნეობრივ მისიაზე.

ჩვენი აზრით, ადამიანის შექმნისადმი დედამიწის სკეპტიკური დამოკიდებულება მუსლიმთა წმინდა წიგნიდან – „ყურანიდან“ იღებს სათავეს. „ყურანში“ ვკითხულობთ: „როცა ღმერთმა ანგელოზებს უთხრა, მნადიო, ქვეყნად თანაშემწე ვიყოლიო, მათ მიუგეს: განა ქვეყნად ისეთი სულიერი უნდა გააჩინო, რომ ურიგობა ჩაიდინოს და სისხლი დაანთხიოს მაშინ, როცა შენ ქებას ვლალადებთ, შენ გადიდებთ და შენ სინმინდეს განუწყვეტლივ ვაღიარებთ? უფალმა მიუგო: მე უწყი, რაც თქვენ არ იცით“ (ყურანი, 1906:9).

როგორც ვხედავთ, ყურანის თანახმად, ადამი უფლის თანაშემწე, მისი მოადგილე დედამიწაზე. ბუნებრივია, დედამიწაზე უფლის თანაშემწის, ანუ ადამიანის, გაჩენაზე უარის მოტივსაც ძველი ალ-თქმის ამბავი (პირველქმნილი ცოდვა და ძმის მიერ ძმის სისხლის დაღვრა) დაედო საფუძვლად, რადგანაც, როცა ყურანი იწერებოდა, ძველი ალთქმისეული ლეგენდები საყოველთაოდ იყო ცნობილი.

მკვლევარ ზურაბ თანდილავას მიერ 1974 წელს ქობულეთის რ-ნის სოფ. ზენითში ხუსეინ ქათამაძისაგან დაფიქსირებული ლეგენდის – „ადამი და ევა“ (სამხრ. საქ. ზეპ., ტ. X, 1990:93-95) – თანახმად, ადამიანის შექმნამდე დედამიწა არსებობდა, მაგრამ ვინ შექმნა, ამაზე არაფერია ნათქვამი. „დედამიწაზე სიცოცხლე არ იყო უნინ, ცოცხალი არსება არ იყო... ჯერ ადამიანი გაჩენილი არ იყო“. ლეგენდის მიხედვით, ყველა სულიერი არსება სამოთხეში ბინადრობდა, ყველაზე პირველად კი ეშმაკი გაჩენილა ცეცხლიდან, მაგრამ, რაკი მის გაჩენას ვერაფერი სიკეთე მოჰყვა, „ღმერთმა წინასწარმეტყველებს უთხრა, რომ ადამი უნდა გავაკეთოთ“. წინასწარმეტყველები წავიდნენ სამოთხეში, მოთხარეს შვიდნაირი მინა, დაამზადეს ტალახი და გააკეთეს კაცი – ადამი, რომელსაც ჯერ სული არ ქონდა ჩადგმული. წინასწარმეტყველებმა ეშმაკს უთხრეს:

„– ჩვენ ადამი გავაკეთეთ! წამოდი, ნახე, თუ მოგეწონო“. მივიდა ეშმაკი და ნახა, რომ ტალახისაგან კაცი იყო გაკეთებული; დაათვალიერა და ზედ დააფურთხა. წინასწარმეტყველებმა იწყინეს და ეშმაკი სამოთხიდან გააძევეს. მათ ადამს ამოჭრეს ეშმაკის დანაფურთხები ადგილი და მონაჭერი გადაადგეს, შემდეგ კი ადამს სული ჩაუდგეს. ადამის სხეულის ამონაჭრიდან გაჩნდა ძალღი. „ამიტომ არის ძალღი ადამიანის მეგობარი, იგი ადამიანის ხორცის ნაწილია“, – გვმოდვრავს ლეგენდა და გვაუწყებს, რომ „ადამს მარცხენა უბეში გაუჩნდა ევა, რომელიც შემდეგ მისი ცოლი გახდა“.

შესაქმის მითოსის ამ ვარიანტში უფლისეული გარჯა ნაკლებად იგრძნობა: იგი წინასწარმეტყველებს ავალებს ადამიანის შექმნას და სულსაც კი წინასწარმეტყველები ჩაბერავენ ტალახისაგან შექმნილ ადამიანის ფიგურას; ამავე დროს, ადამის ფიგურას წინასწარმეტყველები ღმერთს კი არ უჩვენებენ, არამედ – ეშმაკს.

ძალზე საინტერესოა შესაქმის აჭარულ ნარატივთა ეტიოლოგიური სიუჟეტები: ეშმაკისა და ძალღის გაჩენა. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ეშმაკი ცეცხლისგან იშვა სამოთხეში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეშმაკი დაცემული ანგელოზია, ანუ თავდაპირველად ისიც სამოთხის ჩვეულებრივი ბინადარი იყო, მისი გაჩენაც სამყაროსეული შესაქმის ერთ-ერთი პირველგურიდან – ცეცხლიდან მოხდა; მაგრამ შემდეგ, რაკი „ეშმაკმა არაფერი სიკეთე არ მოიტანა“, ღმერთმა წინასწარმეტყველებს ადამიანის გაკეთება დაავალა. როგორც მკვლევარი გ. მახარაშვილი მიუთითებს, ღმერთს არ სურდა, ქვეყანაზე ყოფილიყო ეშმაკი, მაგრამ რადგანაც ვერ გაეცა ბოროტების არსებობას, რომელსაც თავადვე ჩაუყარა საფუძველი, გააჩინა ადამიანი“ (მახარაშვილი, 2004:155). ლეგენდის ეს ეპიზოდიც გარკვეულწილად მიუთითებს იმაზე, რომ, ხალხის რწმენით, ზოგჯერ შემოქმედიც ცდება, თუმცა, თავადვე ასწორებს ამ შეცდომას.

ზენითური (ქობულეთის რაიონი) მითოსი „ადამი და ევა“ შეიცავს ეტიოლოგიურ სიუჟეტს ძალღის გაჩენის შესახებაც; აქ მოთხრობილია, რომ ძალღი ადამის სხეულზე ეშმაკის მიერ დაფურთხებული და წინასწარმეტყველის მიერ ამოჭრილი ხორცის ნაჭრიდან გაჩნდა. ადამის სხეულიდან

ძალის გაჩენის ეტიოლოგიურ ეპიზოდს იცნობს შუახევური (სოფ. ბუთურაული) ვარიანტიც („ადამიანის გაჩენა“), რომლის თანახმად, ლეზრაილმა მიწა რომ მიიტანა უფალთან, გააკეთეს „კაცისე-ბური რამე“, რომელიც 40 ათასი წელიწადის განმავლობაში უსულოდ იდო. „გეიარა შეითანმა და ამას მიაფურთხა. აი მოფურთხული გამოჭრეს და გეიქნეს. იქიდან გამეიჩეკა ძალლი“ (ბსუნბიფა, საქმე №146:187).

როგორც ქობულეთური მითი „ადამი და ევა“, ისე შუახევური „ადამიანის გაჩენა“ მრავალმხრივ საინტერესო ნიმუშებია; მათში აშკარად არის გამოკვეთილი, რომ ადამიანის გაჩენამდე დედამიწა უკვე შექმნილია. ადამიანის შესაქმნელთან ერთად, ეს ნარატივები გვთავაზობს ეშმაკისა და ძალის გაჩენის მოტივსაც, რასაც არ იცნობს საქართველოს არც ერთი სხვა კუთხის ფოლკლორული მასალა. ამ თვალსაზრისით აჭარული შესაქმნის მითი ძალზე ორიგინალური და საგულისხმოა, თუმცა საფიქრებელია, რომ ლეგენდის არქეტიპული ვარიანტი ძალის გაჩენის ეპიზოდს არ იცნობდა, ის ლეგენდის გვიანდელი ჩანართია, სოციალური დატვირთვა გააჩნია და საზრდოობს ცნობილი ხალხური ფრაზეოლოგიზმით – „ძალლი ადამიანის მეგობარია“. მიუხედავად ამისა, ამ რიგის ლეგენდათა ვარიანტები თავისთავად ორიგინალურია, რადგანაც ადამის სხეულიდან ევას გარდა სხვა პერსონაჟის გაჩენაზეც გვაუწყებს.

აჭარული შესაქმნის მითოსის ერთ-ერთი ვარიანტიც „საიდან გაჩნდა ინსანი“, რომელიც აზიზ ახვლედიანმა ჩაიწერა ქობულეთის რ-ნის სოფ. აჭში მეჯიდ ხაჯიშვილისაგან, ადამიანების შექმნის თაობაზე მოგვითხრობს: „პირველად მელაიქებმა მოზილეს მიწა და გაჩდა კაცი – ადემი. ამ კაცის გვერდის ძვალი გამოიღეს და იქიდან გაჩდა ქალი – ევა“ (ბსუნბიფა, საქმე №63:32). აქ არაფერია ნათქვამი შემოქმედი ღმერთის მიერ სამყაროს მოწესრიგებაზე, ადამისა და ევას შექმნის ეპიზოდს კი უშუალოდ მოსდევს თხრობა პირველქმნილი ცოდვისა და ადამისა და ევას დასჯისა თუ სამოთხიდან გამოძევების თაობაზე.

თითქმის იდენტურია მითი სათაურით „ქვეყნის გაჩენა“ (იქვე, საქმე №131:61-64), რომელიც, ასევე, ადამიანის გაჩენით იწყებს თხრობას: „ადემი არის მიწიდან გაკეთებული. მერე გამჩენმა ღმერთმა ადემს მისცა ძილი. ამ ძილში ამოუღო მარცხენა ყაბურღა და გააჩინა ქალი – ხევა“. შემდგომ კი, ზემოთ ნახსენები მითის დარად, მთქმელი ვრცლად მოგვითხრობს სამოთხის პირველი ბინადრების თავგადასავალზე, ეშმაკისაგან ცდუნებასა და უფლის მიერ მათ დასჯაზე.

როგორც აღვნიშნეთ, შესაქმნის მითის ზოგიერთი აჭარული ვარიანტი სამყაროს პირველ საწყისად აღიარებს წყალს, რითაც შუმერულ კოსმოგონიას უფრო ეხმაურება, ვიდრე – ბიბლიურს.

შუმერთა მითოსის თანახმად, თავდაპირველად ქაოსი იყო და ყველაფერი წყლით იყო დაფარული. ქაოსისაგან იშვნენ პირველი ღმერთები. საუკუნეების შემდეგ ზოგიერთებმა სამყაროს მოწესრიგება გადაწყვიტეს, რამაც აღაშფოთა ღმერთი აბზუ და მისი ცოლი – ქაოსის ღმერთქალი თიამათი, რომელსაც დრაკონის გამოსახულება ჰქონდა. ღმერთებმა, მარდუკის ხელმძღვანელობით, დახოცეს ცოლ-ქმარი, თიამათის სხეული ორად გაჭრეს და ზეცა და მიწა შექმნეს, ხოლო აბზუს სისხლით თიხა მოზილეს და ადამიანი გააკეთეს.

ქობულეთის რ-ნის სოფ. აჭყვისთავში დაფიქსირებული შესაქმნის მითი „ადამ და ევა“ (ბსუნბიფა, საქმე №242:5-10) მოგვითხრობს: „წინათ დუნია სულ ზღვით იყო დაფარული. ზღვა დაშრა და დარჩა ხმელეთი. ინსანი არ არსებობდა. ღმერთმა ტალახიდან კაცის ფორმა გააკეთა, სული ჩაუბერა, გააცოცხლა და სახელად ადამ დაარქვა“.

საინტერესოა ევას შექმნის ეპიზოდი: ადამს არც ტანსაცმელი სჭირდებოდა და არც საკვები, ყველაფერს ღმერთი უგზავნიდა „ყოველ დღე, დილა-სალამოს, მასთან დედალი მწყერი ჩამოდიოდა ზეციდან ღმერთის ბრძანებით. ერთხელ ადამმა მწყერს გამოსჭრა გვერდის ნაწილი და იქიდან გააკეთა მისივე მსგავსი ადამიანი – ქალი, რომელსაც სახელად ევა დაარქვა“.

აჭყვისთაური მითი იმ მხრივაც არის ღირშესანიშნავი, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში, და მათ შორის აჭარაშიც, დღემდე, დაფიქსირებულ შესაქმის ნარატივთა ყველა ვარიანტის თანახმად, ევა ჩნდება ადამიანის გვერდიდან (ნეკნიდან), ამ ლეგენდით კი ევა მწყრის გვერდიდან გააკეთა ადამმა და არა – ლმერთმა – ადამის ნეკნიდან; თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ერთ-ერთი კოსმოგონიური მითი „ადამიანის გაჩენა“ (ბსუნბიფა, საქმე №240:37-38) გვაუწყებს, რომ ევა მისით გაჩნდა: ახლადშექმნილი „ადემი პირდაპირ ჯენნეთში შეაბრძანეს. მარტო იყო ჯენნეთში და დეეძინა. რომ ეძინა, მარცხენა ფირცხალიდან გამოვიდა ჰავა. ჰავა ჰაერიდან მისით არის გაჩენილი და იმიტომ დაერქვა ჰავა“. ლეგენდის მიხედვით, ადამმა ვერც კი გაიგო, ევა რომ გაჩნდა; იგი ანგელოზებმა გააღვიძეს და აუწყეს „ჯენნეთის ამხანაგის“ გაჩენის თაობაზე.


ამრიგად, აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებული მითოსი ქვეყნიერების შექმნასა და პირველ ადამიანთა გაჩენაზე საშუალებას იძლევა, დავასკვნათ: ვარიანტთა ერთი ნაწილის თანახმად, სამყაროს შექმნისა და პირველ ადამიანთა გაჩენის მოტივი ემთხვევა ბიბლიურს, თუმცა, აშკარად იგრძნობა ყურანისეული სიტყვიერი ქსოვილისა და ცალკეული ეპიზოდების გავლენაც; ზოგიერთი ვარიანტი თანხვედბა შუმერულ მოტივს. მათში თვალნათლივ შეინიშნება პოლითეისტური რწმენის ნაკვალევი და წარმართულსა და ქრისტიანულ მსოფლმხედველობას შორის ბრძოლის ანარეკლი.

აჭარული კოსმოგონიური მითოსის ვარიანტებზე დაკვირვება მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ მიწისაგან ადამიანის შექმნის მოტივი ქართულ ფოლკლორში ბიბლიის გავლენით არ უნდა იყოს შექმნილი, რომ ამ მოტივს ბიბლიის თარგმნამდეც იცნობდნენ ჩვენში. ბუნებრივია, ყურანისეული გავლენებიც ბოლოდროინდელ, აჭარაში მუსლიმობის გავრცელების შემდგომ, მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

#### ბიბლიოგრაფია:

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989;
2. ყურანი, 1906, თბილისი;
3. „გილგამეშიანი“, 1984, II გამოცემა, თბ.;
4. კიკნაძე, 2008 – ზურაბ კიკნაძე, „ქართული ფოლკლორი“, თბ.;
5. მახარაშვილი, 2004 – გიორგი მახარაშვილი, „შესაქმეს ლეგენდა აჭარულ ფოლკლორში“, – კრებ. „კრიტიერიუმი“, თბ.;
6. ბსუნბიფა – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივის მასალები;
7. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, ტ. X, თბ., 1990;
8. სიხარულიძე, 2006 – ქეთევან სიხარულიძე, „კავკასიური მითოლოგია“, თბ.;
9. შამანაძე, 1973 – ნოდარ შამანაძე „ქართული ხალხური ლეგენდები“, თბ.;
10. შიოშვილი, 2010 – თინა შიოშვილი, „სამყაროსა და პირველი ადამიანების შექმნის მოტივი აჭარულ შესაქმის ლეგენდაში“, – კრებ. „ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“, ბათ.;
11. შიოშვილი, 2017 – თინა შიოშვილი, „კლარჯული ფოლკლორი“, თბ.;
12. ხ.ს., 1964 – „ხალხური სიბრძნე“, ტ. 3, თბ.;
13. ჯავახიშვილი, 1979 – ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. 1, თბ.





# ნოდარ ტატიშვილი

## ნიკოსაძეაშვილი – ქართული პოეზიის ფილოსოფი

ასე უწოდებენ დღეს პოეტ ნიკო სამადაშვილს. დაიბადა იგი 1905 წლის 19 ივლისს სოფელ ხიდისთავში (გორის მახლობლად) მიხეილ სამადაშვილისა და ოლღა კობერიძის ოჯახში. იგი მშობლების პირველი შვილი იყო. ორი წლის შემდეგ დაიბადა ნიკოს და ელენე, აზერბაიჯანში, ქალაქ ალდამში, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ.

სამი წლისაც არ იყო ნიკო, მამა რომ გარდაეცვალა. დედა აზერბაიჯანში წავიდა და ხელმეორედ გათხოვდა, პატარა ნიკო კი ბებუის ამარა დარჩა ხიდისთავში. ასე რომ, იგი ბავშვობისას მშობლებს დანატრებული იზრდებოდა. დედა მას აზერბაიჯანიდან მხოლოდ 1932 წელს ჩამოუყვანია და გვერდიდან არ მოუშორებია. აქ ქალბატონ ოლღას წლების განმავლობაში საბავშვო ბაღში აღმზრდელად უმუშავია. აქედან მოყოლებული ნიკო თავს ბედნიერად გრძნობდაო, იგონებს მისი ქალიშვილი მზია.

შვიდი წლის ნიკო ბებუას გორის სასულიერო სასწავლებელში მიუბარებია, რომლის დამთავრების შემდეგ ნიკოს სწავლა გორის ვაჟთა გიმნაზიაში გაუგრძელებია. შემდეგ ეს გიმნაზია ჰუმანიტარულ ტექნიკუმად გადაკეთებულა და 1924 წელს ნიკოს იგი დაუმთავრებია.

გიმნაზიაში ნიკოს გერმანულ ენას ასწავლიდა ერეკლე ტატიშვილი, რომელსაც განათლება



ლაიპციგის, პარიზისა და ედინბურგის უნივერსიტეტებში ჰქონია მიღებული და რამდენიმე ევროპულ ენას ფლობდა. მის შესახებ ნიკო წერს: ეს იყო კაცი, „რომელსაც დასერილი ჰქონდა მთელი ევროპა სტამბოლიდან ლონდონამდე, ბერლინიდან ნეაპოლამდე. კაცი, რომელიც მოწინებით ისმენდა ფილოსოფოს ვუნდტის, სოციალისტ ჟორჟის, ანარქისტ ბაკუნინის და პირქუშ ოსვალდ შპრენგელის მეტყველებას“.

ერეკლე ტატიშვილი მთელი სიცოცხლის მანძილზე ზრუნავდა და მუდამ თავისი მეტაფიზიკური ქვეყნის წყავედ ნიჭიერი შეგირდი. 1920 წელს ნიკო ბიძამ თბილისში ჩამოიყვანა და ბავშვთა სახლს მიაბარა, საიდანაც ერეკლე ტატიშვილმა გამოიყვანა და წლების განმავლობაში საკუთარი ხარჯით უვლიდა და ზედამხედველობდა. ამიტომ იყო, რომ ნიკოსაც იგი უსაზღვროდ უყვარდა და დიდ პატივს სცემდა მას. პოეტი თამაზ ჩხენკელი წერს: „ჩვენი მეგობრობის მანძილზე მე არ მახსოვს არც ერთი შეხვედრა ლვინისმიერი თუ უღვინო, რომ მას გულის-შემძვრელი სიყვარულითა და თაყვანისცემით არ მოეგონებინოს ამ კაცის სახელი“.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნიკომ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე განაგრძო, სადაც მისი ლექტორები იყვნენ მეცნიერების კორიფეები: ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხვები. ნიკო მონდომებით შეუდგა უნივერსიტეტში სწავლას, მაგრამ უსახსრობისა და შიმშილობის გამო ზოგიერთი საგანი დროულად ვერ ჩააბარა და 1928 წელს, მესამე კურსიდან გარიცხეს, შემდეგ კი არ აღადგინეს.

ამის შემდეგ ნიკომ თბილისი დატოვა და ბორჯომის რაიონის სოფელ სადგერში დაწყებით სკოლაში დაიწყო პედაგოგად მუშაობა, სადაც იგი ყველა საგანს ასწავლიდა. ამავე დროს მან აქვე ჩამოაყალიბა მოზრდილთა სალამოს სკოლა და სასკოლო ასაკს გადაცილებულებს უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას. აქვე იგი სპექტაკლებსაც დგამდა სოფლის მშრომელი მოსახლეობისთვის, მსახიობების როლს კი თვით სოფლის მკვიდრნი ასრულებდნენ.

1929 წელს ნიკო ისევ თბილისში დაბრუნდა და სპეციალური კურსების გავლის შემდეგ 1931 წელს ბულალტერ-რევიზორად დაიწყო მუშაობა. მისი ქალიშვილის, მზია სამადაშვილის გადმოცემით, იგი ხშირად სამუშაოს სამუშაოზე იცვლიდა, რათა თავისი დიდი ოჯახი ერჩინა.

ლექსების წერა ნიკოს 12 წლის ასაკიდან დაუწყო. თბილისში გადასვლამდე მას თავისი ლექსები ნათესავი ქალისთვის გადაუცია შესანახად, მაგრამ ამ უკანასკნელს მისი ლექსები მთლიანად გაუნადგურებია. მიუხედავად ამისა, წერს ქალბატონი მზია, მამას მის შვილებთან თბილი ურთიერთობა ჰქონდაო.

1930 წელს ნიკომ ცოლად შეირთო ულამაზესი ბერძენი ქალი ევა ჩაკალიდი, მაგრამ ეს ქორწინება მხოლოდ რამდენიმე თვეს გაგრძელდა, რადგან „ევამ მამის სახლიდან ფეხი არ მოიცილა და ფეხმძიმეობაც ხელოვნურად შეინწყვიტა“, ნიკომ კი ჩაკალიდების ოჯახში ჩასიძება არ ისურვა.

1936 წელს ნიკომ მეორედ იქორწინა სოფელ სადგერის მკვიდრ, 15 წლის მარიამ ნიკოლოზის

ასულ ამანათაშვილზე. ეს ქორწინება ნიკოსთვის ბედნიერი აღმოჩნდა. მარიამთან მას სამი შვილი შეეძინა – თამაზი, მზია და ნუგზარი. განსაკუთრებით უზომოდ ჰყვარებია უმცროსი ვაჟი ნუგზარი, რომელსაც იგი ხშირად ანებივრებდაო, იგონებს მზია სამადაშვილი მამაზე დაწერილ თავის მოგონებებში.

მზია სამადაშვილის გადმოცემით, ნიკო მთელი თავისი არსებით ვერ ეგუებოდა კომუნისტურ რეჟიმს, რომელიც თავისუფალ პიროვნებას სულიერად და მორალურად ანადგურებდა. ამიტომ იგი 1943 წლის 12 იანვარს დააპატიმრეს და იმავე წლის 28 აგვისტოს გაასამართლეს, როგორც საზოგადოებისთვის საშიში პიროვნება და ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

პატიმრობიდან იგი ომის შემდეგ ნაადრევად გაათავისუფლეს, მაგრამ მისი ცხოვრება ძალზე მძიმედ წარიმართა. გამუდმებით განიცდიდა უმუშევრობას, შევინრობას, უფულობასა და მატერიალურ სიდუხჭირეს. თავის ობლობას, პირველ უიღბლო სიყვარულს, ვერნაპატრონებ ნიჭსა და გაცრუებულ იმედებს იგი გამუდმებით დასტიროდა და ღვინოში ახრჩობდა.

მიუხედავად ამისა, თანამედროვეთა გადმოცემით, იგი მუდამ საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობდა და არასოდეს წუწუნებდა, იყო რაინდი, გაუტყეხელი და ამაყი სულის პიროვნება. მისი მეუღლის, მარიამის გადმოცემით, „ნიკო... ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, თავი არავის წინაშე არ დაუხრია. სწამდა, რომ თავისი ერი დააფასებდა.

ხშირად იცოდა ხოლმე თქმა: „მე ჩემი ერი ქვესკნელიდან ამომიყვანსო“.

1945 წლიდან გარდაცვალებამდე ნიკო ოჯახთან ერთად თბილისში, ზემელზე ეკატერინე გაბაშვილის №14 სახლში ცხოვრობდა. აქ იგი 1947 წელს მეორედ დააპატიმრეს. საპატიმროში მან თითქმის ერთი წელი დაჰყო.

განუწყვეტელმა დევნამ, სამსახურიდან არაერთხელ უსამართლოდ დათხოვნამ მას ჯანმრთელობა შეურყია და ჰიპერტონიით დაავადდა. 1958 წელს ნიკოს დამბლა დაეცა და მთელი ერთი თვე ლოგინს იყო მიჯაჭვული. ამის შემდეგ

ნიკოს დიდხანს არ უცოცხლია. 1963 წლის 1-ელ მაისს იგი გარდაიცვალა, 58 წლის ასაკში, გულის შეტევით. დაკრძალულია ქალაქ თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

ნიკო სამადაშვილი იყო ტრაგიკული ბედის პოეტი, რომელმაც, არაერთი მცდელობის მიუხედავად, სიცოცხლეში ვერცერთი ლექსის გამოქვეყნება ვერ შეძლო, მაშინ როცა მას განსაკუთრებულ პოეტად აღიარებდნენ ვახტანგ კოტეტიშვილი, ერეკლე ტატიშვილი, გერონტი ქიქოძე და გალაკტიონ ტაბიძეც კი. მის ხელნაწერ ლექსებს ეცნობოდნენ და აფასებდნენ აგრეთვე პავლე ინგოროყვა, არჩილ სულაკაური, თამაზ ჩხენკელი და სხვები.

1955 წელს გალაკტიონს ნიკოს ლექსების გაცნობის შემდეგ დაუწერია: „დავრწმუნდი მე თქვენს სიძლიერეში; მომავლისაკენ! წინ! იერიში!“

აკადემიკოსი გურამ ხარატიშვილი იგონებს: „ერთი „ტლუ“ ბიჭი იყო ხიდისთაველი ნიკო, რომელმაც, დაბრძენებულმა, თავისი ცით მონაბერი ნიჭით ქართული პოეზიის სვეტიცხოველი შეაზანზარა“.

1987 წლის 13 თებერვალს ნიკო სამადაშვილის ხსოვნის საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაში პოეტი იზა ორჯონიკიძე ამბობს: „მე-20 საუკუნის დიდ პოეტთა მწკრივი ჩემთვის სამი სახელით იწყება: გალაკტიონი, გ. ლეონიძე, ნიკო სამადაშვილი... სამი წერტილი ჩემს მწკრივსაც უზის“ (ისე, როგორც გალაკტიონის მწკრივს: „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და...“

ნიკო სამადაშვილის შემოქმედებას, წერს მზია სამადაშვილი, თამაზ ჩხენკელმა უპატრონა, შემდეგ და შემდეგ სხვებმაც გამოიღეს ხელი და დღეს ნიკო სამადაშვილი მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის სრულუფლებიანი და გამორჩეული წევრია. ეს მოხდა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ. კერძოდ, 1973 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული, „ბეთანია“. 1975 წლის მაისში, ჟურნალ „ოქროს სანძისში“ კი, რომელსაც ზვიად გამსახურდია რედაქტორობდა, პირველ და მეორე ნომრებ-

ში დაიბეჭდა პოეტის 10 ლექსი. გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოიცა ორი კრებული („შეხვედრები და სინანული“, „წუთისოფლიდან უკვდავებამდე“). მისი მოთხრობების პირველი კრებული გამოქვეყნდა 1989 წელს. 2004 წელს ლიტერატურის მუზეუმმა იზა ორჯონიკიძის რედაქტორობით გამოსცა პოეტის ყველაზე სრული კრებული, სადაც შეტანილია ლექსები, პროზაული ნაწარმოებები, ვარიანტები, პირადი მიმოწერა და მოგონებები. ამჟამად გამოცემულია ნიკო სამადაშვილის ერთი პროზაული და სამი ლექსების კრებული.

მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ჩვიდმეტკომეულის მეთხუთმეტე ტომში ნიკო სამადაშვილი წარმოჩენილია სამოცდაერთი ლექსით, რითაც არჩილ სულაკაურის აზრით, ნიკო სამადაშვილს „დამკვიდრებული აქვს თავისი ადგილი ქართული პოეზიის განვითარების დიდ გზაზე“.

1973 წლის 27 ოქტომბერს ქალაქ გორის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა ნიკო სამადაშვილის ხსოვნის საღამო, რომელსაც უძღვებოდა ვახუშტი კოტეტიშვილი, ხოლო 2015 წლის 25 სექტემბერს საქართველოს მწერალთა სახლში ჩატარდა ნიკო სამადაშვილის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო დევიზით: „ვერ დავიწყებული დიდი პოეტი“.

1993 წელს ბორჯომის რაიონის სოფელ სადგერის დაწყებით სკოლას მიენიჭა ნიკო სამადაშვილის სახელი.

როგორც პოეტი, ნიკო სამადაშვილი მისმა მასწავლებელმა ერეკლე ტატიშვილმა აღმოაჩინა. იგი ნიკოს შესახებ წერდა: „ნიკო სამადაშვილი არის დიდი პოეტი არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ ის არის ევროპული სტილის დიდი პოეტი“. მიუხედავად ამისა, იგი ნიკოს ლექსების გამოქვეყნებას არ ურჩევდა, „შენ რომ ლექსები გამოაქვეყნო, ამკვეყნიდან ალიგვებო“.

ნიკო სამადაშვილს ლექსების გამოქვეყნებას არ ურჩევდა აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძეც, რო-

მელიც საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა მის შემოქმედებას. ნიკოს ქალიშვილი, მზია იგონებს: „შვიდიოდე წლისა ვიქნებოდი, მამამ სასერიწოდ წამიყვანა. რუსთაველის გამზირზე იგი წარმოსადგე, წვერებიან მამაკაცს მიესალმა, რომელმაც თბილად უპასუხა, მე კი თავზე ხელი გადამისვა და გამიცინა. შემდეგ, მოულოდნელად, პროსპექტზე მიმავალ ხალხს მიუბრუნდა, ხელი მამასკენ გაიშვირა და მჭექარე ხმით შესძახა: – გაიცანით, ეს არის დიდი პოეტი საქართველოსი! მამას სახეზე აღმურმა გადაჰკრა. ეს კაცი გალაკტიონი იყო“.

1953 წელს გერონტი ქიქოძე ნიკოს სწერს: „ძმაო ნიკო, მე ყურადღებით წავიკითხე თქვენი ნაწერები. არ ვიცი, რა ვუნდოდ მათ ფილოსოფიური მოთხრობები, ესკიზები, პატარა პოემები პროზაში, თუ სხვა რამე. თქვენს მთავარ ღირსებას ის წარმოადგენს, რომ თქვენ არ დადიხართ გატკეპნილი გზებით და არავის ბაძავთ“.

თამაზ ჩხენკელთან ერთად, ნიკო სამადაშვილის შემოქმედება ფართო მკითხველამდე მიიტანა ასევე არჩილ სულაკაურმა. ეს უკანასკნელი იგონებს: „ნიკო სამადაშვილის ლექსები უბით დამქონდა, ზოგი უკვე ზეპირად ვიცოდი. ვუკითხავდი ნაცნობ პოეტებს, ვუკითხავდი არაპოეტებსაც, უბრალოდ – პოეზიის მოყვარულებს და ყველანი შეთქმულებივით გულგრილად მომჩერებოდნენ, უკეთეს შემთხვევაში, დაეჭვებულნი ილიმებოდნენ, არც ისეთი ლექსებია, შენ რომ გგონიაო. ზოგი რითმას უწუნებდა, ზოგი – ვერსიფიკაციას, ზოგი – რას და ზოგი – რას. ზოგჯერ, ეჭვიც კი შემპარვია ჩემს თავსა და ჩემი მეგობრების ცოდნასა და გემოვნებაში“.

ზურაბ კიკნაძე, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ნიკო სამადაშვილის შემოქმედების კვლევაში, წერს:

„მრავალფეროვანი ქართული პოეზიის ხომალს ნიკო სამადაშვილის ხმაც უერთდება, – ტრაგიკული, მაგრამ მუდამ სინათლისაკენ გამყვარი ძახილი“.

კეთილი და სათუთი გულის მქონე პოეტი ბევრ დაუმსახურებელ კრიტიკასა და მის მიმ-

ართ ჩადენილ სიბოროტეს ითმენდა. მან უპასუხოდ დატოვა, წერს მზია სამადაშვილი, ერთ-ერთი ცნობილი კრიტიკოსის წერილი, რომელშიც იგი ამბობდა: „ნიკო სამადაშვილს პოეზია ავადმყოფობა ჰგონია და, მკითხველო, შენ განსაჯე, ასეთ ადამიანს რა მოეკითხება“.

საკუთარი თავისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში ნიკო წერს:

„შენ გადარებდნენ ბინდების ჭრიჭინს,  
თუმცა სულ მუდამ ტოტს გცემდა ქარი,  
ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,  
ლექსები ტანზე გამონაყარი“.

პროფესორ ზურაბ კიკნაძის აზრით, ნიკო სამადაშვილი გამორჩეული იყო არა მხოლოდ ნიჭიერებით, არამედ უკომპრომისობითაც, რის გამოც ის არათუ არ მიიღეს, საერთოდ პოეტადაც კი არ აღიარეს. მის პოეტობას მხოლოდ კოლეგების ვიწრო წრე და რამდენიმე მეგობარი თუ აღიარებდა.

ამ უსამართლობამ და ტრაგიკულმა ბედმა მოუსპო მას ნაადრევად სიცოცხლე.

არჩილ სულაკაური იგონებს, რომ გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე იგი ნიკოს რუსთაველის მოედანზე შეხვდა. შეხვედრა „გემოში“ გაგრძელდებულა. დამშვიდობებისას ნიკოს მისთვის უთქვამს: „სულ მინდოდა, კაცურად მეცხოვრა, თითქოს ვიცხოვრე, კაცურად გავიარე ცხოვრების გზა, მაგრამ... რა არის, იცი, ერთი დღე არ მახსოვს ისეთი, თავი რომ ადამიანად მეგრძნო. ეს სულ სხვა რამეა, ჩემო არჩილ, სულ სხვა... მითხარი, შეიძლება, კაცმა სამოცი წელი იცხოვროს ქვეყანაზე და ერთხელ მაინც ვერ იგრძნოს, რომ ის ადამიანია?! ამ ქაოსიდან ვერ გავედი, ვერა და ვერ გავედი...“

ნიკო სამადაშვილის ბევრი ლექსი მისი სულის აღსარებაა. ერთ-ერთ ავტობიოგრაფიულ ლექსში იგი წერს:

„დაფლეთილ სხეულს, დაღალულ ფიქრებს,  
ახსოვდათ მხოლოდ სიცოცხლე მკვდარი.  
სადღაც ემოვნათ კუბო ჯიბიერებს  
და მოენერათ ზედ ჩემი გვარი!“

ცხოვრებით განანამები პოეტი თავის საქმიანობას – ლექსების წერას ზოგჯერ „ჯლაბნას“ უწოდებს და დასძენს:

„ლექსების ჯლაბნა წამებად გექცა,  
სჯობდა ვენახის კვალი გებარა,  
ვის რად უნდოდა ეს თვალთმაქცობა,  
ნეტავი ქარში გადაგეყარა“.

ნიკო სამადაშვილსა და მის ოჯახს ძლივს-ძლივობით გაჰქონდა თავი. როცა იგი გარდაცვლილა, ოჯახში სულ ოთხი მანეთი ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, ნიკო ყოველთვის სხვისი შემწე და ჭირისუფალი ყოფილა.

ვახუშტი კოტეტიშვილი წერს:

„ნიკო სამადაშვილი ორჯერ შემოიჭრა ჩემს არსებაში...“

პირველად ეს მოხდა ომიანობის დროს. ექვსიოდე წლის ვიქნებოდი. ზამთრის ცივი და ნალვლიანი საღამო იყო. ოთახში ჩვეულებრივ ხრჩოლავდა ნავთქურა, რომელიც შუქის წყაროსაც წარმოადგენდა და ღუმლის მაგივრობასაც გვინევდა. ნავთქურაზე, მეტი სიტბოსათვის, აგური იდო. უეცრად ჩვენთან შემოიჭროლა ვიღაც კაცმა და ერთბაშად ხმაურით აავსო ჩვენი მდუმარე და ნაკლული ოჯახი. იმედიანად მოიკითხა ჩვენები, მე ხელში ამიყვანა, მაკოცა, რიხიანად მკითხა: ხომ გახსოვს, ვისი გორისაცა ხარო, ჩა-

მომსვა, კვლავ რაღაც სანუგეშო სიტყვები გვესროლა და გაუჩინარდა. მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ შევნიშნეთ მაგიდაზე ერთი დიდი, მთელი პური... ეს იყო პური, რომელიც ყოველთვის გვაკლდა. მე ვიკითხე: ვინ იყო-მეთქი. მითხრეს, მამას ყოფილი სტუდენტი და მეგობარი ძია ნიკო სამადაშვილიო. იმ დღის შემდეგ ჩემთვის „ძია ნიკო“ იყო ის კაცი, რომელსაც დროდადრო ჩვენთვის მოჰქონდა პური (არავინ იცოდა საიდან). ხანდახან გვეპატიჟებოდა შინ, ყოველთვის ხუმრობდა, იცინოდა. ზოგჯერ თვალები მოუწყლიანდებოდა ხოლმე მამაჩემის გახსენებისას და ყოველთვის გვამხნევებდა მეც, ჩემს უფროს დას ლეილას და დიდედას, რომელიც ლეჩაქის ბოლოთი მოინმენდდა ხოლმე ცრემლს და ლოცავდა: – შენ გაიხარე, შვილო ნიკო, რომ ზოგ-ზოგეზივით არ დაგვიწყნია ჩემი ვახტანგის სიკეთე და ამაგიო.

ეს იყო და ეს, თითქოს არაფერი. მაგრამ თუ გავიხსენებთ იმ უმძიმეს წლებს, როდესაც ყველას უჭირდა... ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ადამიანური საქციელი ზნეობრივ გმირობად წარმოგვიდგება.

ასეთი კაცი იყო ნიკო სამადაშვილი, ასეთი გავიცანი იგი მე, ექვსი წლის ბავშვმა და ასეთად დარჩა სამუდამოდ ჩემს ხსოვნაში...”



# Գործուն 3

2025